

መንግሥት ከኢትዮጵያ ቤት

ተ-ቋርቃለሁ

ዓመ

ii

ከፌዴራል
‘፲፻፱’



1. ~~Pimelodellae~~ 130
2. ~~Amphilius~~ ⁽²³⁾ ~~1631~~ 239, 240
3. ~~Gymnophorus~~ ⁽²⁴⁾ ~~for~~ ⁱⁿ ~~fishes~~, 24
4. ~~Myrophis~~ ⁽²⁴⁾ ~~68~~ ²⁰
5. ~~Xanthichthys~~ ⁽²⁴⁾ ~~myrophis~~ ²⁰

ՀԵՂՅՈՒ ՏՈՑԵԿԱՆ

დაგენერაციას კ. კეკელიძისა და პროფესიონალ ბაზარიდის ჩერქეზურით „სახულგაშმა“ გამოსუა თავანე ბატონიშვილის „უკალპასის“ მეორე წევნი, რომელიც წარმადგენს 1936 წელს გამოიცელი პარველი წიგნის გაგრძელებას.

„କ୍ୟାଲମବସନ୍ଧୀରେ“ ପିଲାର୍ଜୁ ଫ୍ରିଙ୍ଗିଶ୍ରୀ ମନତାବ୍ସମ୍ପଦିତୁ-
ଣ ଏଥି ରାଜ୍ୟ ପାତ୍ରନିର୍ମାଣିକାରୀ ମନ୍ଦିରରେ ଅନ୍ତର୍ମାତ୍ରରେ ଉପରେ
ଅନ୍ତର୍ମାତ୍ରରେ ଉପରେ ଉପରେ ଉପରେ ଉପରେ ଉପରେ ଉପରେ ଉପରେ
ଅନ୍ତର୍ମାତ୍ରରେ ଉପରେ ଉପରେ ଉପରେ ଉପରେ ଉପରେ ଉପରେ ଉପରେ

ରୁଗ୍ରାନ୍ତର ଏଇ ଗାନ୍ଧିଜୀଙ୍କରିବିଦିତତମ୍ ଟି ସିଲ୍ଫର୍‌ଗ୍ରେହଣ୍ଟର
ମୋଲ୍‌ଡ୍ ଶ୍ରେଣୀଲିଂଗର କ୍ଷେତ୍ରରେ ପାଇଥିଲୁଛିବାରେ, ମାତ୍ର କାହିଁବିଲାଏବେ
ଏବଂ ଶର୍ଵାନ୍ ମୈକ୍ସିନ୍‌ରେ ମେଲ୍‌ଲାଇନ୍ ଏବଂ „ବେଗିନ୍‌ରେ
ଲାଇନ୍ ପାଇଥାଇଲାଏବେ“ ଏବଂ ଓନାଙ୍କରୁଖାରୁ ଏବଂ ଲାଇନ୍‌ରେ
ଏହି ଉଚ୍ଚର୍ଗିତିରେ ଉଚ୍ଚର୍ଗିତି କରିବାକାବ୍ୟାକ ଆବଶ୍ୟକ ଆବଶ୍ୟକ
ଦେଇ ରୁହାନ୍‌ଯେତ୍ରିକର୍ମରେ ଗାନ୍ଧିଜୀରୁକୁ ବାଧ୍ୟ ମିଳିବା ଉପର୍ଯ୍ୟନ୍ତ
କାହିଁବାରେ କୁଠାରେ ଘରିବୁଥିବା, ରୁପ ବାଦାକୁରୁ ମିଳିବା
କାହିଁବାରେ ଦୂର ଦୂରିତିରେ

„კალმასობის“ გამოცემით „სახელგამზა“ გნი-
ტვენელვანი კულტურული საქმე გააკრა.


247 მუნიციპალიტეტის და ორგანიზაციის 12 მანათი.

{ M A 1961/8. *** 96-8301

თანე ბავრიშვილი

კალმახონა

4193



თბილისი. 1948. სახელგამი.



ԴԱՅԵՐՆԱ ՑԽԸՆԸՆԿԱ

ბებში ქრეითა მთოლოდ 6 ავგუსტის
დაწყეს. ამის შედეგად გადაუხეშდა
ჩაის ფლოთი, შემცირდა მოსავლა-
ნობის.

კოლმეურნეობათა ხელმძღვანელები
კრეფაში ჩამორჩენას მხოლოდ ამინ-
დუთ ხსნიან. მართალია, გვალვამ ჩაის
პლანტაციებზე საერთოდ ცუდად იმო-
ქმედა, მაგრამ საღაც შრომა კარგად
მოაწყეს, იქ კრეფის დაწალებასაც
წარმატებით ასრულებენ. ასევე მაგა-
ლითად, სოფელ ჯგალის კვარაცხე-
ლიას სახელობის, ობუჯის მოლოტო-
ვის სახელობის და ჯვარის კოლმეურ-
ნეობებში.

ରାଜୀବଙ୍କିଳ କ୍ଷେତ୍ରମଧ୍ୟରେ ନିର୍ମାଣ ହୋଇଥାଏଇଲୁଛି ଏହାରେ
ପରିମାଣରେ ଗାନ୍ଧାରୀଶ୍ଵରରେ କୌଣସି ଉଚ୍ଚଦିଶ ମାତ୍ରରେ
କାହାର କୁରୁକ୍ଷତା କାହାର କୁରୁକ୍ଷତା କାହାର କୁରୁକ୍ଷତା କାହାର
କୁରୁକ୍ଷତା କାହାର କୁରୁକ୍ଷତା କାହାର କୁରୁକ୍ଷତା କାହାର କୁରୁକ୍ଷତା

3. 806605

„კომუნისტი“ საკუთარი გორებსპონსორი

რ ე დ ა ჭ ი ტ ი ს ა გ ა ნ

1936 წელს გამოვიდა პირველი ტომი „კალმასობისა“, რომელშიაც აღწერილია მოგზაურობა იონა ხელა შეიცვისა აღმოსავლეთ-საქართველოში. ამჟამად იბეჭდება მეორე ტომი, რომელიც უშუალო გაგრძელებაა პირველისა.

ეს ტომი იწყება იონას საუბრით ამათუიშ საკითხის შესახებ თბილისში მცხოვრებ მის ნაცნობებთან და მერე აგვიწერს ჯერ მის მოგზაურობას იმერეთისაკენ, მერე დასავლეთ-საქართველოში ყოფნას და ბოლოს რუსეთში გადასვლას და ცხოვრებას. დასავლეთ-საქართველოში იონა ჯერ სწვევია ქუთაისს, აქედან გადასულა ოდიშს, შემოუკლია ლეჩეუმი, გურია და იმერეთი, სადაც (ს. წირქვალში) საუბარი ჰქონია დედოფალ ანასთან. თბილისში დაბრუნების შემდეგ წასულა სომხეთში, ხოლო აქედან მობრუნების შემდეგ გადასახლებულა რუსეთში, სადაც ურთიერთობა დაუჭერია მიტროპოლიტ ამბროსისთან და ქართული კოლონიის ზოგიერთ წევრთან.

ამ მოგზაურობის დროს იონას შეხვდებიან სხვადასხვა პირნი, რომელნიც მას, როგორც განათლებულ კაცს, გამოელა-პარაკებიან იმ საკითხების (კერძოდ საქართველოს) შესახებ, რაც თვითეულ მათვანს აინტერესებს. იონაც უპასუხებს მათ ადვილ-გასაგები, მარტივი ენით და გასართობი კილოთი. ამ მხრივ ეს მეორე ტომიც ისეთსავე „ხუმარსწავლას“ წარმოადგენს, როგორსაც პირველი: თხზულებაში შიგაღაშიგ ხუმრობის ჩართვით ავტორი მასთან მოსაუბრე პირთ გადასცემს

მათთვის საინტერესო ცოდნას. რთული მსჯელობით ან „სწავლით“ დაღლილ მკითხველს სახუმარო ამბებითა და ტონით ქვლავ ალვიძებს, აფხიზლებს და ახალი „სწავლისათვის“ ამზადებს. ეს მოგზაურობაც ისეთივე შეუნელებელი ინტერესით იკითხება, როგორც პირველ ტომში აღწერილი.

წინამდებარე წიგნის ტექსტი შემოუნახავს საქართველოს მუზეუმის ხელნაწერს—H 2170, 2134, 2153. სამივე ხელნაწერი ავტოგრაფულია, სრულია და უნაკლო. პირველი ორი ხელნაწერი დიდი მოცულობისაა და მუყაოს ყდითაა გამაგრებული. მესამე ხელნაწერი კი უყდოა, შეკრულია რვეულებად და «კალმასობის» ხელნაწერთა ჩვეულებრივი ფორმატის 35 ფურცელს შეიცავს. უკანასკნელ ხელნაწერს დაუცავს განსხვავებული ხელით შესრულებული მინაწერიც: «პირველის ნაწილისა რამთონიმე რვეულები იონას მოგზაურობისა». მინაწერის ცნობა სავსებით სწორი არაა: ხელნაწერის 35 ფურცლიდან პირველი ოთხი ფურცელი იძლევა «კალმასობის» მთელი ტექსტის (და არა მხოლოდ პირველი ნაწილის) ვარიანტებს, საავტორო შენიშვნებს და თხზულების ცალკეული ნაწილების ერთგვარ გეგმებს. «ვარიანტი» უნდა წარმოადგენდეს ხვადასხვა დროის შავ ჩანაწერებს და ნაწილობრივად მაინც წინ უსწრებს საბოლოოდ ჩამოყალიბებულ ტექსტს. ხელნაწერის დანარჩენი 31 ფურცელი შეიცავს «კალმასობის» ძირითადი ტექსტის დასასრულს.

«კალმასობის» მეორე წიგნის მასალაც იბეჭდება ამოკრებულად და შერჩევით, მაგრამ სათანადო ადგილას ყველგან აღნიშნულია გამოტოვებული ტექსტის შინაარსი. რედაქციას მოუხდა ორიგინალის კომპოზიციური აღნაგობის ნაწილობრივი შეცვლა. სახელდობრ:

1. დედნის მიხედვით, ქართველ წმიდათა «ცხოვრების» დიდი ნაწილი მოთხრობილია იმერქოში, ანა დედოფალთან-საუბარში (ხელნაწერი H 2170), ხოლო მეორე, უფრო მცირე ნაწილი, მოთხრობილია რუსეთში მიტროპოლიტ ამბროსისთან შეხვედრისას (ხელნაწერი H 2134). ჩვენ ორივე ეს ნაწილი გავაერთიანეთ. ჩა თქმა უნდა, წმიდათა «ცხოვრებანიც» გამოკრებილად იბეჭდება: ჩვენ ავიღეთ მხოლოდ ისე-

თი «ცხოვრებანი», რომელთაც რაიმე კულტურულ-ისტორიული მნიშვნელობა აქვთ, ამასთან რედაქციულადაც ნაკლებ ცნობილნი არიან ფართო მკითხველი საზოგადოებრიობისათვის.

2. მიტროპოლიტ ამბროსისთან საუბარი, სხვათა შორის, შეიცავს «საქართველოს ისტორიას». ეს ისტორიული ნაწილი შეავსებს ერთ დიდ ტომს, ჩვენ ის ცალკე გამოვყავით და განზრახული გვაქვს მისი მესამე წიგნად დაბეჭდვა. ხელნაწერში «ისტორიას» მიჰყება ისეთი ტექსტები, რომლებსაც თემატიკურად მეტი კავშირი აქვს წინამდებარე წიგნთან. ამიტომ აქაც მოგვიხდა მასალის გადმონაცვლება. მაგრამ ამით ოდნავ არ დარღვეულა ამბავთა ქრონილოგიური თანმიმდევრობა, მთლიანობისა და თემატიკურობის თვალსაზრისით კი ტექსტები უაუღდ მოიგო. ამრიგად, «რუსეთად წარსელის» მთელი დიალოგური ნაწილი იბეჭდება მეორე წიგნში, მესამე წიგნი კი მთლიანად უნდა დაეთმოს «საქართველოს ისტორიას».

წინამდებარე წიგნის უდიდესი ნაწილი პირველად ქვეყნდება, დღემდის დაბეჭდილი იყო მხოლოდ შემდეგი კუპიურები:

1. მცირე უწყება ქართველთა მწერალთათვის (ძველი საქართველო, I; აგრეთვე—საისტორიო მასალანი, I, 1913). ეს ტექსტი უფრო გვიანდელი ხელნაწერის მიხედვითაა გამოცემული ე. თაყაიშვილის მიერ.

2. კალმასობა დასავლეთ-საქართველოს შესახებ, ს. კაკაბაძე, საისტორიო კრებული, IV, 1929 (გვ. 40—66); როგორც რედაქტორი აღნიშნავს, ტექსტი დაბეჭდილია „ამოკრებით“.

3. იონა ბერის საუბარი გრიგოლ მუხრან-ბატონთან (აღ. ბარამიძის რეცენზია ლ. ათასიანის წიგნაკზე „ვოლტერიანობა საქართველოში“, „მნათობი“, № 7-8, 1934 წ.).

«კალმასობის» წინამდებარე ტექსტის ხასიათისა და მისი გამოცემის ტექნიკის შესახებ შევვიძლია გავიმეოროთ ის, რაც ნათქვამია პირველი ტომის შესავალში (გვ. IX-X, XII).

ოდესცა დაასრულა დიაკვანმა ლეოლრაფიაზედ უბნობა, შაშინ პატრიმან * ჰრევა: „დიაკვანო, ასე მათნე აზიურისა და ევროპისა ქვეყნების ადგილთა მდებარეობისა აღმოჩინება, რომელ მე ამის მეტი ქება არ ძალმიცს, რომ უთუოდ მამა ევროპიელი გყოლია და დედა აზიელი“.

იოანე: დედისა მართალი, რომ აზიელობა ეთქმის, შაგრაშ მამას კი ვერ ვიტყვი ევროპიელად.

პატრი: მე ამისთვის გავძედე, რომ შენი სახე გვაჩვენებს თეთრყირმიზობასა, ქერა წვერსა და თმასა, და ეგრეთვე ჭრელთა თვალებთა.

იოანე: უი, ჩემ თავს, რუსს ხომ არ მწამობთ მამად?

პატრი: თქვენი სახე ამტკიცებს. და როდისა ხარ დაბა-დებული?

იოანე: * ბურნაშოვის დროსა.

პატრი: მაშ, წადი, დედას ჰყითხე, ის სწორეს გეტყვის.

იოანე: უი, ჩემ თავს, ეგ რომ უთხრა, ცემით მომკვლენ.

ამაზედ ბევრი იცინეს და პატრიმან სადილი მოითხოვა და დიაკვანი ზურაბითურთ სადილად თვისთან დააყენა. ოდეს მოილეს სადილი, იოანემ ხორცი არ მიიღო. პატრიმან საურშ-ყომ მოუტანა და ამასთან ცხვრის ყვერები მოხარშული; შეშ-რანგად კვერცხის სახედი ქმნილი მიართვეს დიაკვანს. და უთხრა პარტმან: „მიირთვით ესე ბატის კვერცხები“. იოანემ

* გაგრძელება თბილისში პატრი ან დრიას თან საუბრისა (იხ. პირ-გელი წიგნის დასასრული). ჩედაქ.

ხელი მიჰყო და გემრიელად მიიღო და სთქვა: „დიალ გემ-რიელად შემგბარი იყო ეს ბატის ქვერცხები“. მაშინ

ზურაბ ბატის: „უფალო პატრო, ჩვენი მონასტრის დიაკვანი ნახეთ, ვითარი მემარხულეა, ცხვრის ხორცე კი არა სჭამს და ყვერებს კი გემრიელად მიიღებს“. მაშინ

იოანემ: „უი ჩემ თავს, მე კვერცხებად მივიღე და ეს რატომ ასე მომიხდა“. და იწყო ნერწყვა. მაშინ

პატრი: ბერო, მარხულობისაგან დასუსტებული იქნები და მე განგებ საყუათოდ გაჭამე ეგე, მაგით არ წარსწყმდები.

იოანე: არა, ბატონო, მე მაგას არ მოგახსენებ, მაგრამ თუ შემიტყვეს ხალხთა, ყვერი-ჭამიას დამარქმევენ.

პატრი: რა იქნება ეგე, რადგან ყვერი-გლეჯია მონო-ზონი გყავთ, ყვერი-ჭამია ბერიც რომ იყოს, წინააღმდეგი არა არის რა.

იოანე: უფალო, იმ მონოზანმან თუ მოგლიჯა ვისმე ყვერი, /სიწმინდის მოყვარებითა ქმნა, მაგრამ მე ნაყროვნობაში დამწამებენო.

პატრი: „ნუ გეშინიან, არ გაგამხელთ“. მაშინ

ზურაბა: თუ ერთი ოქრო არ მომცა, ახლავ გავამხელო.

დიაკვანი: ოქროს მაინც არ მოგცემ, გინდ ცხვარი-ჭამია დამარქო.

ამაზედ ბევრი იცინეს და დასრულდა სადილი. დიაკვანი მაღლაბელი გამოეთხოვა პატრისა და მოვიდნენ საღვურსა თვისსა შინა.

მ ხ ა ზ ვ ე ლ ო ბ ი ს ა ხ ლ ო ვ ნ ე ბ ი ს ა თ ვ ი ს

უამსა ამას არქიმანდრიტიდამ ბრძანება მოუვიდა ბერსა, რომელ რაოდენიმე ხატი ეკკლესიისათვის მიყიდე და ამასთან ღერბიცა მომიჭრევინე, რომელნიცა არიან საჭირო ჩვენდა[ო]. ხვალისა დღე დიაკვანი წარვალს მხატვარ დავითასთან და იგი მიიღებს კარგად; და უკანასკნელ ბერი სთხოეს, რათა აჩვენოს მან ნახატნი თვისგან. მაშინ მხატვარმან მან შეიწვია სახლსა შინა, სადაც ხატებსა ხატვიდა იგი. რა იოანემ გასინჯნა ხატნი ესე, იხილა, რომელ ხელთა წილ აბიათ ფერხნი

და ფერხისა წილ ხელნი, და ფრიად ზომისაგან სხვა სახედ ქმნილნი. მაშინ ითანებ ჰრევა: „უფალო მხატვარო, მე იპოკენტავრული მეტოლოლიური და გონების არსის გამოხატულებანი არ მინდა, სწორე ხატები მაჩვენეთ“.

მხატვარი: ჩემი პირველი და ჩინებული მხატრობები ეს არის, ვვონებ, ფასი გიმძიმთ.

ითანები: ფასი არ მიმძიმს, მაგრამ ფასად არა ღირს.

მხატვარი: შენზედ უფრო დიდი კაცები ყიდულობენ ჩემგან.

ითანები: როგორიც მხატვარი ბძანდებით, იმისთანა მცოდნებთაც უყიდიათო. მამაშვილობამ, ნურც წამლებსა და ზეთს ხარჯავ და ნურც თვალებს აშრობ.

მხატვარი: რადგან არ მოგწონს, წალი ჩემ ოსტატის შვილთან და იმას სთხოვე.

დიაკვანი მოგალს იონათამის შვილთან, იგი კარგად მიიღებს, აჩვენებს თვისგან დახატულებსა და ეს კი მოეწონება დიაკვანს. იყიდის რაოდენსამე და ეტყვის: „თქვენი შეგირდი ვერ გაგისწავლებიათ კარგად“. იგი ეტყვის: „არ შეისრულა სწავლა და ჩვენი დანაშაული არა არის რა“. მაშინ ითანებ უთხრა: „პირველი საჭირო არს, რომელ მხაზველობად უნდა გვარზედ ისწავლოს მხატვრობის მოსწავლემ“. მაშინ

მხატვარი: მიბძანეთ, ბერო, რად არს მხაზველობისა ხელოვნებად?

[იწყება მსჯელობა მხაზველობისა ხელოვნებისათვის].

მაშინ ზურაბა მ: „მხატვარო, მეც მერგება ერთი ხატი, რომ ამ ჩემმან შეგირდმან ხელმეორედ განმსწავლა“. ამაზედ იცინეს და მადლობელნი ორნივე კერძონი განშორდენ ერთიმეორეს.

შემდგომად წარვიდნენ აქაქთან ლერბისა მოსაჭრელად. და რა იხილეს აქაქი, მოიკითხა დიაკვანმან და რევა:

„ძალგიძს ლერალდიკისა ხელოვნებისა მოქმედება?“

აქაქი: მე ეგე ლექსი არა უწყი, არცა სპარსთა ენა არს და ლექსი, ქართულად მიბძანეთ, რა გნებავს?

ითანები: ლერბი მინდა მომიჭრათ ჩემის წინამძღვრისათვის.

აქაქი: მე უფრო დახელოვნებული ვარ ბეჭდების მოჭრისა და რაღაც ლერბი გნებავს, მაგისი ფასი მეტი იქნება. მაშინ

ზურაბა: უფალო აქაქო, თქვენ გვონიათ, რომ დიდებულისა ვისოცისმე გაჭრევინებდეს ლერბსა; რომ მომინდეს სხვა-დასხვა სახენი და გვირგვინნი, სკიპტარა და პორტირი და დაშვრე დიდხანს, წინამძღვრისთვის უნდა და იმაში იქნება ან ერთი, ან ორი მაგალითი მოსაჭრელი.

აქაქი: მითხარით, რა უნდა მოუჭრა, მაგალითად?

ზურაბა: კუნკული, ბარტყულა და ანაფორა, რაღაც ბერია.

იოანე: არა, ბატონო, რას ანბობს ეს გიუი, არ მოსჭრათ ესე; მე მოგახსენებ, თუ ვითარი შვენის მას ლერბი.

აქაქი: იყავნ ეგრეთ, და გვითხავ: რაც არს ლერალდიკა, პირველად მიბძანეთ მე.

[საუბარი ლერალდიკისათვის]:

აქაქი: მათნევით ამას შინა, მიბძანეთ — წინამძღვრის ვითარი ნიშნიანი ლერბი მოუჭრა?

იოანე: გვირგვინის მაგიერ ქმენით მიტრა და ზედ საუკუნო მამის თვალი გამოსახეთ სხივებით. გარეშემო შემოზღუდეთ მანტიით და შუაზედ ეკლესია გამოიყვანეთ და სახელი წინამძღვრისა და არქიმანდრიტობისა თითო ასომთავრულის ასოთი და ამასთან ერთი ლერბი მეც მომიჭრით.

აქაქი: თქვენთვის რაც ნიშნები ვახმარო?

იოანე დაფიქრდა. მაშინ

ზურაბა: რას ფიქრობ, ბურო? ამ სახედ მოსჭრას.

აქაქი: ერთი ჭავი ვირი თავისის მუტრუკით გამოიყვანოს და თქვენ უკან მისდევდეთ იმას, რაღაც ქიზიყელი ხართ.

აქაქი: ეს კარგი იქნებაო.

იოანე: უი, რას ანბობს ეს გიუი, არ მოსჭრა, აქაქო, მარტოკა ჩემი სახელი ხელჩართულად ქმენით და გარშემო მაზარა მოახვიეთ.

და ესრეთ დასრულდა უბნობაჲ მათი და წარმოვიდნენ სახლად თვისა.

გუნდებითის ისტორიისათვის

მუნიციპანტ წარმოსრულს დიაკვანს შემოხვდა მირზა თარი-
ვერდი, ახუნდისა მოადგილე. იცნა ბერი და მოკითხა, გა-
მოჰქითხა ვინაობა თვისი და მერე მიიპატიუა სახლად თვისა
ჩაიზედ. დიაკვანუა მმაღლობელი წარპყვა მას. და რა მივიდ-
ნენ სახლსა მირზასასა, იხილა დიაკვანმან რაოდენიმე შეგირ-
დნი უსხენან მუნ, და ხალიფანი მირზასი ასწავლიან სხვადა-
სხვა სწავლასა და ამასთან ბუნებითს ისტორიასა, მაშინ დასხ-
დენ ესენიცა სკამთა ზედა, დაუწყეს. შეგირდთა ყურება და
უბნობასა მათსა ზედა მიაპყრეს ყური. მაშინ მირზამ უთხრა
ბერსა: „ამა ჩემთა შეგირდებთა თითქმის შეისრულეს სწავლა
და ახლა ვასწავლით ბუნებითს ისტორიასა, და თქვენც გის-
წავლიათ ეს სწავლა თუ არა?“

ი ოან ე: დია ვისწავლე.

მირზა: ევროპის გვარზედ თუ აზიის გვარზედ?

ი ოან ე: ჩვენ უფრო ბერძნთა და ევროპიელთა გვარი
გვაქვს სწავლასა შინა.

მირზა: მაშ, გკითხავ, რახ არს ბუნებითი ისტორია?

ი ოან ე: ბუნებითი ისტორია არს სწავლა ბუნებითთა მყოფ-
თა წარმოებათათვის.

მირზა: ვითარ განიყოფებიან ყოველნი ბუნებითნი წარმოე-
ბანი?

ი ოან ე: სამ სამეფოდ ბუნებისად.

მირზა: ეგე არა უწყი, რასა ნიშნავს სამეფო ბუნებისა?

ი ოან ე: ყოველნი მყოფნი ცხოველნი და უცხოველონი
ბურთსა ზედა ქვეყნისა ჩენისასა არიან სამ სახედ განყოფილ-
ნი გამოცდილთაგან მეცნიერთა, ესე იგი სამ უმთავრეს ხარის-
ხად განყოფილნი, სამ სამეფოდ წოდებულნი: პირველი—სამე-
ფოდ ცხოველთა, მეორე—სამეფოდ მცენარეთა და მესამე—სამე-
ფოდ მაღანთა და სხვათა მიწათა შინა მყოფთა ნივთებთა ზედა.
ხოლო თვითეულნი უკვე ამათ სამეფოთაგანი კვალად განიყო-
ფებიან მრავალთა დიდთა და მცირეთა ნაწილთა ზედა, წო-
დებულთა ხარისხებად. და ხარისხიანი ესე განიყოფებიან გვა-
რებთა ზედა. ხოლო გვარნი უკვე განიყოფებიან სახეთა ზედან.

მირზა: რასა შემცველობს თვის შორის სამეფო ცხოველთა, მცენართა და მაღანთა, ანუ მინერალთა?

იოანე: სამეფოსა ცხოველთასა თვს ეყვიან შემდგომნი ესე: კაცნი, ოთხფერხნი ცხოველნი, ზღვის ცხოველნი, მფრინველნი, ამფაბინნი, ანუ ხმელზედაც და წყალშიაც მცხოვრებნი ცხოველნი, თევზნი, ქვეწარმავალნი, ქვემძრომნი, ქვემცურავნი; ყოველის გვარის მწერნი და ჭია-ჭუანი. ესენი შეადგენენ საკუთართა ხარისხთა სამეფოსა შინა ცხოველთასა.

მცენარნი იწოდებიან ხედ, ბუჩქად, ბუძგნარად, მდელოდ ანუ ბალახად, შამბად, ჩალად, ლელწმად, ყვავილად, სოკოდ, ხავსად, ჩებოდ, რეზინად, ანუ კალამდრამთა საწმენდ ხილად და სხვანი ესე ვითარნი თვს ეყვიან სამეფოსა მცენართასა.

ხოლო მესამედ სამეფოდ ვსდებთ მიწათა, ქვათა, თვით წარმოებულთა მარილთა, მინერალთა, ანუ ძვირფასთა თვალთა, მეტალთა ანუ მაღანთაგან გამოღნობილთა ნივთებთა, ნავთთა, კუპრთა, ფისთა და სხვათა ესე გვართა ნივთებთა, მიწიდგან და მაღანთაგან გამოღებულთა; და სხვათა ესე გვართა, რომელნიც არიან ყოველნი ზემო პირსა ზედა ქვეყნისა სიმგრგვლისა ჩენისასა, არა მექონნი ცხოველობისა სულისა, და რომელთაც დარღვეულება დამოკიდებულ არს არსებობათა მათ ზედა. ყოველნი იგი ეკუთვნიან სამეფოსა მინერალთა, ანუ მაღნებთასა. ხოლო სხვებ იხილე ბუნებითის ცტორიის აღწერა და ამა ზემოხსენებულთა ცხოველთა, მცენარეთა და მინერალთა თვისება და ხასიათი თვით ვრცელსა ბუნებითს ისტორიასა შინა.

მირზა: ესეც იცით, რომელნიც კაცნი სხვადასხვა პირუტყვად შეიცვალნენ თავისის ცუდის ყოფაქცევით, რომელნიც ჯერ არ იყვნენ ქვეყანაზედ გაჩენილნი?

იოანე: ჩენ ეგ არ გვისწავლია.

მირზა: თუ დამიმაღლებ, გასწავლი.

იოანე: რატომ არა, თუ კეთილს რასმე მასწავლი.

მირზა: მაშ, მაგ ცოდნასთან ესეც უნდა იცოდე, რომელ ერთი მეფე ანუ ხელმწიფე იყო. თითონ ეს ხელმწიფეცა და ამისნი ხალხნიც იყვნენ დია არაწმინდანი და მემრუშენი, რომ ქვეყანაზედ არავინ ესწორებოდათ. და ესენი შეიცვალნენ სპი-

ლოებად და სასირცხო მათი გამოებათ ცხვირის მაგიერ. მარტორქად შეიცვალნენ, რომელნიც იყვნენ ფრიად სიავკაცესა შინა მიქცეულნი თვისისა მაჭანკლობის გამო, და მათთაც გამოებათ რქა სამხილებლად; სირინოზად შეიცვალნენ ადამის შვილის შთამომავლობისა საამის შვილის-შვილნი, რადგან ურჩობა იხმარეს ლოთისა.

კაენმან ომ თავის ძმა აბელ მოკლა უსამართლოდ, ლმერთი განურისხდა კაენს და მაიმუნად შეიცვალა და მისი შთამომავლობისა არიან მაიმუნნი.

ძალლად შეიცვალნენ კაცნი იგი, რომელნიც ავაზაკობდენ, იერუსალიმის გზაზედ მავალთა კაცთა დახოცდენ და ატყვევებდნენ და ცარცვიდენ მლოცვათა.

ლორად შეიცვალნენ კაცნი, რომელნიც იყვნენ დაუნდობარნი და ფიცის მტეხელნი.

დათვად შეიცვალნენ კაცნი იგი, რომელნიცა იყვნენ დაშთომილნი სოდომ-გომორის ქვეყნისანი, რომელნიც იყვნენ სოდომურთა ცოდვათა შინა განრთულნი და განუშორებელნი.

ბუებად შეიცვალნენ კაცნი იგი, რომელნიც მეშურნის თვალით უშერდენ ერთიმეორეთა თვისთა მეზობელთა და სხვათაცა. და ამისთვის დღე ვერდა ხედვან.

კუდ შეიცვალნენ კაცნი იგი ალაფები, რომელნიც ატყუებდენ საწყაოსა შინა ხალხთა და საბრალოთა ერთა და პატარას ჩანახით უწყამდენ და ფასს მეტს იღებდენ: და ამისთვის ზურგად გაუკეთდათ ჩანახი იგი, რომელსა შინა არიან შეძრომილნი და მუნიდგან იყურებიან.

ჯოჯოებად შეიცვალნენ კაცნი იგი, რომელნიცა ორთა და სამთა შინა თემებთა თვისისა ავ-ენობითა ჩხუბს უგდებდენ და აბრძოლებდენ ერთმანერთს.

ტურებად გადაიქცნენ ხალხნი იგი, რომელნიცა კაცნი სრულთა ცოლებთა შეირთამდენ და დედაკაცები ოროლთა უკვე ქრმებთა.

ძლარბებად შეიცვალნენ კაცნი იგი, რომელნიცა შენობიდგან მცირეთა ყრმებთა მოიტაცებდიან და იმდთ ხორცთა შეჭამდიან. ესენი შეიქმნენ ძლარბებად ეკალ-მოსილნი.

გველად შეიცვალნენ კაცნი იგი, რომელნიც ტყუილად იფი-

ცავდენ და აცდუნებდენ კაცთა. ამათ მიელოთ ხელ-ფეხი და მუცლით ამისთვის ცურვენ.

აქლემად შეიცვალნენ ერთისა თემისა ჯადოქარნი ხალხნ, რომელნიცა ერთსა წმინდასა კაცსა მიუხდნენ, მან სცნო მათი ვითარება და დასწყევლნა იგინი სრულიად. და მუნებურნი ერნი გარდიქცენ აქლემებად, ხოლო მეფე და დედოფალი მათ ქვეყანისა შეიცვალნენ ფასკუნჯებად.

კურდლლად გარდაიქცნენ ერთისა თემისა დედაკაცნი, რომელნიც იყვნენ როსკიპნი და განუძღომელნი არაწმინდებათა შინა. და ამისთვის იცვალნენ კურდლლებად, რომელნიც ახლა ყოველ თვეს ჰყრიან ბაჭიებთა და არ განირჩევიან დედალ-მამლობით, თუ რომელია კურდლელში მამალი, გინა დედალი. ამა მიზეზისათვის შეემთხვათ ესე.

მელად გარდაიქცნენ ერთისა თემისა ხალხნი, რომელნიც იყვნენ ფრიად მცბიქრნი, მზაკვარნი და ხალხთ მომატყუებელნი. და ამისთვის იცვალნენ მელებად.

ბაყაყად შეიცვალნენ თემნი იგი, რომელნიც ცოცვიდენ და შეეპარებოდიან ხალხთა ბაყაყის სახედ ცურვითაცა და ისე. და ოდეს იერუსალიმელნი მცხოვრებნი შეაწუხეს ამათ, დასწყევლეს და ბაყაყად გარდაიქცნენ.

ი ო ო ა ნ ე: ბატონო მირზავ, რადგან კაცნი პირუტყვებად შეიცვალნენ, მიბძანეთ, პირუტყვნიც შეიცვალნენ კაცად თუ არა?

მ ო რ ზ ა: ეს არ მომხდარა, რომ პირუტყვი კაცად შეცვლილიყოს, და ეს კი ქმნილა, დევთა რომ ეძახიან ხალხნი, ესენი მთის დიდროანის ბრიყვთა ხალხთაგან წარმოებდენ ესრეთ, რომელ ოდესაც ეს მთის კაცნი პირუტყვს ძროხას ანუ სხვათა ცხოვლთა მიუდგებოდნენ, იმათგან ნაყოლნი კაცნი ჩამოდიოდნენ, ზოგთ რქა ეჩათ, ზოგთ ძუა, ზოგთ კლანჭები. და ძლიერნი კაცნი იყვინ, ფალავანნი და გრძნეულნიცა, რომ დივ გრძნეულად ითარგმნება.

ი ო ო ა ნ ე: ერთი რომელიმე პირუტყვი შეცვლილა სხვა პირუტყვად, უკეთუ არა?

მ ო რ ზ ა: არ შეცვლილა კი ერთი პირუტყვი მეორე პირუტყვად. გარნა ეს კი მოხდა ნოეს დროს, როდესაც წარლვნა იყო და ნოე კიდობნით განერა თავისის ცოლ-შვილით და

სხვა ცხოველებით, მაშინ ეშმაკმან შური აიღო და უნდოდა იმ ხომალდის დანთქმა და ნოესი და მისთა შვილთა აღხოცა; და მაშინ მივიდა ღორთან, ცხვირზედ ხელი გამოუსო და თაგვი გამოჰყვა ცოცხალი; გაუშო თაგვი იგი, რომ ხომალდი გაეხვრიტა, წყალი შესულიყო და დანთქმულიყვნენ. რა ესე ანგელოზმან სცნა, მსწრაფლ მოვიდა და აცნობა ეშმაკის მანქანება; ნოე დიდად შეწუხდა და არა იცოდა რა ექმნა, მაშინ ანგელოზმან რქვა: „აღდეგ და შენ ლომს გამოუსვი ცხვირში ხელი და იმ თაგვის წინააღმდეგ იპოვნიო“. მაშინვე ნოე შივიდა და ლომს ცხვირში ხელი გამოუსო, და მაშინ კატა გამოჰყვა ხელში; ამაზედ ნოე გამხდარულდა, კატა ხელთაგან გაუშვა და დაუწყო ამ კატამან თაგვთა ჭერა და მოარჩინა ის ხომალდი დანთქმისაგან.

ი. თ. ა. ნ. ე: ნერგთა და მდელოთა შორის არა რაიმე შეიცვალნენ სხვაგვარ რაიმედ?

მ. ი. რ. ზ. ა: ეგ გვარი ხელოვნებით შესაძლებელია სხვაგვარ შეცვალებად, ვითარება ნამყენი და სხვანი. გარნა სასწაულით მაჰმადმან აღმოაცენა ვარდი, ესრეთ რომელ ერთს დროს შეხვდა ასეთი საქმე, რომ ველარც თავის ცოლნი და ველარც სხვა დედაკაცი იშოვა; და ახურდა ფრიალ, მაშინ მიუდგა მუტრუქსა და რა განხრწნა იგი, მას მუტრუქსა გადმოეწვეთნეს სისხლი, და საღაც დაეცა იგი, იმაზედ ამოვიდა ვარდი, და მას აქეთ გაჩნდა.

ი. თ. ა. ნ. ე: თევზთა და ზღვის ცხოველთა შორისაც მომხდარა, რომ სხვაგვარად შეცვლილიყვნენ?

მ. ი. რ. ზ. ა: ეგ პრ მახსოვს სწორედ, გარნა იტყვიან, რომელ ბაყაყის თესლი რომ შთაიქცევა წყალში უამსა დაპეპვლისასა, მაშინ იგინი ღორჯოებად თუ ლოქოდ შეიცვალებოდნენ. და ჭიაყელანი, დაფლულნი ჭაობში, იცვალებოდნენ გველ თევზად. გარნა მაჰმადმან ქმნა სასწაული, რომ კიდე შეემოხვა მგზავრობა და ვერ იშოვა დედაკაცი და განხურვებულმან იხილა აქლემის კოზაკი წყალში მდგომი, იმას მიუდგა; და რა განხრწნა იგი, და გადმოედინა წვეთნი სისხლისა და შთაესხა წყალსა შინა, შეიცვალა ზუთხ-თევზად, და ამისთვის არა ვსჭამთ თათარნი.

ი ო ა ნ-ე: უი, • ჩემ თავს, რა ამაოდ დამაშვრალხარ ამ ბუნების ისტორიის სწავლაში, ნუთუ სხვა სწავლეებიც ასე იცოდე, ვინ გასწავლათ ესე სწავლანი?

მირზა: თუ არ იცი, შიხმან მასწავლა, რომელიც დიდი მეცნიერი იყო, და ჩემი ხალიფა კიდე მირზა აბითურაბ ბიძა-ჩემი იყო, და რატომ არ გჯერა ესე? აյი შენც ბევრი საკვირველები გილაპარაკნია პატრთან ღეოლრაფიული აღწერილობანი.

ი ო ა ნ-ე: მე სულ ჭეშმარიტი ვილაპარაკე, და თქვენ იცით ღეოლრაფია?

მირზა: თუ გინდა, გეტყვი ღირს სახსოვარს საქმეთა, რომელი რომელს ქვეყანაში არის.

ი ო ა ნ-ე: „მადლობელი ვიქნები“. მაშინ

ზურაბა: „ბატონო მირზავ, ნეტავი თქვენ ერთ ბატქნად გარდიქცეოთ და ერთ ყაბ ფლავში ჩატანებულიც იყოთ, რომ გვეჭამა. დღეს ასე დადის ბერი მშიერ-წყურველი, და-ლაქლაქებს ესრეთ და ახლა ვახშის დროც მოიწია“. მირზამ ბევრი იცინა და უთხრა: „კარგად დაგხვდებით, ვახშიად და შევექცეთ ერთად“. მაშინ შეგირდნი დაითხოვა და ვახშის მოღება უბრძანა მსახურსა. და რა გაანახევრეს ვახშამი, მერეთ მირზამ უთხრა ბერსა: „რომ ქვეყნის სიმპროველის განყოფა და სარტყელნი და ხაზნი არღა არიან საჭიროდ სათქმელად, ვინადგან თქვენც უწყით, ხოლო რომელნიც ღირსი სახსოვარნი არიან, შვიდთა იყლიმთა შორის მე იმაებს მოგახსენებ“.

[საუბარი შვიდთა იყლიმთათვის].

და ესრეთ დასრულდა უბნობა. და რქვა მირზაშ: „ნახეთ, როგორ მცოდნია ღეოლრაფია და ქვეყნის საკვირველებანი?“

ი ო ა ნ-ე: კარგად, მე მადლობელი ვარ. ზღაპარში გამომადგება სათქმელად.

მირზა განრისხდა და უთხრა: „შენ სწორედ ქიზიყელი ყოფილხარ, რომ არა შეგესმის რა. არ იცი, ასეთთ ასტრონომთა და ვარსკვლავთმრიცხველთ აღუწერიათ, რომ მათი ქება ენისაგან გამოუთქმელია“.

და ამჟამად მოლა შაბანა შემოვიდა. მირზამ უთავაზა, ბერი

აცნობა და ჰრქვა: „მეცნიერი კაცია, ბევრი რამ ვალაპარაკეთ და თქვენ [6] ჰქითხეთ ასტროლოგიისათვის, გაცშინჯოთ, როგორ იცის“.

მაშინ მოლამ შაბანამ ჰქითხა ბერს: რაც არს ასტრონომია?

ა ს ტ რ ი ლ ი მ ი ს ა თ ვ ი ს

ი ო ო ნ ე: ასტრონომია არს სწავლა ვარსკვლავთათვის.

მ ო ლ ა: რაისა შინა მდგომარეობს სწავლად ესე?

ი ო ო ნ ე: იგი განმხილველობს ზეციურთა სხეულთა, განსაზღვრებულ ჰყოფს მათ და მრიცხველობს სხვათადასხვათა გვართა მოძრაობათა მათთა. ეგრეთვე განზომს სიღიღესა და განდგინებასა ერთსა მეორისაგან პლანეტთა და ვარსკვლავთასა. ხოლო უკანასკნელ ასწავებს და მოუთხრობს დაბნელებასა მზისა და მთოვარისასა და გამოჩინებასა კომეტასა.

მ ო ლ ა: ვინ მოიპოვა ხელოვნება ანუ სწავლა ამა ვარსკვლავთ-მრიცხველობისაც?

ი ო ო ნ ე: ქალდეველთა, რომელნიც არიან შერაცხული პირველ-მომპოვნელად ამა ხელოვნებისა.

მ ო ლ ა: რა გვარი უკვე ორლანო საჭირო არს ხმარებად ამა სწავლისათვის, რათამცა მის ძლით შეუძლონ სიზაღლისა, სიღიღისა, მოძრაობისა და განშორებისა ერთისა მეორისაგან ვარსკვლავთა შორის მოპოებისათვის?

ი ო ო ნ ე: ორლანო ანუ იარაღი ესე იწოდების საზოგადოდ ასტროლაბიად, ხოლო მოსწავლესა თანაცს უწყოდეს ზედ-მიწევნით მათემატიკა, ფიზიკა, მხატველობა, არითმეტიკა. აქვნდეს ეგრეთვე ამას შინა სახმარნი სხვადასხვა იარაღი და ეგრეთვე დიდი უკვე ჭოგრი ანუ ტელესკოპი, გინა დურბინი გასაშინჯველად ვარსკვლაებთა...

მაშინ მოლა ულონო იქმნა და ბერს ჰრქვა: „ბერო, შენთან ლაპარაკი დიალ ძნელია, რადგან შენი ეშმაკი მამალია, სიტუით ვერავინ გძლევს“. მაშინ

ზურაბა: უფალო მოლავ, მამათქვენი ეშმაკი დედალი იქმნება და თქვენ და ეს ბერი დამოყვრდით და შერიგდით, ერთ-მანეთს ნურღა ებაასებით.

მაშინ მირჩაბ ბევრი იცინა. და ესრეთ დასრულდა ვახშამი. და ბერი მადლობელი წამოვიდა სახლსა თვისსა.

პ გ ი რ ფ ა ს თ ა ჭ ე ა თ ა თ ვ ი ს

ხოლო ხვალისა-დღე ისაია ოქრომჭედელთან მივიდა ბერი, მოიკითხა იგი და უთხრა: „ერთი სანაწილე მინდა გამიკეთო და თვლებით მომიტედო“.

ოქრომჭედელი: მიბძანეთ რაოდენობა, და ანუ ვითარი თვლები ვახმარო.

იოანე: მისცა ზომა და ამასთან უთხრა: ათორმეტნი ქვანი ახმარეთ და კარგად შეამკევით.

ოქრომჭედელი: აპარონს მინდა მიჰბაძოთ ათორმეტ ქვის ხმარებაში.

იოანე: იცით იმ ქვის სახელები?

ოქრომჭედელი: სომხურს ენაზედ ვიცი და გთხოვ ქართულადაც რასაც სახელს ხმარობდეთ, დამიწეროთ; და ათორმეტთ მამათმთავართ იაკობის შვილთა რომელს თვალთ მიაწერენ, სახელით მიბრძანოთ.

იოანემ მიიღო და დაწერა შემდგომნი ესე. ძვირფასნი უკვე თვალი და სახელებიცა შემსგავსებულნი ათორმეტთა მამათმთავართა.

[საუბარი ძვირფას ქვათათვის].

ოქრომჭედელი: რაოდენი გვარი ნივთი უნდა აქნდეს ოქრომჭედელსა წარმოდგენისათვის სხვათა იარაღებთა?

იოანე: ოქრო, ვერცხლი, თვალ-მარგალიტი და ჭიქები, სპილენძი, თითბერი, ტუმბაკი, ბრონზვი, კალაი, ტყვია და ამერიკული თეთრი ოქროცა და ვერცხლისწყალი, თუთია და ნიშალური, გოგირდი, ლოთერი, უანგარი და თაგვის წამალი, წმინდა სამთელი და ზუმფარა ჯილატაში და მკერცვლის მინა.

ოქრომჭედელი: რა უნდა იცოდეს ამის ხელოსანმა?

იოანე: მხატრობა და აქაქობაც, რომ მოსჭრას, ამასთან ზარაფობაც, რომ ყალბი გაარჩიოს. თერზაფხობაც, რომ ვერცხლიდამ ოქრო გამოიღოს და ტყვივიდამ ვერცხლი გამოიღოს. აგრეთვე იცოდეს შეზავება სპილენძისა და თუთიისა, რომ 2 კალმასობა.

კარგი თითბერი გააკეთოს. ესრეთვე იცოდეს ჩოქურთმა, ჩამოსხმა, მოჭრა სახეებისა, სევოდა და დაფერვა, დროზედ გახურება ვერცხლისა თუ სხვათა, და ცეცხლიდამ დროთ გამოლება, და კვერის ხმარება რიგიან, დაფერვა; და სხვა კარგად დანავკეთება ნივთისა, რასაც აკეთებს, და ამასთან მინანქარის გაკეთებაც შეეძლოს.

ოქრომჭედელი: რა უნდა აქვნდეს იარაღნი ოქრომჭედელს სახმრობისათვის?

იოანე: ქურა, საბერველი, ბუთი, მანგანა, ყალიბები ჩამოსასხმელი, ჯანდარა, ჭიხრიკი (sic) გასაპტყელებელი ვერცხლისა თუ სხვათა, თხლად ფურცლებად, ზინდანი, მაკრატელი, კვერი, ჩქიფი, ლურსმნის საჭრელი, ფარგალი, მაშა თუ მაყაში, მარწუხი, გაზი, ჩქიფი, ოქროს დასაფერველი ჩხირი, წვრილი ფოლადის ლურსმნები გასახვრეტად, ფოლადის კალმები, ძროხის რქა და სხვანი. ოქრომჭედელმან აქო ბერი და უთხრა: „რადგან ამა ხელოვნებაშიც გქონიათ გამოცდილება, ხელფასს ნახევარს დამჯერდები საჯილდაოდ“ კაშინ

ზურაბა: ოქრომჭედელო, ეგ ჩემი გაზრდილია და ერთი გულსაკიდი ჯვარი მეც მერგებაო.

ოქრომჭედელი: შენ ჩვენი არლარა გწამს რა, რადგან გაბერძენდიო. ამაზე იცინეს და გაიყარნენ.

გამოქანდაკებისა ხელოვნებისათვის

იოანე წამოვიდა სახლად თვისისა. გზაზედ შეხვდა ტერტერა ჭვის-მთლელი, რომელსა მოპქონდა მარმარილოსა ქვად გათლილი. დიაკვანმა დია მოიწონა და ტერტერამ მიიპატიჟა თვისთან და უთხრა: „გაჩვენებ ჩემსა ხელოვნებებსა“. დიაკვანი გაყვა თან. რა მივიღნენ სახლსა ტერტერასასა, უთავაზა საუზმე და მერეთ წაიყვანა საჩვენებლად თვისისა ხელოვნებისა. იხილა ბერმა მრავალი კარგი საფლავისა ქვანი მისგან გათლილი და გამოქანდაკებულნი სახენი მაგალითთანი და სხვადასხვა მორფნავეთობანი, და რქვა დიაკვანმან: „უფალო ტერტერავ, მითხრეს რომ გცოდნიათ ხელოვნება ქვის-მთლელობისა და გამოქანდაკებისა“.

ტერტერა: ჩვენში თუ არა პტყლად გათლილს და მცირედ აღმოქრილს ყვავილთა საფლავთა ქვათა ზედა, სხვისა არა რას ჰყურობენ და მე ცუდად ჩამიარა ამ სწავლამ.

იოანე: მართალს ბძანებთ, და სად ისწავეთ ეს ხელოვნება?

ტერტერა: ოსმალოს ქვეყანაში.

იოანე: მართლა, ძველად ბერძენთში იყო ეს ხელოვნება და ახლა არ ვიცი, კანონიერად გასწავლეს თუ არა.

ტერტერა: არა, ისე ყურებით ვისწავლე და ვეხმარებოდი, ვისთანაც ვიდექ.

იოანე: მაშ, კარგად ვერ მიიღებდით საფუძვლიანად გამოქანდაკებისა ხელოვნებასა.

ტერტერა: მიბძანეთ, რაც არს გამოქანდაკებისა ხელოვნებაც?

იოანე: გამოქანდაკებისა ხელოვნებად გვასწავებს წარმოდგენასა და გამოკვეთასა სხვადასხვა გვართა ნაკვეთთა მყართა ნივთებთაგან და მარმარილოსა ქვებთაგან წარმოდგენად სახეთა, თუ ვითარო ნებავს ვისმე სახენი კაცთა, ქალთა და სხვათა ცხოველთა, გინა ყვითელთა და ხეთა, რომელთაცა უწოდთ კერპთა, ანდრიატთა და მსგავსთა მისთა.

ტერტერა: უწყებულ იყოა ძველად ხელოვნებაც ესე?

იოანე: სიძველე ამის ხელოვნებისა სჩანს ამით, რომელ რაჭილმან, ასულმან ლაბანისამან, წარმოილო კერპი სახლისაგან მამისა თვისისისა. ესსახედვე ოდეს ისრაილთა უდაბნოსა შინა გამოქანდაკეს თავისა თვისისათვის ოქროესა კუროე, ანუ ხბო, ეგრეთვე საგრილობელსაცა შინა, რომელ არს სალოცველი კარავი, მას შინა აქვნდათ სხვადასხვა გვარნი. უკვე სახენი გამოქანდაკებულნი. ერთავე ტაძარსა შინა სოლომონისასა. მოიპოვებოდნენ გამოქანდაკებულთა გამოხატულებანი. ხოლო უკანასკნელ ბერძენთა და რომაელთა უფროსს გარდამატეს ხელოვნებასა ამას შინა-სხვათა ყოველთა უკვე ერთა ზედა. მეტოლოლიურთა აღწერათა შინა არს მოხსენებულ მრავალნი გვარნი სხვადასხვანი ესგვარნი ხელოვნებანი, ვითა შვიდთა ღირსსახსოვართა შინა კერპი იუპიტერისა (იხილე ზემორე შვიდსა ღირსის-სახსოვართა უბნობათა შინა). ესსახედ-

ვე ათინასა შინა შემოიღეს, რომელ ვინცა დიდ-ბრძენი იქმნებოდა, მისსა სახესა წარმოადგენდნენ გამოქანდაკებულსა ქვათა ზედა. და ეგრეთვე კარგთა და ჩინებულთა მხედარომთავ-რებთასა განსამხნობელად სხვათა ერისა და მისაბაძველად მათდა.

ტერტერა: მრავალ სახელ აკეთებენ აწცა, უკეთუ არა?

იოანე: მრავლად რომელნიმე ბეჭდის თვალთა ზედა აღმოტვიფრვენ, რომელნიმე ლერპებსავით საათის ბეჭდებად, რომელნიმე პირამიდად და ძეგლებად, რომელნიც უფრო ჰქონან ევროპიელთა ბალებთა შინა. რომელნიმე სდგმენ ესე გვართა სახეებთა სახლებთა შინა და სასაფლოებთა ზედა სხვადასხვა გვართა სახეთა და წარწერილობათა და სხვანი.

ტერტერა: რა გვარნი ქვანი იხმარებიან ხელოვნებისა მისთვის სათლებლად?

იოანე: მარმარილოები სხვადასხვა გვარნი, შავი ქვა, ჭრელი ქვა, თაგვმარილი, სუმალი, უფრო ბალიებისა და კათხებისათვის, შავი სუმალი, ლაჟარლი და სხვა ბეჭდის თვალნი უფრო მღაბლისა ხარისხისა, და იაშმი, იამანი, აყიყი, და ესე ვითარნი, რომელთა ზედა იქმნების ბეჭდისა ანუ საათის ბეჭდისათვის გამოყვანილნი სახეები ლირსთა-სახსოვართა კაცებთა, რომელსაც უწოდებენ ევროპიელნი ანდიკად.

ტერტერა: ვითარნი იარაღნი შვენის ამ ქვათა გასათლელად?

იოანე: ფოლადთაგან ქმნილნი სხვადასხვა გვარნი წერა-ქვნი, ხელეჩნი, კალამნი, მართულნი გასახერხავად, ციბრუტნი გასახვრეტად, ჩალხნი გასაწმენდათ, ჯილატაშნი, მჭადაქვა, ზუმფარი და სხვა ესე გვარნი იარაღნი და მჭრელნი დანები. და ესრეთ დასრულდა უბნობა მათი.

დრაკვანი გამოეთხოვა ტერტერას და მოვიდა წახლსა თვისასა.

[გვ. ავრ. ობა იმპ. ეთ ამდის]

ხოლო ხეალისა-დღე შინამძღვარმან თვისმან უბძან ბერსა, რათა მოემზადოს შემდგომისა კვირისათვის იმერეთს შინა წასასვლელად და მუნცა მოლვაწებად მონასტრისათვის. იოანე შეუდგა მგზავრობისა თადარიგსა და უკანასკნელსა დღეებთა

შინა იახლა მათ უწმინდესობას კათოლიკოზს და სთხოვა ვეღ-
რებით მეფესთან წიგნი და შუამდგომლობა, რათა მიიღონ
ბერი იგი მუნ. მათმან უწმინდესობამან ინება და უბძანა და-
წერად წიგნისა და მასთან ესეცა: „ვინემ წიგნი დაიწერებო-
დეს, ტრიფილე გკითხავს სამლოცვას ისტორიასა, და ვითარ
გისწავის, მინდა გამოისცნო“. ითანემ ანბორებით მოახსენა:
„იყავნ ნება თქვენისა უწმინდესობისა“. და მერე პრქვა:

II С Т Р А Н Д О С А Т З А Н

ტრიფილე: ბერო, რაც არს ისტორია?
ითანე: ისტორია არს მოთხრობა წარმოებათა საქმეთა
შემთხვეულთა სოფელსა შინა.

ტრიფილე: ვითარ და რაოდენ განიწვალების ისტორია?
ითანე: ჩვეულებისამებრ განწვალებენ მას ორგვარად, ესე
იგი, საეკლესიოდ და მსოფლიო ისტორიად...

და რა დაასრულა დიაკვანმა უბნობა თვისი, მოუწონეს ყო-
ველთა. და გამოეთხოვა მათსა უწმინდესობასა, ეამბორა ხელ-
სა, ტრიფილემ უთხრა მოსე ბერს: „დიაკვანი ასაუზმე და
ისე გაისტუმრე, რაღან იმერეთს არს წარსავლელი“. მოსე
ბერმან წაიყვანა დიაკვანი და უთხრა: „პირველად ეკლე-
სიაში შევედ, ილოცე და მერე გასაუზმებო“. დიაკვანმან ჰყო
ესრეთ, გარნა მოსემ არლარა დასდივა რა. და ელოდა დია-
კვანი, მაშინ კვალად შევიდა საყდარში დიაკვანი და იხილა
საქურთხი პურნი და ღვინო.

დიაკვანმან: „აპა, მზად მომცა ღმერთმან და არლა და-
ვიგვინებ“. ალილო ერთი პური, შეჭამა და შესო ღვინო
იგი ჭიჭლითა და სხვათა პურთა იწყო შთადებად ჯიბეში.
სთქვა, რომელ საგზაოდ კარგია და მსუბუქი პურებიო. ამჟა-
მად შევიდა მოსე ბერი, იხილა პურნი აკრეფილი და ღვინო
შესმული და მაშინ უთხრა ბერს: „ბერო, ქურდობა კავთისხე-
ვის მონასტერში გისწავლია, თუ ისევ ქიზიყური გვარი შეგ-
წევსო?“

ითანე: მე ქურდი არა ვარ და არც ქურდად ალზრდილი.
მოსე ბერი: ქურდი მეტი რალა უნდა, ჯიბე საქურთხი
პურით გაიტენე და ღვინით მუცელი აივევ, შეგირცხვა ზრდი-
ლობა!

ი ოანე: რატომ ილანძლები, ხომ გიცნობ, უმეცარი გვამი ხარ.

მოსე: ეგ კარგი მეცნიერება არს, რომ' ეკლესიასა ხრეკ, შენ ასეთი სახე გაქვს და ქერა წვერი, რომ გამცემი და ქურდი იქნები:

ი ოანე: შენი სახე იხილე, რომ ცხვირი საბერველს მიგიგავს და სიცრუესა პბერავ მანდიღან. რატომ არ იცი ესე, რომ წინასწარმეტყველს დავითს რომ შეემშია, შევიდა და შესაწირავთა პურნი გამოიტანა და შეჭამა.

მოსე: „დია, შენმა მზემ, ხელაშვილის ამხანაგად მოიხსენე, იმან ჯიბეში როდის დამალა პურები?“—და მისწვდა ამოსალებად. დიაკვანმან არ უტევა და მერე მოსემ მოგლიჯა ბარტყულა თავიდამ და უთხრა დიაკვანს: „წაიღე უს, დააგირა[ვე] და საკურთხო პური და ლვინო მოიტანეო“. დიაკვანი მისწვდა ხელში და არ ანებებდა ბარტყულას. იქით მოსემ გასწია და აქეთ დიაკვანმან და შუა გახიეს ბარტყულა. დიაკვანი მისწვდა და მოსეს მოგლიჯა ბარტყულა, და თქვა: „ეს დახეული შენ და ესე მე, რადგან შენის მიზეზით მოხდაო“. ამაზე განრისხდა მოსე, მოვარდა და ორისა ხელით თმა შესტაცა და სწევდა: „წაგიყვან არქიმანდრიტთანაო“. დიაკვანმან წვერში სტაცა ხელი და ორთავე იწყეს ყვირილი. მაშინ შევიდნენ სამლევდელონი და, რა ამათი ყოფა იხილეს, ორნივე გააშველეს და დასტუქსეს, და დიაკვანი გამოიყვანეს გარე და განუტევეს. და მოსე ბერი გინებით წარვიდა სენაკად თვისია.

წინამძღვარმან ყოველივე დარიგება მისცა დიაკვანსა და საგზაო ხარჯი. და ხვალისა-დღე წარემართა დიაკვანი იმერეთს, და ზურაბაცა თან გაჰყვა. ოდეს მიიწია ვერაზედ, იხილა ბერმან წირკნელი იოანე და მდაბლად ეამბორა. წირკნელმან ჰკიოთხა მგზავრობა, ხოლო დიაკვანმან ცხად უყო იმერეთს მიმავლობა თვისი, მაშინ წირკნელმან უბძანა. „მცხეთის ხიდამდინ ერთად ვიმუსაიბოთ და იქიდამ მე წარვალ წილკანს და შენ შენს მონასტერში“.

დიაკვან შან: „იყავ ნება თქვენი“, და წარემართნენ ერთად. და მერე უბძანა:

წირკნელი: „გავიგონე შენი და ნეკრესლისა უბნობა დია-
ლელტიკაზედ და მეც მინდა გკითხო რამე დანაშთათვის“.

დიაკვანი: მიბრძანეთ!

[საუბარი დიალექტიკაზედ].

და ამ უბნობით მივიღნენ მცხეთისა ხიდსა. დიაკვანი გამოე-
სალმა და წარვიდა კავთისხევისაკენ, ხოლო წირკნელი წილკ-
ნისაკენ.

რა მცირე ხანი ვლო დიაკვანმან, მიიწია ძეგვს და მამასახ-
ლისთან მივიღა, რომელიც ნაცნობი იყო ბერისა. მამასახლისი
მოიკითხა, მან მიიპატიე. ბერი გარდახდა და, რა სახლსა ში-
ნა შევიდა, იხილა ეგნატე მღვდელი ონის იმეს ძე, და
ამ ორთა ურთიერთი სიყვარულით მოიკითხეს და ეამბორნენ
ერთმანერთს, და მერე მიზეზი ჰკითხეს ერთმანერთს მგზავ-
რობისა, ეგნატემ ცხად უყო, რომელ რაოდენიმე ურეში პური
ნაბოძები მათისა უწმინდესობისაგან მიაქვს ქალაქსა, ხოლო
ითანემ ცხად უყო იმერეთს ეკლესიისა საქმისათვის შესა-
წევნელად გასტუმრება წინამძღვრისაგან. და მერე ეგნატემ
ჰრევა: „ვინემ სადილი დამზადდებოდეს, ვისაუბროთ რაისამე
ზედა“. დიაკვანმანც: „დია კეთილი იქნება“. და მაშინ ეგნა-
ტემ ჰრევა: „მე გკითხავ ხუთთა მათ ხმათა პორფირისაგან
ოქმულთა, და პირველად ამას, თუ რაც არს მარტივთა მარ-
ტივი ხმა, ანუ რაოდენად იწვალების?“

[საუბარი პორფირის ხუთთა ხმათათვის].

და მერე მოილეს სადილი და დასხდენ, და ჩამოარი-
გეს სანოვაგე და ამასთან ერთის მომცროს ლანგრით ახალი
ლობით ერბოკვერცხითა შემგბარი, და ერთი დიდი ჯამიცა
სავსე მაწონი დაუდგეს ონისიმეს-ძეს, გონებდა, რომელ იგი
განუყოფდა სხვათა; გარნა მან მაწონი იგი გარდაასხა ლო-
ბიოსა მას და დაუწყო ჭამა, ტითქმის სრულიად მიიღო. მა-
შინ ზურაბმან, ვერლა მომთმენმან, რომელსა დიდად სწადდა
ჭამაც მესი, ხმა-უყო ეგნატის: „უფალო ეგნატე, თუმცა მეც-
ნიერება კარგად გცოლნიათ, მაგრამ არც რა ლობიოსა და
მაწვნისა ჭამაში გქონიათ ნაკლულევანება“. ამაზე ბევრი იცი-

ნეს. და მერე დასრულდა სადილი. გამოესალშა ბერი ეგნატეს და განემართა კავთისხევისკენ.

რა მცირე წარვლო დიაკვანმან, იხილა მაღალაშვილი კაჯა მიშავალი და, რა მიახლოვდა, მოიკითხა იოანემ, და მანცა. და მერე ჰქითხა

ქართველი კაკა: „საიდგან მობრძანდებითო?“

კაკამ: „მცხეთილამ მივალ მეტებს და შენც თან გამომყევ, მწერალიც გვეჭირება, რომ ელიოზასშვილს დავმოყვრდით, ქალი მივეცით ჩვენი სახლისკაცისა და ზითევიც მოუმზადეთ და თქვენ რიგიან დასწერთ ზითევსა“. ბერძან ნება დართო. და მივიღნენ მეტებს. ბერს კარგა განუსვენეს, ავახშმეს და მეორესა დღესა მიუწოდეს ბერსა და აღაწერინეს ზითევი, რაიცა ნივთი მიეცათ ქალისათვის; და ამასთან უთხრეს სხვისა წიგნისა ცალკე დაწერა, რომელიც ცხად უყვეს დასაწერად, რომელ მოურაობასა თვისსა მაღალაშვილი ატანდა ზითევში თვისსა ქალსა, დიაკვანი განკვირდა და თქვა: „უი, ახალი გაგონება არს ეს! მოურაობა როგორ გაეტნება ზითევში, რომელიც სახელო არს მეფეთაგან საბოძებელი? უი, ჩემ თავს, სპილენძის ჯამი არ არის და თეფში, რომ ზითევში გაატანოთ და ეს ვითარ იქნება, ან მათი უწმინდესობა ნებას გცემთ ამ საქმისათვის?“ და უარობდა დიდად ბერი იოანე. მაშინ სალთხუცეშან ამილაბარ: ბერო, რას გაგიუბულხარ? ჩვენ რაც გითხრათ, ის დაწერე, შენ რას გამოძიებაში ხარ?

იოანე: ბატონო სალთხუცესო, თქვენგან მიკვირს, კათოლიკოზ ანტონისთან გაიზარდე და თანამდებობა არ იცით და ხარისხი სახელოსი, ეს ვით იქნება?

სალთხუცესი: ჩვენ ასეთი მოხელენი ვართ, რომ შენისთანა ბერებსაც გავატანთ ზითევში ქალს.

იოანე: რადგან ეგე ძალი გაქვთ, კიდეც ისე გაქვთ გარიგებული თქვენი სასალთხუცო.

სალთხუცესი: მაშა, სახელო რათ მინდა ამისთანა, რომ ვერ გავსცეო და სხვას ვერავის გავატანოთ? ჩემი სამკვიდრო არის ეგ სახელო და ჩემს ქალს ვატან ზითევში.

იოანე: კიდეც იმიტომ არის ქვეყანა გაბეჭნიერებული, რომ სამკვიდროდ გაუჩენიათ სახელო.

სალთხუცესი: ვითარ არს უბედური?

იოანე: ამითი, რომ იქნება შენ ჭკვიანი იყო და შენი შვილი გიურ და უგუნური გამოვიდეს, და ამგვარი კაცი რას განკარგულებას მისცემს ქვეყანას?

სალთხუცესი: მაშა მოხელე ვითარი კაცი უნდა იყოს?

იოანე: მოხელობა ვისაც შეეძლოს, ის უნდა დაადგინონ მოხელედ, რომ ქვეყანას რიგიანად მოუაროს და არც უნდა იყოს უმეცარი, არც ანგაარი, არც მოქრთამე და არც უსამართლო; იყოს ღვთის მოყვარე, მეფის ერდგული, ქვეყნის მზრუნველი და შემბრალებელი თვისთა ხელქვეშეთა, მყვარებელი და კეთილად წინამდლომი.

სალთხუცესი: „ჩვენ როგორც გვიშირავს, ისე უნდა ვშიროთო, დაწერე ეგ წიგნი!“ ბერმან კიდე ვარი თქვა და მაშინ

ზურაბა: ბერო, რას დასდევ, დასწერე, რაც გითხრან, სამდივნო კი ავილოთ და რა გვენაღვლება, თუ გინდა სალთხუცობაც გაატანოს ზითევში!

ბერი: არა, შე უქეთურო, თეთრის გულისათვის უწესო საქმე ვითა დავსწერო?

ზურაბა: დამიჯერე, ეგ წიგნიც დაწერე და ამ სალთხუცის ქვრივი ქალი შენ შეირთე, ძეგვის სოფელს ზითევში მოგცემენ და აღარც საკალმასოდ მოგინდება სიარული და არც საოქროდ.

იოანე: „უი, ჩემ თავს, რას როტავ, შე გიუო?“

ამაზე ბევრი იცინეს, და უქანასკნელ ბერმან დაუწერა იძულებით წიგნი ივი. ბერს აჩუქეს, და გამოესალმა იშათ და განეზადა კავთისხევს წასასვლელად. მაშინ ვახუშტიმ და ესტატე ჯავახიშვილმან სთხოვეს ბერს — „რადგან იმერეთს მიხვალ, ჩვენ სოფელში გამოგვიარე, წიგნები გვინდა გაგატანოთ ჩვენ მცნობებთან“. დიაკვანმან აღუთქვა და წარემართა კავთისხევისაკე.

დიაკვანმან, კავთისხევს მისრულმან, მონასტრის რიგი ყოველივე განაგო და ორ დღეს უკან განემგზავრა იმერეთისა კერძოდ: აღთქმისამებრ თვისისა მივიდა სალამო ხანს ჯავახიშვილებთან. ესტატიმ კარგად მიიღო და თავისთან სასტუმროს სახლში დაავანა. მცირე ხანს იმუსაიბეს და მერეთ იოანემ

ჰკითხა ესტატის: „ვითარ ატარებთ დროსა, ანუ ისტორიას იკითხავთ, ან ნარდს, ჭადრაკს, განჯაფას და სხვათა ბანქოთა თამაშობით შეექცევით, ან სხვებ, ოდესაც მოიცლით თქვენის საქმისაგან?“

ესტატე: „რაც შემხვდება, იმით გავატარებ ხოლმე დროსა“. მაშინ სააკაძემ ზურაბმან დაიძახა: „მე კარგა ვიცი უჩიგანას-თამაშობა და შენც გეცოდინება, რადგან გლეხთ თა-მაშობა არის“.

ესტატე: „ვინემდის ვახშამი დამზადდებოდეს, ამ თაშა-შობით შეექციოთ შენ და ეს ბერი“. ბერმანც ნება დართო და მოჰყვნენ უჩიგანას თამაშობას. მაგრამ სააკაძის თამაშობა და-ემჯობინა და ბერს გაუბა ჩიშა და უთხრამ სახედ: „უფალო ყოვლადსამლვდელო და მაღალლირსო დიაკვანო, ჩიშ, ჩემო ბატონო!“ ბერმა არა თქვა რა და მეორე გზობაზე გაუბა ბერ-მან ჩიშა სააკაძეს და ჰრევა: „მართლად თქვენ ჩიშ, ჩემო მოწ-ყალეო უფალო კეთილშობილო სააკაძე, რომ არც თამაშობები გცოდნიათ და არც ტიტულები“; და ამ უბნობაში შებაას-დნენ. მაშინ

ზურაბა: „რას შულლობთ მაგისთვის? თქვენ სააკაძე ბრძანდებით და ეგ ბერი ქიზიყელია, ორთავე მოგეწერებათ ეგე ტიტული!“ და ამაზედ ბევრი იცინეს. ვახუშტი დიანბე-გიც მოვადა და დაუტევეს თამაშობა. ამჟამად შემოვიდა ერ-თი გლეხი-კაცი, დაიჩოქა დიანბეგთან და მოახსნა: „ჩემს შვილს ცოლი მოვგვარე და ქორწილი უყავ. ეს მეოთხე თვე არის და ახლა შვილი შობა ჩემმა რძალმან და ჩემი შვილი ჯავრით ამ ქვეყანაში არღა დგება, მეც დამეკარგება და, თქვენი ყმაა, თქვენც დაგაკლდებათ. ამისი სამართალი მაღირ-სეთ“. დიანბეგი დაფიქრდა და თქვა: „ვაჟო, მე ასე გამიგო-ნია აქიმებისაგან, კაცის აგებულება და ლორისა დია თურმე მსგავსია და ეგების. ამ მიზეზით მალე ეყოლა შენს რძალს შვი-ლი“. და სააკაძეც დაემოწმა მდივანბეგს.

ბერი: „ბატონო, ეგ არ იქნება, რომ ლორივით მალე შო-ბოს დედაკაცმან“. მაშინ

სააკაძე: მე ცოლიცა მყავს და შვილებიც, მე უკეთ არ ვიცი შენზედ?

ი ოანე: ბატონო, დათუ თქვენც მაგგვარ შეგხდომიათ, ანგარიში წორედ არ მოსულა.

ს ა ა კა ძ ე: მაშ, დედაკაცი რამდენის თვით არის ორსული?

ი ოანე: „უი, ჩემ თავს, თუ ლორის რიცხვი კი იცით, დედაკაცისა როგორლი არ ვიცი, რომ ცხრა თვეს უნდა იყოს ორსულად, და რომ შესრულდეს ცხრა თვე, მერე შობოს“. მაშინ

ვახუ შტი: მე გთხოვ მიბანოთ, თუ რომელი პირუტყვი რამდენს თვეს არს მაკე; და ესეც ხომ გამიგონია, ვითომ სპილო შევიდწელიწადს იყო მაკე.

ი ოანე: ეგ სპილოს მოთხრობა ტყვილია. სპილო ჩეიღმეტს თვეს არის მაკე და მერე შობს, ხოლო მარტორქა იქმნების მაკე თორმეტ თვე და მეტამეტესა შინა შობს; გარნა იტყვიან ამისთვის, უამსა მოგებისა ამის ხბოსასა, გამოხლტეს ხბო იგი საშოთ დედისა თვისისა და ივლტოდეს დედისაგან თვისისა მიზეზისა ამით, რომელ მარტორქასა აქვს ენა დიდად ხაორანი ესრეთ, რომელ ვითა ქლიბი, და ოდეს გალოკს თვისისა ხბოსა, მაშინ მოკვლავს ენისა ასმითა, ვინაიდგან ჩრჩვილსა ტყავსა დაუჭრის. და ამისთვის იტყვიან, რომე ვითამც ხბო იგი, ოდეს მუცელში შესრულდება, გამოჰყოფდეს საშოდამ თავსა და ლაჯებ ქვეშ დედისა თვისისა განატარებდეს, და ესრეთ სწორდეს ძუძუსა; და ოდეს განძლებოდეს, ისევე დაიმალევდეს თავსა, და ამ ძუძუთი რა მოლონიერდება და მოგებისა დროც მოვა, მაშინ გამოხლტება საშოდამ და წარვალს თავისთვინ, და მერე იზრდება ბალანით.

კამახიც მოიგებს თორმეტს თვეზედ, ძროხად ცხრა თვეს არს მაკე, უგრეთვე ირემი. ცხენი თერთმეტ თვეს, ცხოვარი ოთხს თვეს, აქლემი [.....].

ვახუ შტი: „ვირი რამდენს თვესლა არს მაკე?“ მაშინ

ზურაბა: ბატონო მდიგანბეგო, ეგ სააკაძეს უნდა ჰკითხოთ, უკეთუ ეცოდინება, მაგრამ ამასაც რიგიან ჰკითხეთ, რადგან ცოლი არა ჰკავს, უთულდ ეცოდინება“. ამაზე ბევრი იცინეს. და ესრეთ დასრულდა უბნობა. მერეთ მდივანბეგმან ჰკითხა ბერსა სამართალი მის კაცისა, რომელიც ჩიოდა თავის რძლის საქმეზედ. ბერმა ჰკადრა: „ესე საქმე გამოიძიოს დიკასტერიამ, ის უმჯობესი იქნება და იმათ თავს ეყვის“.

დ ი კ ა ს ტ ე რ ი ი ს ა თ ვ ი ს

ვახუშტი: მიბძანეთ, რა არს დიკასტერია? დია მწალს შევიტყო, რაგვარი სასამართლო არს!

იოანე: „დიკასტერია არს ბერძნული სიტყვა, რომელიც ნიშნავს უპირველეს სამსაჯულის და სამსაჯულოთა შესაკრებელთა აღგილსა. ხოლო ძველად იყო საბერძნეთსა და რუსეთსაცა შინა საეპარხიოსა აღგილებსა შინა, სულიერნი მსაჯულნი. დადგინებულნი, დიკასტერიის წევრად წოდებულნი, რომელთაცა საეკლესიონი და სასულიერონი საქმენი შეეხებოდნენ, და მათ მიერ განიგებოდნენ. ხოლო რომელთამე აღგილთა შინა იქმნებოდა ერთი ეპისკოპოსი, ორი არქიმანდრიტი, ავრეთვე მღუდელნი ალრჩევით, მეცნიერნი კაცნი, და იგინი სჯულიერად გარდასჭრიდენ სამართალთა სასულიეროთა და სამღლოთოთა საქმეთათვის. ხოლო სხვებ დიკასტერიას სახელსდებენ კონსისტერიად“. და ამაზე დასრულდა საქმე. მოილეს ვახშამი, კარგად შეექცნენ. იმ ლამეს მუნ. განისვენა ბერმან, ხოლო ხეალისა-დღე აჩუქეს ბერსა, მისცეს წიგნები და ბერი მშვიდობის თქმით გამოესალმა. და წარვიდნენ გორისაკენ.

დიაკვანი რა შევიდა ქალაქსა შინა გორს, ქუჩასა ზედან შემოეყარა გოდერძი ფირალოვი, იცნო ბერმან და პრქვა: „მშვიდობა შენდა, უფალო მდივანო ფირალაშვილო გოდერძი“. ამანაც იცნა დიაკვანი, მოიკითხა და თავის სახლში მიიპატიუა. ბერიც ნებას დაყვა და წარვიდნენ ერთად. ზურაბა წარვიდა სახლად თვისსა. გოდერძიმ მგზავრობისა მიზეზი გამოჰკითხა, ბერმან ყოველივე ცხად უყო. და ამა უბნობით მივიღნენ სახლსა გოდერძისასა. დიაკვანი დაასადგურეს სასტუმროს ათასსა შინა. რა მცირე განისვენა, შევიდა გოდერძი, და ცხად უყო გოდერძიმაც თვისი იმერეთს წასვლად და მერე იქიდგან ყიზლიარს, ბიძისა თვისისა თანა.

ბერი: რასათვის უტევებთ თქვენს მშობელს ქვეყანას? აქ სახმარი კაცი ხარ.

გოდერძი: არღარავინ მომიხმარა.

იოანე: რაისა მიზეზისათვის?

გოდერძი: შურით.

ი ოანე: ვითარის შურით?

გოდერძი: მდივნად მიწოდდა თვისად თვისსა ბატონის-შვილობაში მეფე გიორგი და ამაზედ მტერ მექმნენ სხვანი.

ი ოანე: სახელოს ხომ არავის შეეცილე?

გოდერძი: არა, მაგრამ მრავალჯერ დასჭირდებოდა წიგნის მიწერა ბატონსა და მიბძანებდა მე წერად.

ი ოანე: სხვა მწერალნი არ ახლდენ?

გოდერძი: ორმოცამდის თავადიშვილი—აზნაურნი ახლდენ და მათ შორის ორმან გუამმან იცოდა წიგნი და წერა მხედრულისა—ეგნატი თუმანიშვილმან და ელიაზარ ფალავანდისშვილმან. პირველი თვისგან დაწერილ წიგნს ვერლა წარიკითხებდა, ხოლო მეორემ სულ არ იცოდა შეთხვეა. და იმგვარს მაღალს წიგნს მე მიბძანებდა ხოლმე დასაწერად, და ამისთვის მტერ მექმნენ და შურით რაც შემემთხვა, თქვენც იცით. და დამათხოვნინეს ჩემს გამზრდელს ბატონს. აქაც არ მისვენებენ და ესე არს მიზეზი წარსვლისა-ჩემისა.

ი ოანე: ესე მეტათ ძნელი სენია ჩვენ ქვეყანაში, რომ თუ კაცმან იცის რამე, მტრად ალუჩნდებიან. და ზოგთ მცოდნეთაცა სჭირო, რომ ამპარტაგნებასა და ცუდ-დიდებობასაც შეუდგებიან; და შენ, კვონებ, ამათვან თავისუფალი იქმნებოდი.

გოდერძი: მწამობენ მაგას, მაგრამ თქვენ უწყით, მცოდინარე-კაცისა და უცოდინარისა აზრი რომ ერთად ვერ ითანხმებს. არ ეგონებათ და მრავალ გზისაც მოხდება, რომელ იმჟამად ვერ იყოს კაცი თავის გუნებაზედ, ან შეურაცხებას რასმე ხედვიდეს თავის თავისას და ეთაკილოს.

ი ოანე: ეგ ჰეშმარიტია, მაგრამ მცოდინარემ უმეცარნი უნდა, რითაც იყოს, სათნოდ იჩინოს და მოიხმაროს, და იოლად წარვიდეს მისთან, რადგან შური უფრორე უფრო უმეცრებისა და უგუნურებისაგან წარმოებს.

გოდერძი: ნანდვილ! და ან გკითხავ, რა არს ცუდ-დიდებობა და ესრეთვე ამპარტაგნება?

[მსჯელობა ცუდდიდებობაზე და ამპარტაგნობაზე].

არმენიისა პუ სასოგემთისათვის

გოდერძიმ სთქვა: „დიდად მათნეთ და სარგებელიანათაც დამანახეეთ არა თუ მე, არამედ სხვათაცა. და აწ მინდა გყითხო, რატომ ღეოლრატიაში არ მოიხსენე დიდისა არმენისა აღწერა?“ ბერმან ბოლიში მოითხოვა და პრქვა: „პატრმან არ მყითხა და მეც იმისთვის ვერდა მოვიხსენე!“.

გოდერძიმ: სადა მდებარე არს არმენია ანუ სასომხეთი?

იოანე: არმენიას სამზღვრავს ჩრდილოეთით საქართველო, სამხრეთით დიარბექირი, აღმოსავლეთით ქურთისტანი და დასავლეთით ალადულია. აღმოსავლეთის პროვინციასა და აზიის თურქეთი ანუ ტურეციასა. არმენიასა აქვს სიგრძე—ათას ხუთას სამოცი ვერსი და სიგანეც თითქმის ესოდენი. ქვეყანა ესე არს კეთილ-ჰაერიანი და სასიამოვნო სამყოფი, მრთელი და ზომიერი. მდინარე ევფრატი რწყავს მუნებურთა სამუშაოთა ადგილთა. და არს ნაყოფ-მოსილი ადგილი, არს ვენახი, აბრე-შუმი, ბამბა და მარილისა მადანი, გარნა პურითა ვერ არს ნაყოფიერ და მცირე მოსავლიანი. არს ვერცხლის მადანნიცა. საარწმუნოება სომეხთა აქვსთ ქრისტიანეთა, გარნა შეუდგებიან წვალებასა დიოსკირებასა, რომელიც შეიჩვენენ მსოფლიოსა ხალკიდონიის კრებასა შინა წელსა 451. სომეხი სახით არიან კარგნი, შავთმანი და შავ თვალ-წარბანი, თეთრ-ყირმიზნი, რომელიც მახლობელ საქართველოსა არს. მარტივის ყოფის მოყვარენი, ვაჭრობისადმი დიდად მიღრეკილნი და მრჩო-კაცნი, და ამასთან იკონომოსნი და სახლის სჯულისა მცოდნენი, სწავლის მოყვარენი და მალე მოილებენ სხვათა წების სწავლათა, და იციანცა მრავალთა. სტუმართა და უცხოთა მიმღებნი და დავრდომილთა შემწენი, გარნა მცირედ მოშურნენი, ზეაობის მოყვარენი და გამომრჩომნიცა. სამხედრო საქმესა შინა საშუალ მამაცობითა, არც ძლიერ მამაც და არც ესრეთვი მხრდალ. ვაჭრობათა შინა შორეს ქვეყნებს მოარულნი, დაუზარებელნი და მომთმინონი დაგვიანებისათვის ერთსა ადგილსა.

არმენია დგას ღრადუსსა ზედა 56 ვიდრე 60-მდე სიგრძით, ხოლო 37 ვიდრე 40-მდე სიგანით. ადგილი ესე აქვთ გან-

ყოფილ თურქთა, სპარსთა და ქართველთა, და ეგრეთვე სხვათა თავისუფალთა, რომელნიცა განმაგრებულ არიან თვისთა სამფლობელოთა შინა შეწევნითა მთებისა და იწრო გზებთათა, რომელიცა მტერთაგან მიუახლებელ არს. აზრუმი, პირველი, ქალაქი არმენიისა, არს სამფლობელო აწ თურქთა, ერევანი ტახტი აზიის არმენიისა, არს ფლობასა ქვეშე სპარსთასა, გარნა საქართველოსა მეფესა აქვს მიჩემებულ და აძლევენ ხარჯსა. ბეთელი, თვით უკეთესი ქალაქი, არს სამფლობელო თავადთა. რიცხვით სომეხნი ყოველგან, ან განბნეულნი და თვისათა ადგილთა შინა მოსახლენი, იქმნებიან ვიდრე სამ მილიონადმდე სულნი. ძველად მეფენი სომეხთანი იყვნენ დიდებულ და ჩინებულნი მეფენი, და უმეტეს—დროსა დიდისა კონსტანტინე ბერძენთ კეისრისა. ტიტლოდ—ვითარცა სხვათა მეფეთა. ლერბი სამეფო იყო ნიშნითა ამით: მთა არარატისა და ზედან კიდობანი წოესი, შუაზედ მზე, გარემოქს ლომნი და ტრედი, ზეთისხილის შტოს მჭერელი. ხოლო აწ ლერბი ესე დაშთა ორქივატერსა და ამან შესძინა ეჩმიაწინის ეკლესიასა. შემოსავალი ძველთა მეფეთა ვიდრე ხუთ მილიონადმდე აქვნდათ, ხოლო აწ ორქივატერსა შემოუვა ვიდრე ორმოცდაათიათას თუმნამდე. და მაშინ უმეტეს, თღესაც მირონს აკურთხებს.

გ ო დ ე რ ძ ი : ორქივატერობა რასა ნიშნავს?

ი თ ა ნ ე : საზოგადო მამასა, განა სულისა პატრონი, რომელიცა არს ესრეთცა. და ამას ემორჩილებიან ყოველნი გვარნი სომეხთანი, და ამას აძლევენ ხარჯსა. და ესე აძლევს რიგსა ყოველსა ქვეყანასა ზედა, სადაც სომეხნი არიან, ეკლესიათა და სამლენელოთა რიგსა და განწყობილებასა, და სასულიეროთა საქმეთა ერისკაცისა და სამლენელოთასა. ტიტლა: უწმინდესსა და უნეტარეს სრულიად სომეხთა კათოლიკოზ-ორქივატერს და მოსაყდრესა წმინდისა ეჩმიაწინისასა. ხოლო სხვა იხილე ვრცელსა ლეოლრაფიასა შინა.

და ამაზედ დასრულდა უბნობა. მოილეს ვახშამი, კარგად შეექცნენ და ესრეთ დაასრულეს ვახშამი. იმ ღამეს მუნ განისვენა დიაკვანმან, ხოლო ხვალისა-დღე განემგზავრა იმერეთს.

სადილობის დროს მიყიდნენ ბრეთს და ექებდნენ სახლსა, რათა ესადილათ. ამასობასა შინა შეხვდათ ავალ ავალისშვილი,

იცნობდა ბერსა. მოიკითხეს ურთიერთი და წარიყვანა ბერი სახლად თვესა. ავალმან აცნობა დედაჲ და მეულლე თვისი. დედამან ავალისამან მიიღო კარგად და დასხდენ და მერეთ მუსაიბობისა

ავალის დედა: ვიცი გეამებათ, მამაო, ჩემი ავალ დავაქორწინე, ეს ორი თვე იქნება, და ესე ჩემი რძალი გახლავთ.

იოანე: მომილოცავს, ბედნიერად ჰყოს ლმერომან და სცოცხლობდენ მრავალ ჭამიერობით! მიბძანეთ, ზითევიც მოჰყვა ამ ქალს საკადრისი?

ავალის დედა: ერთი ცხრა ჯამი სპილენძისა, ესრეთვე თეფში და ლამბაქი, ტაშტი და ალთაფა, სამი ქვაბი, ერთი ვერცხლის თასი, ერთი ბეჭედი ფირუზისა ოქროთი, ორი ხალიჩა, ორი ფარდაგი და ერთი ქეჩა, და სხვა წვრიმალები და ტანისამოსიც ქვეშაგებითურთ.

იოანე: თქვენმან მაზლმან უფრო მდიდარი ცოლი დაწინდა.

ავალის დედა: რომელმან?

იოანე: ავალიანთ ნაბიჭვარმან.

ავალის დედა: ვითარი მდიდარი ქალი დაწინდა?

იოანე: ასე მდიდარი, რომ თაფლიც გასდის და რძეცა.

ავალის დედა: თაფლსა და რძესაც ჩვენც ვიშოვით.

იოანე: მე ერთ კოვშს თაფლსა და ერთ ქოთანს რძეს არ მოგახსენებ. აშას მოგახსენებ, ასეთი მდიდარი შეირთო, როგორათაც ალთქმის ქვეყანა არს შდიდარი თაფლითა და რძითა.

ავალის დედა: ეგ არაფერია, ფუტკარს შევინახამ და ცხვარ-ძროხასა და მერე მეც ბევრი მექნება ორივე. მითხარ, სხვებ, როგორ მდიდარი დაწინდა ცოლად?

იოანე: ესე გვარი მდიდარი, რომ ერთს ხელით ოქროსა ჰყრის და მეორეთი ვერცხლისა.

ავალის დედა: ვაი შენს ავალის დედას, მე რატომ აღრე ვერ შევიტყე, ჩემის ავალისთვის დამეჭინდა მაგისთანა მდიდარი! ვინ უშოვნა მაგისთანა მდიდარი ქალი?

იოანე: თავ-ხმელამ.

ავალის დედა: გნაცვალე თავრბილავ, ეგება მეორე ჩემ შვილს უშოვნო მაგისთანა მდიდარი სასძლო!

იოანე: უი, ჩემ თავს, რას ბძანებთ; ბატონო! მაშინ
ზურაბა: ბატონო, მარტო თავრბილა ხომ არ ეწოდება,
თავწითელაც ჰქვიან.

ავალის დედა: გენაცვალოს ავალის დედა, ჩემო თავწი-
თელავ, გაისარჯე ჩემის გულისათვის!

იოანე: „უი, ჩემს თავს, ეგ უკეთური ზურაბა გატყუებთ,
მე იოანე მქვიან, და ასე მაღე არ იშოება იმგვარი სასძლო“.
და მერე მოილეს სუფრა. ისადილა იოანემ, გამოეთხოვა და
წარემართა გზასა თვისსა.

ი მ ე რ ე თ ს მ ი ს პ ლ ი ს ა თ ვ ი ს

შემდგომად რაოდენისამე დლისა მივიღნენ ქუთაისს. ბერ-
მან აახლო ზურაბა მეფეს, მდაბლად თაყვანება და ლოცვა-
კურთხევისა მოხსენება დააბარა. ზურაბა კარგად მიიღო მე-
ფემან, უბოძეს სადგური და მიუჩინეს ჩიხაული ანუ მემანდა-
რე. და ცხად უყო ჩიხაულმან მას ღამეს განსვენება დალა-
ლულობისაგან: „და მერეთ თვით მიბძანებს მეფე და ისრე-
წარგადგენთ“. ბერი დაბინავდა. ვახშამი მიიღო. მას ღამეს
კარგად განისვენა. და ამ სახით ორი დღეც იყო, და მესამეს
დღეს წარადგინეს მეფესთან. მეფემ კარგად მიიღო, ვინაობა-
ჰქითხა მგზავრობისა. ბერმან ყოველივე მოახსენა, წიგნებიც:
მიართო. მეფემ წყალობა აღუთქვა და უბძანა: „ქუთათელი-
ნახეთ და ის განაგებს ყოველსა თქვენსა სათხოვარსა“. ბერი
მაღლობელი წარვიდა სახლად თვისა და მუნიდგან იახლა:
ქუთათელს. რა წარადგინეს იოანე დიაკვანი, ბერმან მეტანი-
ით თაყვანისცა და მოახსენა: „გვაკურთხენ, ყოვლად სამლვდე-
ლოო!“ ქუთათელმან ხელი უბოძა, ეამბორა და უბძანა დაჯ-
დომა, მოიკითხა და თავისი მგზავრობის ვითარებაც გამოჰ-
კითხა. დიაკვანმან ყოველივე აცნობა. ქუთათელმან შეწევნა,
აღუთქვა და უბძანა სადილათაც თვისთან ყოფნა. ბერს დი-
დად მოეწონა ქუთათელის სახლის მდებარეობა და გარდასა-
ხედავი ადგილი, რომელიც სჭირებული დიდს ადგილს და
თვალთათვის იყო საამო. ბერმან მოახსენა: „ყოვლად სამლვ-
დელოო მიტროპოლიტო, რა იმერეთისა ადგილში შემოველ,
3. კალმასობა.

ჯერ ამის მეტათ ჩემ თვალს არა ამებია რა სხვანი ადგილი, რომელმაც მომკა მხიარულება გულისა, ვინაიდგან სხვანი ადგილი ტყით არიან მოცული და ტალახითა სავსენი, და მგზავრთა და უცხო კაცთათვის ყოფილა შესაწუხებელი ადგილი. და ამ თქვენის სასახლიდამ გარდახედვით შეწუხებული კაცი ნუგეშ-იცემს და თვალს აახილებს.

ქუთათელი: მართალს ანბობთ, დია კარგი ადგილია და თუ გინდათ, მილიონით გაშინჯეთ, და უბძანა მსხემს: „მომიტანე მილიონი“. ბერმა თქვა თავის გულში: „ვინ ანბობდა იმერეთის ლარიბობას, მილიონები ჰქონიათ, ჩემ თავს ბედნიერად ვრაცხ, რომ ამისთანა მდიღარს ადგილს მოველ, უთურდ ნახევარს მილიონს მაინც მაჩუქებენ“. მსახური შემოვიდა და მოახსენა: „მოლარე სხვაგან წასულა, გიახლებათ და მოგართმევსთ“. და მერე მოიტეს სადილი, რა შუა სადილი შეიქნა, მოლარე მოვიდა, უბძანა ქუთათელმან: „წადი და შილიონი მომიტანე“. წარვიდა მოლარე, მაგრამ ბერს თვალი კარისაკენ ეჭირა, რომ ოდეს მოიტანს მილიონსაო, და სთქვა: „ბედნიერი ვარ ამით, რომ ყოვლად-სამღვდელო მხიარულად ბძანდება და ლვინით სავსე, უთურდ ბევრს მიბოძებს“

რა მცირე ხანი გამოხდა, შემოვიდა მოლარე და მიართვა დურბინი, ოსმალურის ხელოვნებით ქმნილი, სამოგვე შემოკრული. ქუთათელმან დაუწყო იმ დურბინს გამართვა. ბერი დიდად შეწუხდა და თქვა: „ესე როგორი მილიონია, ეს ხომ დურბინია, თუ ჭოგრი! უი, ჩემ თავს, იქნება ეს მაჩუქონ, ჩემს მონასტერში ამისთანა ჩემს ბიჭებსაცა აქვთ“. და ამ ფიქრმან მოიცო ბერი. მერე უბოძა ქუთათელმან და უბძანა: „გახედეთ მაგით და გასინჯეთ ვაკე იმერეთი!“ ბერმან ჩამოართო, გახედა და მოიწონა ის დურბინი, და მოახსენა: „კარგად ახლოს მოჰყავსო“. ქუთათელმან უბძანა: „გაჩუქებ, თუ გნებავს, მაგ დურბინსო“. მაშინ ზურაბამ: „ბატონო, ამ ბერს ეგონა მართლა. მილიონს ფულს უბოძებდით და ახლა ერთის მარჩილის ფასის დურბინს აძლევთ, ეს ხომ მწუხარებით მომიკვდება“. ქუთათელმან გაიცინა და უბძანა: „არა, შე კომეხო (ესე იგი სომეხო); მილიონი რომ მქონდეს, კონსტანტინეპოლის პატრიარქად დავჯდებოდი, აქანა რას შეგაცივდებოდი!“

ბერი: მერწმუნეთ ყოვლად-სამლელელოო, მე თეთრი მე-
გონა და აწ მადლობელი გახლავარ თქვენის მოწყალებისა, და
ამასთანაც რომ სხვა სახელიც ვისწავლე ჭოგრისა.

ქუთათელი: ჭოგრი ფრანგულის ენით ჰქვიან მილიონს.

იოანე: არა ყოვლად-სამლელელოო, ჭოგრი ქართულის
სამლრთო-საფილოსოფო წერილით ეწოდება, ფრანგნი თე-
ლესკოპს უწოდებენ დიდროან დურბინებთ, რომლითაც ვარს-
კვლავთაც გასინჯვენ.

ქუთათელი: მიკვირს ამ მილიონის საქმე, თუ როგორ
ასე ახლო მოიყვანს; რასაც შევხედავთ, იმ აღგილს მოგლეჯს
და მოიტანს. თუ რაგვარ არის, უნდა განმიმარტო, გამიგო-
ნია, გისწავლიათ ამგვარი სწავლეები.

მ ი ძ რ ი ს ძ რ პ ი ს ა თ ვ ი ს

ხოლო ხვალისა-დღე ინება მეფემან და მიუწოდეს ბერსა
სადილად. ბერი მოეწიადა და წარვიდა მეფესთან. ვიდრე სა-
დილი მოვიდოდა, ერთმან სტანბოლიდამ მოსრულმან ვაჭარმან
მეფესა მოართო ძლვენნი და ამათ შორის მიკროსკოპი. თუმცა
გავონილი აქვნდათ მიკროსკოპისაგან განდიდება საგნისა, გარ-
ნა ჯერეთ არა განეხილათ მით საგანი და უჭვრეტდენ მით,
ვითარცა დურბინსა შინა, და არა უწყოდენ ზომა, თუ ვითარ
დაეყენებინათ იგი ხარისხსა შინა; და უმზერდენ მით ტყეთა
და მინდორთა და უბნობდენ ვინცა ვინ სჭვრეტდენ მას, რო-
მელ „ჩვენ ვერა-რა გვაჩვენა ამ მიკროსკოპმან“; და ვინ უბ-
ნობდა, რომ საკვირველად დიდად აჩვენებს ნივთებსაო, მაშინ

ქუთათელი: აპა, ბერი იოანე, ესე განმარტებს მაგისტრის
და ესე დააყენებს საზოისა თვისსა ზედა, ვინაიდგან უცხოდ
განმიმარტა მეცა მილიონი. მაშინ უბძანა მეფემან ბერსა და
სთხოვა განმართვა მისი. ბერმან მოილო იგი და დააყენა სა-
ზომსა ზედან თვისსა და მოილო მარცვალი ლომისა და დაუ-
დო პირისპირ მიკროსკოპსა მას. და ოდეს განიხილეს, იხი-
ლეს იგი ვიდრე თხილისა ტოლი და თქვეს: „ბარე ეს ბერი
კუდური ყოფილაო, ბარე ასე რაგვარ გამართაო ეს საჭვრეტე-
ლი, რომ ასე დიდად გამოაჩინაო“. და მაშინ უბძანა ბერს:

„უნდა დაწვლილებით მითხრა მე მიკროსკოპთათვის, თუ ვითარ განადიდებენ სხეულთა და ანუ რაოდენ ხარისხად განიყოფებიან, და ანუ რისაგან შეადგენენ“.

[საუბარი მიკროსკოპისათვის].

საღამოს ქამს ჩიხაულმან ცხად უყო ბერსა, რომელ მოემზადე სახეალიოდ, ვაკე სოფლებში უნდა წაბდანდეს მეფე და შენც თან უნდა იახლო, იქიდგან თუ გენებება საღალიანოშიაც წახვალთ, მარჯვე იქმნებაო. ბერი მოემზადა ხვალისათვის და წარვიდნენ: რა მეფე მიბძანდა სახლსა მდივანთუხუცესისა ბუჭვარასა, მდივანი წინ მიეგება და მიიპატიუა თავისთან ყოველნივე, და ესსახედვე ბერი მოიკითხა და მიიწვია თვისთან. მაშინ მეფესა მოერთო წიგნი ოდიშით, და, წარიკითხა რა მეფემან, ბრძანა: „ამისი პასუხი ახლავე უნდა მიეწეროს, დია საჭირო საქმე არსო, მწერალი მიშოვეთ ვინმეო“. და იმ ჟამად მუნ არვინ შეხვდათ მწერალი და ბერისა მოახსენეს: „ამას დავაწერინოთ“. რა ბერს უთხრეს პასუხის მიწერა, ბერმან თქვა: ბატონო, მდივანთუხუცეს[ს] უბძანეთ, მან დაწეროს“. მეფე: როდის იცის წერა, არც კითხვა!

ი ოანე: უი, ჩემ. თაგვი! და ვინ მისცა მდივანთუხუცესობად?

მეფე: ამის მამა-პაპას ჰქონიათ სახელოთ და ამისთვის ამას ვერ ვინდა მოუშლის ამ სახელოს სარგებლობისათვის.

ი ოანე: ჩემო ხელმწიფევ, უნდა ეზრუნვათ მაგა მდივნის დედმამას, რადგან მდივნობას მოელოდნენ მაგისას, ესწავლებინათ წერაცა და კითხვაცა, მაგრამ ამისთვის არა დაუდევნიათ რა, რომელ სამდივნოს ათისთავს და სხვას საშოვარს ხომ მიიღებსო, გინდ ისწავლოს რამე და გინდ არაო.

მეფე: მართლად ანბობთ, და მითხარ მწერალი ვითარი უნდა იყოს ან რა უნდა იცოდეს?

მ უ რ ლ ი ს ა თ ვ ი ს

ი ოანე: სამეფო მწერალი მეტადრე უნდა იყვნენ მეცნიერებაში გამოცდილნი, ისტორიებში, საქმეებთა შინა მიწერ-მოწერათა და პირობის წერილთა შეკრულებათა დიდთა ხელ-

მწიფეთასა ურთიერთსა შორის, მცოდნენი მისნი, აგრეთვე აქვნდეთ გაზეთნი და უწყოდენ იგი. ესრეთვე იცოდნენ სხვა-დასხვა ენები და ქვეყნების ყოფა-ქცევა და კანონენი მათნი. ესთავე საღმრთო წერილთა შინაცა უნდა იყვნენ გამოცდილ-ნი, ამასთან ჭყვიანნი, პირდაცულნი, უქრთამონი და არცა-ლოთნი. ზნეთ-სწავლულებასა შინაცა აღზრდილნი და სამსა-ჯულთა საქმეებთა შინაცა წერილებთა და სჯულებთა შინა გამოცდილნი. ესსახედვე უნდა იყოს რიტორი, მშვენიერი მწე-რალი, ლექსთ შემთხუზველი, ქადაგების ძალ ედვას, განაჩენთ იცოდეს დაწერა და სხვანი მსგავსნი ამისნი, ვითარც მოხსე-ნებულცა არს ძველსა აღთქმასა შინა მახლობელნი მწერალნი და მსაჯულნი სპარსთა მეფისა არტაკსერკსისა თანა: „ყრმანი შენნი, რაფიმ მწერალი შემთხვევათა, და სამაელ მწერალი.. და ესრეთვე ჟამსავე ამა მეფისასა რომელნიც მკვიდრობდეს იუდა-სა შინა და იერუსალიმს: ვილემოს და მათრიდატ, და თავლელ-ლიი, და რაფიმი, და ველთეფმოს, და სამელლი მწერალი და სხვანი [რომელნი] განწესებულ იყვნეს მკვიდრნი სამარიასა შინა და სხვათა შინა ადგილთა ქვეშე მოწერილსა ებისტოლესა“ (ეზდრა, 2,2, 16—17). და მეფესა და ხელმწიფესა უნდა ჰყან-დნენ ესე გვარნი მწერალნი, რომელთაცა აქვნდეთ ესსახედ დიდროვანნი საქმენი და რწმუნებულნი. მაშინ

ს ე ხ ნ ი ა: უფალო ბერო, რაც შენ ჩამოყევი, ბარე ქართლი, კახეთი, მთლად იმერეთი, აფხაზი და ახალციხე რომ მოიარო, ვერ იპოვი ერთ კაცსაც, და სულ დავშთებით უმწერლოდ. რაღარც მამა-პაპას უქნია საქმე, ბარე ჩვენც ასე უნდა ვიყოთ.

ი ო ა ნ ე: მაშ, რადგან არას ისწავლით, მაგის მეტი რა გაეწ-ყობა, როგორც გისაქმიათ, ისე უნდა ისაქმოთ.

და ესრეთ დასრულდა ამათი უბნობა.

ხოლო ხეალისა-დღე სახლსა შინა ბერისასა შემოვიდა ახალ-გაზრდა ქალი აზნაურისა, კლენედ წოდებული, და ითხოვა შენდობა ბერისაგან და პრქვა: „გევედრები მე ამას უმდაბლე-სად, რათა მიიღოთ შრომა და მისწეროთ სამხილებელი წერი-ლი გოგისა გამყრელიძეს, რომლისაგან დანიშნულ ვიყავ სა-ცოლოდ და რომელმანცა მცბიერებით მაცოუნა. და, აპა, შვილი ეს ყმაცა მისი არს, რომელიცა ვშობე მე და აწ მოუ-

წერია წიგნი ესე და იმართლებს ამით თავს, რომელ მამა-დედამან მისმან არა ინებეს მისი ჩემთან შეულლვება და ამის მიზეზით უქორწინია სხვასა ზედა.

ითანე: „უი, ჩემ თავს, იმ უკეთურს რად დაუჯერეო და ან რად მოსტყუვდი, როდესაც იქორწინებდით, განა მაშინ ვერ დასტკებოდით ურთიერთისადმი შეყოფითა? დახე იმ უკეთურს! მე ასე მსმერია, სხვანიც მოუტყუებია და შენც უცოდნიხარ. უი საბრალოვ!“ და მერეთ მოილო საწერელი და ქალალდი, და მიჰყო წერად ხელი შემდგომითა სახითა ესრეთ:

„ზენაარისა ფიცისა უუმეტეხელესსა და მეგობრობისა კავ-შირისა დამარლვეჭელსა, სჯულისა წინააღმდეგსა და კაცთა შორის უუბატიოსა, გოგისას გამყრელიძეს.

ივლტოდე, მცბიერო გოგიავ, შენ-მიერისა უბედურისა ელენესაგან! ივლტოდე და შეუდეგცა მისწრაფებასა ამპარტავანებისა და სიცრუისა შენისასა!—დასტკბი განსვენებით წიალთა შინა მიყრდნობილი ახლისა მეულლისა თანა! გარნა ნურცალა თუ განიზრახავ განრინებასა კბენისაგან სვინიდისისა შენისა და საუკუნოესა წყევისაგან შენ მიერ მოცოდნებულისა და მინქნებულისა ქალისათა, რომელიცა ყოველმან და თითქმის ტკბილთა მიყრდნობათაცა შინა შენ მიერისა სიყვარულისათა იქმნების განცმით მხილველი. ნუ განიზრახავ განრინებასა სახისაგან ჩემისა, რომელიცა ყოველ წამს იქმნების წინაშე შენსა მდგომელ და აღმაშოთოთებელ განსვენებისა შენისა. ნუ განიზრახავ დაფარვად. თავსა შენისა ტარტაროზისა და საუკუნოესა სატანჯველისაგან, ჰოი საშინელო და სვინიდისისაგან ხვებულო! ნუ უძე არა გამოხატულ ჰყოფა აფვის შორის სიკვდილსა თვისსა, ვინაიდგან ხარ აღგებულ და შემდგარ სხეულთაგან, არა დაძხსნები შენ? მე აწ უკვე ვსჭრეტ ყოველთა დრტუნებათა შენთა. განსძელ უბედურებითა ჩემითა! დასტკბი მოცდუნებისა ჩემისათვის და მთვრალ იქმენ შეურაცხებასა ზედა ჩემსა! მხიარულე ძლევითაცა შენითა, ჰოე, მანქანაო ცუნდრუქებისაო! ჰოე, უგბილოო და ურცვინოო! უკეთუ განიხილავ შენ, თუ ვითარი უკვე გლახაკი ახლად შობილი ჩემ მიერ წარმოებული სოფელსა შინა განირთხამს ხელთა თვისთა, და ანუ ვისა ეძიებს იგი, მაშინ სკნობ,

რომელ ეძიებს იგი ბრალეულსა დღეთა თვისთასა ტირანსა გოგისასა. მე ალვაცვან მას ხეირადრე ხელთა შინა და იგი ხმარობს ხელთა თვისთა საჭურველად ხელთ-აპყრობით ზენაისალმი, რათამცა მით შური აგოს ტირანსა მას მტარვალსა თვისთასა. ახ, ხევბულო სვინიდისით, გეშინოდეს შენ ცისა და ძრწოდე ამას ზედა, რათამცა სისხლი შენი და სისხლი ჩემი არა ექმნეს მწყევარ და მაყველრებელ მამასა თვისსა! და ესრეთ სცოცხლობდე უბადრუკიბასა შინა, ვითარცა მე, და ნუ დავიწყებულ ჰყოფა ამას, და ნურცა ჰყონებ, რომელ დაშთემცა უვნებელ და ნაცვალ-უგებელ განგებისაგან, ვითარცა ივნებს შენ მიერ გაუბედურებული“.

და ესე წერილი რა წარუკითხა ბერმან, მაშინ მუნ მსხდომარეთა იმერთა სამღვდელოთა და სხვათა ლალად ჰყვეს ესრეთ: „ნეტარ მეფე ბუჭუას წილ დაგადგენდეს შენ მწერლად!“ და მერეთ ბერი წარგიდა მეფესთან. რა იხილა მეფემან, უბძანა ბერსა: „მე მნებავ, თქვენ და სეხნია წულუკიძე ჩემს ბიძაშვილს დედოფალ ნინოსთან და ჩეის მოყვარეს დადიანთან გაგისტუმროთ ურთიერთისა მშვიდობისათვის. და ვსასოებ, რადგან ბიძაჩემთან აღზრდილი ხარ, ეცდები ჩვენს შორის მშვიდობას“. ბერმან მდაბლად თავი დაუკრა და მოახსენა: „მზა ვარ სრულისა გულითა მსახურებად უმაღლესობისა თქვენისა.“ და მეფემან უბძანა მაღლობა და ესეც, რომელ: „ისაღილეთ ჩემთანა, ვინემ წიგნებიც დაიწერება და მერე უნდა წახვიდეთ ცქვიტად“. ბერი დაფიქრდა და თქვა: „ცქვიტობა სხვასაც მიეწერება“. მაშინ გაბაშვილმან ნიკოლოზ, მღვდელმან შეკვირმან, შეატყო ბერსა, რომელ ცქვიტობას მარტევდა და უთხრა: „მამაო იოანე, აქ ცქვიტობას ხმარობენ სიმსწრაფლის მაგიერ, და როგორ არ იცი სიმსწრაფლე, რადგან მეცნიერს გეძახიან?“

იოანე: როგორ არ ვიცი სიმსწრაფლე, მაგრამ ქართველების ლაპარაკს და იმერეთსა ბევრი აქვთ სხვაობა უბნობაში.

ნიკოლოზი: მართალია ეგე, და თუ იცი, გკითხავ სიმსწრაფლისათვის.

იოანე: მიბძანეთ.

[საუბარი სიმსწრაფლისათვის].

მაშინ ნიკოლოზმან რქვა ბერსა: „როგორც მსჩენოდა შენ-
თვის, უკეთესიც ყოფილხარ“. და მეუემცა აქო. და შისცეს
ბერს წიგნები და განემზადნენ ოდიშსა წასასვლელად.

რა განემგზავრნენ სეხნია წულუკიძე და ბერი ოდიშისაკენ
და გასცდნენ ხონს, მაშინ იწყო ძლიერი ელვა და ქუხილი და
ესთავე მეხიცა განვარდა რაოდენჯერმე. და ამა ყოფასა შინა
შემოეყარათ წინ იქსელიანი, რომელიცა მივიღოდა მეფეთან.
რა იცნეს სეხნიამ და იესელიანმან ერთმანეთი, მიესალმნენ და
შერე გამოჰკითხეს! მგზავრობისა მიზეზი. სეხნიამ ყოველივე
ცხად უყო. მაშინ იესელიანმან სთქვას „რადგან თქვენ მიხვალთ
მეფისაგან დადიანთან, მეცა უკუნვე ვიქცევი და მერე იქნება
ორთავე ერთად მოგვიხდეს წამოსვლა“. და სეხნიაძაც მოუწო-
ნა ეს რჩევა და მერე იკითხა ვინაობა ბერისა. სეხნიამ ყოვე-
ლივე ცხად უყო. ესენი ეამბორნენ ერთმანერთს და მოიკითხეს
ურთიერთი, გარნა მაშინაც არა მოაკლდა ქუხილსა. და მაშინ
სეხნიამ უთხრა იესელიანს: „ესე იოანე ბერი დია მეცნიერი
კაცი ყოფილა და ჰკითხეთ რაისა მიზეზისა გამო იქმნების ქუ-
ხილი, ელვა და მეჩი?

[ქუხილისა, ელვისა და მეჩისათვის].

პლოხრის ჟამს მივიღნენ იგინი სალხინოს. აცნობეს თვისი
შისვლა დადიანს. მან მიუჩინდა ჩიხაულნი და მას ლამეს განუს-
ვენეს კარგად, ხოლო ხვალისა დღე იახლნენ დადიანს, ზი-
ართვეს წიგნები და უთხრეს მეფისაგან დანაბარნი სიტყვანი.
დადიანმან მიიღო ესენი კეთილად და აღუაქვაცა სრულჰყო-
ფა საქმისა მის. და მერეთ ბერი წარვიდა დედოფალ ნინოს-
თან. რა სცნა დედოფალმან ქიზიყელობა ბერისა, კარგად მიი-
ღო და ბერი ამით იქმნა მხიარული. ჟამსა საღილობისასა ბე-
რი დედოფალმან თვისთან იწვია, ხოლო სეხნია დადიანთან
წარვიდა, რა მახლობელნი დედოფლისანი მოვიღნენ საღილო-
ბას უროს და ყოველნივე დასხდენ განწესებულსა აღვილსა
თვისსა ზედა, მაშინ იხილა ბერმან მონოზანი ანნა ყვითლისა
ტანსაცმელითა მოსილი, პირდაბანილი, უმარილოთა ფერ-
წასული და მშვენიერად შემკული, და დაუწყო გულმოდგინედ
ჰქონება. მაშინ იესელიანმან ჰრქვა ბერსა: „რას უჭირეტ გულ-
მოდგინებათ მაგა ქალს?“

იოანე: მეცნობა ეგე და ვერ დავამტკიცე, იგი არს ანუ
მსგავსი მისი.

იესელიანი: ვინ გვინიეს შენ?

იოანე: მონოზანი ანნაა.

იესელიანი: სწორედ იგა არს ეგე. მაშინ

იოანე: უი, ჩემ თავს, რასა ქხედავ მე! ჰოი, სოფელი, ვი-
თარ მოცულებელ ხარი შენ! და რქვა მონოზონს ვერღა მომ-
თხენმან: „წინად წლისა ერთისა გჰევრეტდი შენ შაოსანსა და
აწ გხედავ შენ ყვითლოსანად“. მაშინ პრქვა ჩიჩუამ: „ბერო,
არშიყობამ ასე იცის შეცვლა სახისა“.

იოანე: უი, ჩემ თავს, ვინ ექმნა მიზეზი მაგა უკეთურს?

ჩიჩუა: განხურვება. და ამასთან დედოფალმანც რა სცნო
მაგისი უფრო სოფლის კერძობა, ინება გათხოება ამისი ზით-
ვით, გარნა უბედურება ეწია ესე, რომელ ვერ მიხვდა საჭა-
დელს თვისსა, რათამცა ექორწინა მისთანა. გარნა მოცულე-
ბულ დამდაბლებულ იქმნა მისგან.

იოანე: მართალ არსა გახრწნა მაგისი?

ჩიჩუა: სწორედ მოგახსენებ.

იოანე: „მამაშვილობას, ჭეშმარიტი სთქვი“—მაშინ

ზურაბა: „ბერო, თუ გინდა, გასინჯე, თუ არ დაიჯერებ!“
მაშინ ყოველთა იცინეს.

ბერი: „არა, შე გიუო, რას ხუმრობ? ღვთისა მიმართ შე-
წირულისა ქალწულისა გემოთმოყვარებასა შინა შევრდომი-
სათვის ყოველთა თანა გვაძს მწუხარებად“. და მერე მოჰყვა ბე-
რი მხილებასა მონოზონ-ყოფილისასა შემდგომითა სახითა:

სამართლებრივი უბნობა

და ესრეთ შენდა მომართ მოვიქცევი, აწ უკვე ბრალეულავ, ესე გვართა ბოროტ-მოქმედებათა შენთათვის, ესროდენ უკვე
ბოროტ ბელნიერებისათვის შენისა! შენ, რომელმან გემით-
მოყვარებისა ძალით წარსწყმინდე ქალწულებაც და სახელი-
ცა მონოზონებისა შეურაცხჰყავ მით, რამეთუ არა წინააღუ-
დეგ ხორცთა გულისთქმასა, და ამისთვის არა შესაბაშურ არს
სუსანაისა წოდებად სუსანად, ოდესცა იგი არღა არს ქალ-

წულებისა. მოყვარულ და ესრეთ არლა გეშარაბამების შენ წოდებად მისა, რაიცალა არლა იპოების შენ შორის. გარნა სადათ ვიწყებ მე სიღყვასა ამას, რომელ პირველ და შემ-დგომცა ვაწარმოებ მე და მოვიხსენებცა კეთილთა მათთვის, რომელთაგანაც მოკლებულ იქმენ შენ და მგლოვარე ვარ მე უბედურებათა მათ ზედა, რომელნიცა გეწივნენ შენ. იყავ შენ რტოხ ანუ ნერგი, მტილსა შინა ლვთისასა აღყვაებული—წარ-სრულთა წელიწდებთა. მაშასადამე, შორის ყვავილთა ეპკლე-სისათა იყავ და იწოდებოლიცა შენ სძლად ქრისტესა, ტაძ-რად ლვთისად და სავანედ სულისა წმინდისა და ვითარ აღვრიცხო მე, თუ რახ იყავ შენ პირველ ამისა! და ამის-თვის თანაგაძს შენ, რათამცა სცრემლეოდე მარადის მით, რამეთუ არლა ხარი შენ იგა, ვითარიცალა იყავ შენ უწინარეს ამისა. შენ რონინებდი უკვე ეკლესიასა შინა ლვთისასა, ვი-თარცა ტრედი მისი, რომლისათვისცა შეუძლებელ არს აღწე-რად, ესე იგი ფრთხენი ტრედისანი ვერცხლოვან ქმნილნი და მხრებთა შორის მისთა მკლოვარებანი სახე ღ ოქროისა. იყავ ბრწყინვალე, ვითა ვერცხლი, და მკლოვარეობდი ვითარცა ოქროჲ. ოდესცა წმინდითა სვინიდისითა/განშვენდებოდი შენ, მაშინ იყავ შენ ესრეთ. ვითარცა ვარსკვლავი განთიადისა ხელ-თა შინა უფლისათა. არა ვეშინოდა შენ არა რომელისამე სასტი-კისა ქარისაგან და არც იშიშიდიყე რომელისამე წყვდიადისა და ბნელისა ლრუბლისაგან. სადათ უკვე გეწია შენ უსევითა-რი მოულოდნელი ცვლილებად? და რაისა გამო უკვე იქმნა მყისსა შინა შენ შორის შეცდომილებად? ტაძრისაგან ლვთისა იქმენ განვრდომილ და მიმტოლველ სატანასადმი და სავანი-საგან სულისა წმინდისა მიქცეულ და მისრულ სადგურსა შინა ეშმაკთასა. მყოფი პირველ, ვითა ტრედი უმანკო, ხოლო დღეს იხილვები შენ წყვდიადსა შინა, ვითარცა ბუჲ. მკლოლ-ვარეობდი პირველ, ვითარცა ოქროი ბრძმელით გამოსრული, ხოლო დღეს დამთრეუნველ იქმენ უბანთა ზედა ფერხითა მშვენიერის ქალწულებისა. მყოფი პირველ ვითარცა ვარსკვ-ლავი ხელთა შინა უფლისათა, ხოლო დღეს ვითარცა ზე, ცით გარდამოვრდომილი. ისმინეთ მამანო, ისმინეთ მმანო-ისმინეთ დედანო, ისმინეთ დანო, და შენცა ისმინე ახლად

ცოტნებულო! აპა, თუ რაც არს მიზეზი უზომოხსა მწუხარებისა ჩემისა. ერთი ოდენ უსჯულოება მრავალთა უკვე კეთილმოქმედებათა თვისთა თანა ქვედამცემლობს. ერთი ოდენ ნიშანი შეურაცხებისა ჟოველსა უკვე მკლოვარებასა ეყვასისასა დაბნელებულ ჰყოფს. და ამისთვის ხმასა ვჰყოფ მეცახმითა წინასწარმეტყველისათა და ცრემლითა ვლალადვყოფ: ისმინდეთ ყოველნო უკვე ერნო და იხილეთ სნეულებად ჩემი! ქალწულნი ჩემნი და ჭაბუქნი წარვიდენ რა ტყვეობასა შინა, ესე არს ჟეშმარიტი დატყვებად, ოდესცა სულნი დამონბულნი ცოდვისა მიერ მიიზიდვიან საუკუნოხსა სიკვდილისაღმი და ხელმწიფებასაცა შინა ეშმაკისასა მიეცემიან. კვალად ვსტირ შენთვის ბრალეულო, ვითარითა უკვე ეკლითა და ანუ ვითარითა უკვე საკვრელითა შეკრულ გყო შენ უბოროტესმან გულმან მის მომაცილუნებელისამან, და ანუ ვითარითა გესლითა შესმულ გყო შენ მომაცილუნებელმან ევასმან, რომელ მოხვედ შენ ესეოდენსა უკვე სიბრძესა შინა, რომელიცა შეერდომილ იქმენ ესოდენ კეთილსულობისა დავიწყებასა შინა.

გამგონი ამისა მონოზონი იქმნა თვალ-ცრემლიანი, იწყო განმართლება თავისა თვისისა და აღიარაცა შეცოტომილებად თვისი.

უამსა ამა უბნობისასა შემოვიდა დამწიდვნელი მისი, რომელმანცა დაუტევა იგი შემდგომად რაოდენისამე ხანისა. ესე საქმროე მისი აჩვენა ჩიჩუამ, გარნა მონოზონი განვიდა გარე.

ბერბან რა გამოსცნო მოლარეს მშვიდობად მისი, პრქეა: „შე სომხითელო, მნებავს მხილებად განხრწისათვის ქალწულისა და ცოტნებისათვის მისისა“. და იწყო შემდგომითა სახითა ესრეთ:

მ ხ ი ლ ე ბ ა გ ა ნ გ ხ რ ჭ ნ ე ლ ი ს ა ქ ა ლ ჭ უ ლ ი ს ა

ხოლო შენთვის რაიღა ვსთქვა, შენ ძეო გველისაო, მსახურო ეშმაკისაო, შემაგინებელო ტაძრისა ღვთისაო, ერთითა უკვე გარდახდომილებითა მაწარმოებელო ორთა ცოდვათაო, ესე იგი, მრუშებისა და სიწმინდისა მიტაცებისა. ხოლო სიწმინდისა მიტაცებად ნანდვილ იქმნა მაშინ, ოდესაც შენ ჭურ-

ჰელი იგი შეწირული ზენაისადმი კაღნიერითა-რე სახითა შენითა წარწყობენდულ ჰყავ, მსგავსად ვალტაზარ მეფისა ბაბილოვნისა, რომელმანცა ჭურჭელთაგან უფლისა და ტაძრისაგან იერუსალიმისა მიღებულთა მამისა მიერ თვისისაგან დაშთომილთა ჭურჭელთაგან ჟამსა სერობისასა თვისთა მეგობრებთა და მახლობელთა თანა იკადნიერა მით შესმად სასმლისა, რომელიცა მასვე ლამესა შინა განგმირულ იქმნა ხელითა ანგელოსისათა და დაფიცხელითა განპატიუებითა განპატიუებულ რაისა უკვე განიზრახავ შენ ამისთვის, რომელმანცა მსგავსად მისა ჭურჭელი მეცნიერი, შეწირული უფლისადმი და განათლებული სულითა, ესეოდენ კადნიერად ხმარებულ ჰყავ და სიწმინდისა დაცვამ მოსტაცენ მას, არა მომგონებელმან არცა ალთქმისა საღმრთოსა და არცა შეიშინენ საუკუნოხსა მსჯავრისაგან ღვთისა. უმჯობეს იყო შენდა, რათამცა არა უობილიყავ, ვიდრე შობასა შენსა, მით რამეთუ იქმნები შენ საკუთრად ძეგ გეენიისა. და ესრეთ თვით სვინიდისიცა შენი, წარმომდგინებელი შენდა უსჯულოებისა შენისა, არა გცემს შენ განსვენებასა; და მაშინ იწყებ ლტოლვასა დაფარვად თავისა თვისისა, ოდესმე აქა და ოდესმე იქა, მით რამეთუ მოქმედი უპატიოებისა გინდ იყოს არავისგან დევნული, მაშინაცა სდევნის მას სვინიდისი თვისი, და თვით სიზმარსა შინაცა ექმნებიან უსჯულოებისა მისთვის მტანჯველნი. მე არა გყვედრი შენ დღეისთვის, არამედ რათა არა შენ, ვითარცა დაყროლებულსა და დაწყლულებულსა ცხოველსა, არა მოკლებულ გექმნას შკურნალობაც. მე, ვითარცა მწყემსი, ესეგვარსა მოგცემ შენ მცნებასა, რათა შეხვიდე შენ კეთილმნებებლობითა თვისითა საპყრობილესა შინა სინანულისასა და შეიკრა საკვრელითა გლოვისათა საძაგელნი წევრნი შენნი. ხოლო სულიცა თვისი განწმენდილ ჰყო ცრემლითა და მარხულობითა, და იქმნე მვედრებელ წმინდათა, რათა მწე გექმნენ შენ. დაამხვენ თავი შენი წინაშე ფერხთა აღრჩეულთათა, რათა შეუნანებელისა გამო გულისა შენისა არა შეკრიბო თავისათვის შენისა რისხეანი დღეთა შინა მართლიადისა განკითხვისა ღვთისათა, რომელიცა მიაგებს კაცად-კაცადსა საქმისაებრ მათისა; და რათა არა იქმნე შენ რისხვათა მათ შორის აღრაცხილ, რომ-

ლისათვისაც სტირის მოციქული პავლე: „ნუ კვალად მორავი-
დე, დამამდაბლოს მე ღმერთმან ჩემმან თქვენდა მიმართ, და
ვიგლოვდე მრავალთა წინასწარ შეცოდებულთა მათ და არა
შენანებულთა არაწმინდებასა მათსა ზედა, სიძასა და სიბილ-
წესა, რომელ ქმნეს“. — ნუ უკვე მოცოუნებულ ჰყოფ შენ თვალსა-
თვისსა განზრახვითა ამით, რომელ არიან სხვანიცა ცოდვილ-
ნი მრავალი, და იტყოდეცა ამას: „არა მე მხოლოდ მიქნიეს
ეს, არამედ სხვანიცა არიან მრავალ მსგავსნი ჩემნი“. გარნა-
წინააღმდეგ მისი წარმოიდგინე, რომელ მრავალნი მსგავსნი
შენნი არა განაგდებენ დასჯილებასა უსჯულოებისა თვისისასა. მრიხსენე ხუთთა ქალაქთა შორის სოდომი და გომორი, რომელ-
სა შინა სცხოვრებდენ ურიცხვნი უკვე ერნი. გარნა ოდესცა
არაწმინდებითა შეიგინენ და შეაგინეს ხორცი თვისისი, ყო-
ველნივე თანასწორ ზეციურითა რისხვითა შეიწვნენ სეტყვითა-
ცეცხლისათა, გამომრიცხველი მხოლოდ ერთისა ოდენ კაცისა,
ესე იგი, ლოთისა ორის ასულითურთ მისით; და რომელიცა-
ესე ვითართა სარცხვინველთა მოქმედებათაგან უცხო იყო. და-
ესრეთ ან შეუდეგით თქვენ, უბედურნო, ტარილით ვედრე-
ბასა და გოდებასა დაუცხრომელად წინაშე ღვთისა, რათა
განიდევნენ გულისაგან თქვენისა მაც თურებად გველისა და ვიდ-
რე იპოვებოდეს არაწმინდასა შინაგანსა თქვენსა დაბნელე-
ბიული უკვე სული, რათამცა მოიპოვო თავი თქვენი დღესა
შინა რისხვისა ღვთისასა. და იპყარ თავსა შორის შენსა მა-
რადის. სიტყვა მოციქულისა, ვითარცა იტყვის: „რამეთუ ჩენ
ყოველნი განცხადებად ვართ წინაშე საყდართა ქრისტესთა, რათა
მოიღოს კაცად-კაცადმან ხორცთა ჭამათვან, რაცა იგი
ქმნა, გინა თუ კეთილი, გინა თუ ბოროტი. მაშინ

ფალავამ: „ბატონო დედოფალო, შენ ნუ მომიკვდე,
რომ ამისთანა ქება და შესხმა მე არ გამიგონია კაცისა,
როგორც ამ ბერმან ეს კაცი აქო. მაშინ

ზურაბა: უფალო ფალავავ, ისემც კარგად ხართ, კარგი-
ქება ამ ბერმან შეასმინა ამ კაცსა!

ფალავა: „შე ზურაბისავ, ქება მეტი რაღა უნდა, ბარე-
ცისა არღარა დაუტოვებია რა და ქვეყანისა, რაც მაგან ილა-
პარაკა“. მაშინ

ბერი: უი, ბატონო, შესხმა კი არა მითქვამს, ვამხილე
და გავკანონებ.

ფალავა: ბერო, მაგგვარი წიგნი ბარე ქალსაც კარგად
მიეწერება, რაგვარი მხილება არის.

იოანე: უი, ჩემ თავს, რას ბრძანებთ, ვგონებ, მეცნიერე-
ბაში არ განვიყლიათ.

ფალავა: „ბერო, რაღა ბევრი თარგმანი ეჭირება და მეც-
ნიერება? ასე არ უთხარით, შენ ამისთანავ და შენ იმისთანა-
ვო, მეტი ქება რაღა უნდაო? მაშინ.

ზურაბა: „ბერო, ახლაც ნუ დაიჯერებ, ნახეთ, როგორ
კარგად განმარტა ფალავამ ეგ შენი სწავლება!“ და ამაზედ
მრავალი იცინეს და მერე მოიღეს სუფრა, და ჭასხდენ სა-
დილად.

რა საღილობისაგან მოიცალეს, ყოველნი თვისთვისად წარ-
ვიღნენ. ბერიცა მივიდა თვისსა საღვოშისა შინა. და მას ღამეს
იწყო წვიმამან და ვიდრე ერთი კვირა უფროს წვიმდა. ბერი
დიდად შეწუხდა და სთქვა: ვაი თუ წარლვნა მოვიდესო. ამა
ფიქრში რომ იყო, დადიანისა კაცი მოუვიდა და სადილად
თვისთან მიიწვია ბერი. საღილობისა დროსა მივიდა ბერი,
წვიმით გაგანგლული და ტალახით გასცრილი. რა სახლის კარ-
თან მიიწია, იწყო ანაფორისა გაბერტყვა და ქოშებისა გაწ-
მენდა. რა შინა შევიდა, იატაკი იხილა ისევ ტალახიანი და
წვიმაცა შთამოსდიოდა სახლსა შინა. მაშინ ბერმან სთქვა:
ტყვილად დავშეერ ანაფორისა და ქოშებისა განწმენდაზედა,
აქაცა სწვიმს და ატალახებულიცა არს.

ამა ფიქრსა შინა რომ იყო, დადიანმან მოიკითხა ბერი და
უბძანა, როგორ მოგწონთ ეს ჩვენი სალხინო ადგილიო?

იოანე: „ასე მომწონს, რომ ჩემი რომ გახლდეს, სახელს
გამოუცვლიდი, ამ ადგილსა სალხინოს მაგიერ სატირალს და-
ვარქმევდი.“

დადიანი: რასთვის?

იოანე: ამისთვის, რომ დია გრძელად სცოდნია წვიმა და
ამასთანა ტალახიცა. ვითა კარში, ისე სახლში სწვიმს და
ტალახდება. ღონე რომ მაინც გეხმარათ სახლებისათვის, რომ
წვიმა არ ჩამოსლოდა.

და დიანი: ყოველთვის არა ქსლგებით აქა და ცოტახანი-სათვის რაღა უნდა ვიხმაროთ ლონე.

იოანე: იქნება შეგემთხვეათ საქე და გრძლად მოგიხდეთ ღვეომა, მაშინ შეწუხდებით, მასთან ტანსაცმელი და ქვეშა-გებლებიც წაგიჩდებათ. და რადგან შეძლება გაქვთ, უნდა ცოტა ხნისათვის და გრძელის ხნისათვისაც დასყოფელი სახლები კარგად დახურვილი და განშეყობილი გქონდეთ, რომ გარეთ დასველებულნა რომ შებძანდეთ შინა, მშრალად ბძან-დებოდეთ, რომ ნოჭიობისა და სისველისაგან სნეულებებიცა გაჩნდებიან, ესე იგი, ბუასილი, დამპალი სურავანდი. (ანუ სკორფუნთო), წყალმანკი, თეთრი ფერი და სხვანი მსგავსნი. ამისნი.

და დიანი: მტრიანი ქვეყანა გვაქვს და ყოველთვის ბრძო-ლა, და მაგვარებისათვის ვერლა მოგვიცლია.

იოანე: მშვიდობის დროს ნუ დაუტევებთ, აქამდინ უბრძო-ლოდ მტერიც ვერ მოაწევს.

და დიანი: „მართალია, მაგრამ ამ ადგილისა ასე თქმულა, რომ რაც სრულიად ქვეყანაზედ სადაც იწვიმებს, ამ ადგილს სამეოცი დღე მეტი უნდა იწვიმოს წელიწადში. სხვათა ქვეყნებთა ზედა.“ მაშინ

ზურაბი: „ბატონო დადიანო, აბანო არლა გეჭირვებათ ამ ადგილის პატრონსაო“. და ამაზედ იცინეს ბევრი.

მაშინ დადიანმან უბძახა ბერსა: „განმიმარტეთ მე, თუ რაფ არს წვიმა“.

[წვიმისათვის].

მეორესა დღესა სეხნია გაისტუმრეს საქმით მეფესთან, ხოლო ბერისა ინება დედოფალმან რაოდენისამე დროითა მუნ-კოფაჲ მისი. სამისა დღისა შემდგომად მოვიდა ბერთან ჩი-ხაული და ამასთან პეტრე ხუცესი და პრქვეს: „განემზადე, მა-მაო, უნდა წავიდეთ აქედამ მარსილისა სოფლებსა შინა“

ბერი: რაისათვის უნდა წავიდეთ ამ წვიმაში?

პეტრე: გამოსაკვებლად, რომ იქი გვაქვს პური და ლვინო.

იოანე: რადგან სასახლე აქ არს, რატომ აქ არ მოიტანთ და აქ არა გაქვთ თადარიგი?

პეტრე: ბარე ჩვენში ასე ვიცით, საღაც პურსა და ღვინოს შევაგულვებთ, იქანა უნდა წავიდეთ.

იოანე: უი, ჩემ თავს, სიზმარში გიხილავთ საჭმელი.

პეტრე: ბერო, რავარი კაცი ხარ, ღორებს შეგვამგზავს!

იოანე: უი ჩემ თავს, მაგას როგორ ვიკაღრებ, მაგრამ ჰვავს კი ეს საქმე.

ამაზედ იცინეს და გაემართნენ სოფლებისაკენ. გზასა ზედან მოილრუბლა ძლიერად და ამასთანავე შთამოწვა ნისლი, და მაშინ ხუცესმან ჰქითხა ბერს: „ეს ღრუბელი და ნისლი ვითა წარმოებს, მიბაძნეთ. მრავალს ვისმე ვჰქითხე და სწორედ ვარა გამავებინეს რა“.

ბერი: მოგახსენებ.

ხუცესი: რახსგან შედგმულ იქმნებიან ღრუბელი და ნისლი?

იოანე: იგინი შედგებიან ორთქლთაგან, ზეალმავალთა ქვეყანისა და ზღვათაგან, რომელნიცა შეერთდებიან შეზრქელებულთა ჰაერთა შინა. ხოლო შეზრქელება ორთქლებთა იწარმოებს მაშინ, ოდესაც იგინი შეკრებულნი ერთად ჰაერსა შინა ყოველით კერძოდ იწყებენ მიმოყოვნებით მოძრაობასა. მაშინ კერძონი მათნი დაახლოვდებიან და შეერთდებიან ერთ-ბაშად, და შეადგენენ ღრუბელთა, რომელნიცა ქარისა გამო იქმნებიან დევნილ და მიტანილ ერთიმეორისადმი, რომლისა შეერთებისა გამო შედგებიან ღრუბლები.

ხუცესი: ვითარ სხვაობენ ღრუბელი და ნისლი ერთი მეორისაგან?

იოანე: სხვაობა შორის ღრუბლისა და ნისლისა არს იგი, რომელ ღრუბელი უფროორე სუბუქ არს ნისლისაგან და ადვილადცა მიმოიტანების ზე ჰაერსა შინა ქარისაგან, ხოლო ნისლი ვინაიდება უმძიმეს არს ნოტიოობისა გამო, ამისთვის ქვედამზიდველ არს და დაუახლოვდებისცა ქვეყანასა.

ხუცესი: აჰა, ასე უნდა შეატყობინოს კაცმან კაცს!

და ამა უბნობით შივიღნენ სოფელში. ბერი და ეს მღვდელი ჩამოახდინეს ერთად ერთს გლეხისას. და უმასპინძლა გლეხმან მან მას ღამეს. ხოლო მეორესა დღესა იხილა ბერმან, რომელ მოჰყვანდათ ბოქაულთა ძროხა თრი და რაოდენიმე

თხა და ლორი, უკან მოსდევდნენ მწუხარედ მოხუცებულნი კაცნი, და მიგვარეს მესტუმრეს. მესტუმრემ უბძანა მზარეულთა: „ცეკიტად დაკალით და მოხარშეთ, სადილს აღრე მიირთ მეგს ბატონიო“. მათ ოლასრულეს ბძანებელი მისი. ბერი უყურებდა და ამ კაცთა მწუხარებასა ფიქრობდა, მაშინ ჰკითხა ხუცესსა: „ეს კაცნი რათ სწუხანო?“

ხუცესი: ეგ ძროხები და თხები მაგათი იყო, და მისთვის, რომ დაუკლესო.

იოანე: ფასს ხომ მისცემენო?

ხუცესი: კი, ბატონო!

იოანე: იხილა, რომელ, რა გაატყავეს ძროხები და სხვანი ესე, დაუძახა მესტუმრემ პატრიონთა მათ საქონლისათა და მისცა ტყავები მათი, და ესე კაცნი წარვიდნენ თვესად. მაშინ

ბერი: მამაო პეტრე, ეს იყო ფასი მათი?

ხუცესი: დია, ბატონო, მეტი რა უნდათ?

იოანე: უი ჩემ თავს, ტყავიც და ხორციც რომ იმ კაცთა იყო, ეს რა სამართალია?

ხუცესი: ჩვენი ფასი ეს არის და ბარე შენც რომ მოგვლას ვინმე, წვერსა და თმასა მოგპარსვენ და შენს დედმამას გაუგზავნიან, შენი ფასი ის იქმნებაო.

იოანე: უი ჩემ თავს, ლმერთო მშვიდობით განმარინე ამა ქვეყანიდამ.

და ამ სოფელში ორი კვირა იდგნენ, ყოველ-დღე გლეხნი თვისთა მოსალგურეთა უმასპინძლებოდნენ თხითა, ლორითა, ქათმითა; კარავითა, ქვევრების მოხდით და ღვინოებით, ლომით, სიმინდით. და ცხენთა თვისცა აუხდიდნენ ლომის ჩალით დაფარებულს სახლებს და აჭმევდენ ცხენთ, სწვევმდენ ჭიკოთა სართა, და აჭცევდენ ვენახთა და ბალებთა ლობეებსა, და ბევრჯელ სახლებსაც გვერდებს გამოუქცევდენ დასაწვავად. რა ესნი იხილა ბერმან, ჰკვა: ხუცესო, ამ სოფელს რა შეცოდება აქვსო, რომ ამ ყოფაში გყავთო?

ხუცესი: არაფერი, სტუმრებს უნდა ასე დახვდენო.

ი ოანე: ახლა კი ვაქებ შენის-ერისთვიანთ, იმათ უკეთ სცოდნიათ, რაიცა ლონე არს, თავისის ყმის პატივით.

ხუცესი: რად გიკვირს, შვილებსაც გაუყიდიან აქ თავის მებატონები თათრებზედ, რომ სკალატი იყიდონ ტანისამოსად და სხვა ფარჩები.

ი ოანე: ხუცესო, აღსარებაში არ უშლი, ვინც ამას შვრება?

ხუცესი: ბერო, რომ დაუშალო, მშიერი მოვკვდები და ტიტველი, და რა ჰქება არის?

ი ოანე: ღმერთო, რა მესმის. და სთქვა: ღმერთო, აკურთხე ჩვენი მეფები და ბატონები, რომ ამისთანა ყოფაში არა ჰყავთ თვისნი ყმანი, ვითა ესე საბრალო ხალხნი!

ამჟამში კაცი ებოძა დედოფლიდამ და უბძანა: რადგან ზაფხული შემოვიდა, ახლა ლეჩხუმი კარგი სამყოფია და სახვალიოდ ვემზადებით წასასვლელად და შენც უნდა განემზადოო. თუმცა ბერი ზარობდა, მაგრამ ურჩება ვერლა იხმარა და მოემზადა ესეცა.

პირველ წარსრულნი ესენი მივიღნენ მარტვილს. და ჰყოინდელისა ანტონის აცნობეს მისვლა დედოფლისა. იგი წინმოეგება და პატივითა მიიპატიუა სახლად თვისსა. დედოფალმან შემდგომად ამბორებისა და საუბრობისა აცნობა ბერი იოანე და ჰყოინდელმან მშვიდობით მოიკითხა. ბერი მდაბლად ეამბორა. და მცირესა ხანს უკან ჰქითხა ბერსა: „გავიგონე შენთვის, ვითამც მიგელოს სწავლაც აზნაურებითი“. ბერმან: „ვისწავლე მცირე რამ“. და მერე უბძანა ჰყოინდელმან: „სალამოს მოდი ჩემს სადგომს, დიდი ხანია არლარავის შევხვედრივარ სამეცნიერო საქმეზედ უბნობისათვის, და მე და შენ ვიუბნათ რაზედმე, და კიდეც ჩემთან ივახშე“. ბერმან მაღლობა მოახსენა და თავის სადგომს წარვიდა.

სალამო ჟამს იახლო ჰყოინდელს. ჰყოინდელმან მიიწვია, დაჯდა ბერი. და მერე ჰქითხა ჰყოინდელმან საფილოსოფოსთა წერილებთაგან რომელნიმე ჰაზრი. ბერმან ყოველივე კარგად განუმარტა, და მერეთ ჰრქვა ბერს: „რადგან კავშირი უფრო მაღლი წიგნია საფილოსოფოსოთა წერილთა ზედა, მინდა გკითხო რაოდენნიმე თავნი მუნიდგან“.

[იწყება საუბარი პროკლე დიადოხოსის „კავშირი“-ს შესახებ].

შემდგომად ამა უბნობისა ბერი ალდგა, ეამბორა და წას-
ვლა ენება. მაგრამ ჭყოინდელშან თავისთან იწვია ჭამად. მა-
შინ ზურაბამ მოახსენა: უფალო ჭყოინდელო, ღირსია ბერი
ოჯალეშის ღვინისაო, ხომ ყველა კარგად მოგიგოთო.

ჭყოინდელი: მართლად.

ზურაბა: მე გული დაჯერებული არა მაქცს მაგ ჩემს მოწა-
ფეზედ, თუ თქვენ მოსაწონად მოგახსენათო.

ჭყოინდელი: თქვენი მოწაფეობისა რა მოგახსენოთ. ნუ-
თუ ეს ბერი იყოს თქვენი მოძლვარი, თორემ ეს თქვენს მო-
წაფეს არა გავსო.

ზურაბა: რას ბძანებთ! ქიზიყელია ეგ ბერი და მაგაზე
მეტი ვერა ვასწავლე რაო. გული ისევ ყაზახობისადმი მიურ-
ბის.

ჭყოინდელი: ამაღამ აქ მინდა ვამყოფო ჩემთან ეს ბერი
და რას მირჩეო?

ზურაბა: რა მოგახსენო, ვაი თუ ქიზიყელობამ მოუაროს
და მოგპაროთ რამეო.

ჭყოინდელი: ერთი ჯორის მეტი არა მყავს რა და ამას
ხომ ვერ მომპარავსო.

ზურაბა: ბატონო; მაგისი უფრო საფიქრებელია, რადგან
ყიზიყელიაო. ამაზედ ბევრი იცინეს და მოიღეს სანოგაგე. და
მერე გაიყარნენ და წარვიდნენ თვისთვისად.

ხოლო ხვალისა-დღე გაემართნენ ლეჩუმისაკენ. და ამა
სიარულში მიიწივნენ ერთსა მთისა მაღალსა ადგილსა ზედა.
და მუნ იყო ვაკიანი ადგილი, და იქა გარდახდენ საღილისა-
თვის, რომელ ადგილი იგი იყო ფრიად შშვენიერი და მრავალ-
ფეროვანი ყვავილები და დიდად საამო თვალთათვის. მას უამ-
სა შინა განიცადა ცაგერელმან ბერი იოანე და მოიკითხა იგი
და სცნო მეცნიერება ბერისა. შემდგომად მუსაიფობისა იწყეს
ორთავე ერთად სიარული. და მაშინ ცაგერელმან ჰკითხა ბერს:
„ხედავ, რაოდენნი სხვადასხვაგვარნი ფესოვანნი ყვავილნი
არიან, და მითხარ მე, რომელი ფერი უაღმეტოსებს ერთი-
მეორეზედ, ანუ რაოდენნი გვარნი არიან ფერებთანი?“

[საუბარი ფერთათვის].

ესეგვარი უკვე უბნობა დია მიიღო ცაგერელმან და მერე ისადილეს ერთად. და მივიღნენ ლეჩხუმის სოფლებთა შინა. ბერი მიიყვანეს ერთისა აზნაურისა სახლსა შინა და მუნ მისცეს სადგური, და ვახშამიცა განუშზადა სახლისა პატრონმან.

რა ვახშმისა დრო მოიწია, მის აზნაურისა ნაცნობი ვინმე ხუცესი შემოვიდა. ასახლის პატრონმან მიიწვია, და ბერიც ეამბორა და გაიცნეს ერთმანერთი. და მერე ბერმან ჰკითხა მღვდელსა: „ესე სოფელი შენი სამწყსო არის?“ მან ჰრქვა: „დია, ბატონონ“.

იოანე: რაოდენი მოწაფენი გყვანან?

ხუცესი: ბატონო, არ ვიცი სწორედ.

იოანე: რატომ, ვინც ალსარებას გეტყვის, ხომ დასწერ იმათ, რომ თქვენს მღვდელმთავარს აცნობოთ, თუ რაოდენმა თქვა ალსარება, ანუ რაოდენთა მიიღეს წმინდა საიდუმლო?

ხუცესი: არცა ვის ალსარებას ვათქმევინებთ და არცა ვის ვაზიარებთ, ვინც სასიკვდილოდ არ მიიწურება სნეულებითა თუ სხვა მიზეზითა.

იოანე: უი, ჩემ თავს, რატომ ხუცესო? წელიწადში ერთხელ მანც უნდა ალსარებას იტყოდეს და ეზიარებოდეს ქრისტიანე კაცი, თუ ოთხსავე მარხვაში ვერ განემზადება.

ხუცესი: რავარ იქნება, ვინემ კაცი სასიკვდილოდ არ იყოს, რომ ან ალსარება ვათქმევინო და ან ვაზიარო! მთელს კაცს რათ უნდა ზიარება, ცოდვილი იქნება იყოს!

იოანე: უი, რას ანბობ?

და მაშინ სახლის პატრონს ჰკითხა იოანემ: „უფალო სახლის პატრონო, არც თქვენ იტყვით ხოლმე ალსარებას და არც ეზიარებით?²

სახლის პატრონი: ბარე ორმოცდაათი წლის კაცი ვარ, არც ალსარება მითქვამს, არც ვზიარებულვარ. კარგად მთლათ ვარ, არ მეჭირება, ვინემ არ გავიწირვი სასიკვდილოდ.

იოანე: და სხვანიც ესრეთ არიან, ვითარცა თქვენ?

სახლის პატრონი: „ეგების ოთხმოცის წლის ბებერი დედაკაცი იყოს ვინმე და მცირე ბოვშები, ამათ თუ აზიარებენ, თორე სხვა პრავინ დაეძებს, არც ჩვენი მებატონენი და ლიდნი კაცნი“. მაშინ

ხუცესი: ეს მართალია და აქ ასეა რიგი; რომ ჰყითხოვისმე: „აღსარებას არ იტყვი ანუ არ ეზიარებით?“ მოვიგებს: „ხომ არა ვჰქვდებიო“.

იოანე: მამაშვილობაშ, ცუდი რიგი და ზნეობა გქონიათ და არც ქრისტიანული საქმეა.

ხუცესი: ჩვენში ასეა და აწ შენ მიბძანე თუ ქრისტიანებ-რივი ზნეთსწავლება რა არის, რომ ვასწავო ჩემ მოწაფეთა.

[შემოკლებით ქრისტიანებრივი ზნეთსწავლულება].

შემდგომად ამა უბნობისა ივახშმეს და მერე თვის-თვისად წარევიდნენ. ხლოო ხვალისა დღე მივიდნენ სასახლესა და ციხესა მურს, რომელსა ძველად ეწოდა თაკვერი, და ბერსა მისცეს მუნ ადგილი და აჩვენეს მუნებური ადგილი და მდებარეობა და საფლავი მცირესა ეკლესიასა შინა წმინდისა მაქსიმე აღმსარებლისა. ბერსა ესე ყოველი მოეწანა და იამა და სთვავა: აქ შესაძლებელი არს განმაგრებად, უკეთუ მტერი მოვალს ვინმე ძლიერი, ვერარადმესა ავნებს აქ მყოფთა, უკეთუ შიგავე არ იქმნებიან გამცემელ.

ფალავა: მართალს ბძანებთ, ბერო!

იოანე: ამ მთას უკან რაღა ადგილია?

ფალავა: სვანეთი.

იოანე: დია ძველად ეწოდა სვანეთი, აქ დაიხიზნებოდენ ერთობის უამს ხალხი, ოდეს ძლიერი ვინმე ყენი მოვიდოდა ჩვენზედ სამტეროდ.

ფალავა: ჩვენც ასე გაგვიგონია, და ვჰქონებ, მრავალი ნივთიც იყოს მის უამისანი დაშთომილი სვანეთს.

იოანე: დია მრავალი! ამასთან მცხეთის ეკლესიის კანკელი იქროს მინანქრით ქმნილნდ და სხვანი მრავალნი ძვირფასნი ხატნი და ნივთნი არიან დარჩომილნი აქა.

ფალავა: ჩვენც ვიცით ეგე და ისე ყოველივე ხელშეუხებლად არის და ამისთვის ინახვენ, ვინემ ამის ნუსხას არ მოღებენ ამისი მეპატრონენი, ჩვენგან სხვის მიცემა არ იქნებაო.

იოანე: ერთ სამეფოდ რომ ყოფილიყო საქართველო და იმერეთი, ვერც მტერი მოგვერეოდა და ვერც ამგვარი ნივთები დაიკარგებოდა; ნახე, უთანხმოებას რა შეუდგა!

ფალავა: მართალს ბრძანებთ მაგას, ახლა რაღა გაეწყობა! და ამჟამად დედოფლის კაცი ებოძა ბერს და მიიწვიეს საღილად. ხოლო ბერმან დაჭყო მუნ ვიდრე ერთი თვე და მერე დაეთხოვა დედოფალს გურიას წასასვლელად. დედოფალმან კმაყოფილებით გაისტუმრა ბერი; და რაოდენისამე დღისა შემდგომად განემართა გურიის კენაც.

მისრული ბერი გურიას შეიწყნარეს კეთილად; მისცეს საღომი, მიუჩინეს კაცნი; და შემდგომად რაოდენისამე დღისა ინება გურიელმან ბერისა მიღება. ბერი, მისრული გურიელთან, წინ წარდგება და ეტყვის: „შეიდობით სცოცხლობდეთ, მთავარო გურიისაო!“ გურიელმან მაღლობა უბძანა და მოიკითხა. უბძანა დაჯდომა და მოიკითხეს და იმუსაიბეს, და მერე ასაღილეს. შემდგომად რაოდენისამე დღისა ინება გურიელმან წასვლა შევისა ზღვისა სანაპიროთა აღგილთაც და მოსრულთა ხომალდთა გაშინჯვა. ბერსაც აწვია თანა წარსვლად, და განემართნენ ზღვის მხარეს. მისრულთა იხილეს რაოდენნიმე ხომალდნი, და ბერსა დიდად იამა, ვინახოგან ჯერეთ არა ეხილვა ხომალდი. და სთხოვა გურიელს შესვლად მას ხომალდსა შინა და გაშინჯვად, გურიელმანც ინება და აღვიდნენ ხომალდსა მას შინა. ბერმან ყოველივე გაშინჯვა, რაღცა სანახავი იყო მას ხომალდსა შინა, და ესსახედვე ყიბლამა, რომელ არს გზის საპოვნელი ორლანო, და ყიბლამისა მის მაღნინტისა ისარი, რომელიცა ჩრდილოსა და სამხრეთის კერძო სდგების, და მით იმხრობენ ზღვაში მეხომალდენი გზათა და აღგილთა ქვეყანისათა.

გურიელმან ბერსა ჰკითხა და განუმარტა ყოველივე. შემდგომად ჰკითხა ბერსა: მიბძანეთ თვისებაცა მაღნინტისა, თუ ვითარითა სახითა მიიჩიდავს რკინასა, და ანუ თვით ვითარი ნივთი არს?

[ბაასი მაღნინტისათვის].

გურიელმან დიაღ მოიწონა ბერისაგან მაღნინტის განმარტება და მერე მის ხომალდისა ჰატრონსა შეევაჭრა ცხენსა გურიელი სასყიდლად. და ხომალდისა ჰატრონმან შთასო ყაფაზასა შინა და აღმოიყვანეს აღვილად ესრეთ, რომელ ორთა

უკვე კაცთა დასწიეს თოქსა ჭახრაკსა შინა გაყრილსა და აღმოზიდეს და აღმოიჯვანეს ყაფაზითა რკინისაეთა ცხენი იგი. ბერმან სთქვა: „აპა, მეხანიკოსობა, რომელიც ძნელთა საქმელ-თა საქმეთა აღვილად აწარმოებენ მეხანიკოსნი!“ მაშინ გურიელი: მამაო თოანე, მიბძანეთ თუ რა არს მეხანიკა?

[საუბარი მეხანიკისა და ნავიგაციისაოვის].

გურიელმან მაღლობა უბძანა ბერსა და უთხრა: „დიდ კარგად განმიმარტეთ, მე კვლავაც მინდოდა ამა ხომალდთა გამოწვლილებით ცოდნა, მაგრამ ვერვინ განმიმარტა თქვენსავით. და ეს ხომალდნი ხომ სავაჭრო არიან?“

იოანე: დიახ, ამგვართა ხომალდთა სავაჭრო ხომალდი ეწოდება; და თქვენც უნდა იყვნეთ მოსურნე, რათა გაქვნდეთ სწავლა ქომერციისა, რომ მით განამდიდროთ ერნი თქვენნი.

გურიელი: რა არს კომერცია?

იოანე: კომერცია ანუ მოფარდულობა, გინა ვაჭრობა; არს ხელოვნება საწარმოებელად ვაჭრობისა და ვაჭრობასა შინა სახმართა უკვე ნივთებთა განცვლად ერთი მეორესა ზედა, სყიდვად და განსყიდვად საქონელთა განზრახვითა მით, რათა მით მოიგოს ანუ შეიძინოს უმეტესი ფასი.

გურიელი: დიდი ხანია ამა ხელოვნებისა დაწყება საზოგადოდ ერთა შორის?

იოანე: ესე ფრიად დასარწმუნებელია, რომელ იგი ესოდენ ძეველია, რაოდენცა ჰგიეს სოფელი ესე, რამეთუ პირველ დაწყებიდანვე კაცთა მდგომარეობდა იგი ურთიერთისადმი გაცვლათა ნივთთა სახმართა, ვის რაც უხმდათ დროსა საჭიროებისასა საცხოვრებლად თვისისა, რომელ დღესეცა არს და არიან ესევითარნი, მცხოვრებნი; რომელ დღესაც წარმოებს ლაპლანდისა და ციბირსა შინა, და ესსახედვე შორის მრავალთა ერთა აზისა და აფრიკისათა და ერთა ამერიკისათა, რომელთა შორის არს ესგვარდ გაცვლა და გამოცვლილება ნივთთა ურთიერთისადმი და სხვათამცა ერთადმი.

გურიელი: მონეთი ანუ თეთრი იყოა ესრეთ საჭირო პირველ, ვითარცა აშ არს ხმარება მისი, და ანუ ხმარობდენ ძველთა დროთა შინა მცხოვრებნი უკვე კაცნი?

ი ოანე: პირველ და ძველთა დროთა შინა არცაღა თუ უწყოდენ, თუ რახ იყო მონეთი ანუ თეთრი, არამედ შემდგომად მოპოებულ იქმნა ხმარებისათვის კომერციასა შინა.

გურიელი: და ოდეს მოიპოეს ხმარება თეთრისა, ვითარნი უკვე გვარნი იყვნენ მონეთის ძველთა დროთა შინა?

ი ოანე: პირველ ხმარობდენ სხვადასხვაგვართა თეთრთა, ესე იგი, უწინარეს ტყავისაგან ქმნილსა, მერემეთ ნაჭერ-ნა-ჭერსა აქროსასა წონით და ესსახედვე ვერცხლსა და სპილენძსა და თითბერთაცა შსახურებად ნაცვლად თეთრისა. ხოლო უკანასკნელ იწყეს სიქისა ანუ ბეჭდისა დაკერა მონეთსა ზედა ანუ თეთრსა ზედა, მიმცემელნი მისნი სდებენ ფასსა და წონასა ამა თეთრთა ზედა.

გურიელი: რომელნი გვარნი უკვე ერთნი უფრო განათლებულნი შეიქმნენ ამა კომერციათა?

ი ღანე: პირველ ფინიკელნი, მერეთ ეგვიპტელნი, კართაგენელნი, ათინელნი, როდოსელნი, რომაელნი, ლალლნი, და მერეთ ფრანცუუნი და ფლამმანდელნი. ხოლო ახალთა და ჩენთა დროთა შინა ინგლისელნი, ლოლანდიელნი, ვენეციანნი, ლენუეზნი და სხვანი უკვე ესეგვარნი ერნი, რომელნიცა აწ განერთვიან და უწყიან სხვათა ყოველთა ზედა კომერციისა ვაჭრობა, ხოლო ამათ ზედაც უმჯობესობენ ლოლანდიელნი ვაჭრობასა შინა.

გურიელი: კომშერციის მოსწავლეს კიდრე რახ თანა აძს ცოდნად და ანუ ვითარსა დროს ვაჭრობად?

ი ოანე: კომერციის მოსწავლეთა უნდა უწყოდენ ორნი უფრო სწავლანი, ესე იგი, არიხმეტიკა და გვარი მწერლობისა, და მეორე—ლეოლრაფია ანუ ქვეყნის აღწერა, თუ რომელს ქვეყანაში რომელი ნივთი გვარობს, და რომელს ქვეყანაში იგი ნივთი უფრორე განისყიდებიან. ევრეთვე თანა აძს, რათა ჰყვანდერ ყოველგან კაცნი და სკნობდენ მუნებურთა მდგომარეობათა, ანუ დაძვირდა რაიმე მას. ქვეყანაში ნივთი, ანუ იაფად არის, ანუ აშლილობა არს. და მიხედვისამებრ მისისა დაიჭიროს თაღარიგი. ხოლო ვაჭრობის დრო უმჯობესია უფრორე ზაფხულით, ვინც ხომალდთ ამუშავებენ, ხოლო ზამ-

თრით--ვინცავინ ანუ ურმით, ანუ აკიდებულის ცხენ-ჯორე-
ბით ვაჭრობენ, იმათ უფრორე ვერ დააბრკოლებსთ.

გურიელი: ცხენის საკიდრით უმჯობესია ვაჭრობა თუ
ხომალდითა!

იოანე: ვსთქვათ, ერთმან ცხენმან აღიკიდოს ორმეოცი
ლიტრა გინა უმეტესი, გარნა სავაჭო ხომალდი ორმოცი ათას
ლიტრსაც წაიღებს, და ოქვენ ითიქრეთ, რომელი უფრო მეტს
გაავაჭრებს. გარნა აზიასა შინა ვინცა ვაჭრობენ, საკიდრის
ცხენ-ჯორებითა და აქლემებითა, მათთაცა ჰყავდ საკმაო
საკიდარი, საქონელთ წარსალებელად, და არიანცა მდიდარნი.
მაგრამ ვინცა ვინ ხომალდით ვაჭრობენ და ზღვისა ნაპირთა
ქალაქებში მიდიან, უფრორე აქვთ სარგებლობა, ესე იგი, რო-
მე ხეებსაც და ქვებსაც წალებულთა გაყიდიან მათ ქვეყნებთა
შინა, ვითარცა სტამბოლს, ანგლიას, პეტერბურლს და სხვათა
ქვეყნებთა შორის. და უფროც არიან ხომალდთა პატრონნი
მდიდარნი.

გურიელი: კაცთა კეთილშობილთათვს ეყვის კომერციია
ხელოვნებისა სწავლა ანუ ვაჭრობა, უკეთუ არა, მითხარ მე?

იოანე: აზიურთ თუ მიგხედავთ, დასამდაბლებელ და შეუ-
რაცხ-საყოფელია კეთილშობილთათვის ვაჭრობა, ხოლო ევრო-
პიელთაებრ უკეთუ მიგხედავთ, მუნცა მცირედ სირცევილად უჩნთ
განრთვა ვაჭრობასა შინა. გარნა ანლიასა შინა არა არს სირც-
ხვილი და არცა დასამდაბლებელი განრთვა ვაჭრობასა შინა.
და აქვთ ესე ჩვეულებადცა, რომელ კეთილშობილნი უფროსნი
ძმები შევჭრენ ქვეყნისა სამსახურსა შინა სამხედროთა საქმეთა
და სამოქალაქოთა შინა, ხოლო უმცროსნი ძმანი იშევებენ ვაჭ-
რობასა. და აშ თითქმის ესსახედ არს საფრანგეთსა შინაცა,
რომელ აოცალათუ შეურაცხჲოფენ თვით ჩინებულთა კაცთა-
ცა განრთვად ვრცელ კომერციასა შინა, რომელნიც არიან
სხვადასხვა ხატითა ვაჭრობისათა.

გურიელი: კეთილშობილთ ვაჭრობა რაფარ ეკადრებათ!
ბარე რომ ვივაჭრო, გინდ მოუკლავარ ვისმე და ან გავაყიდ-
ვინო რამე!

იოანე: ბატონო გურიელო, კიდეც ამისთვის არიან ჩვენნი
ხალხნი მდიდარნი, რომ ამ გვარებს თაკილობენ. აჸა, მიხედეთ,

ათასი ცხენი რომ გყვანდესთ ჯოგისა, ერთს კვიცს ვერ გაჰყი-
დით და არც იცით, ვინ წაიყვანს. ესრეთვე ცხვრისა არვე
რომ გყვანდეთ, ვერ გაჰყიდით და ვერცა ძროხათა, და არცა
პურსა და ღვინოსა და ესე ვითართა. და არცა უწყით, თუ
ვითარ შეიჭმებიან და დაილევიან ღვინოები, ვის როგორ უხმსთ,
ისე მიაქვთ. და ესრეთვე თქვენიცა დიდნი კაცნი შვრებიან.
და ოდეს საჭიროება ითხოვს თეთრსა, რომ გაქვნდეთ, მაშინ
ვერც ცხენს გაჰყიდით, ვერც ძროხასა და სხვათა ნივთთა, არა-
მედ თქვენის ყმის შეილებს კი დაჰყიდით და ბევრნიც გათათ-
რდებიან თქვენის მიზეზით. იფიქრეთ აწ, რომლითა უმჯობეს
იქმნება ვაჭრობა? მაშინ ყოველთა ღალადყვეს: „ჭეშმარიტად
მართალს უბნობს ბერი ესე.“

გურიელი: სად უფრო პატივცემულია ვაჭრობა?

იოანე: რესპუბლიკათა შინა ჩევულებისამებრ უფრორე
პატივ იცემებიან ვაჭარნი, ხოლო იტალიასა შინა არიან ესევი-
თარნი თავადნი, რომელნიც არ ირცხენიან გაქირევებად სახ-
ლებთა და სასახლეთა თვისთა, დუქნებთა და ადგილებთა.
ესსახედვე რუსეთსა შინაცა და სხვათა ადგილთა. აგრეთვე
აზიისა კიდეთა შორის. აფრიკისასა არიან მეფენი, რომელნიც
აწარმოებენ ვაჭრობასა თვით ევროპიულთა თანა.

გურიელი: ვითარი უნდა იყოს გამოცდილი და კარგი
მცოდინარე ვაჭარი?

იოანე: თუმცა მრავალგვართა სწავლათა და გამოცდილე-
ბათა შინა უნდა იყოს აღზრდილი ვაჭარი, გარნა ესე მაინც
უნდა უწყოდეს ზედმიწევნით — არიხმეტიკისა, ხმარებისათვის
თვისთა ანგარიშისა, ესთავე სწავლა ღეოლრაფიისა, ვითა ზე-
მორე მოგახსენეთ; ამასთან ცოდნა თამასუქთა წერილების და-
წერისა, კურცი ანუ სართაფი თეთრისა, ვითარ მოიკლო ანუ
ვით მოიმატა ვერცხლმან და ოქროს ფულმან; ესრეთვე სასა-
მართლოთა საქმეებთა, რათა უამსა შემთხვევისასა რიგიან შე-
ვიდეს სამართალში და რიგიან გარდაწყვიტოს თავისი საქმე.
ამასთანავე საჭირო არს, რათა უწყოდეს სხვადასხვაგვარნი
ენები და უბნობანი, ესე იგი — აზიური, ფრანციული, ანდლი-
ური, ნემეცური, იტალიანური, იშპანური და სხვანი, და თა-
ვისი საკუთარი ენაცა ზედმიწევნით. და ეგრეთვე მუნებური.

ენა და წიგნი უფროორე, სადა თუ რომელსა კვეყანასა შინა
დააფუძნა მან თვისი კომერცია, ესე იგი, ვაჭრობა თვისი. ეს-
თავე სათანადო არს მისა სწავლილ მუნებურთა სჯულთა და
ჩვეულებათა, სადაც დამკვიდრდა იგი, და სწავლა უცხოთა
მხარეთა ჩვეულებისაცა და მარტო არა მინდობად თვისთა მა-
მულთა ჩვეულებათა. ესსახედვე რაიცა არწმუნონ მას მუნე-
ბურთა, თანამდებარს მისა, მსწრაფლ აღასრულებად და ბძა-
ნებათა მორჩილ ყოფად, ვითარნიცა. იქმნებიან მისდა მიცე-
მულნი. უნდა იყოს მართალ და ჭეშმარიტ ყოველთა ვაჭრო-
ბითთა საქმეთა შინა თვისთა, ნანდვილ ზლვევასა შინა, ზო-
მიერ წინასწარ-მიღებათა შინა თვისთა, მოკლედ მოუბარ სიტყ-
ვათა შინა, მარტივ და ცხად წერილთა შინა. და რაიცა აიღო,
დაჟკლებლად მიმზლვევ ფასისა, არა დამმალველ საბაჟოთა-
მისაცემლთა თეთრთა, ვითარცა დროსა შემოტანისა, ეგრეთვე
გატანისასა საქონელთა თუ თეთრთა. არა იყოს ანგაარ, არცა
გამბნეველ ცუდთა საქმეთა ზედა, არა მემთვრალე და არა
მეშულლარ, რომელნიც დაკლებულ ჰყოფენ მოგებათავან.

უკეთუ იხმევს ესგვარსა ვაჭრობასა, რომელნიც განვაჭრები-
სა ანუ მოვაჭრებისა დროსა მოიგებდეს ათი თორმეტად; უკე-
თუ დასჯერდა ამას, უფროორე შეირაცხების პატიოსნად. გასე-
ხებასა შინა თეთრისასა, არა მისცეს სარგებელზედ ძვირად,
არამედ ჩვეულებითისა სახითა.. ესესახედვე თვისნი ხელ-
ქვეითნი ჰყეანდენ დაკრძალულ ყოვლითურთ პატიოსნებისა
ყოფა-ქცევითა, და განვაჭრებასა შინა იქცეოდნენ ჭეშმარი-
ტებით.

რა უკუნიქცნენ სახლად თვისა, ბერმან დაჟყო მუნ რაო-
დენიმე დღე და მერეთ დაეთხოვა გურიელს. გურიელმან და-
ასაჩუქრა და ხვალისა-დღე წარმოვიდა მადლობელი. და მუ-
ნებური თავადი ნაკაშიძე თანა წარმოჰყვა ბერსა მას. გარნა
უსწრო მათ სიღამემან და დასდგნენ საჯავახოსა გარდმოსა-
ვალსა მთასა ზედა. და მას ღამესა იყო ჰაერი მოწმენდილი-
და დილასა ოდენ გააგდო თრთვილი და ნამი ჩვეულებისამებრ
ჰაერისა, რომელიც მხისა სხივთ შემოღომისა გამო ბზინვიდ-
ნენ ცვარნი იგი. და გულსმოდგინედ სჭვრეტდა ნაკაშიძე ნამ-
სა მას. მაშინ ბერმან ჰრეგვა: „რასა სჭვრეტო, უფალო ნაკა-

შიძე?“ ხოლო მან ჰრქვა ბერსა: „მსურდა თქვენთვის შეკითხა, თუ ვითარითა სახითა ცვარნი ესე იშობებიან; და ან მომეცით მიზეზი კითხვისა, რომელსაცა ვსჭვრეტ მე ნამთა ამათ“.

იოანე: მიძძანეთ, თუ ვითარ გსურთ ცნობა მაგისი!

ნაკაშიძე: რადა გამო და ანუ ვითარ იშობებიან ცვარნი ანუ თრთვილნი ქვეყანასა ზედა?

[საუბარი ცვართათვის, თრთვილთა, ნამთა და თოვლისათვის].

ნაკაშიძე: „ნეტარ შენ ყოფილიყავ ჩვენი ჯუმათელი, ბევრს რასმეს გვასწავლიდით!“ და ამა უბნობით გაიყარნენ. ნაკაშიძე მივიდა საჯავახოს, ხოლო ბერი წამოვიდა საერის-თაოს ვაკისა სოფლებისაკენ.

ბერი მოვიდა საშუალება რაჭის ერისთვისასა ზეინდარს. და იხილა მუნ მსახურ-აზნაური. მაშინ

ზურაბაშ სთქვა: „აქ დავსდგეთ ამაღამ, მამაო იოანე“.

ბერი: ვისი არს სასახლე ესე?

ზურაბა: ანტონის ერისთვისა.

იოანე: მაშა, მივედ, გამოუცხადე ლოცვა-კურთხევა და ჩვენ მაგიერ სთხოვე სადგომიცა.

რა ზურაბ მივიდა, ერისთავის აცნობა ბერისა მისვლა და სახლისა თხოვნა, მან მაშინვე ინება და მიიწვია ბერი თვის-თან. მისრული მათდა იოანე ეტყვის ერისთავს: „მშვიდობა შენდა, სარდალ-ერისთავო!“. ერისთავი ეტყვის მადლობას, მოიკითხამს და შეიწვევს საკუთარსა სახლსა შინა და გამოს-ცნობს ვითარებასა ბერისა მოგზაურობისასა.

ამა ეამსა შინა ერთი მსახურთაგანი ხელმოკიდებით შემოიყ-ვანს მეთოდი ერისთვის შვილსა, რომელიც იყო ორისავე თვა-ლითა ბრმა, გარნა გონებით ლრმა და მუნებურისა ზნეობითა სრული. ბერმან იკითხა, თუ ვინ არს იგი, და მაშინ უთხრეს: მეთოდი დივანბეგი არსო. მსმენელი ამისი აღდგა იოანე და სიყვარულით მოიკითხა მეთოდი, რადგან ადრიდგანვე იცნობ-და საქართველოსა შინა. მეთოდიმაც რა გამოსცნო ბერისა მუნ ყოფა, სიყვარულით მოიკითხა და შეიტკბო დიდად, და ჰრქვა ბერსა:

„მე თუმცა ხმაი შენი-მესმის, გარნა ვსწუხვარ, რომელ ვერა, გჰევრეტ თვალით“.

ბერი: გონებით ჭვრეტა უმეტესია, ვიდრე თვალითა.
მეთოდი: ეგ ჭეშმარიტია, მაგრამ გონებაც რომ ჰქონდეს
და სახედველიცა, ეს უმჯობეს იქმნების.

იოანე: სოფელსა შინა ყოველი საქმე შემთხვევითია და
ამისთანა დროს მოთმინება უნდა აქვნდეს კაცსა.

მეთოდი: მეტი რა გაეწყობა, დამერტმუნე საქართველოს
მეფის ირაკლის და გიორგესაგან და სხვათა მეფის ძებთაგან
შეტკბობისა და ალერსობის გამო აღარც კი მახსოვდა ჩემი
სიბრძე.

იოანე: ნახეთ, თუ ვითარ ნუგეშსა ჰცემს ღმერთი მწუხა-
რებასა შინა მყოფსა კაცთა.—მაშინ

ანტონი: მიბძანე, ბერო, თუ რახსა მიზეზისათვის ვერღა-
დაინახვენ თვალდამდგარნი კაცნი?—ამ უამაღ

ზურაბა: ბატონო ერისთავო, რა დიდი განმარტება უნ-
და, თვალის კაკლები რომ დაუშრტება კაცსა, რაღას დაინა-
ხავს.

ანტონი: შე გიუო, ეგ კი ვიცი, მაგრამ თუ ვითარისა სა-
ხითა ხედავს თვალი ჩვენი და ანუ რახსა მიზეზით მოგვაკლ-
დება ხედვად, ის მსურს ვისწაო.—მაშინ

იოანე: მაგ ხელოვნების მოსწავლემ უნდა ისწაოს ოპტიკა.

[საუბარი ოპტიკისათვის].

შემდგომად ამისა მოიღეს სანოვაგე და, რა ხელპყვეს, მე-
რეთ, ვითა ჩვეულება არს იმერთა, იწყეს გალობა, დია სასია-
მოვნოდ სასმენი, და ოდეს სრულ ყვეს,

იოანე მ ჰრქვა მეთოდის: „ტეშმარიტად იმერული გალობა
დია სასიამოვნო ხმა არს და კარგად შეწყობილი, რომელ
საკრავსა მიემსგავსების“.

მეთოდი: მართალს ანბობთ, ქართულ გალობაზედ იმერუ-
ლი გალობა უკეთ არის შეწყობილი, და თქვენ რომელი
გისწავლიათ?

იოანე: მე ქართულის კილოთი.

მეთოდი: იცით გვარნი გალობისანი, თუ ვითარ არის შემ-
დგარი?

იოანე: ვიცი, რაოდენ შესაძლო არს.

მეთოდი: მიბძანეთ, რომ აღვიხსენო ისევ, თუმცა ყმაწვილობას მისწავლია, მაგრამ არღა მახსოვეს ნათლად.

ითანე: როგორ გნებავთ რომ მოვახსენოთ?

მეთოდი: თუ რაც არს გალობა, ანუ ვითარ სახელიდების და ანუ რაოდენად განიყოფებიან?

ითანე: გალობა არს ხმად ანგელოსთალში შემსგავსებული, რომელნიცა წინაშე საყდართა ლვთაებისათა გალობენ: „წმიდაო, წმიდაო, წმიდაო უფალო საბაოთ“; და ამისთვის გალობა თუარ საღმრთოთა ზედა, სხვებ არა მოიღების. ხოლო გალობა სახელ-იდების ეკლესიურსა შსახურებასა შინა მოღებული საღმრთოთა წერილებთაგან სტიხად, პოემად, ანუ წარსაკითხველად ცისკართა ზედა კანონისამებრ, რომელნიცა არიან რიცხვით ცხრანი...

მეთოდი: რაოდენ გვარობს გალობისა ხმა?

ითანე: ყოველს ქვეყანაში, ესე იგი, საბერძნეთს, ევროპის, არაბიას და სხვათა შორის არს რვა ხმად განყოფილი გალობა, და ამ სახით ჩერებიაც; რომელ ამაზედ მეტი შეუძლებელ არს, ამისთვის, რომელ საკრავთა ფარდებიც რვანი არიან, რომელიცა თვითეული მათგანი ჟამსა დაკვრისისა გამოსცემენ სხვადასხვა სახედ ხმათა. ხოლო კანკლები, რომელ არს შინ-ფარდათ წოდებული, იგი მცირედ უკვე განესხვავების კილოს მშვენიერებისათვის; და რაგვარათაც საკრავსა შინა იხმარება, ესსახედვე გალობასა შინაცა. და ესეც წარმოებს ისევ რვა ხმათაგან.

მეთოდი: საცისკრო უკუკ სძლის-პირი რაოდენ ხმად არს განწვალებულ, ანუ რაოდენის გვარად არს შემდგარი?

ითანე: საცისკრო სძლის-პირი არს რვა ხმა, და არიან სრულიად რვა ხმა საცისკრო სძლის-პირნი ხუთასი სხვადა-სხვა ხმად წარმომდგარი¹.

მეთოდი: სამწუხრო სძლის-პირნი რაოდენი არიან?

ითანე: ესენიც არიან რვა ხმა, ხოლო სძლის-პირნი სამწუხრონი არიან ყოველნივე სამეოც-სამეოც.²

¹ ესენი იბილ. ზელნაშ. Q 298, ფ. 9—79. რედაქ.

² იქვე, ფ. 82—9. რედაქ.

მეთოდი: კვირა-ძლის დასდებელონი რაოდენი არიან და ანუ «უფალო ლალად-ვყავისნი»?

იოანე: არიან რვა ხმა კვირა-ძლის დასდებელნი და რვა ხმა «უფალო ლალად-ვყავისნი» და რვა ხმა «დიდება აწ და მარალისნი».

მეთოდი: სხვანი ყოველნი საუფლონი დღესასწაულნი ვითარითა ხმითა იგალობებიან?

იოანე: ამა რვათა ხმათა დასდებელთა და რვას ხმას საშტუხროს სძლის-პირზედ ითქმიან და იგალობებიან ყოველთა საუფლოთა დღესასწაულებთა დასდებელნი, და ეგრეთვე ზემორეხსენებულისა რვა ხმის საცისკროს სძლის-პირთაგან ჰქონან ყოველთა დღეთა და დღესასწაულთა საგალობელნი და სძლის-პირნი განყოფით. ხოლო რვა ხმა იგი «დიდება აწ და მარადისი» იხმარებიან ყოველთა გალობათა შინა თვე-თვესა უკუე დროსა და მათ საცისკროს სძლის-პირზედ ითქმიან საგალობელნი საუფლოთა დღეთანი, და ეგრეთვე მწუხრისა და ცისკრისა, ვითარცა ვნებათ კვირისა, ანდრიას. საგალობელნი და რვა-ხმოვანი ღვთისმშობლის მიცვალებისა, ფერისცვალებისა და იოანე ნათლისმცემელის თავისკვეთისა.

მეთოდი: რვა ხმა სძლის-პირნი თვითეული უკვე მათგანი ისევ ერთ ხმად ითქმიან თუ სხვადასხვად?

იოანე: რვა ხმა საცისკრო სძლის-პირნი პირველის ხმიდამ ვიღრე დასასრულამდე არიან სხვადასხვა კილოდ სათქმელნი, გარჩა პირველისა ხმისა სძლის-პირსა ჰქონან ყოველთავე დაბოლოვება ანუ დასრულება ერთგვარსა კილოსა ზედა, და ვითარ ამას, ეგრეთვე სხვათა ხმათა სძლის-პირთა ჰქონან პირველთა სძლის-პირთა მსგავსად დაბოლოება ანუ დასრულება ქილოთა.

მეთოდი: ვითარი სხვაობა აქვს რვა ხმასა დასდებელთა და ანუ ვით განიწვალებიან?

იოანე: რვა ხმა დასდებელნი არიან სხვადასხვა ხმანი, არა-მედ ყოველნივე ხმანი არიან თვისითა მუხლებითა ერთიმეორისა მსგავსნი, რამეთუ პირველის ხმის მუხლი არიან ერთ ხმად და ესსახედვე მეორისა, მესამისა და სხვათა. და ვითარცა ესე რვა ხმანი დასდებელნი განიყოფებიან სხვადასხვა ხმად,

ეგრეთვე რვა ხმანი «აღსავალნი» არიან სხვადასხვა ხმანი. არამედ თვითეულს ხმასა აქუნ თვე-თვესნი საკუთარნი «აღსავალნი» და ესე ყოველნი საკუთართა ხმათა შორის თვისთა ყოველით მუხლებითურთ თვისით არიან ერთიმეორის მსგავსნი. ეგრეთვე მათ რვათა უკვე დასდებელისა ხმათა ჰქონან «ლმერთი უფალი», ტროპარნი, წარდგომანი და იამბიკონი, და ესენიცა არიან სხვადასხვა ხმად განყოფილნი და ამა რვა ხმასა ტროპართა ზედა ითქმიან ყოველთა დღეთა და დღესასწაულთა გალობანი. ეგრეთვე ითქმიან ტროპარნი, წარდგომანი სამწუხაროს სძლის-პირთაცა ზედა და სხვათა დღესასწაულთა წარდგომანი, და ეგრეთვე რვა ხმათა იბაკოთა ზედაცა, მაგალითად: «სიკუდილი რომელი» და სხვანი იბაკონი. და ესეცა იმცენ, რომელ სამწუხროთა შინა არიან «ნათელი ნათლისაგან», «ედემი» და ეგრეთვე დიდის პარასკევის იბაკოცა; «რომელი ჩუენთვე ჯუარს ეცუა». და არიან რვა ხმანი «უფალო ღალად ვყავისნი» სხვადასხვა ხმად სათქმელნი, და ესე უფრო ძნელსათქმელი არს, ამისთვის რომელ უკეთუ არა არიან ამას შინა დახელოვნებულ მგალობელნი, ვერ ძალედებათ სწორედ გალობად, რათა ერთიმეორესა ხმასა ზედა არა მესცვალონ.

მეთოდი: ჭრელებს, რომელიც უფრო მძიმედ სათქმელ არიან, რაოდენ გვარი ჰქონან კილონი?

იოანე: ყოველთა ჭრელთა გვარნი უკვე არიან ოცდაოთხნი კილონი, რომელთაცა სახეები არიან შემდგომნი ესე: 1) ხელ-მწიფე კილო, 2) ბოხუმი, 3) საჭეჭენი, 4) სამი საბრუნავი, 5) მცირე საბრუნავი, 6) უცხო, 7) წინა თქმა, 8) დიდი წინათქმა, 9) ასტაური, 10) ოინი, 11) მცირე ოინი, 12) ყოვლად წმინდის კილო, 13) ასამალლებელი, 14) დიდი ასამალლებელი, 15) ნოინი, 16) დაბანება, 17) ჩაბანება, 18) ჩაუანგული, 19) შეყრილი, 20) მრავალგვარი, 21) ამონი, 22) ახაია, 23) ოდია, 24) დასდებლის კილო. და ესე ოცდაოთხნი კილონი შემოიცვენ ყოველთა ჭრელთა და ამათნი კილონი მიმოვლენ ურთიერთისადმი და იქანკლედებიან. ხოლო ესე ჭრელნი უკვე არიან წყნარად სათქმელნი და ტკბილად სასმენელნი. და ამა ჭრელებთა შორის არს „ალილო არნიკო“ უჰირველესი სათქმელი, რომელიც ითქმის ბოხუმად, და ესე არს თვითხელმწიფე

კილო, და მერე დაბოლოვდების ალილუიაზედ. და სრული-
ად „ალილო არნიკი“ არს. ექვსის გამოცვლილის კილოთი შემ-
დგარი, გინა შეიღით, გარნა რვა კილოდ სათქმელი, და მხო-
ლოდ არს ალილუია ჭრელად. ესსახედვე სხვანი უკვე ჭრელნი-
არიან თვითო ლექსად, ორად, ანუ სამად ლექსად შემდგარ-
ნი, გარნა თქმასა შინა და გალობასა ფრიად განგრძელდები-
ან, ვითარცა „გინატრისი“, „დიდი ამინი“, „იხარებს სული
შენი“ და სხვანი მსგავსნი ამისნი.

ესრეთვე ჭრელის გვარნი არიან თვით წირვასა ზედა გალო-
ბანი, ესე იგი, „რომელი ხერუვიმთა“, „და ვითარცა“, „გა-
ნიცადე“ მეორე კილო და სხვანი. ეგრეთვე არიან სძლის-
პირნი საცისკროთა და სამწუხროთა და სერობის გალობათა
შინა, რომელნიცა მსგავსებენ ჭრელთა, რომელ არიან „შეძრ-
წუნდა უბიწოსაგან სიტყვა მძლავრისა“, „ნუ მტირ მე, დე-
დაო“ და სხვანი მსგავსნი ამათნი.

მეთოდი: რაოდენ ხმად ითქმის და შეწყობილია ქარ-
თული უკვე გალობა?

ი ოანე: მგალობელნი უნდა იყვნენ ექვსნი და შეწყონ
ესსახედ; რომელთაცა უწოდებთ: თქმა, მაღალი ბანი და ზი-
ლი, ბანი, დაბალი ბანი ანუ შემდეგი, და დვრინი: ანუ მოძა-
ხილი.

და ესე ექვსი შეთანხმებული ხმა მაშინ უფრორე იხმარება,
ოდესაც ითქმის „დიდება მაღალიანი“ დღესასწაულებში გა-
ლობით და მსგავსნი ამისნი, ხოლო სხვათა გალობათა შინა
კმა არს: მთქმელი, მაღალი ბანი ანუ მომძახნელი, და ბანი
ჯნუ მობანე. ზოლო უკეთუ ამა სამთა მგალობელთაგანი აკლიან
რომელნიმე, ზაშინ არღა იქნების სასიამოვნოდ სასმენლად ქარ-
თული უკვე გალობა და არცა ლილინი.

მეთოდი: ვინ შემოილო ქართული უკვე გალობა?

ი ოანე: ძველად ქართველნი გალობდენ ბერძულის ზმითა
და მერე ქართული უკვე გალობა გააკეთა წმინდამ გიორგი
მთაწმიდელმან ქართველმან, რომელიც იყო ბერძულსა და
ქართულსა ენასა ზედა მეცნიერ და გალობათა და საკრავთა
შინაცა გამოცდილ. და მერე უფრორე განაშვენეს იმერთა და
მეტადრე გურიაში, ვითა აწ არსცა. და ესე კმა იყავნ.

მეთოდი: მიბძანეთ ესეც, ლუკაონებრი უკვე გალობა ვითარდა იწოდება?

ითანე: ლუკაონი არს სახელი ქვეყანისა. და ოდეს პავლე მოციქულმან განკურნა მკელობელი ორისავ ფერხითა, მაშინ უგალობეს ერთა მუნებურთა ხმითა ლუკაონებრითა და იტყოდეს: „ღმერთი მსგავსებულ არიან კაცთა და გარდამოსრულ არიან ჩვენდა“. და ხადოდეს ბარნაბას დიოს კერპით და პავლეს ერმით და სხვანი. გარნა ესე ლუკაონებრი გალობა იყო მათ ერთა შორის საგალობელი კერპებთადმი, სამხიარულო ხმა, რომელიც ფერხულის სახედ მუნებურნი ერნი ერთი მეორეს გარდაებმოდენ და გარემო კერპებთა მათ ბომბებისა იქცეოდნენ ამა ხმისა ლალადებითა. ხოლო ეკკლესიურის განმარტებით ითქმის „ლიკ“ ბერძულებ, რომელიც ნიშნავს ეკკლესიათა შინა ორ ხოროდ მწყობრად მგალობელთა, რომელნიც კანანახისა დაძახითა იგალობებენ ორპირად. და ესრეთვე ჯვარის დაწერის დროს რომ ცოლ-ქმართ შემოატარებენ. ჯვარისა და სახარებისა გარეშემო, და ეგრეთვე უამსა ყრმისა მონათვლისასა, ოდეს შემოუვლიან მღვდელი და ამქმელი. და ესთავე ოდეს ანუ მღვდელს და დიაკვანს აკურთხებენ და გარშემო ტრაპეზისა შემოატარებენ, ამა ყოველთა უამსა გალობისასა ეწოდების „ლიკ“, რომელიც ნიშნავს სამხიარულოს ხმასა. და სხვებცა, ოდეს ისრაელი განვიდნენ ზღვასა მეწამულსა და დაანთქა ფარაო მხედრობითურთ ზღვასა, მაშინ ისრაელთ ერთა იღალადეს ლიკაონებრი ხმად, რომელიც ნიშნავს დას-დასად მხიარულებისა და მადლობისა ხმასა ანუ გალობასა.

შემდგომად ამისა დასრულდა ვახშამი. ბერმან განისვენა სადგურსა თვისსა. და მერე ორისა დღისა შემდგომად გამოეთხოვა ერისთავს და მადლობელი განემართა ვარციხისაკენ (რომელსა ძველად ეწოდა ვარდის-ციხე სიმრავლისა გამო ვარდისა).

რა ბერი მივიღა ვარციხეს, სალთხუცესსა აცნობეს მოსვლა მისი. მან მისცა სადგური და ვახშამ მიიწვია თვისთან. ვახშმისა დროსა რა მივიღა ბერი და იხილა სალთხუცესი,

ბერმან რქვა: „მშვიდობა შენდა, სარდალ-სალთხუცეს-
მოურაო!“

სალთხუცესი: და სულისაცა შენისათანა, კარის წინამძ-
ღვარო!

იოანე: არა უფალო, ჯერ არცყი ვარ ნაკურთხი მღვდელ-
მონოზნად!

და მერეთ ეანბორნენ ერთმანერთს და მოიკითხა ბერი, და
დასვა მახლობლად თვისა, და გამოჰქითხა მგზავრობისა მი-
ზეზნი. და ყოველივე ცხად უყო ბერმან.

ეამსა ამას შემოვიდნენ ორნი ჭაბუკი კაცნი, კარგად მორ-
თულნი, და უსალამეს წერეთელს. წერეთელმან მიიწვია თვის-
თან, ხოლო ბერმან იკითხა ვინაობა მათი. წერეთელმან აც-
ნობა, რომელ ესე არს ძმის-წული ჩემი, ქაიხოსრო; ხოლო
მეორესა—ესე არს ძე ჩემი, სვიმონ. ბერმან მოიკითხა მშვი-
დობით და მერმე რქვა ბერმან წერეთელს: „არა, ამათ უნდა
ეწოდებოდეს სხვანი სახელნი, ვინაიდგან ღირსნი არიან“.

წერეთელი: რომელნი?

იოანე: სემ და იაფეთ.

წერეთელი: მე ნოე არ მეწოდება სახელად, რომ ეგ და-
მერქმევინა, ეგ სახელნი.

იოანე: ამისთვის მოგახსენე, რომ ამათაც დაჭვარეს შიშ-
ლოება მოხუცებულისა.

წერეთელი: მე არ დამთვრალვარ.

იოანე: სიმთვრალე მხოლოდ ღვინით დამთვრალს არ მიე-
წერება, სხვა მნიშვნელობაცა აქვს.

წერეთელი: ვითარ?

იოანე: არაყიც დაათრობს, ღვინოც, ბანგიცა, ბეუშტრო-
ცა, ლუდი, პალბოზა, ახტაშირა და ბურახიცა და მსგავსნი
ამისნი.

წერეთელი: არ მახსოვს, რომ ეგენი შემესხს.

იოანე: გარდა ამათსა სხვაცა არს დამთრობელი უკვე
ნივთნი,

წერეთელი: მითხარ მე.

იოანე: ოქრო, ვერცხლი, მოოჭვილნი ნივთნი, ნიშანნი და
სახელონაცა.

წერეთ ელი რაც განყოფილება აქვს ღვინით დამთვრალ-
სა და მაგა ნივთებითა დამთვრალსა?

იოანე: ესე რომელ, ღვინით დამთვრალი მალე გამოიფ-
ხიზლებს, ვინაიდგან ღვინისა თვისება წინააღუდგება გრძნო-
ბათა ჩვენთა და დაასუსტებს, და ვერლა მიართმევს რიგიან
ტვინსა საგრძნობელსა მას. მაშინ კაცი იგი როტავს და ბოდავს,
და ვერლა განსჯის ღვინის აღსრულის ორთქლისა გამო სტო-
მაქით, რომელიც შეეხება ტვინისა წვრილთა ნერვებთა; და
ამისთვის დააბნელებს ცნობასა მისსა. გარნა ასეგვარი სიმ-
თვრალე არა გასწევს, ერთისა ანუ ორისა უამისა კიდე, ვინა-
იდგან მალე დაცარიელებულ იქმნებიან ბულნი იგი და მოი-
ნელებს. სტომაქიცა და ისევ ეგება კაცი იგი პირველსავე მდგო-
მარეობასა შინა. გარნა ვერცხლითა და ოქროვთა და გამდიდ-
რებისა გულის-თქმითა დამთვრალი ვერა ოდესოა გამოიფხიზ-
ლებს, და მაშინ დაივიწყებს ყოველსავე. და დაჰკარგავასცა
განსჯასა, მოიძულებს თვისსა უფროსსა და კეთილის-მყოფელ-
საცა, ესთავე თვისსა მშობელსა, ქვეყანასა, და მოყვასთა თვის-
თა; და არლა იზრუნებს, თუ რაც შემთხვევად არს მისა, ანუ
შეზობელთა თვისთა, რომელ გვაქვს ამისთვის მრავალნი უკვი
მაგალითნი.

წერეთ ელი: პირველად მითხარ ვერცხლის-მოყვარები-
სათვის; თუ რაც არს, და ანუ ანგარება, და მერე გითხრა შენ.
ჭეშმარიტი პასუხი ამათთვის.

იოანე: ვერცხლის-მოყვარებაც არს ძირი ყოვლისა ბოროტე-
ბისა და მანქანება ყოვლისა ლონიერებისა, თუ რომელისა ძა-
ლით მოიხვეჭოს იგი. ხოლო ამას შეუდგების ანგარება, შური,
ამპარტავანება, დიდებობა, პატივის-მოყვარება და ოდესმე
მყვლელობაცა. და აქა ქსოვეათ, რომელ ანგარება. საჩინოებს
შრომათა შინა აწყოვესა მღვმარეობისა ჩვენისა და მყობა-
დისა ცხოვრებისათვის. ოდესცა იგი განვეალს საზღვრისგან,
მაშინ დაშრეტს კაცომოყვარებასა და მოყვანებულ ჰყოფს ერ-
თა მოტყუებისა და ბოროტ-მოქმედებისადმი. ვნება ესე და-
მოკიდებულ ამას სჯულსა ზედა თვითდამმარხველობისასა, და
არს არამართლიადი შეთანასწორება სჯულისა მის. ეგრეთვე
არს საფუძველი განზრახვისამებრ განსაღილებლად გარეგანთა

სარგებლობათა და უაღრესობათათვის. განხრახვა და გამო-
ძიებაც მათი ერთა უკვე მცირეთა ანუ დიდთა ზედა უფლებენ
ზომიერებისამებრ ძალითა გარემოებისათა, რომელიც მოზარ-
დობს აზრთა შინა ერთსა გვარობისასა.

მიზეზისამებრ ამისა ანგარებასა აქვს უკვე უდიდესი ხელ-
მწიფებაც.

განხრახვა, რომელსა ზედა იგი დაფუძნებულ იქმნების, არი-
ან ამა გარემოებითა: 1) ზრუნვა თვით-მცველობისათვის თვი-
სისა მშობელობითითა განლვიძებითა, რომელითაც შეგრანებულ
გვყოფს ჩვენ. 2) თანასწორობითსა დროსა შინა წინადვე სამდ.
ლევლოდ განმზადებულ გვყოფს ჩვენ სარგებლობისათვის ჩვენ
მიერ გრძნობილთა საგანთა ზედა, ვინაიდგან იგინი მიზიდულ
ჰყოფენ თვისად ყურადღებასა ჩვენსა: 3) დაუცხრომელობი-
თი მზრუნველობაც მდგომარეობათა და ბედნიერობათათვის
სახმარობს ყოველსა ადგილსა შინა, სადაცა უკვე დადგინებულ
არს საკუთრებაც. 4) სიმდიდრე მიწომილ გვყოფს ჩვენ ყუ-
რათმლებელობისა ლირსეულებისადმი. ამა უკანასკნელისა გან-
დიდებისა გამო სჯული უკვე ამაღლდების სამოქმედოდ სჯულ-
სა ზედა თვით-დამცველობისასა წარმოებისა გამო ერთა შო-
რის ანგარებისაგან. ანგარნი უკვე არიან ორგვარ: ესე იგი,
განმაბნეველნი და ძუნწნი. განმაბნეველნი უკვე იქმნებიან ჩვეუ-
ლებისამებრ თვითმტაცებელ და მყოფი აღტაცებულითა სურ-
ვილითა დატკბობისათა. ხოლო ძუნწნი უკვე იქმნებიან ფრთხილ
და ხელმოჭირებით და აღვირ-ასხმითა მოშიშნი მოუკლებლო-
ბისათვის ნაანგარებულისათვის.

ანგარება და თვით-მოყვარება ხშირადრე იქმნებიან სიტყვა-
თა შინა ერთმნიშვნელნი, გარნა გემოთ-მოყვარება, ამპარტა-
ვანება და ცუდ-მედიდობა არცა მცირედ თავმოყვარე, ანუ
ვსთქვათ უკვე ესროეთ, არცა მცირედ სხვათა კეთილთა მწად-
ნელი, ვითარცა ანგარი.

ხოლო ბონი (sic) ანგარებისა და ჭურცხლის-მოყვარებისა
მდგომარეობს არა ზომასა შინა მზრუნველობისასა, არამედ გა-
ნუსვენებლობასა შინა საკუთარისა. ფიქრისა თვისისა სარგე-
ბლობისა და შეძინებისასა.— მაშინ

ზურაბა: ბატონო წერეთელო, ამ ბერმან ქართლი, კახეთი,

იმერეთი, ოდიში და გურია მთლად ბოირბინა თეთრის შოვნისათვის და რატომ თავისთავს არ ასწავლის, თუ ესდენ ცოდვა არს ვერცხლის მოყვარება?

წერეთ ელი: ეგე სამღვდელოთ ჩვეულება არს, თითონ კი უნდა შეიკრიბონ და მიიხვეჭონ, და ჩვენ კი გვამხილებენ.

იოანე: არა, უფალო ჩემო, ჩვენ მხოლოდ ლოცვით ვთხოვთ მოწყალებას, და ვის როგორ ნებავს, ისე მივიღებთ მათგან მოწყალებასა, მაგრამ მე სხვებ მოგახსენე.

წერეთ ელი: მერწმუნე, მე ყოველსა შინა მართალ და ჭეშ-მარიტ ვარ და, ვითა შენ პგონებ, ესთავე სხვანიცა ხალხნი. მაგრამ ჩვენ საზოგადოდ გვაქვს—ზეშოპირს კი განვიხილავთ ნივთისას და შინაგანის ძალის გამოძიებას კი არ შეუდგებით. და ესრეთვე, რა სიტყვა იძების რამე ესგვარ, მას ერთი-ორად უფრორე მეტს შესძინებენ და სიცრუითაცა აღავსებენ. და მე ამას მხოლოდ გეტყვი, რომ მებატონე კაცს და ყმაწვილს-კაცს რაოდენიმე არიან საქმენი, რომელნიც დაკლებულ ჰყოფენ საქ-მისაგან, ესე იგი: 1) მლიქენელნი კაცნი ოდესაც იპოვნიან თვისთა მებატონეთა თანა საქმეთა და იშოვნიან სასმენლად ყურსა მისსა, მაშინ ყოველსავე ვერაგობასა თვისსა მას ზედან მოიხმარებს და შეაკოტუნებს. თუმცა პგონიეს მისსა მებატონე-სა ანგელოზად, გარნა იგი არს ეშმაკი ანგელოზისა სახედ შეც-ვალებული. და თვით უნდა აქვნდეს მფლობელსა ცნობა თვის-თა მახლობელთა და ქვეშევრდომელთა. 2) ყმაწვილთა კაცთა თანა ვეზირობა და მათგან რჩევისა მიცემა, რომელიც დია სუსტი იქნება და ვერც სარგებლიანი რჩევა. ამისთვის ვინაიდ-გან არა არიან იგინი საქმესა შინა დახელოვნებულნი და არ-ცა უცხოთა ქვეყნებთა მნახვნი, რათა მუნებურნი ზნეობანიცა უწყოდენ, და მალეც მოტყუვდებიან—ანუ ნივთით, ანუ აღთქ-შით, ანუ თვით მიმფერებლობითა და ქების მიწერითა და ცუდ-თა საქმეთა ზედა დამოწმებითა, რომელ ესე ყოველნი მძლე-ველ არიან კაბუკთა კაცთა. 3) სხვის ქვეყნის კაცის შეყვანა სა-მეფოთა საქმეთა შინა და მინდობა თავისისა თვისისისა და საი-დუმლოთა და ნებისამებრ მისისა ქმნა საქმეთა—ესე შინაგანთა ქვეშევრდომილთა დაუწყებს წინააღმდეგობასა. და მაშინ იგი-ნიცა შესცვლიან ჯავრით თვისსა მზრუნველობასა მფლობელი-

საღმი თვისისა. და მაშინ უფრო მეტადრე, ოდესაც ვინმე გქმნების გმოძებულ თვისისა მეფისაგან მამულისა ორგულობისათვის, და ანუ ცუდ-კაცობისათვის და, მიიღებს მას სხვაც თვისა სანდოდ კარისა კაცად. იფიქრე, თუ იგი ვითარ იქმნების მლიქვნელ და დამატებიცებელ ცუდთა განზრახვათა ზე-და მთვარისათა სარგებლობისა და პატივისათვის თავისა თვისისა? 4) თვითრჩულობა და დაუდგრომელობა სიტყვათა ზედა თვისთა მეფისაგან. ხოლო და ესე კმა იყავნ, რომელ ამა ოთხთა ზემოხსენებულთა მიზეზთაგან შემოხდა მეფეთა შორის სიძულვილი, მოყვრებთა შორის მტერობა, ერთგულთა ყმათა შორის შური და შემოხიზულთა კაცთა მკვლელობა, რომელიცა გვაქვს შაგალითად საბუ[თი] ფაშა ახალციხესა, რომელიცა აღთქმითა თეთრისათა შარიფ-ფაშისა მიერ მოაკვლევინეს ზემოხსენებული ფაშა. და ესე იქმნა ესგვართა მრჩეველთაგან ჩვენთვის საკიცხევარი საქმე. და ესეგვარმან უწესობამან და ფიცის-მტეხელობამან შობა განხეთქილება ურთიერთისა შორის. და მე რაოდენ ვეცადე განმართვად ამა უწესოთა საქმებთა, ეგოდენ ალიძრნენ სასიკვდილოჭ ჩემდა. და აწ საჯე შენ, პატიოსანო ბერო!

და ესრეთ დასრულდა უბნობა. მოიღეს ვახშამი; და შემდგომად სრულ-ყოფისა წარვიღნენ თვის-თვისად, ხოლო ხვალისა-დღე ბერი იახლა მეფესა და გამოეთხოვა. მეფემან უბობა საბოძვარი და ბერი განემართა გელათის სანახვად.

რა მიფიდა ბერი გელათსა, აცნობეს გენათელს მისგლა ბერისა. მან უბობა სენაკი. ბერმან გამოიცვალა საგზაო ტანისა-მოსი, იახლა გენათელს და მდაბლად ეამბორა. მან შეიიტკბო კეთილად და უბძანა: „უკეთუ გსურის თაყვანისცემა ეკკლესისა, წარვედ და იხილე!“

ბერი: ერთი ამ ეკლესის თაყვანისცემისათვის და მეორე თქვენთვის გიახელ.

გენათელმა უბძანა დეკანოზს წარყვანება მისი და წარიყვანა ბერი იგი. რა შევიღნენ ეკლესიად, ბერმან თაყვანისცა წმინდათა ხატთა და ბერეთ გაშინჯა შენებულებად ეკქლესიისა მის. სთქვა: „კურთხეულ არს ლმერთი, ვინახდგან ქართველთაც სცოდნიათ ძველად არხიდეკტურობისა ხელოვნებად“. და აკურ-

თხა მეფენი ალმაშენებელნი ამა ეკელესიისანი და განმაახლებელნი მისნი. და მერე აჩვენეს საფლავნი მეფეთანი, და ამასთან თამარ მეფისა, და დავით ალმაშენებლისა, რომელთა საფლავთა ქვათა ზედა იყო წარწერილ ესრედ (თამარ მეფისა):

როს ნაჭარმაგევს მეფენი, შეიღივე პურად დამესხნეს, ყიზილბაშ, ოსმალ, არაბნი, სამხლვართა გარეთ გამესხნეს, ხაზარით თევზნი ბევრ-რიგნი, იმერთა წყალში შთამესხნეს, ამა საქმისა ხელქმნილსა, აშ მკლავნი გულსა დამესხნეს.

(დავით ალმაშენებლისა).

ესე არს გამსასვენებელი ჩემი ამიერიღგან უცუნისამდე.

მერეთ ბერი ემთხვია საფლავსა მას და სთქვა:

„ჰო, საზოგადო მამაო და ქართველთ მხსნელო, ვითარ დაგფარა შენ მიწამან, რომელიცა იყავ წინამეწყვ ქრისტეს წინააღმდეგთა სარკინოზთა და ქვედამცემელ მათი და განმსვენებელი მართმალიდებელთა!“

შემდგომად ამისა იხილა ხატი ხახულისა ლვთის მშობელისა ლუკა მახარობელისაგან გამოწერილი და შემკობილი ძვირფა-სად, რომელსა გვირგვინსა შინა უსხენან თვალნი ყენისაგან შეწირულნი, ოდეს განუჭირდა მხედრობათა მისთა და თვით მას, რათა მშვიდობით განრინებულ იყო. ევეზრა ხატსა მას და თვისისა გვირგვინთაგან აღმოილო სამნი თვალნი ძვირფას-ნი და შესწირა მას, რომელთა სახელები არს ესე: 1) კედელა, 2) ობოლა და 3) შედგა. და ამასთან სხვანიცა მრავალნი ძვირ-ფასნი ხატნი შემკობილნი და ნაწილები, წიგნები საღმრთონი და შესამოსელნი სამლენელონი და მიტრები, რომელთა შორის იყო ძველი სამლენელო ქუდი არონის ქუდის სახედ შეკერილი. და ამას დაუწყო გულსმოდგინედ ბერმან სინჯვაც. ამ-ჟამად შემოვიდა გენათელიცა და რქვა ბერსა მას: „ვითარ მოგწონს ეკლესია ჩვენი?“

ბერი: „ვითარიც ქება მსმენია, იმაზედ გარდამეტებული ყოფილა, ვითარცა შენობით, ეგრეთვე სამკაულითა; და ესეც, რომ ძველი სამლენელო შესამოსელნიც გქონიათ, ესე სულ დიდება არს ამა ეკელესიისა და თქვენიცა, ვინაიდგან კეთილად დაგიცვამთ“

გენა თელი: მართალს ბძანებთ, რომ მრავლის მტრის ხე-

ლისაგან დაიფარა ღმერთმან და ჩვენმან გულსმოდგინებამანცა. და გთხოვ მომიგოთ ყოველივე წვრილად ძველთა სამღვდელოთა საყდრისა და შესამოსელთათვის განმარტებით!

და მერე წამოიყვანა გენათელმან საწოლსა თვისსა. უბძანა დაჯდომა და გამოპერითხა შემდგომითა სახითა ესრეთ: „ვითარ იყო შენებულ კარავი იგი, რომელიცა მოსემან შეუმზადა ისრაელს სალოცველად, და ანუ რაოდენ დიდ იყო და ანუ რაოდენ განყოფილად, და ანუ სამკაულნი მისნი რახსა ნიშნვიდნენ?“

[საუბარი ძველისა კარავისათვის და სამღვდელოთა სამკაულთათვის].

და ესრეთ დასრულდა უბნობა. გენათელმან კარგად განუსვნა ბერსა და მერეთ ბერი გამოეთხოვა და ბედნიერი წამოვიდა მუნით.

და მოიწიგა ბერი ადგილსა მოწამეთასა, სადაც ასვენიან გვამნი წმინდათა მოწამეთა და მთავართა დავით და კონსტანტინესი, რომელნიცა იყვნენ ძმანი. მისრული მათდა ბერი ანბორებითა და კრძალულებით თაყვანის ცემს.

და მერეთ წარმოგალს მუნით და მოვალის სალამო ღროს წირქვალსა სოფელსა შინა, სადაც სცხოვრებდა უკვე დედოფალი იმერთა ანნა. და ამა უამსა შინა ბერმან აახლო ზურაბა, მდაბლად ლოცვაკურთხევით მოსვლად თვისი აცნობა დედოფალს. დედოფალმან რა სცნო იოანე ბერისა მისვლა, უბოძა სადგური და უბრძანა ზურაბას, რათა შემდგომად დასვენებისა იახლოს ბერი იგი. რა იოანე დასადგურდა, მცირესა ხანისა შემდგომად მივიდა იგი დედოფალთან და მდაბლად მთაყვანებელმან მოახსენა: „მშვიდობა თქვენდა, დედოფალთ-დედოფალო!“ და მან უპასუხა: „და სულისაცა შენისათანა, წინამდლვართ-წინამდლვარო.“.

იოანე: უი, ბატონავ, რათ მკიცხავთ?

დედოფალი: და შენ რაღად მომიხსენე: ესრეთ დედოფალთ-დედოფალად?

იოანე: მე ჰეშმარიტებით მოგახსენე, ვინახდგან დადიანისა და გურიელისა მეულლენი დედოფლად იწოდებიან, და რადგან იგინი არიან ხელთა ქვეშე თქვენთა.

დედოფალი: მე სადღა, რადგან აჭმყოსა ღროსა შინა, ვითა მწირი, ესრეთ ვცხოვრობ ამა დაბასა შინა!

იოანე: მაინც თქვენი უკვე ლირსება არ მოგაკლდებათ, სადაც გინდა სცხოვრებდეთ.

დედოფალი: რადგან მეცნიერი ხართ, თქვენ იცით პატივი ჩვენი დასხვათა რომ არ იკიან რა, იმისას რას ბძანებთ?

იოანე: თქვენ უნდა დაითმინოთ, ვინაიდგან ბრძენი ყოველსავე დაითმენს.

დედოფალი: ეს ხომ გსმენია, შენს სულგრძელებას ჩემი დღეგრძელობაც უნდაო.

იოანე: მართალ არს ბძანება ეგე, მაგრამ რადგან კაცნი ქვემდებარე ვართ ბეღნიერებისა და უბედურობისა, ესე ორნივე შემთხვევითნი არიან და ამისთვის სიმწნე და მოთმინება თანა გვაძს. იქნება ბოლოს უფრო დიდს პატივსა და ხარისხსა შინა აღხვიდეთ.—მაშინ

ზურაბა: ჩემი ხელმწიფევ დედოფალო, ამ ბერის ლოცვით ყველა შეიძლება, რადგან ახლაც წმინდა ადგილი მოილოცა.

დედოფალი: სადა და სადა იყავ?

იოანე: გელათს და მერეთ მოწამეთს, ორგანვე ვილოცე თქვენთვის და შეგავედრე.

დედოფალი: მაგ ქომაგობისათვის არას გაჩუქებ, ეს მითხარ სწორედ, გენათელს აღსარება არ უთხარ?

იოანე: რა საჭირო იყო ჩემთვის?

დედოფალი: რადგან ეფთვიმეს უთხარ აღსარება, რატომ მაგასაც არ უთხარ?

იოანე: არც წინამძღვრისათვის მითქვამს და არც მაგის-თვის, ვინახდგან ჯერეთ იერუსალიმს არ მივიღოდით.

დედოფალი: მაშა, გაეს, რომელ ამხანაგი არა გყოლიათ და მარტო შენ ვერ გაგიბედავს თქმა აღსარებისა.

იოანე: ამხანაგი ვინ უნდა მყოლოდა?—მაშინ

ზურაბა: შე რეტიანო, როგორ არ იცი მამალი და ძერა?

იოანე: რა განმარტება აქვს მაგას?

ზურაბა: აქაური და იქაური მემკვიდრენი, რაც რომ მელამ მათ უყო, ის საქმე ამათ მათ უქმნეს.

იოანე: მაშ, მე ოფოფად მდებ?

ზურაბა: მართლად, კარგად მორჩი ორისავე ხელთაგან და

წვერის ფერიც გიგავს ოფოფის ბუმბულს და ცუღლუტობაც-
ითანე: უი ჩემ თავს, რას ანბობ შე გიქო!

და მერე ბევრი იცინეს, და აშაზე დასრულდა ესე უბნობა.
შემოდგომად ამისა უბძანა დედოფალმან: „მამაო იოანე,
დიდად მსურს, რომ შემოქლებით მომითხრა ცხოვრებაც და
წამებაც ამა მოწამეთაც, და ეგრეთვე ვინცა-ვინ საქართველოსა-
შინა წმინდანი ეწამნენ.

ითანე: რაოდენ ძალმიძს, ხელმწიფეო ჩემო, მაგახსენო: *

* შემდეგ გადმოცემულია ცხოვრება და მარტვილობა შემდეგი წმიდანე-
ბისა: დავით და კონსტანტინესი, არჩილ მეფისა, ლუარსაბ მეფისა, შუშა-
ნიკისი, აბიბოს ნეკრესელისა, ნეოფიტე ურბნელისა, რაჟდენ პირველმოწა-
მისა, ბისინა, ელიზბარ და შალვასი, დავით-გარეჯის უდაბნოში წამებულ-
თა, ევსტათი მცხეთელისა, აბო თბილელისა, ათთა ბევრთა მოწამეთა
თბილისისათა, კონსტანტი კახისა, მიხეილ-გობრონისა, შალვა ახალციხე-
ლისა, ქუაბთახევსა შინა წამებულთა, სევჭიონისისისა (სუქია) და მისთანა-
თა, ისაკ და იოსებ თეოდოსიობოლულთა, გრიგოლ სომერთა განმანათლე-
ბელისა. ამაოგან ვბეჭდავთ მხოლოდ ზოგიერთს, ისტორიულ-ლიტერატუ-
რულად უფრო საყურადღებოს. იმ წმიდათა «ცხორებანი», რომელიც აქ
ჩამოთვლილთა შორის არ მოიხსენებიან, გადმოტანილია ამ ნაწილში მომ-
დეგნო ნაწილიდან, სადაც იოანე მიტროპოლიტ ამბროსის უყვება რუსეთ-
ში ქართველ წმიდათა «ცხორებას».

არედაჭთ

ცხოვრება წმიდათა დაფით და კოსტანტინესი, მთავართა
არგვეთისათა, რომელიცა იწამნეს ულმრთოსა მურვან
ყრუსა დისწულისა მამადისაგან.

მონარხობასა ბერძენთა ზედა ირაკლი პირველისასა, მიიღო
რა ხელმწიფება დისწულმან მამადისაგან მურვან ყრუდ წოდე-
ბულმან, ამან შეიძინა ყოველნი ადგილი არაბისა, და სხვა-
თა და ესრეთვე სპარსეთიცა; და შეუდგნენ ქადაგებასა მამა-
დისასა, და ერჩდენ ბრძანებასა ამა მურვანისასა. ესე იყო
ფრიად მტერი ქრისტეანეთა და მდევნელი მათი. შეიკრიბა
მხედრობა თათართა ვიდრე ექვსასი-ათასამდის, და წარმოემართა
ქუყანისა კერძოდ ჩვენისა, რომელსა უწოდდენ გეორგიად.
პირველ მოიწია იგი სომხითად და მერე რანსა შინა, რო-
მელ არს ყარაბალი, და ალვანიასა შინა, რომელ არს შირვანი,
და კავკასიასა შინა; და მოახერა ადგილი ესე, უმეტეს ვა-
კენი, ვიდრე მთისა. და მერე მრადგა ივერიასა, რომელ არს
ქართლი, და ალაოხრა ესე. და მერეთ გარდმოვლო მთა ლი-
ნისა და შთამოვიდა იმერეთს შინა. დაუწყო ბრძოლად არგვეთ-
სა შინა იმერთა.

მას ჟამსა შინა მთავარნი ესე გვარით ხეიძენი დავით და
ძმა ამისღვე კოსტანტინე მხნედ იყვნენ აღჭურვილ ქრისტეს
მტერთა ზედა, და მრავალგზის შეიმოსეს ძლევად თათართა
მათზედა, რომელიცა უკანასკნელ მივიდნენ წინაშე მურვანისა.

თათარნი იგი, და რქვეს: უკეთუ ძლიერებასა შენსა არა სრულიად მიიტან მათზედა, ამა მეწინავეთა ლაშქართაგან, შეუძლებელ. არს მათდა ომისა გასწორვებაო. მსმენელი ამას ზედა მურვან ყრუ აღივსო რისხვით და ბრძანა მხედრობისა თვისისა სრულიად გარმორტყმა ადგილისა მის და ზედადასხმა მძინარედ მათზედა. მისრულთა მხედართა ამათ განყვნეს მხედრობანი იგი და ოთხისავე კერძოთი გარემორტყნენ იგინი. და იქმნა ბრძოლა ფრიად ფიცხელი, და მრავალნი თათარნი მოსწყვიტნეს, გარნა სიმრავლემან ამა თათართამან იძულებულ ჰყვნა ლტოლვად იმერნი. და ამა ბრძოლათა შინა გარემოცულ იქმნენ ორნივე ესე მხედრობანი ქრისტესნი. და უკანასკნელ დიდისა ღონისა ძიებითა და ზედას-ზედას დასხმითა შეპყრობილ იქმნეს, და ქალაქიცა, წყალწითელად წოდებული, იგიცა გამოულეს და დააქცივეს.

ხოლო წმიდანი ესე ხელშეკრულნი საკვრელითა რკინისათა-მიუვანებულ იქმნენ წინაშე მძლავრისა მის ქალაქსა შინა ქუთაისს. მხილველმანა წმიდათამან შერისხნა და ბასრობდა მათ-ცუდისა უკვე სიტყვითა, და მერე რქვა მათ: „ვითარ იკადრეთ თქვენ ბრძოლა პირისპირ მხედრობისა ჩემისა მინდობილთა-კლდეთა და ტყეებთასა, არა უწყითა რამეთუ დიდისა მოცი-ქულისა მახმედისა დისწული ვარ მე, რომლისა სჯულსა მონებს-ყოველი არაბია და სპარსი, და დამორჩილებულ არს ჩემდა ყოველი ქვეყანა აღმოსავლიდგან ვიდრე დასავალადმდე? ხოლო უკეთუ დაუტეოთ სჯული თქვენი და შეუდგეთ მოძლვრებასა-მახმადისასა, მოგიტევო თქვენ შეცოდება თქვენი, ვინაედგან მეწყალვის ჭაბულობა ეგე თქვენი“. ვინაედგან დავით იყო ჰაეროვან და სპეტაკ ხორცითა, და მოწაბლო თმითა, შვენიერ და ხშირ წვერითა, ხოლო კოსტანტინე შვენიერ გვამითა, მოწაბლე თმითა, და წვერ მშვენიერ და შესახედავითა სანდომიან.

და მერეთ რქვეს წმიდათა მათ: რომლითაცა. იქადი შენ და აქებ დედის ძმასა შენსა მახმადს, ჩვენ უწყით, რომელ საცი-ნელ არს სჯული მისი და საძაგელ, რომელმანცა მაკოტურებათ მოიზიდნა თვისად უმეცარნი უკვე ერნი და მისცნა საბრალონი იგი წარწყმენდასა“. მსმენელი უღმოთ იგი ბორგდა და მოწამეთა მართლიადთა სიტყვათა ზედა უბრძანა მტარვალთა

პირთქ ცემა მათი, ხოლო ზრდარვალნი იგი უწყალოდ სცემდენ ლაშვთა ზედა არგანებითა. და დიღსულობდეს მხედარნი ესე და არარად რაცხვიდენ რისხვასა მისსა, გარნა ძლიერმან გვემულობამან და მრავალთა სისხლთა დათხევამან მათმან შეალსბეს სხეული მათი, და ქვე დაეცნეს მიწასა ზედა.

შემდგომად ამისა ბრძანა მძლავრმან შან აღდგინება მათი და მერე რისხვიდა კვალად. და შემდგომ მრავლისა გვარისა ლიქვნითა იწყო მეცადინოებად თვისი და ჰრქვა დავითს: „მე მასმია, რომელ შენ ხარ გონება-მკვეთრი და მხნე; და შემმართებელი ბრძოლათა შინა, და მთავარი ამა ქვეყანისა, ისმინე კეთილი აზრი ჩემი და, დაუტევე უგუნურებითი სიტყვად ეგი შენი, ერჩდე დედის ძმისა ჩემისა სჯულსა და მე გყო შენ მთავრად სპარსთა და არაბიელთა, და გყო შენ სპასპეტ ყოველთა ამა მხედრობათა ზედა ჩემთა; ხოლო ძმასა მაგას შენსა პატივსცე წინაშე საყდრისა ჩემისა უპირველეს წინამდგომელობითა“. მსმენელმან ამისმან დავით გამოისახა თვის ზედა ნიში ცხოველს-მყოფელისა ჯვარისა და ალიარა ქრისტე, და სთქვა: „სიტყვა ღვთისა, რომელი განწორციელდა და იქცეოდა ჩენ შორის, და მოგვცა ნათლისლება და საღმრთო ზიარება, ჩენთვის იგვემა, ივნო, ჯვარს ეცვა, და აღსდგა დიდებით, და ამალლდა ზეცად, და მჯდომარე არს მარჯვენით მამისა. არა ძალგვიცს ჩენ დატევებად მისა და წმიდათა მოციქულთა, და მამათა მიერ მოცემულისა სჯულისა, და შედგომა ზღაპრებრთა სჯულთა თქვენთა“. მსმენელმან მურვან დავითისამან ესეგვართა უკვე სიტყვათა, ჰკითხა კოსტანტინეს: „შენ რა-საღა იტყვი, ყრმაო, თავისათვის შენისა?“ მაშინ კოსტანტინემ მიუგო უშიშრად მძლავრსა მას და ჰრქვა: „ისმინე, მეფეო, მე ქრისტიანე ვარ და მხედარი ქრისტესი, და ესრეთ აღვიარებ, ვითარცა ძმად ესე ჩემი დავით“.

მსმენელმან მძლავრმან მურვან ყრუ წმიდათა მათგან ჭეშმარიტისა სარწმუნოებისა აღსარებასა ზედა, აღეგზნო რისხებთა და მოუწოდა უწყალოთა ლაშქრისა კაცთა რაოდენთამე და მისცნა იგინი, რათა შეაყენონ იწროსა საპყრობილესა შინა; და ამცნო მათ, რათა არა რამე საზრდელთაგანი, ანუ სასმელი რამე

მისცენ მათ, არამედ მრჩობლისა ჯაჭვითა კრულნი შეაყენონ საპყრობილესა შინა. და ესრეთვე უბძანა არა-კაცომიყვარეთა მათ მტარვალთა, რათა დღე ყოველ სტანჯვიდენ წმიდათა მათ სხვადასხვაგვარითა უკვე ტანჯვითა, რომელთაც ჰყვეს ყოველივე ბრძანება უღმოთოსა მის, გარნა ღმერთმან დაიცვნა იგინი ყოვლისაგან მომყმარობისა, და იყვნენ ვითარცა არა მშიერნი.

შემდგომად რაოდენისამე დღისა მოუწოდა მურვან ყრუმ გრძნეულთა კაცთა და მაცთურთა, და უბრძანა მათ, რათამცა ყოველივე მანქანებანი თვისნი გამოსცადონ წმიდათა მათ ზედა და აიძულონ დატევებად სჯულსა ქრისტესსა. მისრულნი ესე მაცთურნი კაცნი მრავლისა უკვე გვარისა ლიქვნითა ეუბნებოდეს და შეიწყალებდეს სიმხნეთა და ჭაბუკობათა მათთა, და ოლუთქმიდეს მრავალგვართა უკვე ჯილდოთა და დიდებათა, და გემოვნებათა ხორციელთა, და ეხვეოდეს ხელთა, რათა მორჩილ ექმნებ, და ალიარონ სჯული მამადისა. გარნა წმიდანი იგი, ვითარცა ანდამატნი, ესრეთ მტკიცე იყვნეს და ყოველითურთ უარ-ჰყოფდენ ბილწსა სჯულთა მათთა და ალიარებდენ. კადნიერად იქსო ქრისტესა. ხოლო უკანასკნელ წყეულნი ესე გრძნეულნი სირცხვილეულნი უკანიქცნენ და ყოველივე ცხად-უყვეს მძლავრსა მას, და სიმტკიცე მათი სარწმუნოებასა ზედან თვისსა. მაშინ აღეგზნო რისხვითა მურვან ყრუ და ბრძანა წმიდათა მათ ფერხითა დამოკიდებად თავ-დაღმად და ესრეთ კვერთხითა უწყალოდ გვემანი მათნი.

ხოლო მტარვალთა მათ ჰყვეს ესრეთ, და დამოკიდეს მაღლიად, და უწყეს გვემა უწყალოდ ესრეთ, რომელ წმიდანი იგი ხორცი სისხლითურთ ქვეიქცეოდეს. ხოლო წმიდანი იგი სიხარულით მოითმენდეს და გალობასა უღაღადებდეს მეუფესა. ოდეს იხილა ესე მძლავრმან მან, რომელ წმიდანი იგი არა განდრკეს სიყვარულსა ზედან ქრისტესა, მაშინ ბრძანა შთამოშვება მათი და დიდრონთა ქვათა შეტმახ კელთა ზედა წმიდათასა და ესრეთ შთაყრახ მათი მდინარესა შინა ფასოსს, რომელ არს რიონი.

ხოლო მტარვალთა მათ წარიყვანნეს იგინი ხიდისა კერძოდ უღრმესსა წყლისა კერძოდ და მუნ მოაბნეს ქედსა მათსა დიდროანნი უკვე ლოდნი. მაშინ წმიდათა მათ ხმა ჰყვეს უფლისა

მიმართ და ლალადყვეს: „გმადლობთ შენ, უფალო იესო ქრისტე, ძეო და სიტყვაო მამისაო, რამეთუ ისმინე თხოვანი ჩვენნი და ლირს-გვყენ ჩვენ სიკვდილად სახელისათვის შენისა; აწცა შეისმინე ჩვენ მონათა ვედრება, მეუფეო, და რომელნიცა გხადოდენ, სახელითა შენითა მიეც შენდობა ბრალთა, და ჰყვენ ასონი ჩვენნი მკურნალ ყოველთა სენთა და უძლურებათა დიდებად ყოვლად საგალობელისა სახელისა შენისა“. და მერეთ გამოიხატეს თვის ზედა ცხოველს-მყოფელისა ჯვარისა სასწაული და შთაყრილთა მდინარეთა შინა ხმა ჰყვეს: „უფალო იესო ქრისტე, ხელთა შენთა შევვედრებთ სულსა ჩვენსა!“ და მყის მოვიდა ხმა ზეცით აღმასრულებელი თხოვათა მათთა სასმენელად ყოველთა, რომლისა ხმითა შიშნეულნი მტარვალნი იგი ივლტოდეს და მირბიოდეს სადგურთა თვისთა. ხოლო ამისა შემდგომად ლოდნი იგი მოეხსნეს წმიდათა მათ და გვამნი მათნი, ვითარცა იატაკსა ზედა მდებარე, ესრეთ დაშონენ უძრავად ზემო-პირსაზედა წყლისასა, და ზეციურისა დიდებითაცა იდიდნენ, რომელ ორნი სცეტნი ნათლისანი გვამთა ზედან მათთა ზეცით შთამოტევებულნი ზედან დაადგნენ, და სრულიად განანათლეს ამიერ და იმიერ კერძონი იგი მის მდინარისანი. და ესრეთ იხილვებოდენ წმინდანი იგი ნათელმოსილად.

მხილველნი ესე ვითართა საკვირველებათა, თათარნი იგი მოვიდეს წინაშე მურვანისა და აცნობეს, თუ ვითარ ადიდნა ღმერთმან წმიდანი თვისწი. მაშინ მურვან ყრუმ სირცხვილეულმან ჰრევა მათ: „უკეთუ სხვათა სჯულისა კაცთა სტანჯონ ჩვენნი ჰემდგომნი, იგინიცა ესრეთ იდიდებიან, და ნუ გიკვირთ ეგო“. და ამა სიცრუითა დაჯერებულ ჰყვნა იგინი.

ხოლო ლამესა მას შინა გამოხდა ხმად სვეტთა მათგან და მიუწოდნა მუნ მახლობელ დამალულთა ერთა მორწმუნეთა ესრეთ, რომელ: „მოვედით, მორწმუნენო ერნო, და აღიხვენით წმიდანი გვამნი ესე, და წარიღეთ აღმოსავალით კერძო, და სადაცა განთენნეს, მუნ დაასვენეთ გვამნი ამა წმიდათანი.“ მსმენელთა მათ მორწმუნეთა ერთა მყის აღასრულეს ნებად უფლისა, და მოსრულნი მდინარესა ზედა განვიდნენ დაულტობელად, და იტვირთნეს ბეჭთა ზედან თვისთა

წმიდანი იგი, და წარემართნენ, ვითარცა ემცნო მათ, და ეგრეთ—
ვე ქვანიცა იგი ალიხვნეს და წარიღეს თან. ხოლო ღმერთ-
მან ესრეთ ადიდნა წმიდანი იგი, რომელ ვერცა ერთმან
თათართავანმან განიცადნა წარლება წმიდათა მათ გვამთა
შოწამეთანი.

ხოლო განთიაღისა უამსა მიიწივნენ იგინი თავსა ზედან
კლდისასა, სადა იგი ჰსდის მახლობელ მდინარე წყალწითელი,
და მას ქალაქსა, გამოლებულსა და ალოხრებულსა უმღრთოსა
მურვანის მიერ, ჰპოვეს ეკკლესია დარღვეული, და მუნ დას-
ხნეს სხეულნი წმიდანთანი. და ესე წმიდანი ნაწილნი იყვნენ
დაფარულ, ვიდრე დრომდე მეფობისა იმერთა ზედა ბაგრატ
დიდისათა, რომელმანცა განაახლა ეკკლესია იგი და შექმნა
სამარტვილოე წმიდათა მათ კუბოხ შვენიერი, და დასხნა
მას შინა ნაწილნი წმიდათანი, და ჰყო აღგილი იგი მონას-
ტერ ზედწოდებით „ზოგად ცხოვრებულთა“. და არს ვიდრე
დღეინდელად-დღემდე წმიდანი გვამნი მათნი აღგილსა მასვე
საკურნებელად ჩვენ ყოველთა სენთა და ურვათაგან.

ანტონი კათალიკოზის მიერ თქმული იამბიკო:

უზადოსადმი ზესთ ერთისად ყოველი
მიართვით წმიდანო ცხოველისად ცხოველი
და ვნების სისხლით საჭურველნი სოველი,
ხოლო ჯილდოთა უკვდავ უხრწნელ მპოველი
იქმნენით, ხოლო მაღლთა უხვად მთოველი

დედოფალ მან: წმიდა არჩილ მეფისაცა მითხარ, თუ ვითარ მიიღო მოწამეობა?

ვახტანგ დიდისა, ზედუოდებით გურგასლანისა, კეთილ შეა-
ხურისა შეფისა სრულიად საქართველოსა და შთამამავლობით
ხოსროიანისა, ძეთაგან მისთა მეშვიდემან წარმოებულმან, კე-
თილმსახურმან სტეფანოს, მთავარმან ქართლისამან, რომლისა
მთავრობისა დროსა იქმნა მსოფლიო კრება მეექვსე კოსტანტი-
ნეპოლისა შინა ბოროტ მადიდებელთა მონათელისტთა დასამ-
ხობელად, მას დროთა შინა შვნა ორნი ძენი, სახელით მირ
და არჩილ, კეთილ მსახურნი, მსჯავსად ნეტართა წინაპართა
თვისთა.

ალიშარლენეს რა ესენი, შემდკომიად მამისა თვისისა მიიღეს
ტახტი საქართველოსა, და მეფობდენ და ეპყრით ვიდრე
ზღვიდგან ექსინოპონტოსათ, ვიდრე ზღვადმდე ირკანისა (ესე
იგი შავისა ზღვიდგან ვიდრე კასპის ზღვადმდე). რომელნიცა
კეთილად უძლოდენ ერთა თვისთა და კეთილად მოსაჯულობ-
დენ, რომელთა მეფისისა დროსა ზურგან, დისტული მახმე-
დისა, წარმოკლენილი ამირ-შუმლისაგან, მეფისა ბალდადელისა,
რომელი იყო ძე აბდალ მელიქისა, ნათესავი ბილწისა მახმა-
დისავე, მოიწია კერძოთა საქართველოსა და აფხაზეთისათა.

მოსრულმან მურგან-ყრუ სამეფოსა შინა მირ და არჩილისასა
ურიცხვითა ლამქრითა მიერ თვისითა მოაოხრა ყოველივე ად-
გილი, სადაცა მიიწია იგი. რომლისა წინააღმდეგობად ვერ შემ-

ძლებელნი მეფენი ივლტოდეს აფხაზეთად, და შესრულნი განამაგრებდეს ციხესა ანაკოფიისასა. ხოლო სხვანი უკვე მთავარნი სამეფოსა მათისანი განმაგრდებოდეს მთათა შინა კავკასიისათა. ამან უკვე მურვან-ყრუმ მოსწყვიტნა წმინდანი მოწამენი მთავარნი არგვეთისანი დავით და კოსტანტინე, ვითარცა ზემორე აღვესწერეთ.

რაუამს უკვე იხილეს მეფეთა მირ და არჩილ დიდად ოხრება სამეფოთა თვისთა და შეუძლებელობა ბრძოლისად მურვანისადამი, ესე ნეტარნი მეფენი მინდობითა ლვენისათა, ლოცვითა და მარხვითა განმაგრდებოდენ ციხესა მას შინა. ხოლო მხედრობანი მურვანისანი რომელნიმე იყვნეს დაბანაკებულ საერისთოსა შინა ეგრისისასა, და თვით არა-მცირედისა ლაშქრითა გარემოდ-გომილ იყო ციხისა მის და ბრძოლა გულსმოდგინედ გამოლე-ბისათვის ციხისა.

და რაც განგრეულდა გარემოდგომა ციხისა მის, პრქვა არჩილ ძმასა თვისსა მირს: „ვხელავ მე, რომელ სრულიად აოხრდა ქალაქი ჩვენი და შემუსვრილ არს ციხენი, უკეთუ შთავცვივნეთ ხელთა შინა ბარბაროსთასა, გამოიკითხოს ჩვენგან ყოველნი იგი დაფლულნი უნჯნი წინაპართა ჩვენთანი და ჩვენნიცა და ბერძნოთაცა თვითმპყრობელისა ირაკლისნი; და თუ სადამე მოვსწყდეთ, დაიკარგნენ ყოველნი, და ესრეთ ვიქმნეთ მიზეზ ოხრებისა და დაგლახაკებისა მამულთა ჩვენთა. ამისთვის განვიდეთ მინდობითა ლვთისათა და ვბრძოთ ზღვის კერძოდ, ვინახდგან მაქვს სასოება ლვთისადმი, რომელი ბძანებს: «ერთმან თქვენგანმან წარიქიოს ათი 11., უეჭველად, ჩვენცა ესრეთ უყოფთ მათ“.

ამა სიტყვასა ზედა მორჩილ ექმნა ძმა თვისი მირ და პირველად წარვიდნენ თაყვანისსაცემელად და მეოხებისა მთხოველად ლვთისმშობელისა ხატისადმი, რომელიცა არა კაცთაგან იყო გამოწერილი, არამედ ხელით-უქმნელი საკვირველებითა საღმრთოთა, რომელიცა პირველ ესვენა ხატი ესე მარჯვენით კერძო მარმარილოსა სვეტსა ზედა მახლობელ იერუსალიმისა, ქალაქ-სა დიოსპოლის, რომელიცა ეკკლესია წმინდათა მოციქულთაგან იყო აღშენებულ სახელსა ზედა ყოვლად წმინდისა ლვთის-მშობელისასა. და ხატი ესე დროსა დედოფლის ჩვენისა ლვთის-

მშობელისა წორციელისა ცხოვრებისასავე იყო მოციქულთაგან
მას ეკლესიასა შინა განცხადებულად დამოკიდებულ სვეტსა მას
ზედა. ხოლო შემდგომად ესე იქმნა საკვირველ განგებითა
ღვთისათა, რომელ ვიდრე აქამომდე არავინ უწყის, თუ ვითარ
მოვიდა ხატი იგი ხელით-უქმნელი თავსა ზედა ანაკოფიის
ცრისა გორისასა. მივიდეს ესე უკვე მეფენი წინაშე წმინდისა
მის ხატისა და, პირთა ზედა დავრდომით მვედრებელნი, იტ-
ყოდეს ცრემლით: „განვალთ უკვე წყობად ქრისტეს მტერთა
ბარბაროზთა, პოდ დედოფალო, სასოებითა ძისა შენისა და
ღვთისა ჩვენისათა, მისა შესწირე ოხად ჩვენთვის და თანამავალ
მეყავნ ჩვენ წყალობად შენი“.

და ესრეთ შექურვილნი და მინდობილნი წმინდისა ღვთის-
მშობელისა, მეფენი მოვიდნენ და შემოიკრიბნეს მუნ მყოფნი
მებრძოლნი მცირედნი ესრეთ, რომელ მუნ მყოფნი თავადთა
და მთავართა და კეთილშობილთაგანნი და მსახურნი იყვნენ
ვიდრე ათასამდის. ხოლო ლაშქართაგანნი აფხაზნი კაცნი ვიდ-
რე ორი-ათასამდის. ლმერთმა, რომელი არს მწუხარეთა და
უძლურთა შემწე, ისმინა ვედრი მეფეთა და მას ლამესა შინა
განგებითა ღვთისათა და უხილავისა მახვილითა მოსწყდეს ბარ-
ბაროსნი იგი ვიდრე ოცდა-თუთხმეტიათასნი არაბიელნი მეო-
მარნი.

და მასვე ლამესა შინა ეჩვენა ანგელოსი უფლისა არჩილს
და პრევა: „ნუ გეშინინ, განვედ და ზედან დაესხ მტერთა შათ
შენთა“. და მყისვე განვიდნენ ესენი. და განთენდებოდა, და
მოესმათ ბანაკთა მათგან ხმა ლალადებისა და ვალალებისა ზე-
გარდამოსა რისხეისა გამო. და ესენიცა დაესხნეს ზედა, და
აოტნეს ლაშქარნი მათნი და მოსწყვიტნეს კაცნი სამიათასნი.
გარნა მეფედ მირ იწყლა ფერდსა მაზრაკითა. მტოლვარენი-
უკვე თათარნი მოვიდნენ მდინარეთა ზედა ორთა, აბაშას და
ცხენისაწყალსა ზედან, და ამა ადგილთა შინა დაიბანაკეს.

გარნა განგებითა ღვთისათა და მეოხებითა ღვთისმშობე-
ლისათა შემდგომად ერთის შვიდეულისა შესრულებადმდე გარ-
დამოხდეს უმძაფრესი წვიმანი და განდიღნეს მდინარენი ესე,
რომელ გარდმოვარდნილმან წყალმან და ნიავლვართა თითქმის
დაფარნეს ადგილნი იგი, და მოიშთვნენ მას შინა ბარბაროზნი

იგი ვიდრე ოცდა-სამი-ათასი კაცი და უმეტესი ნაწილი აბაშ-თა, რომელსა-ეწოდების აბაშეთს ეთიობია, რომლისა გამო მდინარესა მას აბაშას ეწოდა სახელი მიზეზითა აბაშთათა აბაშა. ხოლო ცხენისა-წყალმანცა განითვისა სახელი ესე მას ჟამსავე შინა, ვინახდგან აღელვებისა ამის წყლისათა მოიშვენენ ცხენი ბილწთა. მათ მხედრობათანი ვიდრე ოცდა-თუთხემეტი-ათასამდის; ხოლო უწინარეს ეწოდებოდა სხვაც სახელი (ვგონებ რომელ სვანურა ეწოდა, ვინახდგან სათავე ამა მდინარისა სვანეთიდგან გამომდინარეობს). ესე ყოველივე რისხვა ღვთისა თათართა მათ ზედა იქმნა ლოცვითა წმინდისა არჩილისითა და კეთილითა პაზრითა მისითა.

უკანასკნელ იძულებული მურვან-ყრუ წარვიდა ლაზეთის მთის გზით ზღვის პირით და სირცხვილეული მივიდა მამულსა თვისისა თითქმის ყოველგან მოკლებით მხედრობისა თვისისა უმეტეს სამის წილისა.

მირ მეფე წყლულებითა შეურვებულმან გრძნო, რომელ მოკვდების იგი, მოუწოდა ძმასა თვისისა არჩილს და პრქვა: „მე ვგრძნობ, ძმაო ჩემო, რომელ აღვესრულები და წარვალ მამათა ჩვენთა თანა, გარნა მიიღე შრომა და დამასაფლავე სასაფლავოსა მამათა ჩვენთა თანა“. და ამასთან ამცნო ბისა გვარნი და ცხად უყო ყოველგან დამარხულნი უკვე უნჯნი და სხვანი საუნჯენიცა დაფლულნი, და ესრეთ დაიძინა მშვიდობით.

მაშინ არჩილ დიდისა პატივითა წარმოილო გვამი მისი და დაფლეს უკვე მცხეთას დედა-ეკკლესიასა შინა. მიმღებმან არჩილ მეფობითისა ტახტისამან მოიყვანა ცოლად და იქორწინა ასულთაგან ვახტანგ დიდისათა, ესე იგი, თანატომივე თვისი ასული გურამ კურატპალატისა, რომელი იყო ძეთაგან ვახტანგ დიდისათა, შვილის-შვილთაგანი ელენეს ბერძენთა მეფისა ასულისა. და მერე შემოიკრიბნა კათალიკოზ-მღვდელმთავარნი და იცხო მეფედ და მიიღო გვირგვინი, სკიპტრა და პორტირი წინაპართა თვისთა; და განაგებდა კეთილად, თუმცალა არა იყო ხნით დამული, და ახალი ყრმა ჭაბუკი, მშვენიერი, თეთრ-ყირმიზი, და თმა-თვალ შავი, და მშვენიერი მორფ-ნაკვე-თობით, გარნა გონებით იყო მოხუცი, კეთილზნეობით სრული,

სახიერი, მოწყალე, ურისხველი, გლახაკთა ხელის-ამპურობელი, შემცოდეთა მიმტევებელი, და დავრდომილთა შემწე, და ლირ-სთა მიმნიჭებელი და დამჯილდოვებელი, თვით კარგი მხედა-რი და შეომარი მამაცი.

ამა კეთილმან მეფემან განაგნა ყოველნი საქმენი, და აღა-შენა დაქცეული ქალაქი, და ციხენი, და აოხრებული სოფ-ლები და დაბები წყეულისა მურვან-ყრუსაგან, რომელიცა დაარღვია კასპიის ზღვიდამ ვიდრე შავისა ზღვადმდე. ამან თუშ-ნი და ხუნძახნი შემოაერთნა სამეფოსა თვისსა, და აღაშენნა ციხენი მათ შინა, და ქალაქი ნოხაპატს შინა, და მუნ მცხოვ-რებნი ბარბაროსნი მოიყვანნა ჰეშმარიტისა სარწმუნოებისა ცნობასა შინა. და განაგო საერისთონი ადგილნი და დაუდ-გინნა ერისთავნი. ჰელი უკვე არჩილ ძენი ორნი, იოანე და ჯუანშერ, და ასულნი ოთხნი, სახელით — გვარანდუხტ, მარიამ, მირანდუხტ და სუსანნა. ამან არჩილ იმეფა ორმეოცდაათი უკვე წელი და აღაშენნა თითქმის ყოველგვი აოხრებული ად-გილნი იგი და მეცადინეობდა გამდიდრებასა ერთასა.

ამა წელიწადთა შინა წარმოემართა დიდისა ძლიერებითა მამულსა ზედან ჩვენსა ივერიას ნათესავთაგანი მახმედისა, ზედ-წოდებით ჭიჭუმ (გინა ჯიჯუმ), რომელსა ასიმსაც უწოდებ-დიან. მოსრულმან საქართველოდ მოახერა ყოველი ქართლი, დაწვნა და დაარღვია ეყდლესიანი, და ვერვინ სადა შემძლე-ბელ იქმნა ბრძოლად მისა. და მერელა შევიდა კახეთად და იგიცა აღწყვიტა მსგავსად ქართლისა, და დასდო შიში დიდი მეფესა და მთავართა ზედა. უკანასკნელ განიზრახა უკვე მე-ფემან მისვლა წინაშე მძლავრისა მის და ვედრებად ერთა და ეყდლესიათათვის, რათამცა იხსნეს იგინი ხელთაგან უმღრთოსა მის და ანუ თავი თვისი დასდოს ერისათვის. ამა კეთილმან სრულჰყო განზრახვად თვისი, და მივიდა ჭიჭუმის თანა. მსმე-ნელმან ასიმ წმინდისა მისვლისამან, ჰყო წინა მიგებება და დიდისა სიხარულითა და ალერისისა სიტყვითა მოიკითხა მეფე, და განუსვენა ფრიად, და ანიჭნა ძვირფასნი სამეფონი უკვე ნივთები. და ესრეთ მრავალჯერ ანიჭებდის მას სხვადასხვა უკვე გვარისა ნივთებითა, განზრახი მისი, რომელ ნუთუ მო-ვიყვანო მეფე სჯულსა ზედან ჩემსაო.

და მერეთ რაოდენისამე უკვე დროესა მოუწოდა. ბილწმან მან ქრისტეს-მოყვარესა მას მეფესა და მრავლისა უკვე გვარითა და ლიქვინითა და განდიდებით აღუთქმიდა გამდიდრებასა მისსა, უკეთუ დაუტევებს სჯულსა ქრისტეანეთასა და შეუდგების მომღვრებასა მისსა. მსმენელმან მეფემან ყოველითურთ უარპყო წინადადება ულმრთოსა მის და ალიარა კაღნიერად წინაშე მძლავრისა მის უფალი ჩვენი იესო ქრისტე. მაშინ გამწყრალმან ასიმ ბრძანა მეფისა მის შეკვრად მრჩობლისა ჯაჭვითა და შეყენებად მისი საპყრობილედ. ხოლო მეფე ესე ევედრებოდა ღმერთსა, რათა ჰსცეს მას ძალი და რათა იგი ჰყოს ლირს მოწამეობისა.

მას უაშსა შინა, იყო რა მეფე საპყრობილესა შინა მარხვითა და ვედრებითა ღვთისათა გულსმოდგინებით, მივიდა მძლავრისა მის წინაშე კაცი ვინმე მთავართაგანნი, ქართველი, გვარითა გარდაბანელი, რომელიცა მახმაღიან ქმნილიყო, და აქვნდა მას დაფარული უკვე მტერობად გულსა შინა თვისსა მეფისა არჩილისა, მიზეზითა ამით, რომელ მამის ძმად მისი მოეკლა წანართა და მქვლელნი მისნი განერინნეს მშვიდობით პაპასა არჩილისასა აღარნასეს მეფესა, რომლისათვის ძვირმოშესენებან კაცმან მან უთხრა ასიმს: „თქვენდა არა უწყებულ არს, რომელ თუ ვინა არს მეფედ არჩილ? ესე არს ძე სტეფანოსისა და ნათესავი დიდისა ვახტანგისა, ძეთაგან მირიანის, ძის ქასრებესა. ესე უკვე მეცნიერ არს დაფლულთა მათ საუნჯეთა სამეფოესა თვისისათა და ირაკლის კეისრისა მიერ დაფლულთა საუნჯეთასა.“

მსმენელმან ასიმ ბრძანა მოყვანებად მეფისა არჩილისა და უბძანა: „მე აწ ვცან, რომელ შენა ხარ შვილი დიდთა მეფეთა ხოსროვიანთა, რომელნიცა იყვნენ წინაპარნი მათნი მფლობელნი სპარსთანი და ამით უმეტეს დიდებულ იქმნები ჩემ წინაშე, და გთხოვ მე ამას, რათა შეუდგე სჯულსა მახმედისასა და ამით მყო კმაყოფილ, და მიიღო საუნჯენი დიდ-დიდნი ჩემ მიერ, და სამკვიდრებელიცა თქვენნი, და ესთავე საუნჯენიცა მამათა თქვენთა, გარნა პირველად მიჩვენენ ირაკლი კეისრისაგან დაფლულნი საუნჯენი.“ მაშინ მიუგო არჩილ: „უწყებულ იყავნ თქვენდა, რომელ ოდეს ირაკლი კეისარი განემარ-

თა სპარსთა ზედა და მოიწია მამულად ჩვენდა, მე მაშინ უკვე ვიყავ ყრმა, ოდეს მამამან ჩემმან და ძმამან ჩემმან და-მარხნეს საუნჯები მათნი ციხესა მას შინა, სადაცა უკუნიქცა მურვან-ყრუ და აწ ციხე იგი არს ფლობასა ქვეშ თვითშეყრო-ბელისა ბერძნთასა. ხოლო დატევებისათვის ჰსჯულისა ესრეთ ისმინეთ, რომელ მე არა რომლისამე მსოფლიოსა დიდებისათვის უარყო უფალი ჩემი იესო ქრისტე, და ესე კმა გეყავნ! „მაშინ რისხვით მიუგო ასიმ: „შენ იყავ დაცემასა მას აფხაზეთს მხედრო-ბათა მათ ჩვენთა ზედა?“ მიუგო არჩილ: „ჰე, ჰეშმარიტად მე ვი-ყავ, რაჟამს იგინი დასცნა ღმერთმან რისხვითა თვისითა.“ ჰრევა უკვე ასიმ: „ღმერთმან მან დასცნა მხედრობანი თქვენნი, რომელიცა გრძამთ თქვენ ქრისტე ძედ ღვთისად და ვნებულად და მომკვდარად?“ მიუგო: „ჰეშმარიტად მან, რომელი ზეცით გარდამოხდა და ხორცნი შეისხნა სულისაგან წმინდისა და მარიამისაგან ქალწულისა, განკაცნა და ჯვარს ეცვა, დაეფლა და აღსდგა მესამესა ღლესა, და ამაღლდა ზეცას და კვალად მომავალ არს განპსჯად ცხოელთა და მკვდართა.“

ამას ზედან განწყრია უსჯულო იგი და უბრძანა არჩილს: „ვი-სიცა ღმერთი მოკვდავი არს და სასოებაჲ ცხოვრებისა მოკვ-დავისა შიმართ არს, ჯერარს მისიცა სიკვდილი!“ და უბრძა-ნა ჯალათთა წარკვეთა თავისა წმინდისა არჩილისა. და განი-კვანეს წმინდა იგი მტარვალთა მათ და წარკვეთეს სამღვდელო თავი მისი წელიწადსა განხორციელებისაგან სიტყვისა ღვთისა 781-სა, მარტსა 20-სა. და ესრეთ ყოვლად-წმინდა სული თვისი შევედრა უფალსა და ზეციურისა დიდებითა იდიდა იგი.

და მას ღამესა შინა მოვიღნენ კაცნი მონანი ღვთისანი და ერდგულნი მამულისა და მეფისანი, გვარით გოდერძიანნი, ტბელნი ადგილობით, და სხვანიცა მათ თანა აზნაურნი და წარიღეს იდუმალ გვამი წმინდისა ამის მეფისა, შემურეს და დიდითა პატივითა დაფლეს ეკკლესიასა შინა ნოტკორას მისვე მეფისაგანვე აღშენებულსა. და მერეთ დედოფალმან, ცოლმან წმინდისამან, ჯილდოვებულ ჰყო კაცნი იგი, რომელთაცა წარი-ღეს გვამი წმინდისა ამის მეფისა, სოფლებისა მიბოძებითა.

დ ე დ ო ფ ა ლ მ ა ნ: წმინდა მეფის ლუარსაბის წამებაცა
მითხარ.

ი ო ა ნ ე: გიორგი მეათემან, კეთილმსახურმან მეფემან ქართველთამან, დავითიან ბაგრატოვანმან, ქემან სიმონ დიდისამან, შობილმან ქახთა მეფისა ლეონ დიდისა ასულის დედოფლისაგან, იქორწინა ჩინებულისა მთავრისა ლიპარიტიანისა ასულისა თანა თამარისა წესითა ჭრისტიანეთათა. და ამაღგან იშვა ძე, ლვის სათნო და ლვისაგანვე გამორჩეული დედის მუცლით განვე მისით, მეორე ლუარსაბ, მეფე ქართლისა.

ესე ლუარსაბ აღზარდეს დედა-მამამან თვისმან სწავლითა საფილოსოფოთა და საღმრთოთა წერილთა შინა, და მართლმადიდებელთა სარწმუნოებისა აღსარებითა და სხვითა ყოვლისა ქართველთ ზნეობითა სრულჰყვეს. და სიკეთითა სავსე უყვარდათ ყოველთა უკვე ქვეშევრდომთა მისთა. ქამსა ოდეს ხონთქარმან სულთან მურად მიულო სპარსთა მეფესა შახუდაბანდს მრავალნი უკვე ადგილნი, და ამასთან ერევანიცა, და დააყენა ციხესა მას შინა გუშაგნი ოსმალთანი, და ეპყრა ვიდრე შააბაზისა გამოსვლადშედე, ესე შააბაზ ძე შახუდაბადისა აღვიდა რა ტახტსაზედა მამისა თვისისისასა, თითქმის განმთელნა ყოველნი ადგილნი სპარსთანი; და მერე მოვიდა მცირესა ერმანიასა შინა და მოადგა ციხესა ერევნისასა მხედრობითურთ თვისით. გარნა ოსმალნი ფრიად წინაგანეწყვნენ და ულონო ქმნილმან გამოლებისთვის ციხისა, მიუწოდა მეფესა ქართლი-

სასა გიორგის მხედრობითა თვისითა. ხოლო მეფემან გიორგი შემოიკრიბნა მხედრობანი ქართველთანი და მივიღა წინაშე შააბაზისა. მან შეიტკბო ფრიად და უკანასკნელ თვით გიორგი მეფე დაესხა ციხესა შას ურევნისასა თვისითა უკვე მხედრობითა, და გარდავიდნენ გალავასა ზედა ქართველნი, და ინსარნეს მრავალნი უკვე ოსმალნი და აღიღეს ციხე იგი, და ჰყო ფლობასა ქვეშე შააბაზისასა.

შააბაზ თუმცა მეფესა გიორგის უბძანა მაღლობად და ანიჭნა ნიჭიცა აღებისათვის ციხისა, გარნა ვინახდგან იყო შააბაზ მამაცთა უკვე კაცთა მოძულე და შურითა სავსე, აღივსო შურითა სიმხნისათვის მეფისა და ქართველთა ზედა და აღიხესნა პირველისაცა ლუარსაბ მეფისაგან წინა-განწყობა და ძლევა-შემოსილება სპარსთა ზედა შაჰთამაზისა მიმართ პირველისა და არაუფლება მისი ქართლსა ზედა. და ოდეს შააბაზ უკუნ იქცეოდა მამულადვე თვისისა, უმასპინძლა მეფესა გიორგის და შეატყუა საჭმელთა შინა საწამლავი და რაოდენისამე დღისა შემდგომად გარდიცვალა მეფე გიორგი.

ხოლო ლუარსაბ მეფე დაშთა მხოლოდ ოდენ ორითა დითა, ზედ-წოდებით ხვარაშან და ელენე. თუმცა ლუარსაბ იყო ყრმა, გარნა მკვეთრი გონებითა, და სიმშვიდითა და პატიოსნებითა და სიმდაბლითა სავსე და საყვარელ კაცთაგან, და მხედრობისა საქმეთაცა შინა გამოცდილ და მარჯვე, მორთ-ნაკვეთობითა წშვენიერ, თეთრ-ყირმიზ და თმა ლაშაზ.

ესე ლუარსაბ მეორე მიიყვანეს ერთა ქართველთა დიდებულთა მცხეთას და სცხეს ლუარსაბს საცხებელი მეფობისა და აკურთხა მეფედ კათოლიკოზმან ზაქარიამან. მაშინ მეფე ესე იქმნებოდა წლისა მეათცამეტისა, ოდეს მიიღო მეფობა. ხოლო შემდგომად მეფობისა მისისა წელსა მესამესა, მეფე ცხირეთსა მყოფი შესაქცეველად მცირითა უკვე თანამყოლელთა მხედრობითა იმყოფებოდა ადგილსა მას. და ამა უაშსა შინა თათარნი თურქისტანისა მხრისანი, რომელიც მიწოდებულ იყვნენ ხონ-თქრისაგან შესაწევნელად ბრძოლისათვის ბალდადელთა ზედა, შემდგომად სრულყოფისა ესე თათარნი კოსტანტინეპოლით უკუნიქცენ მამულადვე თვისად, და წარმოსრულნი სიმარჯვისათვის გზისა მოიწივნენ თრიალეთს. და მუნ განიზრახეს თათარ-

თა მათ. რათა დაესხნენ ქართველთა ქვეყანასა, ვინახდგან-
უწყოდენ, რომელ მეფე ამათი არს ყრმა და ჩვენ მრავლისა-
ქონებისა მშოველი განვალთ მამულსა ჩვენსაო. აღიძრნენ ბილ-
წნი ესე და მოიწივნეს მანგლისა, რომელსა ეწოდა კველთა-
გარნა საღმრთომან მაღლმან ესევითარი ზნელი უკვე ნისლი
შემოსა იღვილსა მას, საღაცა არს ეყპლესია მანგლისისა ლვთის-
მშობელად წოდებული, რომელ ვერ უძლეს მიახლებად მისი
და ვერცა განიცადეს უკვე თვალითა. და ამა სიარულსა შინა-
შეხვდათ მათ მღვდელი სახელით თეოდორე მის ადგილისა, და
შეიპყრეს იგი და სტანჯვიდენ მას, რათა უჩვენოს გზა ქართ-
ლისა და საღაცა არს თვით მეფე, მიუძლვეს მათ. მაშინ
მღვდელმან მან კეთილგანმზრახმან აღირჩია სიკვდილი თვისი,
ვიდრე განცემა მეფისა და მამულისა. გამოუძლვა თათართა-
მათ უფროს აცილებით ცხირეთისა და შთამოუძლვა გზასა ზედა-
ერთაწმინდისა და ქვენადრისისისასა, საღა მრავალი ჭირი ნახეს-
თათართა მათ იწროესა გზისა გამო, და მრავალნიცა ცხენნი
დაეხოცნეს და წარუხდათ. ამა მიზეზისა გამო წარკვეთეს
მღვდელსა მას წმინდა იგი თავი. შთამოსრულნი უკვე თათარნი
განეფინნეს მდოესისა მინდორსა ზედა სიმრავლით ვითარცა-
მკალნი. და მცნობი უკვე მეფე და თავადნი და სხვანი მხენი-
მამაცნი ერნი ემდევრნენ უკანით თათართა მათ, და მოსწყვიდ-
ნეს მრავალნი მთავართაგან მათ თათართასა და ლაშქართა-
გან მათთაცა.

და ამა ბრძოლასა შინა მხედ იყვნენ მცირენი იგი ლაშქარ-
ნი მეფისანი და ჩინებულად ციციშვილი ზაზა, იარალი ბარა-
თაშვილი და სააკაძე გიორგი და სხვანი თავად-აზნაურნიცა,
და მსახურნი კაცნი.

მაშინ იყო თთვე იღნისი, და ავდართაგან იყო მტკვარი უქმებ
განდიდებული. და მას დროსა შინა მგზავრი ვინმე ტერტერა-
სოშხისა მომავალობდა უორიდგან. და რა ხუცეს ან მან სომეხთა-
მან იხილა მხედრობად თათართა, მსწრაფლ უკუნიქცა და გო-
რისა ხილისა ფიცარნი გარდაყარნა წყალსა მას შინა და სრული-
ად აღიღო ფიცარნი ხილისანი. მაშინ მისრულთა თათართა სი-
ღიღისა გამო მის მდინარისა ვერდა უძლეს განსვლა მას შინა.
და თათართა აიარეს გორისა პირდაპირ, და მიიწივნენ სოფელ-

სა ქვენატკოცს და მუნ ლაიბანაკეს თათართა. მეფემან ლუ-
არსაბ ყოველგანიდამ მომწოდებელმან ჯარისამან მსწრაფლ
შემოიკრიბნა ამერ-იმერნი და საერისთონი და სხვანი მხედ-
რობანი საბარათაშვილოდგანაც. და შეკრბენ ყოველნი უკვე
ერთად, და მოვიდნენ ერისთავ-ამილახვარი და სხვანიცა თა-
ვიდნი. და გამოარჩიეს, თუ ვითარ სახითა შეებან მტერსა მას.
და მისცეს დარიგება მეფესა, ვინახდგან მას უამსა შინა იყო
ათეუქვემეტისა წლისა. და ესენიცა მივიღნენ და მახლობელ
მის სოფლისა დაიბანაკეს.- და მას ღამესა შინა შეევედრენ
უფალსა და განვიდენ მტკვარსა, რომელთა წინაუძღლოდა მეფე.
განაწყვეს ქვევითნი და ცხენოსანნი. და მას მეორესა დღესა
მიმართეს თათართა. ხოლო თათარნიცა განეწყვნენ და იქმნა
ძლიერი ზედადასხმა ერთისა მეორისაგან, და ცემა შუბთა,
ხმალთა და ლახტებთა, და სროლა თოფთა. და მაშინ გიორ-
გი სააკაძისა და სხვათაგან კეთილ განკაოგულებისა რჩევამან
და მეფისა სიმხნემან, რომელმანცა ხელითა თვასითა დასკა-
მრავალნი უკვე თათარნი, და ესთავე ძლიერად ზედადასხმა-
მან ქართველთაგან ოტენეს ჯარნი თათართანი; და იძლივნენ
სრულიად სპანი თათართანი ვიდრე სამოცი-ათასი უკვე კაცი.
და ესეოდენი მოსწყვიტნეს, და შეიპყრეს, რომელ ათოთხმეტი
ოდენ თათარილა განერა ხელთაგან ქართველთასა- და ესრეთ
ძლევაშემოსილნი უკმორქცეს, გარდახდენ ცხენთაგან და ალავ-
ლინეს ლვთისადმი მაღლობა ცრემლთა დამთხევილთა:

და მერეთ ქართველთა ჩვეულებისამებრ ვარდუხადა მეფემან
შეჯლიში, და ჯილდოებულ ყვნა ყოველნი უკვე მხედრობათა
თვისთაგანი, და ალივსნეს მხედრობანიცა ჩვენნი ალაფითა და
საშოვარითა თათართასა.

რა სცნა ესევითარი სიმხნე ლუარსაბისა წყვიულმან შააბაზ,
ალუჩინდა უკვე ძნელად და განიზრახა ესევითარი უკვე ბორო-
ტი, და სთქვა, ვითარმედ: „ქრისტიანეთა აღუჩნდების ძნე-
ლად ცოლად მიცემად ასულთა თვე-სთა მახმადიანთად“. და მა-
შინ წარმოუვლინა დესპანი ლუარსაბს მეფესა და სთხოვა ცო-
ლად დად თვისი განზრახვითა ამით, უკეთუ არა მისცემს მე-
ფედ დასა თვისსა, ესე იქმნების მიზეზ ურთიერთსა შორის.
მტერობისა, და ამა მიზეზით აღაოხრებ მამულსა მისსაო. მოს-

რულმან უკვე მოციქულმან გოართვნა წერილი შააბაზისა, და სიტყვითაცა ცხად უყო დამოყვრებად მისი, და აღუთქმიდა მრავალთა წყალობათა. მსმენელი ამას ზედა მეფე იქმნა დიდად მწუხარე და მოუწოდა ყოველთა დარბაზისა ერთა და სამღვდელოთა და ზრახვა ჰყო მათდა ხატითა ამით, რომელ შააბაზ მთხოვს დასა ჩემსა საცოლოდ, უკეთუ მივსცე იგი მას, მე ვიქნები მიზეზ ქალისა მის უარყოფისათვის ქრისტესა, და უკეთუ არა მივსცე იგი, და მაშინცა მძხეზ ვიქნები აოხრებისა მამულთა ჩვენთა და დატყვევებისა მრავალთა და დაქცევად გად გადასიათა. მაშინ თანაგამზრახთა მეფე სათა პრეცეს მეფესა: „მეფეო, უმჯობეს არს ერთისა სულისა მიცემა, ვიდრე მრავალთა წარწყმედისა, და ჩვენ ვიზრუხვოთ სულისა მაგისათვის წინაშე ღვთისა“. და მერეთ მეფემან მისცა შააბაზს ცოლად და თვისი ელენე.

შემდგომად წარყვანებისა ამის ქალისა კვალად გულის-მსიტყველმან შააბაზ განიხრახა ესე, რათა ამზახლოს მეფე ლუარსაბ და მეფე თეიმურაზ ურთიერთარს, ვინახდგან უწყოდა, რომელ ურთიერთისადმი ახლო ნათესავ არიან მეფენი ესე და სჯული ქრისტიანეთა აყენებს ამას, და უკეთუ არა ისმინონ ჩემი, კვალად ვპპოვო მიზეზი ბრძოლისათვის მათისა, ვინახდგან ბებია მეფისა ლუარსაბისა, დედოფალი ნესტან-დარეჯან, და იყო მეფისა კახთასა ალექსანდრე მესამისა, რომელიცაიყო პაპა მეფის თეიმურაზის პირველისა. ხოლო შააბაზ ორთვე უკვე მეფეთა ცხად უყო წარმოვლენითა მოციქულისა და წერილითაცა. მსმენელი უკვე ორნივე მეფენი ფრიად მწუხარე იქმნენ ესევითარისა სჯულისა წინააღმდეგ საქმისათვის, გარნა კვალად თხოვითა ქართველთა და კახთა, სამოდელოთა და საეროოთაგან, განრინებისათვის მამულისა აიძულებს ესე ორნივე მეფენი დამოყვრებად, და მისცე და მეფისა ლუარსაბისა ხვარაშან ცოლად მეფესა თეიმურაზს, და იქორწინა მასზედა.

ხსენებული უკვე გიორგი სააკაძე მას ქამსა შინაიყო გვარითა-აზნაური, გარნა დიდად საყვარელი მეფისა ლუარსაბისა, რომელიცა თანაშეზრდილ იყო ქამსა ყრმობისასა მამისა მიერ

ამა გიორგისა, რომელიცა აახლო უამსა ათცამეტისა წლისასა ესე გიორგი ოცისა წლისა. და ალიზარდნენ რა ერთად, ფრიად უყვარდა მეფესა მას. და ესრეთვე მეფისა ღუარსაბისა შჩრდელი, რომელ არს მამამძუძე (ესე იგი ლალა), გვარითა ბარათაშვილი, ხოლო სახელით შადიმან წოდებული, ესეცა დილად უყვარდა მეფესა, და ერჩდა სიტყვისა მისსა. გარნა გინადღან არს ჩვეულება სამეფოთა პალატთა შინათა შური და მტერობად ურთიერთისა ესევითართა მახლობელთა მეფისათა, ამისა გამო მტერობდა შადიმან გიორგი სააკაძეს და ესთავე სხვანიცა კარის კაცნი. გარნა გიორგი სააკაძე სხვათა უკვე თავალთა და ახნაურთა მრავალისა ლიქვნისა სიტყვითა და ნივთთა ჩუქებისათა, და მეფესთან საქმეთა გარიგებისათა მისღრეკდა გულთა მათთა თვისაღმი. და იტყვიან, რომელ აქვნდა გიორგის სურვილი მეფობისა ხარისხობისა, ვინახდგან იყო მდიდარ და ბრძოლასა შინაცა გამოცდილ, და გვარძნილიცა კაცი და მატყუარი, მთნებელი გულთა უმეცართასა.

ამან გიორგი მანქანმან ეშმაკისამან განიზრახა სხვაც ლონე რახმე, რათამცა აწყიოს მეფეჯ სახლსა თვისსა, და უმასპინძლოს მან დიდებით, და მერეთ შემდგომად შუა სადილისა შოიყვანოს მშვენიერი და თვისი და ყოს მწდეველად ღვინისა მეფისათვის, ნუკვე ეტროს მეფეჯ და მიიყვანოს ცოლად თვისსა, ვინახდგან არა ესვა მეფესა მას ცოლი, და იყო ჭაბუკობისა რიცხვსა შინა. და ამა საქმითა უფრორე განუყენოს ერნი თვისნი, და ანუ დიდებულთა არა თავს იდვან დედოფლობად მისი, და განტევებითა ამა ქალისათა მიიცეს უმეტესი მიზეზი ორგულებისა.

— ესე განზრახვაც თვისი სრულ ჰყო გიორგი სააკაძემ, და აწვია მეფეჯ სახლად თვისსა, და სხვანიცა დიდებულნი. და ვითარცა ჩვეულება არს ქართველთა — შექცევა და ღვინისა სმა მეტობით, უამსა მას ოდეს აღისნეს ღვინითა მეფეცა და მთავარნიცა, მაშინ შემოიყვანა ქალი იგი სააკაძემან გიორგი და წარუდგინა მეფესა და ჰყადრა მას, რათა მწდე ექმნას მეფესა ქალი იგი. მხილველმან მეფემან მშვენიერისა უკვე ქალწულისა, სათნო იყო იგი და განიგულა ცოლად მოყვანებად მისი დაფარვით, ვინახდგან სიჭაბუკისა ტრფიალებაც განდიდ-

და გულსა შინა მეფისასა. მეორესა უკვე დღესა უბრძანა მე-
ფემან გიორგის ცოლად თვისსა სათნო-ყოფაა. მსმენელმან
გიორგი სათნო-ყოფისა მეფისაგან დისა მისისა ცოლად თვის-
სა, იწყო ტირილად და ვედრებად მეფისა და დედოფლისა
დედისა მისისა თამარისადმი სახითა ამით, რომელ არა შვენის
მეფესა აზნაურთა ქალისა ცოლად მოყვანებაო, არამედ მთა-
ვართა არს შესაბამ, და ესრეთვე უკეთუ იქორწინოს მეფემან
დასა ამას ჩემსა ზედა, ესე არა იქნების სათნო დიდებულთა
გვამთადმი და ნუთუ ამის ძლით მოხდეს უპატიოებაა რამე
და შეურაცხებაა. გარნა უკანასკნელ სურვილსა მეფისასა და-
მორჩილა გიორგი.

მცნობელთა უკვე ქართველთა ერთბამად, მთავართა და სხვა-
თა დიდებულთა, არა თავს-იდევს ქორწინებაა მეფისა ქალისა
მისდამი და არც სხვათა ერთგულთა ყმათა მეფისათა, არამედ
ზოგად ყოველნი აყენებდეს მეფესა და ეტყოდენ: „არა შესაბამ
სადამე არს მდაბალთა აზნაურთა ქალისა მიყვანებად ცოლად
შენდა, ვინავდგან ხარ ძის-ძე სვიმონ მეფისა დიდისა და ძე
მხნისა მეფისა გიორგისა, უწყია შენ თუ, ვითარ ერთგულნი
ყმანი გის მეფისა სვიმონისანი იყვნენ ყოველნი მამანი ჩენნი
და ჩენგანიცა მას ჟამსა დამსწრენი, ოდეს ოსმალთა შეიძყრეს
იგი, თუ რაოდენი საფასე მისცეს ქართველთა ესრეთ, რომელ
თვით დღესასწაულთა დღეთა და ქორწილობისა ჟამსა შინა
შალისა ჩოხებითა და ნაბად-წამოსხმულობითა მოვიდოდიან
ჩინებულნი გვამნი სტუმრობად და ჭამად მეფეთა თანა? და
აწცა სახითა ამით ვართ სარწმუნო ყმანი შენნიო“.

მეფე ლუარსაბ თუმცა მეცადინეობდა ქალსა მას ზედა
ქორწინებასა, გარნა ვერლა წინააღმდეგა მთავართა მიერ თხო-
ვილთა საქმეთა; და ესრეთვეცა გაამზილეს გიორგი სააკაძისა
განზრახულნი სანდოთა მისთა მეგობართა, რომელიცა აწვევ-
და ორგულებასა მეფისასა. და ყოველივე ესე წინადადება ალ-
უჩნდა მეფესა ლუარსაბს სამძიმოდ, და ჰყო ნებაა მთავართა
და განუტევა ქალი იგი. და ენებათ სააკაძისა შეპყრობაცა,
რომელ მას ჟამსა შინა მეფე სცხოვრებდა საზაფხულოსა სა-
სახლესა შინა კოჯორს. გარნა მეფესა ლუარსაბს არა უქორ-
წინია ქალსა მას ზედა და არც სხვებ შეხებია იგი, ვითარცა

სწერს სომეხთა ისტორიკოსი კაცი სარწმუნო, არაქილ ვართა-პეტი. ხოლო ბიძად გიორგი სააკაძისა ტფილელი იოსებ სწერს ქორწინებასა, მიმდეგი ძმისწულისათვისა, და ესთავე რომელ-ნიმე ძწერალნი, ვითარმედ თვით გიორგისაგან სმენოდეთ ქორ-წინება მეფისაგან ქალსა მას ზედა, და შეპყრობაცა თვისი, და ამისთვის განუდგა მეფესა.

მეგობართაგანმან ვინმე მუნ დამსწრეთა მთავართაგან უბნო-ბათა ზედა [.....], ვითამც დაჲყვა მეფე შესაპყრობლად გიორ-გისა, გარნა ესე არა ჩანს მართლიად ნებად მეფისა. გარნა მივიღნენ არა-სარწმუნონი იგი და აუწყეს ყოველივე გიორგის მის ზედა მოსაწევარნი საქმენი, რომელ ჩვეულება არს ქართ-ველთა სიტყვათა შინა განსარისხებელთა უმეტეს დართვად საშფოთართა უკვე სიტყვებთა.

მცნობი ამისი გიორგი განუსჯელად განივლტო მუნით და მივიდა არაგვს ნუგზარ ერისთვისა, სიმამრისადმი თვისისა, რომელიცა არცა იგი იყო ერთგულ მეფისა თვისისა, ვითარ-ცა ჩვეულება [არს] ერისთავთა. აცნობა გიორგიმ ნუგზარს ყოველივე მოსაწევნელნი საქმენი თვის ზედა და ამის გამო ტოლვად მეფისაგან, და აღლესა ესეცა სხვადასხვა სახი-თა ორგულებისათვის მეფისა. და უკანასკნელ ორნივე ეს წარ-ვიდეს შაპაბაზისადმი რაოდენითამე კაცითა.

შამსა მას შინა შაპაბაზ იყოფებოდა კერძოთა მიღისათა, სამ-თავროსა შინა დედაქალაქისა კვირობოლისსა (რომელსა ზედ-წოდებულ ჰყოფენ შამახიად) ქალაქსა შინა, საღაცა იდგა შაპ-აბაზ, ყიზილ-აჯალად წოდებულსა. მისრული გიორგი და ნუგ-ზარ წარადგინეს წინაშე შაპაბაზისა. და მან გამოპყითხა ვინა-ობად მათი და მიზეზი მისვლისა მათისა, რომელ გიორგიმ აც-ნობა გვარნი და სახელნი თვისნი და ამასთან, რათა სცხოვრებ-დეს აჩრდილსა ქვეშე ხელმწიფებისა მისისასა, და თავი-თვი-სი დასდგას მსახურებისა და ერდგულებისა. მისისათვის, და სახმარ ექმნას ყოველსა შინა საქმესა საქართველოსასა, და დარ-წმუნებულჲყო, რომელ ყოველივე საქმე ქართველთა უწყის მან ზედმიწევნილებით.

შაპაბაზმან ანიჭნა ამათ შესაბამიერნი ხალათნი, ვითარცა არს ჩვეულება სპარსთა მეფეთა, და განუწესნა როჭიკნი. უკუნ-
96

ქცეულმან მუნით შააბაზ თანაწარიყვანა ისპაანად გიორგი და გზასა ზედა ცხენით სვლასა შინა გამოჰკითხვიდა მისგან ნათესაობათა ქართველთა და კახთა მეფეთასა და ქართველთასა, და სიმაგრეთა და ადგილთა სრულიად საქართველოსათა. ხოლო გიორგიცა ყოველსავე გამკაცრებით აუწყებდის ამბავთა, ვითარცა მამულისა ორგული, და ამასთან ცხად უყოფდა ორგულებათა მეფეთაგან, და ადგილად დაპყრობასა და აოხრებასა შაპაბაზისაგან ქართველთა და კახთასა. მისრულმან შაპაბაზ და გამტარებელმან რაოდენისამე დროსამან შემოიკრიბნა მხედრობანი თვისნი და უამსა გაზაფხულისასა წარმოსრულმან ისპაანით თანაწარმოიყვანა გიორგი, განმზრახი ბოროტისა და მამულისა ორგული. და სვლითა ამით მოიწია მცირესა ალვანიასა შინა, დედაქალაქსა განძას (რომელ არს აწერნა განჯად წოდებული და მოვაკანად ადგილი იგი ქართველთ მეისტორიეთაგან). ხოლო შაპაბაზ მუნ განუსვენა სპათა თვისთა და მერე უბძანა გიორგის; „ოდეს იქმნების დრო, რათა წინამძღვარ გვექმნა საქართველოსა ზედა?“ ხოლო საკაძემან მიუგო: „მცირედ მოითმინოს მეფობამან თქვენმან და მე მოგახსენო დრო კეთილი, რომლითაცა ადგილ იყოს შესვლად. თქვენის უმაღლესობისა ადგილთა მათ შინა“.

მცნობელთა მეფეთა ლუარსაბ და თეიმურაზ მოსვლისთვის შაპაბაზისა სამეფოთა მათ ზედა, შემოიკრიბნეს სამლელონი და თავად-აზნაურნი, და შეკრბენ ერთად ნარეკვავისა ჭალასა შინა, და დასდვეს პირი ფიცითა ესრეთ, რათა არა ერთმან მეორესაზედ იხმიონ რახმე მზაკვარებად, და ესრეთვე სული თვისი დასდონ ქრისტესთვის და ერთათვის თავი თვისი. და ამა პირისა დამამტკაცებელნი წარვიდენ თვისთვისსავე ადგილსა.

შაპაბაზ პირველად წარმოუვლინა მეფეთა ამათ დესპანნი და ცხადუყო სიყვარული და დაზაგებად მათთანავე საიდუმლო წერილი ლუარსაბისა თანა, რომელ: „ნუ მინდობილხარ თეიმურაზისა, რომელსა ნებავს ძვირისყოფად შენი და მიღება თვისად ქართლისა, არამედ უსწარ შენ და მოკალი იგი“. ესეხატითავე საქმითა მეცადინეობდა თეიმურაზისასა, რათამცა აცოუნოს მეფენი ესე და მტერ ჰყოს ურთიერთისა.

არამედ მეფენი ესე ქრისტიანულისა ძმებრივისა სიყვარულითა უმეტეს გამტკიცდებოდეს.

დღესა ერთსა შინა კვალად კითხვა ჰყო შააბაზ სააკაძისაღმი, რომელ: „უკეთუ ვინმე თქვენგანმან მისტაცის ვისმე ცოლი, ვითარ უკვე დასჯის მას სჯული თქვენი?“ გიორგი სააკა. ძემ არა თუ სასულიეროება სამართლითა ცხად უყო რამე შააბაზს, არამედ ჰრქვა ესე, რომელ: „ესევითარისა კაცისა სათანადო არს მოკვლად, და აოხრება მამულთა მისთაც, და აკლება ყოვლითა უკვე საცხოვრებელითა და იავარ ჰყოფად მათი“. მაშინ შააბაზ ჰრქვა: „კეთილად საჯე, რომელ მეფემან თეიმურაზ გამომიცვალა მეუღლე ჩემი, და მეფისა ლუარსაბისა, და მან წამგვარა დანიშნული ჩემგან.“ გიორგიმ კვალად უმეტეს დაუმტკიცა მტერობაც მეფისა თეიმურაზისა და ლუარსაბისა.

შააბაზმან კვალად წარმოუკლინა მოციქული და სთხოვა წინდად მეფესა თეიმურაზს უფროსი ძე თვისი ლეონ. გამზრახ-თა კახთა თავადთა და ვერთავმდებელთა ომისათა, სთხოეს მეფესა, რათა წარავლინოს დედაც თვისი დედოფალი ქეთე-ვან და თანაწარატანოს ძეცა თვისი. მეფემან თეიმურაზ თავს-იდვა ესე ყოველი და ცხადუყო დედასა თვისისა, და ჰრქვა: „დედაო, ჩემგან დიდ სადამე არს თხოვაც ესე, რათა წარხვი-დე წინაშე შააბაზისა; ესეოდენთა ერთა განთავისუფლე-ბაც ხელთაგან მისთა, სათნო იქმნების ღვთისა“. მსმენელი დედაც დამორჩილდა მეფესა და თანაწარიტანა უშრწემე-სი ძეე მეფისა. ალექსანდრე, და მივიდა წინაშე შააბაზისა. უკე-თურმან მან მძლავრმან შააბაზ მიიღო ესე დედოფალი უკვე ქეთევან პატივითა, გარნა ჰრქვა, რომელ: „ესრეთი მცირე ყრმაც რად ჩემდა? ნუთუ ძიძად ამისა ვიქმნე მე?“ და სთხოვა უფრო-სისა. ძის ძისა მისისა მოყვანებაც. მაშინ მსმენელი ამას ზედა შეწუხნა დედოფალი და აცნობა ძესა თვისისა და ამცნო, რა-თა არა მოსცეს მან. გარნა თხოვითა კახთათა წარგზავნა თეი-მურაზ უხუცესი ძეცა თვისი ლეონ. მხილველმან შააბაზ იხმო თეიმურაზცა, გარნა თეიმურაზმან გამოსცნო მცბიერება ბილ-წისა მის და არა წარვიდა. და უკანასკნელ შააბაზმან სთხოვა მეფესა თეიმურაზს ასული თვისი ოინათინ, და იგიცა წარგვა-

რა, და მისცა ვალსა ლორისტნისასა ცოლად. შააბაზ მხილველ-მან, რომელ არა მივაღს მისთანა თეიმურაზ, დედოფალი ქეთევან ორის ძის ძით მისით გაგზავნა შირაზად, ხოლო თვით წინამძლრობითა ნუგზარისა და გიორგისათა წარმოემართა იღუმალ კახეთსა ზედა.

უამსა ქრისტესშობის თვისასა, ღამესა შობისასა (ვინახდგან მას უამსა არს უდიდესი ზამთარი მამულსა ჩვენსა), ცისკრისა უამისა დროსა დაესხნენ ქიზიყს და ამისა გარემოსა რჩევითა გიორგისათა თათარნი და მრავალნი მოსწყვიტნეს ქრისტიანენი, მოულოდნელნი ესევითარისა განსაცდელისა, დაატყვევეს მრავალნი და იავარ-ჰყვნეს სახლნი მათნი, განხრწნეს ქალწულნი, ხოცდენ მამაცთა და მოხუცთა კაცთა, ითრევდენ დედათა; სრესდენ ყრმათა, და იყო სრეა, აყრად ხალხთა, და წარლება საქონელთა. და ესრეთ წინამძლრობითა ამა გიორგისა და ნუგზარისათა აღიღეს ენისელისა ქალაქი, გრემად წოდებული და მშვენიერად, დაწვეს სახლებო და ტყვე ჰყვეს მრავალნი, და მუნიდგანაც და სხვათა აღგილთაგანაც აყარნეს ხალხნი და გარდასახლეს სპარსეთად. მეფე თეიმურაზ განივლტო ხელ-თაგან ბარბაროსთასა და მივიდა ლუარსაბისა. და ორნივე ესე შეფენი წარვიღნენ იმერეთს.

შემდგომად აოხრებისა კახეთისა შევიდა შააბაზ ქართლსა შინა და მივიდა გორს, და მერე მუნიდგან დაიბანაკა მცირე-სა ქალაქსა შინა ალს. და ყოველთა ადგილთა ქართლისათა წარავვლინნა ქადაგნი და ამცნო ცხადყოფა მოწყალებისა ხელ-მწიფისა, და მშვიდობით დაცვად ერთა და არარავსამე მიტა-ცება უფასოდ. და ჰყო ესე, და შემოიკრიბნა განბნეულნი ქართველნიცა და არარავმე ბოროტი უყო მათ, და დაარწმუ-ნა ყოველნივე ფიცით და ეტყოდა ერთა მათ: „ვინახდგან. სიძე ვარ მეფისა თქვენისა ლუარსაბისა, მე იგი მიყვარს, ვითარცა საკუთარი ძე ჩემი, და მსურის ბედნიერება მისი და ქვეშევრდომ-თაცა მისთა, და მსურის მოსკლად მისი ჩემთანა, რათა შევიტ-კბო იგი ძეებრივისა სახითა. და უკეთუ იგი უარჲყოფს ძეო-ბასა ჩემგან და არა მოვაღს ჩემდა, აპა გიორგი სააკაძე, ესე ვყო თქვენდა მეფედ და ამას მისუცე ქართლისა ქვეყანა და მე წარვიდე მამულად ჩემდა“. და ესგვარისა შეიბლავისა სიტყ-

ვებითა დამკვიდრებულჲყო ერნი და მოიყვანნა ყოველნივე სამ-
კვიდრებელად თვისად.

ამისა შემდგომად შააბაზ წარუვლინა მოციქული მეფესა
გიორგის და სთხოვა მშვიდობა და ამასთან მეფენი, და აღუთ-
ქვა საფასენი მრავალნი. მსმენელმან ამისმან გიორგი უკმოაქ-
ცივნა მოციქული შააბაზისადვე და თანაწარმოატანნა კათა-
ლიკოზი აფხაზეთისა მალაქია და თავადი აბაშიძე ლეონ ძლვნი-
თა დიდითა, და მიუწერა შააბაზს ესრეთ, რომელ: „ვეველრე-
ბით სიმღაბლით მეფობასა თქვენსა მიცემად მეფეთად სამე-
ფონი თვისინი და მსახურებად ესენი შესაბამ დიდებულე-
ბისა მეფობისა თქვენისა“. განმჭერეტმან შააბაზ, რომელ ძა-
ლითა ვერა ექმნების შემპყრობელ მეფეთა, მოიხელოვნა
ესე, რომელ მოუწოდა მზრდელსა მეფისა ლუარსაბისასა ბა-
რათაშვილს შადიმანს და ამასთანავე სანდოსა საჭურისსა
თვისისა სარუ-ხოჯასა, და დაარწმუნა იგინი ფიცით და შეს-
თვალა ესსახედ, ვითარ: „არა მერწმუნები მე, ვითარ უგულე-
ბელს ვყოფ მე ძესა გიორგი მეფისასა, რომელმანცა მმსახურა
მე ბრძოლასა ზედა ოსმალთასა ერევანს და დასდო სული თვი-
სი ჩემთვის? და არქუთ თქვენ ლუარსაბს, რათა მოვიდეს იგი
ჩემდა და მივსცე ყოველივე სამკვიდრებელი მისი სრულიად.
ხოლო თეიმურაზ ვინაადგან არს ძელადვე მტერ ჩემდა, მას
არაოდეს ვერწმუნო.“ და მასთანაცა მიუწერა ეპისტოლე ხატი-
თა ამით: „შააბაზ მეფისაგან მხნეთასა მრავლითარე სიყვა-
რულითა მიიწიოს გიხაროდენი ლუარსაბის მიმართ მეფისა ქარ-
თველთასა! მრავალგზის მივსწერე თქვენდა სიყვარულით და
გაჩვენენ ქეთილ-მყოფელობად გულისა ჩემისა, რომელ არს
შენდამი. მაგრა შენ არა ისმინე და არცა ირწმუნე სიტყვანი
ჩემი. აწ ვიდრემე უწყებულ იქმენ საქმისაგან და გრწმენინ;
ვითარ იგი ზედ-მჭერეტ ხარ, ხოლო ქვეყანად აღვაოხერე თეი-
მურაზისი, ხოლო შენი დავიცევ შენთვის მრთელ და აღშენე-
ბულ მომლოდნებან მოსვლისა შენისამან, აწ სადამე ნუ გცონის-
მცა მოსვლად, და ნუ ისმენდა უგუნურთა და უმეცართა სწავ-
ლის მომცემთასა, და ნუცალა ხვებულ იქმნები მეფობისაგან
შენისა მით, რომელ არა მაქვს გულსა შინა ჩემსა შური და
ზაკვად შენდამი, ვითარცა შენ არარადმე გიქმნიეს ბრალი ჩემ-

და. განლა შენსა მოსელასა ვითხოვ ამისთვის, რამეთუ დრო-
თა წინაპართა ჩვენთასა შეერთება იყო შორის ორთა ამათ
ნათესავთა. ესთავე მნებავს, რათა იყოს დროსაცა შინა ჩემსა,
და მე ყოველნი ჩრდილოეთისა გარწმუნო კერძონი, რომელ
არს იმიერ, კერძო არეზ მდინარისა, რათა შენ იყომცა ზე-
დამდგომელ და ბრძანებისა მიმცემ ყოველთა მათ კერძოთა
მთავართა ზედა, და შენ ზრუნვიდე ამა კერძოთათვის. ხოლო
ჩვენ, უზრუნველქმნილნი ამათ კერძოთანი, ვჭრუნვიდეთმცა
შეორეთათვის კერძოთა და ვიპყრობდეთ პირთა მტერთა ჩვენ-
თასა. და ამასთანა მომლოცველთა მეფობისა შენისათა წარ-
მოგივლინეთ ხმალი სამეფო მოოჭვილი სპეკალთაგან, რათა
ესე იყოს ნიშნად მეფობისა შენისა. მრთელ იყავ!“

ზემოხსენებული უკვე კათალიკოზი, აბაშიძე და შადიმან
და სარწმუნო მეფობარი თვისი საჭურისი ესე გაისტუმრა მე-
ფეთაღმი და ანიჭნა მრავალნი კათალიკოზს და აბაშიძეს, და
ესრეთვე გიორგი შეფეხაცა უბოძა საშეფო ხალათი და ცხენი
აღკაზმული, ვითარცა სპარსთა არს ჩვეულება; და საჭურისსა
მას მისცა დამან ლუარსაბისაშან დასარწმუნებელი წერილი,
რათა არარამებ ეჭვი ჰქონდა შააბაზისაღმი. და მირაიწივნეს
ესენი და უწყებულ იქმნა სიტყვითა და ეპისტოლეთა შააბაზ-
ისათა ლუარსაბ, მაშინ სიყვარულითა მამულისა და ერდგულ-
ობისათვის ერთასა ერწმუნა ყოველთა ვერაგობასა შააბაზისასა
და განემზადა წარსკლად შააბაზისად. თუმცა აყენებდენ მეფე-
ნი და დედაცა თვისი არა წარსკლად შააბაზისად, გარნა აპზ-
ვერლმან, ნუთუ ალაოხროსო ქართლი, ამის გამო სული თვი-
სი დასდო მან ერთა და წმინდათა ეკალესიათათვის; და ამას-
თანაცა შადიმან მოცთუნებული აჯერებდა ლუარსაბს დიდსა
წყალობასა შააბაზისაგან. წარსჩულმან იმერეთით შააბაზისად
ლუარსაბ გარდმოვლო მთაც ლიხისა და წარმოემართა ბანაკი-
საღმი შააბასისა, რომელიცა იყო დაბანაკებულ შორის ალისა
და ნაბახტევისა. მსმენელმან შააბას განსკლა ჰყო ბანაკით ყო-
ველთა თანა მთავართა თვისთა, სპარსთაღმი მჩვენებელმან
ჩეცა ნადირობად განსკლისამან; გარნა ჰაზრი მისი იყო
მიგებებად ლუარსაბის მიმართ.

ხოლო მოვიდა რა ლუარსაბ შააბასისად და მოიკითხნეს

ურთიერთას, ცხად უყო შააბაზ პატივი სიყვარულისა თანა
შეერთებული; და მზაკვარისა სახითაცა, ვითარცა მოზრულ-
მან, იწყო ცრემლო დენა და ტირილითა ეტყოდა, ვითარ:
„შესაძლებელ არს ჩემდა ძვირის-ყოფად შენებრისა მხნისა
ამის და ყოვლად მშვენიერისა, ერთგულთა და სარწმუნოთა
ჩემთა ნაყოფისა?“

მოვიდნენ რა იგინი ბანაკად თვისა, შააბაზ აწვია იგი თვის-
თანა და გარდაუხადა ნადიმი მგოსანთაგან სიმღერით, და
თანასწორითა პატივითა მიიღო იგი და განუშზადეს კარავნი-
ცა სამეფონი; და დღე ყოველ აწვევდა თვისთანა, და უბოძებ-
დის ძვირფასთა ლართა და სპეკალთა წახნაგებულთა (ესე
იგი თრაშ-ნაკრავთა), და სხვათა მოოჭვილთა საჭურველთა, და
ძვირფასთა შესამოსელთა და ბედაურთა ცხენებთა. და ესრეთ
წარმოემართა ლუარსაბითურთ შააბაზ ტფილისად, აღმთქმე-
ლი მისდა ფიცით: „დაგიტეოო ბედნიერად საყდარსა ზედა
მენსა ტფილისს და მე წარვიდე სპარსეთად.“

მოსრულმან ტფილისად შააბაზ ყოვლისა უკვე გვარისა წყა-
ლობითა ალვისილ-ჰყო ლუარსაბ და მერეთ რაოდენისამე დღი-
სა შემდგომად ჰრევა ლუარსაბს შააბაზ: „მწადსო შექცევად
ნადირობად ველთა ზედა ყარაიისათა, რათა დედაკაცთაცა
შინაგან მყოფთა ჩვენთა უჩვენეთ სრვანი ნადირთანი.“ და
მერეთ წარვიდნენ სანადიროდ. ხოლო ხვალისა-დღე იწყეს
განმზადებად მონადირეთა ველსა ზედა ყარაიისასა. მას ეამსა
შინა მიუწერა დამან თვისმან ლუარსაბს, ცოლმან შააბაზისა-
მან, რათა არა უჩვენოს შააბაზს სიმარჯვენი სროლასა შინა
ნადირთასა და ესთავე სიჩაუქე და კარგი მხედრობად თვისი,
ვინახდგან შააბაზ ვერ იყო არცა მხედარი კარგი და არცა
მარჯვე იარაღთა შინა, და უკეთუ, იხილის ვინმე მარჯვე ესე-
გვართა შინა შემთხვევათა, აღიღებდის მას ზედა შურსა
ფრიადსა და მტერ ექმნებოდის მას. მსმენელმან ლუარსაბ
არა ისმინა თხოვად დისა თვისისაგან და სთქვა: „ვგრძნობ
მე თვის შორის, რომელ მზაკვარი ესე არღა მიტევებს გან-
შვებად და რადღა ვაჩვენო თავი ჩემი ჯაბანად?“ და ოდეს
იწყეს ნადირობად, სიმარჯვემან და კარგად მსროლელობამან
ისართაგან განაკვირვეს შააბაზ, რომელ ხელთაგან ლუარსაბი-

სათა მოკლულ იქმნეს მრავალნი ქურციკ-ირემნი და ღორნი, და არცალა თუ ერთი ისარი რტყორცილი დასცდენიეს მის-გან ნადირთა მათ. ესევითარი სიმარჯვე ლუარსაბისა თუმცა არა სთნდა შააბაზს, გარნა მზაკვარულისა სახითა ანიჭნა კვა-ლად საჩუქარნი მრავალნი და უწყო ქებად სიმხნისათვის მისი-სა. და მერე ეტყოდა შააბაზ მეფესა: „ვინახდგან სჩან შენ მხედრობათა შინა ჩემთა უზესთაეს ყოველთა სროლათა შინა, მწადს მე, რათა ნადირობითა შევექცეთ ერთად ყარაბალსა შინაცა“ (რომელ არს ესეცა ნაწილი მცირისა ალვანისა, რო-მელსა ქართველნი ზედწოდებულ ჰყოფდენ რანად). მსმენელ-მან მეფემან სცნო მზაკვარებად ულთოსა მის, გარნა თუმცა ეძლომცა განვრომად ხელთაგან მისთა, არამედ ერდგულება-მან მამულისამან და მშვიდობით დაცვისათვის ერთა თვისთა არა ინება განტოლვა მით, რამეთუ ნუთუ განრისხებულმან მძლავრმან ამან ქართლსა ზედაცა ესე მოაწიოს, რაც კა-ხეთსა ზედა.

და ბრძანებისა მორჩილი დაჰყევა ნებასა შააბაზისასა და თანა-წარყვა მეფე რაოდენისამე თვისისა ერდგულისა თავადთა და აზნაურთა და მსახურთა წარმყვანებელი. მისრულთა მუნ იწყეს რაც ნადირობად, უმეტეს პირველისა შეფემან აჩვენა მორბედობად თვისი მას ველსა ზედა, და არა მცირედი კვა-ლად შური უკვე განლვიძებულ იქმნა შააბაზის მიმართ, თუმ-ცა ანიჭნა მრავალნი და აღუთქმიდა განტევებასა. გარნა აწ-ვია მერეთ მაზანდარისა ადგილთა შინაცა ნადირობად (რო-მელსა უწოდებდენ პირველ მაზანდარისა სახელად ვირკანია-სა). მისრულმან შააბაზ ლუარსაბითურთ ინადირა მაზანდარა-სა შინაცა და ანიჭნა მუნცა მეფესა მრავალნი.

დღესა ერთსა უამსა დიღ-მარხვისასა მოხადა შააბაზ მეფე ტაბლასა ზედა ნადიმად (იტყვიან რომელნიმე და სწერენ-ცა მეისტორიენი, ვითამც ვნების კვირიაკესა დიღ-პარასკევ-სა), რომელ უწყოდა შააბაზ —ქრისტიანენი სხვათა ყოველთა ზედა დღესა მას პარასკევსა უმეტეს დაიცვამდენ მარტულე-ბითა. და იძულებული უკვე მეფე მივიდა ნადიმად და შააბაზ-მან დაისო მახლობელად თვისსა და მოართვეს ხორცი შემგბა-რი. მეფემან არა ხელჰყო არცალა. და პრქვა შააბაზ მიღებად

იგი. ხოლო მეფემან ჰკადრა ესრეთ რომელ: „ჩვენ მართმადი-
დებელნი ქრისტიანენი ამა წმინდათა ორმეოცდა უკვე დღეთა
ვერასადა შევეხებით ხორცისა ჭამასა, ვინავდგან არა გვიძია-
ნებს სჯული მიღებად სახსნილოთა.“ მაშინ შააბაზ ბძანა და
მოართვეს ხორცისა წილ თევზი შემგბარი, და არცა ეს მიი-
ღო მეფემან. და აიძულებდა გულსმოდგინედ შააბაზ, რათა
ჭამოს მისთანა. ხოლო მიუგო ესრეთ მეფემან: „უკეთუ აწ ამას
ზედა გექმნე მორჩილ, მერმელა მაწვიო მე სჯული მამადისა.“
და კვალად აიძულებდა ბილწი იგი, რომლისათვის აღსდგა-
ტაბლითრე ლუარსაბ და წარვიდა სადგომად თვისა. მხილ-
ველმან შააბას ლუარსაბისაგან ქმნილისა მისდამი ურჩების-
მან, გრძნო დიდადრე შეურაცხებად თვისად და განიჩრახა
დაფარულისა თვის შორის ძვირისყოფისა განცხადებად, და
კითხვა-ჰკო შეურაცხებისა ამისთვის გიორგი სააკაძეს, რო-
მელმანცა ძლიერად შეასმინა ლუარსაბ და ყოვლითურთ მე-
ცადინეობდა მოკვლასა მისსა.

და მერეთ აწვია ლუარსაბს შააბაზმან, უკეთუ იგი შეურაც-
ხებისა ამისთვის დაუტევებს სჯულსა ქრისტიანობისასა და შე-
უდგების მოძლვრებასა მამადისასა, განუტევებს მას, დიდით-
რე დიდებითა, და მისცემს მამულსა თვისსა, და პყოფს სახედ
შვილისა თვისისა, და შეუნდობს შეცოდებასა მას. ხოლო
უკეთუ არა ერჩდეს ბრძანებასა მისსა, მაშინ მწარითა სიკვდი-
ლითა განპატიუებს იგი. გამგონე ამისი ლუარსაბ ყოვლი-
თურთ უცხო იქმნა სიტყვასა ზედა შააბასისასა და აღიარა
კადნიერად უფალი ჩვენი იესო ქრისტე პირჯვარითა გამომ-
სახველმან. გარნა შააბაზ მრავლითრე ლიქვნითა ევედრებო-
და და აღუთქმიდა მრავალთა წყალობათა; ხოლო წმინდა
იგი, ვითარცა ანდამატი, ესრეთ ეგო უმტკიცესად. და უკანას-
კნელ შააბას კვალად უქადნა სატანჯველნი, ვითარცა სწერს
მამათმთავარი ჩვენი ბესარიონ. გარნა მეფემან არცაღათური-
მინა ქადაგებანი მისნი, არამედ განაგრძობდა ლოცვასა და
გედრებასა ლოთისადმი, რათა შეუძლოს მან წინაგანწყობად მან-
ქანებასა მის ეშმაკისასა.

ოდეს იხილა შააბაზ სიმტკიცე ქრისტეს მხედარისა, მა-
შინ ბძანა შეპყრობად მისი და ექსორია ყოფად, რომელიცა

წარიგზავნოს მახლობელ სპარსეთისა, შირაზის კერძოდ, ბას-რიისა ზღვისა პირსა, ფარისტანის შორის, ციხესა ზედ-წო-დებულსა გულაბს, და თანა წარტანება ორთა ოდენ მონათა მის მეფისათა. ხოლო მეფე მოვიდა რა სახლსა თვისსა და ცხად უყვეს ბძანება ესე შააბაზისა, მოუწოდა მოძლვარსა თვისსა და ალსარებითა განწმენდილმან შიილო წმინდა საიდუმლო და უზიარა დიდისა სასოებითა ცრემლ-დანთხევით, და მერეთ შე-მოჰკრიბნა მუნ მყოფნი ქართველნი, და ყოველთავე ეამბორა და მისცა მშვიდობა. ხოლო ქართველნიცა, ხელსა მეფისასა მეამბორენი და მოკლებულნი კეთილისა მეფისა და დაცხრო-მისათვის ძეთაგან შეილიერებისა სვიმონ დიდისასა, იგლეჯ-დეს წვერთა და იხოკდენ პირთა, და მოსთქმიდენ ქართველ-თა ჩვეულებისამებრ, და აქვნდათ გლოვად და ვაებად მყოფ-თა მუნ ყოველთა.

და მერე წარიყვანეს სარკინოზთა მათ ლუარსაბ ციხესა მას შინა და რაოდენისამე დროებსა მიმყვანთა მიაბარეს ციხისა უფროსსა მას, და პატიმარ პყვეს, ვითარცა აქვნდათ ბძანე-ბა. და იყო მეფე შეიდ წელ ციხესა მას შინა ლოცვითა და მარხვითა განკაფულ, ვითარცა სწერს მიტროპოლიტი მროვე-ლი ნიკოლაოს შაირთა შინა თვისთა ქების მსიტყველი წმინ-დისა ამის მეფისა ესრეთ: „შეიდ წელ მარტოებდა ტანჯული გულაბს ციხესა შინა“.

არა დასცხრა ბოროტი იგი სააკაძე და მივიდა წინაშე შა-აბაზისა და პრქვა, რომელ: „გიორგი მეფესა იმერთასა გარ-დამოუყვანია მეფე თეიმურაზ მხედრობითა თვისითა და შთაუყვანია კახეთს, და მიულია თეიმურაზს ტახტი მეფობისა წინააღმდეგ მეფობისა თქვენისა; და აწ მეცადინეობენ ქართ-ველნი, რათა ანუ ოსმალთა, ანუ ბერძენთა—მცურვალეთა ზღვათა შინა, ნავით მოსრულთა ვაჭრის სახიდ, ანუ იდუ-მალ წარიპარონ ლუარსაბ და მიიყვანონ მამულადვე თვისსა, და პყონ ისევე მეფედ, რომელ ესეგვარი უკვე შემთხვევა იქმ-ნების უკანასკნელ თქვენთვის სამძიმო, და შრომისა მიღება ხაზინისა და ჯარისა ზიანი. და მე ერდგულისა გულითა მო-ვახსენებ დიდებულებასა თქვენსა, რათა სიცოცხლე-მოკლე-ბულ პყოთ ლუარსაბ“.

უსმინა ესე სიტყვანი გიორგის შააბაზ და სათნოდ აღუჩნდა
იგი, და წარავლინნა სარწმუნო ყმანი თვისნი ლუარსაბისად
და შესთვალა ესრეთ: „ანუ უარყავ სჯული ქრისტესი და
განგიტეო შენ მშვიდობით, და უკეთუ ურჩ იქმნე, ამ არს დღე
მოკლებისა შენისა.“ მისრულნი ესე მოციქულნი მივიღნენ
ლუარსაბისად და მოიკითხეს მშვიდობით, და ცხად უყვეს
ბრძანებად მეფისა; და ვედრებით ხელს მომჰიდებელნი სთხოვ-
დენ, რათა დაიცვას სიჭაბუკედ თვისი და მორჩილ ექმნას
შააბასს. გარნა წმინდა იგი შვიდსა წელსა შინა მარხული და
ლოცვით განათლებული, ხორციაგან განლეული, იყო მტკი-
ცელ სარწმუნოებასა ზედა, და ჰრევა მათ: „ესე შვიდი უკვე წელი
არს, რომელ ვიტანჯები მე და დღე-ყოველ მცველნი ამა ცი-
ხისანი მაიძულებენ დატევებად სჯულისა, არამედ ესე გეუწ-
ყოთ, რომელ ვერცა დიდებამან, ვერცა ტანჯვამან და ვერ-
ცა სიკვდილმან შემიძლოს განყენებად ქრისტესა; და რაც ვა
გეგულებისთ, ჰყავთ ადრე, ვინავდგან მზა ვარ სიკვდიდ ქრის-
ტესთვის“. და მერეთ ითხოვა მათგან მცირედ დაცალებად,
რათა ილოცოს, და მერმელა სრულყოფად ბრძანებული მე-
ფისა.

აქვნდა უკვე წმინდასა მას მფარველად ხატი ყოვლად წმინ-
დისა დედოფლისა ჩვენისა ღვთისმშობელისა, და შესრულმან,
საღაცა ესვენა იგი, მოიღრიკნა მუხლნი და ცრემლით იტყო-
და: „ჰომ, ყოვლად წმინდაო დედოფალო, ღვთისმშობელო,
შემწეო ყოველთა ქრისტიანეთაო, შენდამი დამიცს ყოველი
სასოებად ცხოვრებისა ჩემისა, შენ ხარ მფარველი ჩემი, შენ
ხარ ნუგეშინის მცემელი ჩემი, შენ მომეც მე შეწევნად ღვაწ-
ლისა ამის ჩემისა, შენ მიოხე წინაშე ძისა შენისა და შემრთე
წმინდათა მოწამეთა თანა, რათა მეცა ვადიდებდე მამასა და
ძესა და წმინდასა სულსა, ამინ“.

და მერეთ მოვიდა მტარვალთა თანა, და გამოისახა სამგზის
პირჯვეარი და სთქვა: „უფალო იესო ქრისტე, ღმერთო ჩემო,
შენდა შევვედრებ სულსა ჩემსა“. და მერეთ მოუღრიკნა თავი.
და მოილეს მათ მტარვალთა მშვილდისა უკვე საბელი და
მოაშოვეს ტარიგი იგი ყოვლად წმინდა წელიწადსა 1622-სა.
იტყვის ნეტარი ბესარიონ, ვითარმედ: ორთა მათ მონათა,

მყოფთა წმინდისა თანა, აწვიეს დატევებად სჯულისა, გარნა-
იგინიცა არა მორჩილ ექმნენ ბრძანებასა მძლავრისასა და
მათთაც მიიღეს ქრისტესთვის სიკვდილი მარტვილობითა-
მოშთობისა მიერ. ხოლო ლამესა მას დაუტევეს დაუფვლელ
წმინდანი იგი და სანატრელი სხეული მათი, რომელიცა
სჩნდა ლამესა მას შინა, ვითარცა თოვლი ფრიად ბრწყინ-
ვალე და ნათლით შემოსილი, და მეფესა მას ზედა სვეტი
ნათლისა. მოვიდეს მრავალნი მუნ მცხოვრებნი უკვე თათარნი-
და სხვანი, და რა იხილეს ესე, მიეცნენ განკვირვებასა და
აქებდენ წმინდათა. ხოლო მეორესა უკვე დღესა დაფლეს მას-
ვე ციხესა შინა ყოვლად პატიოსანნი გვამნი მათნი, და რო-
მელნიცა შეპყრობილ არიან სნეულებითა საფლავისა მისისა
მიხებულნი, მიიღებენ კურნებასა ვიდრე დღეინდელად
დღედმცა.

იამბიკო კათალიკოზის ანტონისგანვე თქმული:

ლუარსაბისი ყუავილ-წალკოტიანი
მწიფობენ მტილნი ნაყოფ-ხილნარ-ხიანი.
ესე სიტყვითნი და სხივ ნათელ-მზიანი
ჰქონიან ელვანი ირმი მთიებრ ციანი
არღამიერნი ყოვლ მაღლიერ დღიანი.

მთავრობა მოწავლითა ბიძინა, ელისარ
და შალვასათგის

დ ე დ ოფ ა ლ მ ა ნ: ვითარ იწამნენ წმინდანი მოწამენი ბიძინა
მატაკარანი* და ელისაბარ ქსნის-ერისთავი და შალვა, ნათესავი
და ძეობილი მისი?

ი თ ა ნ ე: რა ულმრთომან შააბაზ პირველმან აწამნა წმინდანი
მეფენი, ესე იგი წმინდა დედოფლალი ქეთევან და წმინდა მე-
ფე ლუარსაბ განზრახვითა სააკაძის გიორგისათა და ოღაოხრა
კახეთი, შემდგომად ამისა არა ჰყოვნა მსჯავრმან სალმრთო-
მან და შეედო სენი მუცლისა შააბაზს ესრეთ, რომელ ნაწ-
ლევნი გამოსდიოდენ განსავალიდვან. და იტანჯებოდა შვიდ
წელ ამ სენითა, და მერე წარვიდა ჯოჯოხეთს შინა და მის-
ცა სული თვისი ეშმაკთა. ხოლო გიორგი სააკაძეზედაცა მოი-
წია რისხვა ზეგარდამო, რომელიც პირველ საყვარელ იყო
შააბაზისა, მერეთ იქმნა მის მიერ მოძულებულ ამად, რომელ
სააკაძე ერთსა ცოლთაგანსა შააბაზისასა საყვარელ ექმნა.
მცნობმან ამისმან შააბაზ განიზრახა სიკვდილი მისი მწარითა
ტანჯვითა. მცნობი ამისი გიორგი სააკაძე ეძიებდა ქამსა მარ-
ჯვესა ლტოლვად სპარსთაგან, რომელმანცა სრულპყო აზრი
თვისი და მიივლტო ოსმალთა ქვეყანასა. შინა დედაწული-
თურთ თვისით, ვინახდეგან ქართველთა და ქახთა შიშითა

* მატაკარანი სამეფო მოხელეს სახელია, ე. ი. სუფრაჯი (შენიშვნა ავ-
ტორისა).

ადრევე თანაწარეყვანა სახლეულნი თვისნი. მისრული გიორგი სტამბოლსა შინა მიიღეს პატივით და განაწესეს ხელსა ქვეშე რომლისამე ფაშისასა, რომელიცა ახლდა ყოველთვის სხვათა და სხვათა ბრძოლათა შინა და მწყალობელცა იყო მისი სიმბნისათვის მისისა. გარნა ვინახდგან იყო გიორგი სააკაძე დაუდგრომელი და შეურჩომელი კაცთა და ცუნდრუკების მოყვარულ, ვითარცა არს აწცა მათთა ოჯახთა შინა ესეგვარი უკვე ჩვეულება, ამა გიორგის შეუჩნდა ღალატი მხედრობისა მის ფაშისა და მისვლა მტერთადმი მისისა. შეიპყრეს გიორგი მიზეზითა ამით და წარადგინეს შესმენილი დიდისა სულთნისა ქარისადმი, რომელთაცა განაჩინეს პირველად ძისა მის სააკაძისა ზურაბისა სიკვდილი, რომელიცა მამისა წინაშე თავწარკვეთილ იქმნა მეხრმლისაგან და მერეთ გიორგისაცა მოსტრეს თავი იგი ბოროტი, რომელსა შინა გამოხატულ იყო მტერობა საქართველოსა და სამეფოსა სახლისა. და ესრეთ იქმნა მატლთაგან შეჭმულ. ხოლო სახლეულნი მისნი იავარჲყეს და დედაწულნი მისნი წარიყვანეს თათართა, ვინახდგან პირველ მიზეზითა მისითა მრავალნი წარყვანილ იქმნეს თათართაგან.

შემდგომად შააბაზისა მიიღო [მეფობა] ძმისწულმან მისმან აბას, რომელიცა იქნდა მეორე შააბაზად. და დროთა ამათ შინა იყვნენ სპარსენი დამკვიდრებულ ქართლსა შინა. და ამან კვალად წარმოავლინა ოთხმოცი-თასი კომლი უკვე კაცი, და უჩინა მათ მთავრად არდალანისა სულთანი, ერთგული ყმა თვისი, და უბძანა ამა ელისა დასახლებად კახეთსა შინა, რომელნიც მოვიდნენ და დაეშენენ ადგილსა ბახტრიანსა, რომელსა აწუწოდებთ ბახტრიონად; და განაგრძელეს ალაზნის პირსა ზედა სადგური თვისი ესრედ ვრცლად, რომელ დარიგდნენ გარიგებით სოფელ-სოფელად ალაზნის მდინარიდგან ვიდრე ლანუხის მდინარედმდე, რომელ არს აწიორად წოდებული, სადაცა ერთვის ესე ალაზნს; და ალაზნეს ბახტრიანისა ციხე და სიმაგრედ თვისსა ჰყვეს. ხოლო თათარნი ესე ზაფხული იქცეოდენ მთიანთა აგარათა შორის და ზამთრით ტაფა-ჭალოვანთა ადგილთა შინა და ამა მდგომარეობასა თვისსა იხმევდენ ჩვეულებასა, რათა ამით კახეთსა შინა დამკვიდრებითა

აღისპოს ყოველი მკვიდრობად ქრისტიანეთა; და სრულ ჰყვეს-
ცა აზრი თვისი, რომელ მათმან მოსახლეობამან განაბნიენა
დანაშთნი ერნი კახეთისანი და ააოხრეს ეკკლესიანი და წმინ-
და ადგილნი ესრეთ, რომელ თვით სამთავარეპისკოპოსო იგი
წმინდისა მთავარმოწამის გიორგის ეკკლესია, ალავერდად
წოდებული, ესეგვარ ოხერ იქნა, რომელ კარიპჭეთა შინა
მისთა აღმოსცენდეს ველურნი ხენი.

დროსა ამას შინა დანაშთთა კახელთა, რომელნიცა მთათა
და ტყეთა და სიმაგრეთა შინა მკვიდრობდენ, ამათ ყოველთა
განაგებდა ქრისტეს მოყვარე მხედარი ბიძინა ჩოლაყაშვილი,
ვინახდგან მეფე პირველი თეიმურაზ არღა მყოფობდა კახეთ-
სა შინა სპარსთა შიშითა. ესე ბიძინა ნაიბად მისგანვე იყო
მიჩენილი კახელთა ერთა ზედა და ესე მართვიდა მათ.

დღესა ერთსა შინა იხილეს სპარსთა რაოდენთამე უგვანთა
კაცთა ხუცესი ვინმე, მიმავალი გზასა ზედა საშუალ ახმეტისა
და ალავერდისა, და ზედა მოულოდნელად დაესხნენ სპარს-
ნი იგი, განძარვეს მღვდელი იგი და განაშიშვლეს, ვითარცა
დედის მუცლითგან ნაშობი, და ინებეს სხვებცა შეურაცხყო-
ფად მისი. ამა უწესოსა საქმესა ზედან განწყრა მღვდელი იგი
და სუა მუშტითა, და წარაქცივა ერთი მათგანი, და სხვათა-
ცა მიმართა, და უკუნექცნენ, და განივლტო ხუცესი იგი, და
მივიდა ბიძინა მთავრისადმი და ყოველივე შეურაცხყოფად
თვისი აუწყა მას. მსმენელი და მხილველი ამა ხუცისა ბიძინა,
შეძრწუნდა სულითა და აღიგსო საღმრთოსა შურითა და გა-
ნიზრახა, მიმდობმან ღვთისამან, რათა რამე ღონევ მოიპოვოს
ღასამხობელად ბარბაროზთა მათ.

ხოლო რაოდენისამე დღისა შემდგომად წარვიდა ბიძინა
ზაალის მიმართ, არაგვის ერისთვისა, და ელისბარის მიმართ,
ქსნის ერისთავისა. მისრულმან ითხოვა ორთაგანვე ვედრებით,
რათა მტერთა ზედა ქრისტესთა მკვიდრთა კახეთსა შინა შე-
ეწივნენმცა, ვითარმედ მათდამი იტყოდა: „მრწამსო, რათა
ვსძლიოთ, და ალუსპნოთ იგინი, და განვსწმინდნეთ ბილწთა-
გან სიწმინდენი ჩვენნი, და ვიხსნეთ ესეოდენნი ქრისტიანენი
ხელთაგან მათთა“. ითნეს ორთავე ერისთავთა განზრახვად
ესე და უფროს ელიზბარმან ნათესავით თვისით ძეობილით

შალვა ნეტარით, და ლაშქრითა დიდითა თანაწარყვა ნეტარ-სა ბიძინას გამხედრებული სახელისათვის ქრისტესისა. მაგრამ ერისთავმან არაგვისამან. ზაალ, შიშითა სპარსთა მეფისათა ვერა კადნიერმან წარსვლისა თვისისამან მათთანა, მისცნა მცირედი უკვე კაცნი, გარნა რჩეულნი და ბრძოლასა შინა გამოცდილნი. და წარემართნენ კახეთს ფარულად. და ესრეთ-ვე შემოკრბენ ფხოელნი, რომელ არიან აწ ფშავად წოდებულ-ნი, და თუშნი და დანაშთნი კახელნი, და ესრეთ წარემართ-ნენ. წარსრულთა მხედართ-შევანთა და კეთილად გამკარგ-ველთა განაწყვეს ქრისტეს-მოყვარე მხედრობა და ჯვარითა მორთხმულნი დამკვიდრებულთა კახეთსა შინა სპარსთა უგრძ-ნობელად ჟედადაესხნეს, და შეწევნითა ყოვლად უხრწებული-სა დედოფლისა ჩვენისა ღვთისმშობელისათა და თანამბრძო-ლებითა დიდებულისა მთავარ-შოწამისა გიორგისათა სპარსნი აღსწყვიდეს, აღსპეს და მოსრნეს პირითა მახვილისათა, და თვით სულთანისა არდალანისასა ზედადაესხნენ, რომელიცა იქმნა ბრძოლა ძლიერი. და ამა კვეთებასა შინა იხილეს მშვე-ნიერი ჭაბუკი მხედარი თეთრსა ცხენსა ზედა მჯდომარე, რომელი წინაუძღვდა მხედრობათა ჩვენთა, პარტა ზედა მსრბოლი ჭურვილითა, და დასცემდა უცხოთა თესლთა მათ, და უკუნაქცევდა, და ძრწოლად მოიყვანებდა, რომელ იხი-ლეს მრავალთა ქრისტიანეთა, რომელ იყო იგი წმინდა გიორ-გი, ვითარცა სწერს წმინდა მამა ჩვენი ბესარიონცა. და ეს-რეთ ძლეულნი განიბნივნენ სპარსები და მხედარნი ქრისტესი მოადგნენ ბახტრიანისა ციხესა, და აღიღეს იგიცა, და მოსწყ-ვიდნეს შუნ მყოფნი თათარნიცა, და თვით სულთანისა ცოლ-შვილიცა აღისპნეს ხელთაგან მათთა, და მრავალნი უკვე ტყვე ჰყენეს და იავარ ჰყენეს ნაქონებნი მათნი და ყოველნი საუნ-ჯენი უკვე მათნი დაშთათ ხელთა შინა მძლეველთასა. ხოლო სულთანი იგი არდალანისა განივლტო უკვე მარტო და განე-რა ხელთაგან მხედართასა, და მერეთ დანაშთათცა ზედა სპარსებთა დაესხნეს და აღაოხრეს ესრეთ, რომელ ოთხმეოცი ათასთა მეკომურთაგანი არცალა თუ ვინმე განერა ხელთაგან მათთა გარდა სულთანისა კიდე.

ძლევა-შემოსილთა უკვე მხედართა ამათ რა მოიცალეს მტე-
რისაგან, ხელ-ჭყვეს აღშენებად დარღვეულთა საყდრებთა, და
განაახლეს ყოველივე, და განწმინდეს სადგურნი მათ ულმთო-
თანი, და შეამკვეს ეპკლესიანი, და აღმართნეს წმინდანი უკვე
ხატნი. და მოვიღნენ ყოველნი იგი გაბნეულნი ერნი კახეთი-
სანი და დაეშენენ თვისსავე ადგილთა ზედა. და ესრეთ
მმადლობელნი ლვთისა აღავლენდენ ლოცვასა და დიდებასა
წმინდათა ეკკლესიათა შინა. და შეკრბენ აღავერდისა წმინ-
დისა გიორგის ეკკლესიასა შინა და გარდაიხადეს დიდი დღე-
სასწაულობად სამადლობელითურთ პარაკლისისა.

ხოლო სულთანი იგი არდალანისა მტოლვარე, მოსრული
წინაშე სპარსთა მეფისა გოდებითა და ტირილითა დიღითა,
საკვირველისა მისთვის მოოხრებისა მათისა და ესეოდენთა
სპარსთა ათასეულებისა, მეფესა მას თვისსა ყოველსავე თვი-
თეულად აუწყებდა, რაც იგი იქმნა მხედართაგან ქრისტესა-
თა. უწყებულ-ქმნილმან მეფემან აბას მეორემან სირცხვილად
თავისა თვისისა და ყოველთაგან თანასწორთა და ხელქვეშეთთა
თვისთა საყვედრელად თავისა თვისისა ჰრაცხა ესე, და მიმწერელ-
მან როარტაგისამან * მეფისა მიმართ საქართველოსა ვახტანგ
მეოთხისა, რამეთუ მაშინ ცოდვათა ჩვენთათვის ქართველნი
ულელსა ქვეშე სპარსთა მონებისასა იყვნეს, და შემდგომად მე-
ფისა თეიმურაზ პირველისა მეფენიცა ქართველთანი მეფობი-
სათვის საქართველოსა ქრისტესა უარპყოფდეს, ბრძანა შა-
აბაზ, რათა პყრობილნი წარიგზავნენ ისპაანად, სამეფოდ ქა-
ლაქად სპარსთა, წინაშე მისსა სამნივე იგი მხედარნი ქრის-
ტესნი. უწყებულქმნილმან მეფემან ვახტანგ, მორჩილმან ბრძა-
ნებისა ულმრთოსა მის თვითმპყრობელისამან, მოუწოდა თვის-
და მხნეთა მათ მხედართა ქრისტესთა. თუმცა უწყოდეს, რო-
მელ შეკრულნი განიგზავნებდან წინაშე შააბაზისა, გარნა სი-
ხარულად აღუჩნდა მათ ქრისტესთვის კლულება, ვინახდგან
სამნივე ესე შომძაგნე. იყვნეს სოფლიურისა დილებისა, და აქვნ-
დათ ხორცთა გემოვნებისა მოკვდინება, და ცხოვრებად სიწ-
მინდით დაცულ. და სამნივე ესე — ბიძინა, ელისბარ და შალ-
ვა ნებძით თვისით მივიღნენ მეფისა ვახტანგისაღმი. ხოლო
შირავიდნენ წმინდანი ესე მეფისა თანა, ბრძანა ხელ-ბორჯი-

* როარტაგი ნიშნავს ფარმანსა (შენიშვნა ავტორისა).

լուտա Շեզշրաք սամთազը ներկարտա մատ და წարցზազնեա სპահս-
տա մեფուսաდ. ხოლო თუ զտქվա, մաშიնდელո շպշ Շեմտեզეუ-
լյեბա յրտա Շորիու დიდ սացոდებել հիշեნდა օյմենքիս, հռմե-
լու օյու սամშობլուտա օდგոլտա Շինա հիշենտա յսրետ, հռ-
մել մեფյետա და უტეզეս սաხուրո յիրուտյ და մտաვարտա, და
սայշրտեզելու ֆմինდան Շեացինես սատնուտա մատთա და ահա
սատնուտա ღვտուսատա յիւսկուտուտա და մլզდეլտա და დգօնե-
ծուլտա, და մուրկյա, თუ զտქվա, պոզելո յրու սիծորու დედ
და Շեշուդցեթու მრացալն յաժացեბասա մաხմաდուսասա, յսրետ
ալմսարեթելու ღვտուսա, հռմել լմերտո—հռմել ահսեբա ահա-
ցցամուշնեբատա մոմարտ մուցենու ահս, ծերի հրու—հռմելո ահա
մոծս და արცա զուցան Շոბուլո ահս და սեցան. —და յսրետ
շանթրյա ցուլո մտաვարտա და սեցատա, հռմել արცա თუ զոնեց
ստქվա, հռմել Շեթշենաք համեյ յիշենեბունատ մատ ֆմինդատա-
ցուս. და յսրետ յրուլո წարցზազնես ՇինաՇե մյջուսա.

და ოდցէ մուսպանց օցიնո սპահսետաდ, წարաდցიնց սամնուց
ցյ ներկարն Շեշրուլն ՇինաՇե Շաաბան մյօրուսա. ხოლո Շա-
աბան Շերուսենա մատ და ապցեდრա յիրուտունոბաք, და սեցանու მրացալցვարն უշպ უծնօბան წարմուտքա մատდა մոմարտ.
ხოლո ֆմինդատա մատ յաճնու յրաდ ալուարյ უფաლո հիշեն იյ-
სო յիրուտյ და պոզելս սიტყասա Շինա մძլე յյմեն, հռմել-
ման մուցա մատ პորո და սიծհմն და սიტყասացեბա մաս շամսա
Շինա, համբա ստქվան.

და մյրե ծիւնա Շաաბան Շաաբան ֆմինդատա մատ կամո ես-
ենցուլուսա արდալանելուսա սუլტանուսաდ, հռմելո օցიւ օյու
մաշին იսպանս და უծրման, զուտարմედ: „մե՛շպալցօան յսեն
սուցდიլու და ტանջցա սուցտուսատვու და ածոցնեბուսա մատո-
ւսա, զուտարცա սաხմարն մեշდարն մեշდրոბասա Շինա հիշենսა, და
մեն մեշպալներօბდე, հատա մուցպանեմცա յսեն սչպալս; და
თუ սաდმე ձյմեն նեბուսաց հիշենսա, ահա մცուրեցն մուլոն
հիշենցան დიდեბան და նոխն. ხოլո თუ սաდամե ահա յրհինց
ծիւնանեბասա հիշենսա, մწարուտա და մძვიնցարուտա ტանջցու ցա-
նուցանց ցხուցրეթուսացան.“

წարաდցունց ծիւնանեბուսաց մեფուսա Շաաბան օյու ՇինաՇե
օց ֆինաՇե արდալանելուսա սუլტանուսա, հռմելման մուշտե-
8. յալմասոბա.

ნა მოწლედ წმინდანი იგი და სიყვარულისა სახითა შეიწყნარ-
ნა იგინი, ზაკვისა მკვლელობითისა სიყვარულისა ხატსა შინა
დამფარველმან, ვინადგან შააბაზისა მიერცა აქვნდა ბძანება,
რათა ალერს-სიტყვობითა შესაძლებელ იყოს მოქცევად მათი;
და უკეთუ არა ისმინონ, მძვინვარისა ტანჯვითა მიეცნენ სიკვ-
დილსა. ხოლო ამისა შემდგომად ჰრქვა სულტანმან შემდგომ-
ნი ესე სიტყვანი წმინდათა მათ: „დიდსა უკვე ხელმწიფესა
ჩვენსა, რომელსა მსახურებს ყოველი მონარხია სპარსისა ვიდ-
რე ინდოეთადმდე და საბერძნეთამდე, სურის ფრიად სიმხნისა
და ახოვნებისა თქვენისათვის ხმა-განსმენილისა ნიჭებად თქვენ-
და მხედრობასა შინა დიდებანი დიდნი, უზესთაესნი ლირსები-
სა თქვენისა, და მარადის მახლობელ-ყოფად თქვენი დიდებუ-
ლებისა თვისისა; და ჩვენცა მონანი მისნი ყოველი ბრძანები-
სათვის მისისა უმაღლესისა, და სიკეთისა და სიმხნისათვის
თქვენისა ვმეცადინეობთ ტკბილსა სიცოცხლესა შინა ბედნი-
ერებანა თქვენსა ჩინებულსა და უმეტეს ყოველთა ნათესავთა
თქვენთა უზესთაეს დიდებასა თქვენსა. გარნა თანა გაქსთ
თქვენ საჭიროდ, რათა დაუტეოთ სჯული თქვენი და მიიღოთ
სჯულისდებანი მოციქულისა ჩვენისანი, რომელი უპყრიეს
კრძალულებით მრავალთა დიდთა მონარხთა და სახელმწი-
ფოთა.“

მიუგეს წმინდათა მათ: „ჩვენ სიყრმიდგანვე ჩვენით შეგვიწ-
ყნარებიეს ჩვენ შორის ჭეშმარიტება უფლისა. ღვთისა და
მაცხოვერისა ჩვენისა იესო ქრისტესი, მოცემული ჩვენდა წინა-
პარ-მამეულად, და გვრწამს ერთისა ღვთისა მიმართ მამისა
და ძისა და სულისა წმინდისა, რომლითა ნათელ გვიღებიეს.
გვსურის ერთისა მიმართ ნათლისა მხოლოდ სამებასა შინა
შეურევნელისა თაყვანისცემა, რომელთა განვიწესენით თავნი
ჩვენნი სიჭაბუკითვან ჩვენით მხედრად ქრისტესა, რომლისა
სიყვარულისაგან ვერარამან განმაშორებს ჩვენ, ვერცა ჭირ-
მან, ვერცა ტანჯვამან და ვერცა დიდებამან.“ მსმენელი
სულტანი იგი, მიგებასა წმინდათასა და მტკიცედ გებასა
მათსა ზედა მჭურეტელი, განამეორებდა კვალად მრავალგვარ-
თა უკვე ლიქვნათა და აღუთქმიდა დიდთა დიდებათა; და
ესსახედვე უქადებდა მძვინვარეთა ტანჯვათა, თუ საღამე

კვალად ურჩ ექმნებიან მას. მიუგეს კვალად წმინდათა მათ: „ნუ სცოები ამაოდ, სულტანო, განყენებასა ჩვენსა ქრისტეს-გან. ჩვენ მაშინვე განვემზადენით სიკვდილად, ოდესცა შევიქმე-ნით მხედარნი ქრისტესი, და რადცა გეგულებოდეს, ყავიგი.“

მხილველმან სიმტკიცესა გონებისა მათისამან სულტანმან უბრძანა მტარვალთად შეკვრად წმინდანი იგი და უწყალოდ თრევად ქვეყანასა ზედა. ხოლო მტარვალთა მათ სრულ-ჰყეს ბრძანება სულტანისა, და დაუწყეს თრევად წმინდათა მათ, და წიხვნად, და ცემად წმინდათა სხეულთა ზედან, ვითარცა იტყ-ვის ნეტარი ბესარიონ, ვითარ იგი სცემდესო და ათრევდეს წმინდათა მათ, კვალადცა აიძულებდესვე, რათა უარჲონ ქრისტე. გარნა იგინი უმეტეს აჩვენებდეს სარწმუნოებასა და სიყვარულსა ქრისტეს ღვთისა შიმართ. ხოლო ურთიერთსა განამტკიცებდეს წმინდანი იგი, და მოითმენდეს მრავალ ტკი-ვილთა მათ და ნაკადულისა სახედ სისხლთა დენათა სხეულ-თაგან თვისთა.

მხილველმან სულტანმან სიმტკიცისათვის მათისა ბრძანა მერე წარყვანებად მათი საპყრობილედ და დაკრძალვად მათი ბნელ-სა შინა დილეგსა. მსახურთა მათ ჰყეს ბრძანებად სულტნისა. და შესხნეს ხელ-ბორკილითა რკინისათა კრულნი უშინაგანესსა საპყრობილესა; და ყოვლითურთ უნუგეშო იყვნენ, გარნა ნუგეშინის მცემელი მათი იყო უფალი ჩვენი იესო ქრისტე, რომელიცა განაძლიერებდა მათ.

ბრძანებითა სულტნისათა მეცნიერნი უკვე კაცნი, და მცბიე-რობითა სავსენი მივიღოდიან დღე ყოველ ნეტართა მათ თანა და სხვადასხვაცთა სახითა ეტყოდიან განყენებად ქრისტესა, და ესსახედვე აზნაურთაგანნი მათ ერისთავთა და სხვანი მსა-ხურნიცა ევედრებოდიან მორჩილებასა ულთოსა მას; გარნა წმინდანი იგი, ვითარცა ანდამატნი, ესრეთ მტკიცედ ეგნენ სარწმუნოებასა ზედა და შეურაცხჲყოფდენ მსახურთა მათ თვისთა. მხილველმან სულტანმან სიმტკიცისა მათისამან ბრძა-ნა მოყვანებად მათი და შეკვრა და განყრა მათი შიშველად სიცხეთა მათ მზისათა, რათა ბზიკთა მიერ წერტითა ულმოსთ მათ, და მზისა სიცხისაგან შეწუხებულ იქმნენ, და ამა ლონისა

ძიებითა მოიქცეს ეადაგებასა ზედან მისა. არამედ წმინდანი იგი ესრეთ მხნედ იყვნეს, ვითარცა სასიამოვნოსა ჰაერსა შინა მყოფნი. იხილა რა სულტანმან მოთმინებად მათი, ბრძანა ხეთა ზედა მიკვრა ელისბარისა და შალვასი, და განაჩინა ორთა ამათ თოფებითა დახვრეტად ჰაზრითა ამით, ნუთუ შეშინდესო ბიძინა და მორჩილ მექმნას. ოდეს იწყეს მეთოვეთა სროლად წმინდათა მათ ზედა, მაშინ განსროლილი ტყვიანი განვლიდეს ბრწყინვალეთა სხეულთა შინა მათთა და იგინი აქებდეს უფალსა. და მრავალგზის სროლითა განბძარნეს ხორცი მათნი, და უკანასკნელ მახვილითა დაჭკაფნეს წვივნი მათნი, შემდგომად მახვილითა წარკვეთნეს თავნი. და ესრეთ სრულ იქმნა სრბად სამღვდელოსა ვნებისა მათისა.

და მერე ზედამოუხდეს ბიძინას, ლიქნიდეს და აიძულებდეს მიცილებად ჭეშმარიტებისაგან მრავალფერითა ჭინადალებითა თვით სულტანიცა და სხვანიცა მრავალნი უკვე სპარსენი, მაგრამ ბიძინა საღმრთოსა ტრიფიალებითა, ვითარცა მთაც შეუძვრელი, ესრეთ ეგო ურყეველად უკანასკნელ ბრძანა სულტანმან განხდად შესამოსელისა თვისისა და შემოსვად კუბასტა დედათა, და აღსმად ვირსა ზედა და ესრეთ რონინებად შუკათა ზედა, რომელ მას დროსა შინა სპარსთა ქვეყანათა შორის დიდ სირცხვილად და კიცხვად მისაღებელ იყო მხედართათვის ესეგვარი უკვე შეხდომა. სრულ-ჰყვეს მტარვალთა ბძანებული იგი და სრულიად მოვლეს მით ისპაანისა ქალაქისა შუკა-ბაზარნი, გარნა იტყოდა წმინდა იგი: „გმადლობ შენ, იესო ქრისტე, რამეთუ ლირს მყავ მე ვნებასა კიცხვისა შენისასა“. შემდგომად ვნებისა ამის კიცხვითისა კვალად მრავალ სახედ ეუბნენ და აღუთქმიდნენ დიდ-დიდთა წყალობათა, არამედ წმინდამან არცალა თუ ისმინა უბნობად მათნი. და მერე განაჩინა სულთანმან სიკვდილი ბიძინასი ესეგვარითა სახითა, რათა თვითეული ასოე სხეულისა მისისა მოიჭრას სახსართა შინა, ვითარცა იაკობ მმისა უფლისა, რომელიცა იწამა ესგვარ სპარსთავე მეფისაგან.

მაშინ მოიღეს მტარვალთა მათ მახვილნი სხვადასხვახთა სახითა დანაკვეთებულნი, და წინადაუწყვეს წმინდასა მას და ჰრევეს; „შეიბრალე სიმხნე შენი და ერჩდი ბძანებასა ხელ-

მწიფისასა და ნუ იქმნები მკვლელ თავისა „შენისა“. არამედ წმინდა იგი კადნიერად აღიარებდა უფალსა ჩვენსა იესო ქრისტესა. და მერე იწყეს ჭრად მწვერვალთაგან თითისათა ასო-ასოდ წმინდისა სხეულისა მის. ხოლო იტყვის სანატრელი ბე-სარიონ, რომელ ჭრათა ამას შინა ასოთასა წმინდა ბიძინა იტყოდა სიმოვლოსა (რომელ არს სარწმუნოებისა აღსარება), და ესრეთ აღიდებდა უფალსა. ხოლო უწყალოთა მათ მტარ-ვალთა, იწყეს რა მოჭრად თვითეულთა ასოთა, ყოველნივე თითი ხელისა და ფეხისანი მოჰკვეთნეს თვითეულად სახსარ-სახსრად, და მერე მაჯა-იდაყვნი, და მხარნი, და ფერხნი კო-ჭებიდგან მუხლებადმდე, და ესრეთვე თეძონიცა. გარნა სანატ-რელისა სახისა მის წმინდისასა არარამე იხილვებოდა მჭმუნვარება შესახედავისა, და არცა მცირედლა ისმოდა სულ-თქმა, თვინიერ მოწოდება ჭრისტესი თანაშემწედ:

დაშოთა ოდენ თავი და სტომაქი წმინდისა მის და ჯერეთცა ცოცხალ იყო, და მარადის სძრავდა ბაგეთა და აღიდებდა ღმერთსა, და ქოჩითა ათრევდეს დანაშთსა გვამსა მისსა. იხილა მტარვალთაგანმან ვინმე წმინდისა მის შორის წმინდა გული მისი ხლდომარე, რომელი საღმრთოთა სურვილითა აღ-ტყინებულ იყო. სთქვა ულმრთომან მან განკვირვებით: „კვალად ცოცხალ არსა ესე, რომელ ესეგვართა მძვინვარეთა და სას-ტიკთა ტანჯვათა და წყლულებათა ვერ უძლეს მოკვლად მი-სა.“ და განრისხებულმან სცა მახვილი ყოვლად წმინდასა გულსა მისსა და განგმირულ-ყო მით, და ხელთა შინა ღვთი-სათა შევედრა სული თვისი წმინდამან. შემდგომად ყოვლად საწადელისა მის სიკედილისა მისისა თავიცა საღმრთოე წარ-ჰკვეთეს მტარვალთა, და მერეთ განსთხიეს ულმრთოთა მათ ასონი ბიძინასნი აღგილთა მათ უპატიოთა, საღაცა წმინდათა მათ ელისბარ და შალვაძესა გვამნი იყვნეს დაყრილ.

ხოლო ღამესა შინა აღიდნა ღმერთმან წმინდანი თვისნი და სამთავე გვამთა ზედა მათთა მოეფინა ნათელი სჭხილველად ყოველთა, რამეთუ ჭადაცა მცირედ ოდენ იყო ცვარიცა სის-ხლისა მათისა დანთხეულ, ყოველნი იგი აღგილნი აღივსნეს ნათლითა, და მრავალთა სპარსთა მხილველთა აღიდეს ღმერ-თი ჭრისტიანეთა და იტყოდეს: „დიდ არს და მართალ ღმერ-

თი ქრისტიანეთა". და ესრეთ აღიღნა ლმეროთმან წმინდანი თვისნი. და ოდეს მტარგალნი და სხვანი უკვე სპარსნი წარ-ვიღენ სახლად თვისა და იყვნენ მოცულ განკვირვებითა დი-დითა, მოვიღეს იღუმალ კაცნი ნათესავით სომეხნი, მკვიდრნი ჯულასა შინა, და დიდისა პატივითა და კრძალვითა იღუმალ ალიღნეს სხეულნი წმინდათანი, წარიღეს მსწრაფლ და დაკ-რძალნეს ეკკლესიასა შინა თვისსა, სადა იგი ჰყოფდეს ნაწილ-ნი იგი წმინდანი მრავალთა კურნებათა.

შემდგომად წელთა რაოდენთამე მეუღლემან წმინდისა შალ-ვასამან ქეთევან, ასულმან არაგვის ერისთვის ზაალისამან, და ძემან მისმან, ერისთავმან დავით, წარავლინეს კაცნი მოხმად ნაწილთა მათ ქრისტეს-ვნებულთა წმინდათასა. და მისრულთა კაცთა მათ წარმოასვენნეს ჯულით, და წინა მიეგებნეს მღვდელ-მთავარნი კრებულითურთ და ერნი მრავალნი, და გალობითა და კმევითა სურნელთათა მოიღეს იკორთას გვერდის-ძირს ეკკლესიასა შინა წმინდათა მთავარ-ანგელოსთასა, და ჩრდი-ლოეთისა მხარეს წინაწე სვეტისა დამართებით დასდვეს საფ-ლავსა შინა სამთავე წმინდათა ამათ მოწამეთა სხეულნი სა-კურნებელად სნეულებათა ჩვენთა, და დღესასწაულიცა განუ-წესეს თვესა სეკდენბერსა ათვრამეტსა.

იამბიკო ანტონისავე

ასოთ განთესვა თუ ჰსთქვა წულილ კერძოვებად,
რომლითა ჰსდიან მდიდრად სისხლთა ნაკადნი,
ძნელ ვნებათ ტვირთვა დაითმინა ახოვნად
და გონებითი სამთავრო განწმენდილი
ანიშანმსხვერპლნა წმიდა მოძრაობანი.

წმიდისა მოწამისა შალვა მთავარისა ახალი ციხელისათვის

დედოფა ლ მან : წმინდა შალვა მთავრისა ახალციხელისა მანდატურთუხუცესისა წამებად ვითარდა იყო?

ი ა ნ ე : მოითხრობის ისტორიასა შინა კეთილ-მსახურისა თვითმპყრობელისა თამარ მეფისასა, ვითარმედ ბრძოლასა შინა ნოქარდინ სულტნისა მიმართ ძლევაშემოსილისა სპისა თამარისათა წინამბრძოლ განაჩინა მანდატურთუხუცესი შალვად ძმისა თვისისა იოანესთანა უპირატესისა მხედართ-მთავრისა ზაქარიასთანა მხარგრძელისა, რომელსაცა შინა ბრძოლასა შალვად ძმითურთ მისით სიმხნითა დიდებულ იქმნეს და რომლისა გამო შალვად ნიჭებულ იქმნა ჯილდოთი მთავრად მხედრობისა დადგინებითა და ბავრაყისა მიბოძებითა. ეს შალვა იყო მქვიდრი ახალციხელი თავადი, ძირითვე ქართლო-სიანთა გვართაგან და წარჩინებული რუსუდან მეფისათანაცა და პატივცემული.

დროსა ამა რუსუდანისასა, ვითარცა მოვიხსენეთ ზემორე გამოსვლად ჯალალდინ სულტანისა და მოსვლა სომხითად, რომელიცა ლტოლვილ იქმნა თათართაგან და მოვიდა დიდისა მხედრობითა სომეხთა ზედა, მსმენელმან მეფემან რუსუდან წარავლინა ლაშქარი თვისი შეწევნად სომეხთა, რამეთუ მამული მხარგრძელთა დვინი და ანისი, ნაწილი სომხეთისა, მონარხიასა-თანა საქართველოსასა ირაცხვოდა; და სპარსნი დვინს და ანისს მოაოხრებდეს მწარედ, რომლისათვის საჯა რუსუდან გან-

მხედრებად სპარსთა ზედა ლაშქართა თვისთა. განიჩინა მეფი. საგან რუსულანისა უპირატეს მთავრად მხედართა იოანე ათა-ბეგი მხარგრძელი, კაცი გამოცდილი და დიდსული ბრძოლათა შინა, დაწარგზავნილჲყო იგი პირისპირ მტერთა, რომელი-ცა მიიწია გარნისის მახლობელ და დაიბანაკა მუნ. ხოლო სელქვეშედ მისი იყვნენ შალვად მანდატურთუზუცესი და ძმად მისი იოანე ახალციხელნი. მცნობნი სპარსნი პირისპირ მათდა ქართველთა, რომელნიც იყვნენ დაბანაკებულ გარნის[ს], ალ-ჰურნეს მხედრობანი თვისნი და მრავალ დასტებად განაწყვნეს იგინი და წარმოემართნენ ქართველთა ზედა.

ხოლო იოანე მხარგრძელმანც განაწყო მხედრობანი თვისნი და მეწინაგედ დაადგინა შალვა და იოანე, და მისცნა ლაშქარ-ნი კაცი მესხენი და თორელნი, რამეთუ მათდა იყო წილხდო-მილ მამულადრე წინამბრძოლობა, და სხვანი უკვე სარდალ-ნი რომელნიმე მარჯვენით კერძო და რომელნიმე მარცხენით განაწყო, და თვით დიდითა-რე მხედრობითა უკანა შეუდგა მათ. და ოდეს დაუახლოვდეს ურთიერთსა მეწინავენი სპარსთა და ქართველთანი, პირველსავე კვეთებასა შინა მამაცად ეკ-ვეთნეს ქართველნი და წარიქციეს მოწინავენი მათნი, გარნა მოწინავეთა მათ თათართასა სხვანი უკვე მხედრობანი მოეშ-ველებოდიან და განამაგრებდიან მათ და არღა. აუფლებდენ ქართველთა, რათამცა შეემუსრათ მეწინავენი მათნი; და ეს-რეთ მომატებითა ჯართათა თათართაგან შეიქმნა ძლიერი ზე-დადასხმა. ხოლო მხილველთა შალვა და იოანე, ვითარმედ რიდებს შეწევნასა წინამბრძოლთასა მხედართმთავარი მათი მხარგრძელი იოანე, მიუვლინეს მას ორგზის და სამგზის უწ-ყებად მეტყველთა, ვითარმედ: „უწყოდენო სიმხნემან შენმან, დალათუ ვბრძავთ მტერთა ჩევნთა მამაცად, მაგრა პირისპირ დგომად დიდისა ამის ლაშქრისა მტერთასა თვინიერ შეწევნი-სა თქვენისა ვერ შემძლებელ ვართ.“ მსმენელსა ათაბეგსა ამათ-სა არა ჰგაოდა და ყოვლისა პასუხისა მისდა მივლინებულთა ულირს-ჰყოფდა მით, რამეთუ. შური დიდი აქვნდა ათაბეგს სიმხნისათვის ორთა მათ ძმათა შალვასი და იოანესი, და იზ-რახდა, ზუთუ შოიკლან ესენი ხელთაგან მტერთასა. და მიზე-ზითა ამით არა აუფლა სხვათა მხედრობათა შეწევნად მათდა,

ვინახცა უღონო ქმნილი შეწევნისაგან ძმათასა შალვა და იო-
ანე, მეთაკილენი უკუნ-ქცევად წინამბრძოლითურთ ლაშქრით,
მხნედ განმამაკაცებული მტერთა ზედა, მედგრად დაესხნეს და
სიმხნისაებრ მათისა განაძლიერეს ატაკა, და სპათაგან სპარ-
სთასა მოსრნეს მრავალნი, ვინახცა განგრძელდა ბრძოლად
სპარსთა. და კვალად სხვანიცა მხედრობანი შემწედ მათდა
მოვიდეს. მაშინ ორთავე ძმათა შალვას და იოანეს ქვეშე გა-
მოუკლნეს ცხენი და ყოველნი საჭურველი შემუსრნეს მტერ-
თა ზედა—მახვილნი, მაზრაკნი, შუბნი და ოროლნი. და ლახ-
ტთა ცემად მათი ჩაფეხუტთა ზედა მტერთასა განგრძელდა.

და ამას შინა ფრიად მაშერალთა ბრძოლისაგან და უღო-
ნო-ქმნილთა ყოვლისა შეწევნისაგან წინამბრძოლთა ლაშქართა
ჩვენთა ვლტოლვად უკვე იხმიეს, რომელმანცა უქმად მდგომა-
რემან დიდმან ლაშქარმან ათაბეგისამანცა მხედართმთავრი-
თურთ თვისით ლტოლვად მისდრიკნა და დიდებად სიმხნითი
ჭართველთა ყოველთა ნათესავთა შორის უპატივო იქმნა.

შალვა უგამოცდილესი მხედარი, ყოვლისა საჭურველისა მტერ-
თა ზედა მხმარებელი და დამაშვრალი დიდად ბრძოლისა გამო,
ზედადასხმითა მრავლისა ჩინებულისა მხედრისა სპარსთასა
შეპყრობილ იქმნა, ხოლო იოანე ყოვლისა საჭურველისა ოვი-
სისა დამლეწი მტერთა ზედა გარე-მოდგომითა სიმრავლითა
სპარსთა მხედართათა ისრებისა ტყორცითა და შუბებთა ძე-
რებითა მოკლულ იქმნა, რომლითა საწადელი უსჯულოსი ათა-
ბეგისა იოანესი უბოროტესისა საშუალისა ხმევითა სრულება-
სა შინა მივიდა და კმაყოფილებად მიიღო ამით.

მომზრახობენ, ვითარმედ მონოზონ ქმნილი იყოთ დროსა მას
ფარულადრე ათაბეგი იოანე, რომლისად უმჯობეს იყო და
ჩვენდაცა საყოფელად სავანეჲ მემხოლოეთა, რომლითა უფ-
რორე თავისუფლად განიბერტყდა ხორცია და სულსა, ნუ
უკვე უბიწოდ წარადგენდა წინაშე თვალ-უხუავად შურის მგებე-
ლისა მსაჯულისა; ხოლო ჩვენ ნუთუ განვერენითმცა მაშინდე-
ლისაგან ყოვლად მდვინვარისა აღსპობისა. გარნა არა იხმია
სვინიდისი და ორისა გვამისა მტერობისათვის მისცა სრულიად
საქართველო აოხრებასა და სრულჰყო სახითა ამით მონოზო-

ნეობად თვისი და მსგავს იქმნა მამისა თვისისა სატანასა შურის მეძიებელობითა.

შალვა პყრობილი წარიდგინა წინაშე ჯალალდინისა, რომელიცა იცნეს ნახჭევენელთა (ესე იგი ნახჩევანელთა) და აღრაბაგანელთა, რომლისა სიმხნისა, ახოვნებისა და სიქველისა მოხსენებითა უწყებულ ჰყვეს ჯალალდინ, ვინახცა მეფემან შეიწყნარა შალვად პატივით და აღრაბაგანსა შინა მიანიჭა ქალაქნი მამულად და მთავართა თვისითანა პატივსცა.

შემდგომად წელიწადისა ერთისა მიწოდებულ იქმნა ჯალალდინ სულტანისაგან, რომელმანცა სიყვარულიანისა სახითა მოიკითხა და აღუთქმიდა დიდთა სიმდიდრეთა, ესე იგი, ოქროთა, სპეკალთა, ვერცხლთა და დიდთა მამულთა, და სახელოთა. უკეთუ დაუტევებს სჯულსა ქრისტიანეთსა და შეუდგების მოძლვრებასა მახმადისასა, ყოვლითურთ ჰყოფს მას კმაყოფილებით, რომელიცა ფიცითა აღუთქმიდა. გარნა მხედარმან ქრისტესმან ყოვლითურთ უარჲყო წინადაღებად მეფისა და პრქევა: „პო, მეფეო, უკეთუ გსურის მსახურებად ჩემი სამხედროთა საქმეთა შინა, ანუ სხვებ, ნუ მაწვევ მე დატევებად სჯულისა, მე უკვე ჰეშმარიტითა გულითა გმსახურო თქვენ, ვითარცა მოციქული ჩვენი გვასწავებს, ნუ ხოლო სახიერთა, არამედ უსახურთაცა მსახურებად, და მე გმსახურო ჰეშმარიტებით, და არცა მოსურნე ვარ სიმდიდრეთა და მამულთა, მე კმა ვიქმნები მდლიერისა საზრდელისა და მცირედისა შესამოსელისა. ხოლო სხვებ ნურლა დაშვრები, უფალო ჩემო, რომელ ვერარამან განმაყენოს მე სიყვარულსა ქრისტესა.“ თუმცა განრისხდა ულმოო ჯალალდინ, გარნა პფარვიდა მრისხანებასა თვისისა სიტყვისგებასა ზედა წმინდისასა და კვალად განუმეორევა ბრძანებად თვისი და ლიქვითა მრავლითა ეუბნებოდა დიდ-დიდთა წყალობათა და ესრეთვე ტანჯვათაცა უქადებდა. ხოლო წმინდა შალვა, ვითარცა კლდე, ესრეთ უშიშრად სდგა წინაშე მძლავრისა, და არცალა თუ ისმინა სიტყვანი მისნი და არცა შიშვნეულ იქმნა ბრძანებასა და ქადებასა ზედა ტანჯვისასა.

განარისხნა უკვე მძლავრი კალნიერებამან ქრისტეს მხედრისამან და განაკვირვაცა და სირცხვილადცა მიითვალა თვისად

ურჩებად შალვასი, და ბრძანა განშიშვლებად მისა და გვემად უწყალოდ, რომელიცა მსწრაფლ აღასრულეს მტარგალთა მათ; და გვემდეს უწყალოდ სრულიად შიშველსა სხეულსა ზედან წმინდისასა. ხოლო წმინდა იგი სიხარულითა გულისათა აქებ-და უფალსა და მაღლობასა შესწირვიდა მისა.

იხილა რა უღმრთომან მან სიმტკიცე შალვასი, ბრძანა საპყრობილესა შეყენებად მისი და მუნ ტანჯვად სხვადასხვა სახითა ტანჯვისათა, რომელიცა დღე-ყოველ იტანჯებოდა სხვითა და სხვითა სახითა. ხოლო წმინდა იგი დღე-ყოველ იყო ღოცვასა და მარხვასა შინა. და ესრეთ რაოდენისამე ღლისა შემდგომად სრულჰყო მარტვილობისა თვისისა სრბად და სული თვისი შევედრა ხელთა შინა ღვთისათა პირად-პირადისა ტანჯულობისა გამო, რომელიცა აღიდა ღმერთმან წმინდად თვისი ზეციერისა დიდებითა. და საღაცა იღუმალ დაფლეს იგი თათართა, დაადგრა მუნ სვეტი ნათლისა და ესრეთ მორწმუნეთა ერთაგან ითაყვანისცემა.

იამბიკო ანტონისაგანვე

შალვა განმმხედრი უხორცოთამი მტერთა
სიმხნით აღადგენს ბრძოლათა მრავალთა ფერთა,
მოილებს ძლევათ ღვთისადმი ღასაჯერთა,
ეგ სახედ ჯილდოს ანგელთ საჭერეტ სამზერთა,
სისხლით ზიარ ქმნილ ქრისტესი შესაფერთა.

შილდათა მოწამეთა გვაბთახევს შინა
წამებულთათვის ვითარლა ჰერცონებ?

დედოფალმან: წმინდათა მოწამეთა ქვაბთახევს შინა
წამებულთათვის ვითარლა ჰერცონებ?

იოანე: ბაგრატ მექესესზე ნათესავით დავითიან ბაგრატო-
ვანისასა, ძის-წულისა გიორგი მეოთხისა, ბრწყინვალედ ზედ-
წოდებულისა, რომელიცა მონარხობითა მართვიდა ყოველსა
ივერიასა, ესე იგი აფხაზეთსა და საქართველოსა (რომელიცა
ბაგრატ დიდად ზედ-წოდებულ ჰყო საქმემან), ღრმა ამის
შეფობისასა გამოჩნდა დემურ ანუ თემურ ვინმე მცირება ბეგ-
თაგანი სამარყანდელი, ნათესავით თურქი, შემკრები მხედრო-
ბისა დიდისა და გამხედრებული ინდიად, ჩინიად, სპარსეთად,
ხალდიად, სირიად, ერთმანიად და ვიღრე პროპონტოდმდე
კნინდა განმაგრძელებელი მხედრობისა და დამმორჩილებელი
თვისად.

ესე თემურ იყო ფრიად მტკიცე თათარი თვისისა სჯულსა
ზედა, და შედგომილი მოძღვრისა თვისისა მახმადისი, და
მდევნელი ქრისტიანეთა და მეცადინე მიქცევად თვისა ქრის-
ტიანეთა, რომელიცა ცოდვითა ჩვენითა ექვსგზის შემოყიდა
ქართლსა შინა და ექვსგზისვე მახვილითა მიიღო გვემახ სა-
ქართველომან. და ამასთან აოხრება მამულთა, დაქცევა ეკპლე-
სიათა და შენებულებათა, და დაწვა ქალაქთა და სოფლებთა,
დატყვევება მამრთა და მდედრთა, და მოწყვეტა მოხუცთა და
სამღვდელოთა ვერ განაძღობდა ბილწსა სულსა მისსა.

დემურ, გარემოდგომილმან ტფილისს, ქართველთაგან არა-ერთგზის მიიღო ბრძოლად, არამედ ექვსსა თვესა მამაცად გარე-ეომებოდიან მეფე ქართველითა და კახითურთ. ხოლო უკანას-კნელ ჰქმნა რკინისა და ფიცართაგან პანტეზნი ანუ საფარნი-დემურმან და მისცა მხედრობათა თვისთა, და წინა-გორგებითა და სროლითა თოვთა და ისართათა უკუნაქციეს მხედრობა-ნი ჩენნი, და რომელნიმე შეივლტენ ციხესა, ხოლო რომელ-ნიმე განლტოლვილ იქმნენ და დაუტევეს ქალაქი უმხედროდ, და თანაშეყვენენ თათარნი და აღიღეს ქალაქი. ხოლო უკა-ნასკნელ იძულებულ იქმნა მეფეცა და მისცა ციხედ თათართა, და თვითცა მიეცა დედოფლითურთ ტყვეობად. შემდგომად აოხრებისა ქართლისა უკუნიქცა შირვანად, რომელ არს ნა-წილი მიღისა *¹, და თანაწარიყვანა ბაგრატ მეუღლითურთ თვისით, რომელნიცა დატევებად ქრისტეს ღმერთისა იძუ-ლებოდენ მძლავრისა მისგან; და თუ სადამე ერჩდენ ბრძანე-ბასა მას მეფე დედოფლითურთ და სხვათა პყრობილობა მთა-ვართა და ტყვებთა, ერთბაშად მიიღონ უტყუელისა ფიცითა-თავისუფლებად და მიიქცეს მეფე ნიჭითა დიდითა მამულად-ვე თვისა. ხოლო წვევად ესეგვარი დემურის მიერ არა-ერთ-გზის იყო, არამედ მრავალგზის, რომლისათვის მეფე ბაგ-რატ მიუდრეკელობასა აჩვენებდა ყოველთვის მძლავრსა მას. და ოდეს კვალად იძულებულ იქმნა მეფე ბაგრატ დატევებად სჯულისა, ულონოქმნილმან ბაგრატ განიზრახა ესეგვარ, რო-მელ ვინახდგან ხსნა ჩემი და ერთა ამათ ჩემთა კაცობრივისა შეწევნისაგან ულონნ არს, ვჰყო ნებად დემურისა დრომდის და განვარინო ერიცა ესე და თავიცა ჩემი. და მერე შეტყუილითა ამით მოიმადლა ხელმწიფე ესე და დემურისაგან სწორად თა-ვისა თვისისა პატივცემული დედოფლისა თანა და მთავართა თვისთა და ყოველთა ტყვეთა განტევებითა ქართლად უკუნ-იქცა.

ბაგრატს თხოვისაებრ დემურლანგ (ესუ იგი დემურ კოჭლი) წარსცა ძალი, სპახ ათორმეტი-ათასი მხედარი. რეცა აღთქმი-საებრ ბაგრატისა ყოველი სამეფოსა საქართველოსა შინა

* მიღია ეწოდა ძველად ადრიბეჭანს ერთობით (შენიშვნა ავტორისა).

მცხოვრებნი მახმადიან პუკენესმცა და უკეთუ უჩხ ვინმე ექმნეს ბრძანებასა მეფისასა შეწევნითა სპარსთა მხედრობისათა მოიყვანოს ნებისამებრ მეფისა. ბაგრატ, იღუმალ მიმწერელმან ძისა თვისისა გიორგის მიმართ, ითხოვა ლაშქართა შეკრებად და დამალვად ტყეთა შინა ხუნას*, რათა დაბანაკებულსა მხედრობასა სპარსთასა ლამე იღუმალ ზედაფასხმითა ქართველთაგან მიეცეთ ალსპობად. გიორგიმ ბრძანებისაებრ მამისა თვისისა შემოიკრიბნა მხედრობანი იმერთა და ქართველთა, და იღუმალ გარდმოვლო მთად თრიალეთისა და მოვიდა მახლობელ ხუნანისა, და დაიბანაკა მუნ. ბაგრატ მისრულმან ხუნანს დააბანაკნა მხედრობანი სპარსთანი და განუსვენა მუნ ყოველთავე არარავსამე იჭვისა მექონთა. ხოლო ლამე იგი იღუმალ მეფედ და დედოფალი მთავრებითურთ თვისით განვიდენ გარეშე ბანაკისა მის. და განთიადისა უამსა ზედანდაესხნენ მხედრობანი გიორგისანი მძინარეთა მათ ბარბაროზთა და ალ-სწყვიტნეს სრულიად მახვილითა არცა ერთისა ბარბაროზთაგანისა განურინებელად, და ალიგნეს ლაშქარნი ალაფითა დიღითა.

მოსრულმან ბაგრატ ტფილისად ალწყვიტნა მეციხოვნენი თათართანი და ეგრეთვე სხვანიცა გამაგრებულნი ადგილი გამოიხვნა თათართაგან, და განამაგრნა ყოველგან სიმაგრენი და ციხენი ტფილისისა და კალისისანი. დემურლანგ უწყებულმან ლაშქართა ალსპობისაგან და ესრეთ შეტყუილით ხელთაგან მისთა ბაგრატის განრინებამან ალაბორება და ჩვენზედა განმხედრებად ალძრა, ვინახცა შემდგომსა წელსა მოვიდა რანად. და მისრულმან ბარდავს დაჰყარნა მუნ მძიმენი ნივთნი, და ქართლად მსუბუქითა სპითა ბრძოლად და შურისძიებად ბაგრატისად იმხედრა. მაშინ ბაგრატ განმხნობილმან თურქთა ზედა კვალად განამაგრნა ციხენი ქართლისა და კახეთისანი, და დახიზნენა ხიზანნი სიმაგრეთა შინა, და შემოიკრიბნა მხედრობანი იმერ-ამერით, მესქეთით, გურიით, ოდიშით, აფხაზეთით და ჰერკახეთით, და დაებანაკა მარტყოფით ჰავჭალადმდე გრდანისამთისა კალთებთა შინა. და ჰვონებდა მეფედ ბაგრატ დემური-

* ხუნა აწ ალგეთად წოდებული (შენიშვნა ავტორისა).

საგან მოცვასა ტფილისისასა, მაგრამ დემურლანგ პირისპირ მიმართა ბანაკსა ბაგრატისისასა; და მისრულმან ძლიერად ზედა-დასხმა ჰყო მხედრობასა ზედა ჩვენსა, გარნა ძლიერად და მა-მაცად წინა-განწყობითა მხედრობათაგან ჩვენთა იძლივა თე-მურლანგ და უკანქცეულმან ბრძოლით დაიბანაკა ნათლულის ჭალაკსა შინა, მტკვრისა პირსა ზედა; და სრულიად შემოჰკ-რიბნა სპანი თვისინი, რომელნიცა წარსრულ იყვნენ საშოგართა ზედა ხორაგისა და სხვათა ნივთათვის, და ალიძრა მხედრობი-თურთ თვისით და წარმოემართა კვალად ბანაკსა ზედა მეფი-სასა. მეფემან განმშვრეტმან, რომელ წინანდელსა ომსა შინა მოსწყვენე მრავალნი მხედარნი ჩვენნი, და ჰყვათცა მრავალნი დაჭრილნი და იყვნენცა მაშვრალ, ალიძრა მეფე მხედრობითურთ თვისით და განვიდა არაგვის მდინარესა და დაებანაკა ღანაშ-თითა მხედრობითა თვისითა მისაქციელის მთა-გორაკთა ზედა; არაგვის პირიდგინ ვიდრე ქსოვრისადმდე განაგრძელა მხედ-რობად თვისი.

მხილველი ლანგთემურ, რომელ რიდებს ომსა მეფე, გან-მხნობილი განვიდა მცხეთას და წარემართა მუხრანის მინდო-რით მხედრობასა ზედან ჩვენსა. ხოლო ხვალისა-დღე იწყეს რა ბრძოლად, მხნედ განეწყვნეს მხედრობანი ჩვენნი და რაოდენ-მე-გზის უკუნ აქციეს მხედრობანი დემურისანი, და თითქმის მოიყვანეს სრულსა ძლევასა შინა, რომელ მოაწივაცა საღამო-მან. შაშინ მხილველმან ლანგ თემურ, რომელ იძლივნეს ლაშ-ქარნი მისნი და განეფინნეს ქართველნი მინდორთა, მოვიდა სხვისა ლაშქრისა თვისისადმი ჯილათელებად წოდებულთა*, რომელნიცა უომრად მდგომარეობდენ. და გარდახდა ცხენ-თაგან და მოუთრივა წვერი თვისი და ჰრქვა: „ესეოდენ წელი არს გმსახურებ და წინაგიძლვი თქვენ, და ყოველგან შე-

* ჯილათელნი ვჰგონებ უფრორე თურქმანი იყვნენ, ხოლო ესე ჯილა-თელნი იყვნენ უჩინებულესნი მეომარნი ლანგთემურისანი, ვითარცა მაკე-დონელნი ალექსანდრე დიდისა. და ისტორიასა შინა სპარსთა ენისასა სა-კუთრად და საიმედოვნოდ მხედრობად უწოდეს ამა ჯილათელთა ლანგთე-მურისაგან და უგამოცდილეს მხედრებად. და ყოველს გაჭირებას ბრძოლის დროს ამა ჯილათელთა მოძღვანებდა მტერთა ზედა და ძლევასაცა შეიმოს-და (შენიშვნა ავტორისა).

გიმოსავთ ძლევაა წინამძღვანელობითა ჩემითა, და უკეთუ აწ ძლეულნი უკუნიქცევით, სადღა მივიღტვნეთ სირცხვილეულნი?“ განმგონთა ამა სიტყვისათა მხედრობათა მათ განამტკიცეს დემურლანგ და ურთობლივ ზედადასხმა უყვეს ქართველთა, და ქართველნი დაჭირვეს ლტოლვად მეფითურთ, ვინახდგან პირველსა და ამა მეორესა ბრძოლასა შინა არამცირედი მხედრობაა ჩვენი მოისჩნეს, და ამასთან იყვნენმცა მაშვრალნი. თუმცალა ივლტოდენ მხედრობანი ჩვენნი, გარნა არა ეგოდენი მხედართაგანი ვინმე დახოცილ იქმნა, ვინახდგან სიმაგრეთა შინა მალე შეილვტვნენ და სილამისა შემოსვლამანცა არა მცირედი შეწევნაა აჩვენა.

მეფე ლტოლვილი სიმაგრედ მიისწრაფდა დანაშთითა თვისთანა მყოფისა მცირედისა ლაშქრითა მით, რომელ რომელნიმე პირველსა და მეორესა ბრძოლასა შინა დაიხოცნენ და დაიჭრნენ, ხოლო რომელნიმე განიბნივნენ და წარვიდნენ სახლად თვისად განსარინებელად ცოლშვილთა.

ხოლო ხვალისადღე მხილველთა თურქთა, რომელ პირისპირ მათისა არვინდა იპოებოდა, მიეცნენ სიხარულსა დიდსა, და განყვეს მხედრობანი თვისნი რაოდენმე გუნდ-გუნდად და უბრძანეს ოხრებად ქართლისა. და ესახედვე კახეთისაცა ზედა წარავლინა მხედრობითა დიდითა მხედართ-მთავარი ყარალალთი თურქისტანელი, ხოლო ქართლსა ზედან—ყაზან სულთანი მხედართმთავარი ჯიღათელი, და უბრძანა უწყალოდ რბევა და ხოცაა ქართველთა და კახთა. ხოლო თვით უკუნიქცა დემურლანგ ტფილისად. და მისრულმან მცხეთას აღაოხრა ყოველივე შენებულებაა და მოწვნა ცეცხლითა პალატნი სემეფონი, და დედა-ეკვლესია მცხეთისა დაწვა ცეცხლითა და ვიდრე საფუძველადმდე დარღვეულ ჰყო. და მისრულმან ტფილისსაც მისცა ესგვარი ვნებაა, და ნისანისა და კალისისა სრულიად შემუსრა ციხენი და შენებულებანი, და მოსწყვიტნეს, ვისაცა იხილავდენ ქრისტიანეთა, და აქცევდენ მონასტრებთა და ეკვლესიებთა. წარსრულთა მათ მხედართმთავართა მოვლეს სრულიად ადგილი საქართველოსანი და მოსწყვეტდენ მრავალთა მღვდელთა, მონოზონთა, დიაკვანთა, მოხუცებულთა და სხვათა კაცთა, აქცევდენ მონასტერთა და ეკკლესიებთა, და სწვამ-

დენ შენებულებათა, ვითარცა ქართლსა შინა, ესსახედვე კახეთსა. ხოლო ყრმათა და ჭაბუკთა ქალ-კაცთა ტყვედ ჰყოფდიან. და აქვნდათ ამასთან ბრძანებაც მთავართა მათ, რათა ქართულნი წიგნები ეკლესიათანი და სხვანი, რაოდენ შესაძლებელ იყოს, ხელთვდებად მეცადინე იყვნენ მით, რამეთუ ენება სრულიად სამღროოდ წერილთა აღხოცა და ამა ღონიშა მიქ-ცევა ქართველთა მახმადიანად.

უკანასკნელ ოხრებისა ამისგან უკუნქცეული მხედრობაც დემურისა მოიწივნეს ადგილსა გაღმამხარესა, მახლობელ კავთისა და სცნეს, რომელ მონასტერსა შინა წმინდისა ღვთისმშობელისასა, ქვაბთახევად წოდებულს, არიანო მრავალნი უკვე ერნი შეკრებილ სოფლებთაგან, და მონოზონნიცა მრავალ. მსმენელნი მხედრობანი დემურისანი მივიღნენ მონასტერსა მას შინა და ზედადასხმითა აიღეს მონასტერი იგი, და წარმოსტყვენვეს მრავალნი და აღივსნენ ალაფითა დიდითა, ვინახდგან მდიდარ იყო მონასტერი იგი, და გაიტანეს მრავალნი საუნჯენი და სახმარნი უკვე ჭურჭელნი ეკლესისანი, და ტყვე ჰყვნეს სრულიად მუნ მცხოვრები მონოზონნი, და მოსრნეს მახვილითა უძლურნი და გლახაკნი, ვინახდგან მრავალნი იყვნენ მუნ შეხიზნულ. ოდეს მოიცალეს ხოცისაგან და დარბევისა, შემოჰკრიბეს უღმრთოთა მათ მხედრობათა მონოზონნი ყოველნი და შეასხნეს საუღერნი (ესე იგი ევეანნი) ყოველთავე და აწვიეს როკვად, და ამით განკიცხულ ჰყვეს და უშვერად ეცინოდეს და განსცხრებოდეს. და მერე მთავარმან მან მხედრობათამან ბძანა თვისთანა მიყვანებად ყოველნი იგი მონოზონნი და სხვანი კრებულთა მსახურნი და ერის კაცთაგანიცა მრავალნი, და ცხად უყო მან ბრძანებაც დემურისა, ვთარმედ: „ყოველთა მამათ ანუ უარჲყავთ ქრისტედ და ანუ შეკრულნი შეგიყვანეთ შინაგან ეკლესისა თქვენისა, და ვკემნეთ მოზვინეა შეშისა კმად და დაგწვნეთ მას შინა“. რომელნიცა უღმრთოსა მახმადსა ზედან მფუცებელნი ესიტყვეობდიან. გამგონთა ამის სიტყვისათა ღვთისა კაცთა ჰრევეს მათ: „ჩვენ უკვე ხელთა შინა თქვენთა მიცემულვართ ცოდვითა ჩვენითა, და რაცცა გეგულებოდეს, ჰყავთ იგი, ჩვენ უკვე ხრწნადისა სოფლისა ამის დიდებამან ვერა განგვაყენოს 9. კალმასობა.

სიყვარულსა მას ქრისტესა, არცა ჭირმან, არცა ცეცხლმან, და არცა სიკვდილმან და არცა ღიღებამან“. მაშინ ბრძანა მთავარმან კრულთა მათ მიყვანებად ტაძარსა მას შინა ღვთის-მშობელისასა, და შეყრად მათი, და მიყრად შეშათა, და დაწვად მით. მსმენელთა უწყალოთა მათ მხედართა მიითრივნეს კრულნი ესე ყოველნი და შეპყარნეს წმინდასა ტაძარსა შინა ღვთისასა. ხოლო მრავალნი კრულთაგანნი შიშისათვის სიკვდილისა მიქცეულ იქმნეს და დაშოთნენ თავისუფლად მთავრისა თანა. და მაშინ ეტყოდეს სხვანი იგი: „პოხ, საწყალობელნო, მცირისა ცხოვრებისათვის რად დაკლებულ ჰყვენით თავნი თვისნი ქორწილისაგან სიძისა უკვდავისა?“ და შესრულნი ეკალესიად აღავლენდეს ლოცვასა ღვთისადმი და ერთი მეორესა განამხნობდეს.

მაშინ უღმრთოთა მათ მოიღეს შეშანი და შეპყრიდეს კარებთა და ფანჯრებთაგან, და დააზვინეს ძლიერად და მაღლად, და მერე დასხმულ ჰყვეს ნავთი და შეუდვეს ცეცხლი, და ალი იგი ცეცხლისა აღვიდოდა გუნბათით, და ესენი აქებდეს უფალსა, ვითარცა სამნი ყრმანი სახმილსა შინა, და ესრეთ შევეღრნეს სული თვისი უფალსა და დაიმკვიდრეს სასუტეველი ცათა.

შემდგომად აოხრებისა ქართლისა უკუნ იქცა ლანგთემურ და კვალად მოვიდა ქართლად ექვსგზის შემმუსვრელი ქართლისა, რომელმანცა აღილო ბირთვისისა ციხეცა შეწევნითა ხელოვანისა ფრანგისა ვისგანმე, რომელმანცა ქმნა კიბეები თოკთაგან, და ლურსმანთა დამსჭვალვით ავიდა კლდესა მას ზედა და ალიყვანა მხედრობანი, და დაესხა ზედა მუნ მყოფთა ერთა, გარნა ბარათიანთა განამაგრეს ციხეჲ მუნ ნარიყალად წოდებული და განერნენ მრავალნი ხელთაგან უსჯულოთასა.

ესეცა არს მოსახსენებელ, რომელ მას უამსა შინა დალისტნელნი იყვნენ ქრისტიანენი, ვითარცა ხევსურნი და ფშავნი, და შესრულმან მუნ ლანგთემურ წარმოუხვნა წერილნი, და მისცნა მოლები და სიმდიდრე ფრიადი, და მიიღეს ცოდვითა ჩვენითა მახმადიანობად. ესევე სახით ჩერქეზნიცა მიაქცივა თვისად.

მეისტორიენი და მოგზაურნი კაცნი იტყვიან და მსმენიეს
მე თვით, რომელ ლანგთემურმან, რაცა საღმრთო ანუ სხვა-
ნი წერილნი წარიღო საქართველოდამ თურქისტანსა შინა,
გააკეთებინა ქვიტკირისა დიდი სახლი და რკინისა ფანჯარანი
და კარნი შეასხა, და მას შინა დასღო ყოველივე წერილნი და
წიგნი, და დასღო წყევაჲ, რომელ არვინ განიღოს მუნიდგან
იგი წერილნი, და არს აწყა ისევ ისე დაკრძალულ.

ანტონის მიერ თქმულივე იამბიკო:

ქუაბთა ხევს წმინდა სამხოლოოი ვანი
ეკკლესიისა პირმშოთასა საგვანი
საკურთხეველი მსხვერპლთა ზეცად აღმყვანი
და წულილ ნაბეჭდნი კედელ იატაკ ქუანი
ჩვენდა სიქადულ მუნ მსხვერპლთა საღმრთო დაწვანი.

ჭმინდა გორგაძესა ნიკოლაოზ დგალისათვის

ჭმინდა ნიკოლაოზ დვალელი იყო ქართველი. ესე მშობელთა მისთა სიყრმესავე შესწირეს ღმერთსა და, რა აღიზარდა, წარვიდა მონასტერსა კლარჯეთისასა და მუნ მონოზონ იქმნა, და მრავალი მოლვაწება აჩვენა, და განითქვა ამბავი მისი ივერია-სა შინა. შემდგომად წლისა რაოდენისამე წარვიდა იერუსალი-მად და ილოცა საფლავი უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი, და დადგა მონასტერსა ჯვარისასა და მრავალი ვნება და სა-ტანჯველი მიიღო თურქთაგან. და მერე ჯვარის მამამან იდუ-მალ წარგზავნა კვიპრედ და იყო მუნ. გარნა ჭმინდა ესე მა-რადის ევედრებოდა ღმერთსა, რათა ღირს ჰყოს მოწამეობი-სა ხვედრსა, რომელსა ეჩვენა ანგელოსი და ეტყოდა კვალად უკუნქცევად იერუსალიმად. და მივიდა მამისა მის ჯვარის-მონასტერსა და ცხად უყო მან წადილი ოვისი.

მაშინ მამამან მის მონასტრისამან განამტკიცა ჭმინდა ესე და წარგზავნა მაკედონიად. ხოლო მუნ მისრული შეიპყრეს თათართა ჭმინდა ესე და აიძულებდეს დატევებასა ქრისტეს-სა. ხოლო მან შეურაცხპყო სჯული ულთოთა მათ და მიიყვა-ნეს ჭმინდა ესე მუნებურისა ამირისადმი, და მანცა მრავლი-თა ლიქნითა დაუწყო უბნობად და აიძულა დატევებად სჯუ-ლისა. და რა იხილა სიმტკიცე ჭმინდისა მის, სტანჯა სხვა-დასხვა სახედ და უკანასკნელ წარკვეთა თავი ჭმინდასა მას მახვილითა. და ესრეთ აღიდა ღმერთმა ჭმინდა თვისი, რო-

მელ მოკვეთილმან თავმან მან წმინდისამან ღალადყო: „ღი-
დება შენდა ქრისტე ღმერთო, რომელმან ლირსმყავ და თხე-
ვად სისხლისა წმინდისა სახელისა შენისათვის“. რა ესე
ესმათ, ყოველთა მიეცა განკვირვება და ბრძანა ამირმან დაწ-
ვა ცეცხლითა გვამისა მისისა თვითურთ. და ჰყვეს ესრეთ
ხოლო სცნა რა ესე მამამან ჯვარისმონასტრისამან, შეწუხნა,
სულითა და სთქვა: „უფალო ღმერთო ჩემო, თუ ვითარ შეი-
წირე ღვაწლი მისი, მაუწყე მე სახელისა შენისათვის წმინ-
დისა“.

ხოლო დღესა ერთსა განკვირება დიდი დაეცა მამასა მას,
და იხილა გუნდი მოწამეთა, და შორის მათსა დიდი მთავარ-
მოწამე გიორგი, და გუნდსა მას შინა მდგომარე ნიკოლაოზ
დვალი შემოსილი ბრწყინვალებითა, და ეტყოდა წინამძღვარ-
სა მას: „ამიერიდგან დაცხერვე მწუხარებაჲ შენი, ხოლო წამე-
ბა ჩემი შეწირულ არს ესრეთ წინაშე ღვთისა, ვითარცა მხე-
დავ შეხ“. ხოლო ამას დღესასწაულობენ ბერძენნი ოკდონბ-
რის დღისა ათსა.

წმინდა მოწამე გორგაშვილის სალოგო
ეპისტოლისათვის

წმინდა მოწამე დედა სალომე ქართველი აწამეს იერუსა-
ლიმსა შინა თათართა, რომელიცა შეიპყრეს და აიძულებდეს
დატევებად სჯულისა. და ვითარცა მტკიცე ადამატი ეგო შეურ-
ყევლად. მაშინ მრავალგვარნი სატანჯველნი მიაპყრნეს წმინდა-
სა მას, გაზებითა ხორცისა გლეჯა და ცეცხლითა წვა ნაწე-
ვართა მისთა. და ამით რა ვერა სძლეს წმინდასა მას, უკანასკ-
ნელ მახვილითა წარპკვეთეს წმინდა თავი მისი. რომელსა-
დლესასწაულობენ ბერძენნი თვესა ივლისის კ-სა [20-სა].

შიდისა მღველ-გოზაგისა ლუკა
ჯვარის გაველისა, მუხიურილითვის-
აბაშიძისა

წმინდა მღვდელ-შოწამე ლუკა ჯვარის მამა, მუხიურილი-აბა-
შიძე. ესე იყო შობილი იმერეთს კეთილმორწმუნეთა მშობელ-
ზაგან. და რა დაქვრივდა დედა წმინდისა ამის, წარვიდა
იერუსალიმად და მოილოცნა წმინდანი ადგილი და იქმნა მო-
ნაზონ. შემდგომად რაოდენისამე წლისა წარვიდა ლუკა ესე
სანახავად დედისა თვისისა. და მირავიდა რა იერუსალიმს,
იხილა დედაჲ თვისი და განიხარეს ფრიად. და უკანასკნელ
გარდაიცვალა დედაჲ მისი. და ამან ლუკა იწყო სწავლად
არაბთა ენისა, და ისწავლა კეთილად, და იქმნა ესეცა მონა-
ზონ, და ყოვლითა ლირსებითა და პატიოსნებითა სრულ, და
ქადაგებდა არაბულისა ენითა.

რა მონასტრისა მის კრებულთა იხილეს ლირსება წმინდისა
ამის, აიძულეს კურთხევად მღვდელობისა და მერე აღიყვა-
ნეს ჯვარის მამად მონასტერსა მის ჯვარისა. და იყო ფრიად
ღვაწლსა შინა. რა ე! ე იხილეს თურქთა სიწმინდე და ქადა-
გებაჲ მისი, აღიძრნეს შურითა; და მცირისა რისამე მონასტ-
რისა საქმისათვის შეიძყრეს წმინდა ესე და აიძულებდენ და-
ტევებად სჯულისა, და მრავალი სატანჯველი უყვეს მას. ხო-
ლო რა იხილეს სიმტკიცე სულისა მისისა და მათითავე ენითა;
დაყოფა პირისა მათისა, უკანასკნელ აფთითა წარკვეთეს თა-
ვი წმინდასა მას, რომლისა თავი მისი მოკვეთილი განიცინებ-
და და მადლობასა შესწირვიდა ღვაწლისა მისთვის უფალსა.
რომელსა ბერძენი დღესასწაულობენ თვესა ივნისის კდ-ს[24-სა].

მინდისა პეტრე ჭარიაშვილისათვის

წმინდა პეტრე იყო ქადაგისა კეთილ-მორწ-
მუნისა ვარსა-ბაქარისა, ზოსროვანისა. ამან პეტრე აღირჩია
სიყრმილგან ლვთის მსახურება და იქმნა მონოზონ. და მერქ
დაუტევა სამეფო თვისი და წარვიდა იერუსალიმად, და შტნ
მიიღო მღვდელმთავრობად და იქმნა მწყემსმთავარ მიამოს
ქალაქისა, და მრავალნი სასწაულნი ქმნა. და მერქ მოხუცე-
ბულობისა დროსა მიიცვალა და დაეფლა მუნვე წელსა ქრის-
ტეს აქეთ 381-სა.

ჭმინდათა ოსთა გევროვნა მოწამეთათვის,
კალოუბანსა შინა
მომზადასთა

ჭმინდანი ესე მოწამენი იწამნეს დროსა მეცობისა რუსულისასა ჯალანდილ სულთანისაგან. ოდეს აღილო ამან ტფილისის ქალაქი და ამან მოაქელვა მუნ ბანი სიონის ეკლესისა, და ზედან დაიღვა ტახტი, და დაჯდა მას ზედა, და ესრეთ ათაყვანისცემა ხალხი, და მერეთ დილმისა კარისა ხიდსა ზე და დააწყო ხატებდ და უბძანა ქრისტიანეთა ფერხითა დათრგუნვად; რომელმანცა დათრგუნნა, შეიწყნარნა იგინდ, და რომელთა არა ინებეს დათრგუნვად ხატთა მათ, ბრძანა ერთბამად შეკრებად მათი და განყვანება ადგილსა მას, რომელსა ეწოდების კალოუბანი. და პირველად აიძულებდა მათ, რათა დაუტეონ ქრისტე და შეუდგენ მახმედსა. გარნა არა ინებეს მათ, და სტანჯნეს ფრიად, და მერე შეუკრნეს ფერხნი და ხელნი და დაჰყარეს ველსა მას ზედა, და ზედან მხედრობათა ულთოსა მის ჯალადინისა ცხენთა. ჩბევითა მათ ზედა შემუსრნეს სრულიად. და ესრეთ სული თვისი შევედრნეს ხელთა შინა ღვთისათა ვიდრე ოცი-ათას სულზედ უმეტესგან მამათა და დედათა. და მერე დაწვნეს გვამნი მათნი. გარნა ღმერთმან აღიღნა ჭმინდანი ესე მოწამენი ზეციურისა დიდებითა და დაადგრათ ნათელი.

უკანასკნელ მეფემან დაგით, ძემან დიმიტრისამან, აღაშენა ეკლესია დიდი სახელსა ზედა ჭმინდისა გიორგისასა და ნაწილნი მათნი დამარხნა ქვეშე ტრაპეზისა საკურთხეველსა შინა. უკანასკნელ ოდეს მოვიდა ლანგ-თემურ და აღილო ტფილისი,

დააქცივა მან ეკულესია იგი. და მერე მეფემან გიორგი კვალად განაახლა იგი და აღაშენა, გარნა არა ესრეთ დიდი, ვითარცა იყო პირველ. და აწ ადგილსა მას ეწოდა მათ გამო კალოუბანი, ვინადღან წმინდანი ესე მოწამენი განილეწნეს ფერხითა ულთოთა სპარსთა უნეთაგან.

* * *

და ესრეთ დასრულდა რა უბნობაჲ, დედოფალმან მადლობა უბძანა ბერსა. და ორი დღე მუნ დაპყო ბერმან, და მერე საჩუქრით გასტუმრებულ იქმნა.

ბერმან მიმავლობასა შინა იხილა ბოქოულთხუცესი, რაოდენისამე კაცითა მიმავალი. და მივიდა მისთანა. მოიკითხეს ერთმანერთი. და რა მიიწივნეს ჯრუჭულას წყალსა ზედა, იხილა ბოქოულთხუცესმან ხუთნი კაცნი მომავალნი. და იცნა ბოქოულთხუცესმან, რომელ ესე იყო აზნაურთაგანი რაჭისა, რომელისა შეპყრობა ჰქონდა რწმუნებული მეფისაგან ბოქოულთხუცესს. მაშინ უბძანა თვისთა თანამყოლელთა, ვიდრე ორმეოცდა ათთა კაცთა შეპყრობაჲ მათი. და ესენი, მისრულნი მათდა მშვიდობიანისა სახითა, ზედადაესხნენ და შეიძყრეს უფროსი მათი. და რა წარაქციეს და ენებათ ხელისა შეკვრაჲ და ზედან დააწვნენ, ასშინ ესე ორმეოცნი უკვე კაცნი ერთი მეორეს ზედა დააწვნენ და ერთმანერთს დაუწყეს ძარცვა. რომელიმე თოთსა აგლეჯდა ერთიმეორეს, რომელიმე ხმალსა, რომელიმე სასწრაფოს და ყაწიმთ. სხვანი ტანისამოსს ხდიდენ და ახევდენ. რომელნიმე წალებს აძრობდენ ერთიმეორეს. და ამა ყოფით იგი კაცი ქვეშედამ გაუძვრათ და გაექცათ, და ამათ ერთმანერთი დაძარცვეს.

რა ესე იხილა ბერმან, მციდა და უთხრა ბოქოულთხუცესს: ეს რა საქმე იყოო, ან იმ კაცს რად იჭერდით და ან ერთმანერთი რად გაძარცვეთო?

ბოქოულთხუცესი: მეფის ბძანება მქონდა იმ კაცის დაჭერისა, და აქა შემხვდა და დავიჭირე ასე ლალატობით.

ბერი: მეფის ბძანება რომ განგეცხადებინა, განა არ დაგმორჩილდებოდა იგი კაცი?

ბოქოულთხუცესი: ბერო, ვგონებ შენ აქაური არა

იცი რა. ბარე სამი წელიწადია ამ კაცს დავსცევთ და ვერ დავიჭირეთ. თვით მეფეც რომ იყოს და უბძანოს მისი დაჭერა ანუ სხვა კაცისა, სამი-ოთხი კაცი უნდა მოკვდეს, არა თუ მეფის სიტყვით დაგვეჭირნოს.

ი ო ა ნ ე: უი, მამაშვილობამ ცული რახსა მიმართობად გქონიათ.

ბოქოულთხუცესი: ბერო, რას უბნობ, „რახსა მიმართობად“ საჭმელია თუ სასმელი?

ი ო ა ნ ე: როგორ არ იცით, უფროს-უმცროსობა არა გქონიათ.

ბოქოულთხუცესი: მაში, ბერები ხომ არა ვართ, რომ მეფის სიტყვით და ანუ სხვა ჩვენის უფროსის სიტყვით დავეჭერინოთ ვისმე! ხელი უნდა გამოვიღოთ, კაცი მოკვლათ, რომ იმით პატივი ვიშოოთ.

ი ო ა ნ ე: უი ჩემ თავს, კაცის კვლით პატივის შოვნა ღმერთმან შენს მტერს მისცეს!

ბოქოულთხუცესი: მაში, ისე უნდა ვმორჩილობდეთ ჩვენს მეფეს, რომ როგორათაც თქვენი მეფენი ერთის ბძანებით დაიჭერენ კაცსა და ზურგშიაც ბევრს ურჩიყმენ. ჩვენ გლეხს რომ ჯოხი ურტყას ვინმე თავისმან უფროსმან, უნდა მოკლას მაშინვე მან კაცმან, რომ აქოს ქვეყანამ მისი მამაცობა.

ი ო ა ნ ე: და თქვენ რომ ის კაცი დაიჭირეთ, ერთმანერთი რათ დაცარცვეთ, ის კაციც წაგივიდა!

ბოქოულთხუცესი: ბერო, ამისთანა არეულობაში ერთმან მეორე უნდა გაძარცოს, რომ შინ ცარიელი არ მივიდეს, და ეს იმიტომ მოხდა.

ი ო ა ნ ე: ნუ გამიშურებით, მგლის ხასიათი გქონიათ. თუ სისხლი მოეცხო ერთისა მეორეს, მაშინ ერთმანერთს შესჭიმენ მენ მგლები.

ბოქოულთხუცესმან გაიცინა და უთხრა: „ბერო, მართალს ანბობ, მაგრამ რა ვქნათ, ტყის კაცნი ვართ, თუ ასეარ მოვეჭეცით, არას გვემსახურებიან ჩვენნი კაცნი. ჩვენც ვიცით, რომ ცული საქმეა, და არცა ვინ არს ესრეთ სწავლული. ჩვენში ხუთი-ექვსი კაცი არ იპოება, რომ ევ იცოდეს, განა თქვენსავით არს სწავლა და მორჩილება?“

და ამ სახით გაიყარნენ. ბერი გამოემართა ქართლისაკენ და ბოჭოულთხუცესი წავიდა სახლად თვისა.

ქართლში დაგრძელება.

ბერი რა გარდმოვიდა ქართლში, სთქვა: „გმადლობ შენ უფალო, რომ ქაჯეთის ქვეყნიდამ მშვიდობით გამოველ“.

რამდენსამე ღლეს უკან ბოვიდა ახალქალაქს თარხნიანთან, და მუნ იყვნენ შეყრილნი თარხნიანნი. იხილეს რა ბერი, ყოველნივე მიესალმნენ და მოიკითხნეს ურთიერთი და დასხდენ ერთბაშად.

მაშინ სოლომონმან სთქვა: „მიამა ამა ბერისა მოსვლა, ვინახდგან ესეცა ჩვენის მონასტრისა არს და ჩვენს განზრახვას არ წინააღმდეგება.“ და მერე რქვა ბერსა: „განა, შერო, წინა არააღმდეგები განზრახვასა ჩვენსა?“

იოანე: უკეთუ სჯულისა ზა მეფისა წინააღმდეგი არა უქნება რა, რად უნდა წინააღმდეგეთ?

სოლომონ: ჩემი განზრახვა ეს არს, შემდგომად მეფისა ჩვენისა სხვა არღავინ გვინდა, ვინაიდგან მეფეცა ჩვენი ძლიერის სენით არს შეპყრობილ და ექიმნიცა უიმედო არიან.

იოანე: ყოველთვის ასე ყოფილა, მამა მომკუდარა და მერე ძევ დარჩომია მემკვიდრედ.

სოლომონ: ყოველი მეფის ძენი მემკვიდრეობას ანბობენ.

იოანე: ეგ მეფის ძეობით უთქვამთ, უკეთუ მემკვიდრე არღა იქნება, ვინც დაშთება, იგი იქმნება.

სოლომონ: მეფე ირაკლიმ ასე დაუდო სჯულად ძმებზედ შოკიდებით მეფობა.

იოანე: ეგ მეფემან პოლეტიკით ჰქმნა, რომ შინაური შფოთი დაეცხო და თავის-უფროსის მორჩილნი შემდგომ მისა ყოფილ იყვნენ.

სოლომონ: არ იყო სჯულიერი წინადადება.

იოანე: მეფემან დია კარგად იცოდა. სჯული და აკი ისევ დააყენა წერილით.

სოლომონ: მართალია, მაგრამ მე რომ შეფიცებული ვარ

დავითისა და იულონისაც, მეფის შემდგომად რა უნდა, ვქნა: ვინც დაიჭერს ქვეყანას, იმას თავი დაუკრა?

ი ო ა ნ ე: ორთავ რად შეჭფიცე?

ს ო ლ ო მ ო ნ: რომელიც გაკეთდებოდა საქმე, წამხდარი არ მექნებოდა მასთან.

ი ო ა ნ ე: ეგ ჰეშმარიტი ფიცი არ არს, ან ერთისათვის უნდა გელალატა, ან მეორისათვის, და ხომ ფიცს ქვეშ დაშ-თებოდი!

ს ო ლ ო მ ო ნ: ოდეს შევფიცე იმათ, ბალამწარას ხის ჯოხი ხელთა მეპყრა. და ვისაც ფიცში იმ ხის ჯოხი ეჭირება, ფი-ცი არღა ეწევა.

ი ო ა ნ ე: მაგგვარი ფიცი პაპის თქვენის გიორგი სააკაძისა-გან დაგშთომიათ, რადგან ფიცის მტეხელი და მეფისა და მამულისა ორგული შეიქმნა.

ს ო ლ ო მ ო ნ: არ იცი? ქართული მასალაა: რაცა მამა, ისი შვილიო. ხოლო არ იცი, ყენისაც შეფიცებული ვარ და რუსებისაც. თუ მეფის შემდგომად მოხდეს რამე, რომელიცა სძლევს, იმათ ერთგული ვემონები და მათგან წყალობას მი-გიღებ.

ი ო ა ნ ე: ვიცი, „კოკასა შინა რაცა დგას, იგივე წარმო-დინდება.“ და მე კი ვსთხოვ ლმერთსა, რომ მაგგვარს აზრი-საგან შორს იყო, რომელ მამულის მოლალატეობაში არ შეხ-ვიდე, და ამასაც, რომ მაგ ფიქრისაგანაც გამოგიყვანოს. რომელსაც ბალამწარა ჯოხზედ გაქვს სასორება დადებული, უწყოდე ლმერთი აცადებს კაცს მოქცევას და სინანულს; და თუ არა მოიცევა, წაიკითხე ფსალმუნი: „ნუ ეშურები, რამეთუ უკეთურნი აღრე მოისრენეს“. და ამას გარდა ასე არის ბრძნ-თაგან თქმული; არა შვენის პატიოსანსა ჯილდოსათვის მოტ-ყუება ვისამე. და თვით უფალიც გვამცნებს: „ნუ ფუცავ ცა-სა, ნუცა ქვეყანასა“ და იფიქრე, რომ შენ სიცრუით იფიცავ ლმერთსა.

ს ო ლ ო მ ო ნ: არა მარტო შე ვარ, არამედ ამხანაგნიც მრა-ვალნი მყვანან ჩემის აზრისა. და სადაც პაპის ჩემის სული წავიდეს, მეც იქ ყაბული მაქვს.

ი ო ა ნ ე: ლმერთმან შენი და მათიცა აზრი განაქარვოს და

გიჩვენოსთ გზად ჭეშმარიტებისა! და რაღა გითხრა მაგ აზრის მექონს?

სოლომონ: წლევანდელი წლის აღწერაც ბევრს რასმე იჩვენება. და დროს ცვლილებასა ბევრი ამგვარი საქმეები უჩვენებია.

იოანე: წლის კალენდარი დია კარგად ვიცი, მაგრამ სასოება კი არ უნდა დასტოს იმაზედ კაცმან. თავისის წმინდა სვინდისით უნდა იქცეოდეს.

სოლომონ: კარგია, დაუტეოთ ამაზე უბნობა და მითხარ წლის კალენდარი, თუ რას მოუთხრობს წლეულ და შემდგომისა წელთაცა, რომ მსურის დიდად კანონიერად გაგონებად მისი.

ბერმან შორს დაიჭირა: „ეგ ჩემი საქმე არ არის“. მაგრამ სხვანიცა მუნ მყოფნი თავად-აზნაურნი და სამღვდელონიცა შეეხვეწნენ. და მერე იწყო ბერმან შემდგომისა ხატითა უბნობა ესრეთ.

[საუბარი კალენდრისათვის].

ზურაბა: „ბატონო თარხნიანო, სწორედ სათქვენო ბერი გყავთ, ამისთვის რომ კუდიანობისა და მკითხაობის ხელოვნუბაში გამოცდილი ყოფილა“. მრავალი იცინეს. ბერს კარგად განუსვენეს და შემდგომად ბერი წარვიდა თვისისა მონასტერისა შინა.

მისრული ბერი მონასტერსა შინა ქვაბთახევს, ძმათა სიყვარულით მიიღეს და ამბორებით მოიკითხეს, და ბერმანცა ეგრეთვე. და მერე თვისისა მოგზაურობისა შემთხვეულობანი ყოველნივე ცხად უყო ძმათ მათ. შემდგომად ორისა დღისა წინამდლორისა თვისისა წერილი ებოძა ბერსა და მიეწოდა ტფილისად. ბერი უკვე განემზადა და გამოეთხოვა სხვათა მათ უკვე ძმათა და ამცნო, რათა კეთილად იქცეოდენ და ამასთან იკონომითაც იცხოვრონ, რადგან მწირსა ადგილსა შინა სცხოვრებდენ.

მაშინ ერთმან ბერთაგანმან რქვა; „მამაო იოანე, თუ ჩვენს თავს მცირედ ნუგეშს არასა ვსცემთ, ვითა შეიძლება ამა ულალთა ადგილთა შინა ცხოვრებად? და ახლა შენ, თუ არ კვირით, დასტურსაც არ გვაძლევ ლვინის შესმისასა.

ი ო ა ნ ე: მაშ, ვითარად გწადს, მონოზონნი უნდა ყოველთვის იწროებით სცხოვრებდენ. ხომ წარგიკითხავს პავლე მოციქულისა უდაბნოთა მთათა და ხვრელთა ქვეყანისათა ცხოვრება. და ესრეთვე მამათ ცხოვრებაშიაც მრავალს იპოვი, თუ ვითარნი მოღვაწენი ყოფილან.

ბერი: თქვენ კი აქა-იქ დაბძანდებით, კარგს განცხრომაში ხართ და ჩვენ კი არა გვკითხავ, ჭინჭარსაც ძლივ ვშობთ.

ი ო ა ნ ე: მონასტერში კი მარხვით იყავით. და როდესაც სოფელში მიხვიდეთ ხოლმე, იქ კი ასე მიიღეთ სანოვაგე სავსებით, რომ ვახშამიც ალარ მოგინდეთ, რომ ესეც იყონომიას შეემატება.—მაშინ

ზურაბამ: გამიშინჯე ბერების დარიგება! ხალხში კი უნდა ნაყროვნების სახით იქცეოდენ და ცალკე მონასტერში მარხვით. კარგს სახელს მოიგებენ მაგ მცნებით!

ი ო ა ნ ე: შე გიყო, მე ნუგეშის ცემისათვის უთხარ.

ზურაბა: ეს დასტური მაინც მიეცა, რომ კვირაში ორჯელ დალიონ ლვინო და საურწყაოც რიგზედ მიიღონ.

ამით დააზავნა ეს ბერები და იოანეც გამოეთხოვა და წარე-მართა ქალაქისაკენ.

რა მოვიდა ბერი ქალაქსა, წინამძღვარმან მიიღო კარგად და მოგზაურების ვითარებაც სცნო და კარგად გარჯისათვის მაღლობა უბძანა.

დღესა ერთსა მწუხარე მჯდომი მეფისა მიცვალებისა გამო, ბერი იოანე არა მცირედსა ფიქრსა მოეცა, ვინახდგან იხილა უთანხმოებაც მეფეთა სქესთა შორის, თავადთა და სხვათა ერთაგანცა, და ამასთან მიღება სამეფოსა ტიტლოსი რუსთაგან, ლტოლვაც მეფის ძეთა და თავადთა; და რომელნიმე მიწოდებითა ხელმწიფისაგან, მეფის ძეთა აღთქმითა მამებრივისა მოწყალებისა ჩვენებითა მინდობილნი, წარვიღნენ ბძანებისა მორჩილნი და სხვანი ვითარცა ცხოვარნი განბნეულნი. ამა ყოველთა გარემოებისაგან მოცული, მიეცა დრტვინვად განგებასა ზედა. და კაეშნისა თვისისა გასაღევნელად აღსდგა და მიმოსვლა იწყო უკვე ურაკ-პარაკთა ზედა, რომელმანცა იხილა მელიქად წოდებული დარჩია სახელით, ხოლო გვარით ბებუთად ხმობილი, უკანონოსა ცხოვრებისაგან სიყრმითვე მშვილ-

დებრ მოხრილი და ვერა ამღები თავისა ზეჭვრეტად, არა მედ თავ-ქვეყიდებით დედამიწისა მჭვრეტელი. შეხვდა უკვე ბერსა გზასა ზედა და მყის იცნო ითანე და რქვა: „მელიქო, რასა ეძიებ მჭვრეტელი მიწასა ზედა?

მელიქი: ბაგრატოვანთა ქვალს, რომ არავინღა დაშთო- მილ იყოს!

იოანე: კარგათ გაუწვრთნიხართ, რომ კაცის ქვალიცა არ გემალება.

მელიქი: რუსთ გამწვრთეს.

იოანე: იმათ კარგად იციან თავდალმა მყურებელის გაზრ- და, მაგრამ რაჯ სიკეთის ნაცვალია?

მელიქი: რაჯ სიკეთე მიუძღვით?

იოანე: ანელი სომეხი გაგათავადეს!

მელიქი: ხომ გაგიგონია, კარგისთვის კარგი ვის უქმნიაო?

იოანე: მაგა უბნობითა განითვისე ბუნებად გველისა.

მელიქი: არა მე მარტო, არამედ სხვათაცა მრავალთა.

იოანე: სხვათა შემდგომთა შენთა კარგი ორლანო გიხმიეს, ვინავდგან მსგავსებ სიარულსა შინა მიმოხლაკვნით გველსა.

მელიქი: მე არა ვარ სხვათა უკვე ორლანო, არამედ სხვა- ნი ვიხმივენ ორლანოდ.

იოანე. მაშასალამე, ეშმაკი ყოფილხარ.

მელიქი: თქვენ მაინც არ გწამთ სომეხთ ცხონება და რა- საც გინდათ გვიწოდებთ.

იოანე: ჟეშმარიტი სთქვი ეგე, გარნა ყოველთა სომეხთა ზედა შენ უმეტეს წარწყმენდილად მჩან.

მელიქი: შენ რომ მეორეთ მოსვლას ათორმეტ მოციქულ- თან იჯდე მსაჯულად, ვგონებ უფრო წარმწყმენდიდი.

იოანე: ჩემი ჯდომა იქ აღარ ეჭირება, აქავ წაწყმენდილი ვარ, და ამისთვის თქვა წინასწარმეტყველმან: „ულთონი არა აღდგენ სასჯელსა“.

შელიქი განრისხდა, და ხელი მოჰკიდა და რქვა: „წარმოვედ სახლად ჩემდა და მე გყითხო შენ მეორეთ მოსვლისა და გან- სჯისათვის“. მაშინ ბერიც განპყვა. და მივიღნენ სახლად, და სხვანიცა თანაზიარნი მელიქისნი შემოკრბენ მუნ. და რქვა:

მელიქმან: „მითხარ, ბერი, თვითეულთა უკვე კაცად-

კაცადთა მოქმედთა კეთილისა და ბოროტისათა, თუ რად
არს მისაგებელი მათი, უამსა მოსვლისა ქრისტესა.

ი ო ონ ე: ისმინე მელიქო და ყურად იღე..

[საჭბარი მეორედ მოსვლისათვის].

ბერსა დიდი ქება და მაღლობა უთხრეს და სადილადცა
არლა გაუშო მელიქმან. მაშინ

ზურაბა მ: ბერო, რატომ მელიქიც არ მოიხსენე?

ი ო ონ ე: მე სულ საზოგადოდ ვახსენენ.

ზურაბა: არა, უნდა მოგეხსენებინა.

ი ო ონ ე: ვითარ?

ზურაბა: ესრეთ: აჲა, მობლუნძვულ-მოკუნტული მელიქი
ესე და საქმენიცა მისნი!

მაშინ ყოველთა განიცინეს და მიყვეს ხელი სადილსა.

* * *

შემდგომად ბერი წამოვიდა სახლად თვისა და განმზრახველ-
მან თვის შორის დამტკიცებულ პყო ეჩმიაწინს ორქივატერთან
წასვლა და მუნ ცხოვრებისა აღრჩევა, ვინახდგან ქართლსა
შინა ხედვიდა მრავალთა ცვლილებისა საქმეთა, ვითარცა
თქმულ არს: „ახალსა მართებლობასა საქმენიცა ახალნი შეუდ-
გებიან“. და მერეთ დამამტკიცებელმან თვის შორის ბერმან
ვედრებით სთხოვა წინამძღვარსა თვისსა, რაოდენისამე დრო-
სა ნებისა ცემა, რათა წარვიდეს ეჩმიაწინად, და უკეთუ იშო-
ვის რასმე, მუნიდგანაც მსახურებს მონასტერსა. წინამძღვარი,
გამგონე ამისი, არა აძლევდა ნანდვილსა. პასუხსა, გარნა.
მრავალგზის იძულებულმან ბერისაგან, ნება სცა წინამძღვარმან,
ხოლო ბერი მხიარულ-ქმნილი განემზადა წასასვლელად. ბერ-
ზან მოიპოვა კარგი უკვე ვაჭარნი და წაჰყვა მათ ერევანს.
მისრულნი ეჩმიაწინს ვაჭარნი, წარვიდნენ ერევანს, ხოლო ზე-
რი დაშთა ეჩმიაწინსა. და მისრული ბერი ორქივატერის მოხე-
ლეთაგანსა ვისმე ცხად უყოფს თვისისა ვითარებისა მიზეზსა
და სთხოვს ვედრებით, რათა მისცენ მას მუნ სადგური. და ესე
კაცი აცნობებს ორქივატერს. და მიუჩენენ კაცსა, გისცემენ
ბერსა სადგომსა და განუსვენებენ კეთილად. შემდგომად სა-

მისა დღისა მიუწოდა თვისთა თანა ორქივატერმან. ბერი, მის-
რული მისდა, ანბორს უყოფს მდაბლად და ეტყვის: „გვაკურ-
თხენ, საზოგადო მამაო!“ ორქივატერი შეიტკბობს კეთილად,
და მოიკითხავს სიყვარულით და გამოჰკითხავს ყოველსავე მი-
ზეზსა თვისისა მგზავრობისასა. ბერიცა აცნობებს თვისსა ვი-
თარებასა და უკანასკნელ ცხად უყოფს, რომელ არლა ნებავს
ცხოვრება ქართლსა შინა, ვინავდგან მეფეთაგან მოკლებულ
იქმნა ქვეყანა იგი. ორქივატერმან სცა ნუგეში და აღუთქვა
თავისუფლად ცხოვრება ბერისა მის. და უბრძანა ერთსა ვართა-
პეტსა, კაცსა გამოცდილსა მეცნიერებასა შინა, მცოდნესა ქარ-
თულისა ენისასა, რათა მან იზრუნოს მისთვის, და მახლობელ
თვისა დააყენოს და, თუ სწავლა რამე ენებოს, მისცეს მას
შინაცა მოძღვრება. ვართაპეტმან წარიყვანა ბერი თვისთანა
და სხვა და სხვათა უბნობათა შინა შემოილო საფილოსოფონესა
კითხვითნი საქმენი. და ბერმან ყოველივე მარჯვედ მიუგო. და
მერეთ ვართაპეტმან რქვა: „პერიარმენისა რაოდენთამე პრაქ-
სისთა გყითხამ შენ და, თუ რამე გაკლნ, მე განგიმართავ-
მათ“. ბერმან მაღლობა მოახსენა.

[ტრაქტატი პერიარმენიაზე].

და მერეთ ვართაპეტმან პრექვა ბერსა: „მათნე უბნობითა
შენითა და ესე კმაარს პერიარმენითა ზედა უბნობად. აწ
განვისვენოთ და ხვალე ვიტყოდეთ სხვათათვის პსწავლა[თა]“.

ბერი თვისსა სადგომსა წარმოვიდა და განისვენა მას დღე-
სა. ხოლო ხვალისა-დღე ვართაპეტმან კვალად მოუწოდა ბერ-
სა და სიყვარულით მოიკითხა და პრექვა: „მნებავს აწ კითხვად
შენდა დავით უძლეველისაგან ქმნილისა საზღვრის წიგნსა ზე-
დაცა უბნობად“. ბერმან მოახსენა: „რაოდენ ძალმიძს, მოგახ-
სენო მისთვისცა“.

[საზღვართა წიგნის განმარტება].

ამა უბნობისა შემდგომად სადილი მოიღეს და კარგა განი-
სვენეს. და მერეთ ვართაპეტმან აქ ბერი და პრექვა „კვალად
მინდა უბნობად შენდა რომელთამე პაზრთათვის“.

იოანე: რამცა გნებავთ, მიბძანეთ, მეუფეო!

ვართაპეტი: რაოდენად განიყოფების მყოფი?

[გვარნი კითხვა-შეგებითისანი სადიალიკტიკოთა ზედა
სიბრძნისმოყვარეობისათვის
რაოდენობისათვის
ვითარებისათვის]

ვართაპეტი: ამას ზედა კეთილად იუბენ, ვითარცა სკო-
ლათა შინა გვისწავიეს დავით უძლეველისა მიერ გარდმოცე-
მულნი სხვათა მოწაფეთაგან მოცემულნი ჩვენდა. ხოლო აწ
გვითხავ ათინურისა ბერძნისა ფილასოფოსისა მელიტოს ერ-
მანტიელისაგან კითხვათა უმაღლეს ნათხზთა დასახელოვნებე-
ლად მოწაფეთათვის.

იოანე: ბრძანე, მეუფეო!

[იმართება საფილოსოფიო საუბარი],

და ესრეთ დაასრულეს უბნობამ. ვართაპეტმან აქო ბერი
და ჰრევა: „მე ცხადუყოფ შენსა გამოცდილებით მეცნიერებასა
ორქივატერს და, ვითარ ინებებს შენისა მდგომარეობისა სრულ
ყოფასა, ხვალე მოდი ჩემთან და ყოველსავე გაცნობებ“.

ბერი თვისსა სადგურსა წამოვიდა და განისვენა.

ვართაპეტი მივიდა ორქივატერთან. ორქივატერმან ჰქითხა
ბერისა, თუ ვითარ განვითარებული არსო? ვართაპეტმან დი-
დად აქო, და მოახსენა: „ეგება გული მოუგოთ და აქ დაშთეს,
და ჩვენ-კერძ ეგების შეიქმნესო“. ორქივატერმან: „რითაც
ღონით და მისაცემელის ალთქმით შეიძლებოდეს, ყოვლით
კერძო ეცადე იმის ჩვენკენ მოქცევას, და შენც დიდად ჯილ-
დებულ გყოფო“. ვართაპეტი წამოვიდა შინ. და ხვალისა-დღე
მოუწოდა ბერსა და ჰრევა: „მე ყოველივე შენი სწავლება და
განათლება გონებისა ცხად უყავ ორქივატერს, და ორქივა-
ტერს ჰსურს შენი აქა დაწომია; და რითაც შენ გულსავსე
იქმნები ხარისხით, თუ ჯამაგირით, ყოველსავე აღგისრულებს,
და ნუ დაპყარგავ ბედსა“.

ბერი: ჩემი დამაბრკოლებელი ამის მეტი არა არის რა,
რომელ თქვენი და ჩვენი სარწმუნოება ვერა თანხმობენ ერ-
თად.

ვართაპეტმან: რატომ? ორ კრებაში ერთად ვიყავით და მაშინ ვითაც განაწესეს წმინდა[თა] კრებათა, იმ სარწმუნოებითა ვართ. და თქვენცა იმავე სარწმუნოების აღსარებაზედ ჰსდგეხართ; და ვითარცა თქვენ გრწამთ წმინდა სამება, ისე ჩვენ ალვიარებთ. ასე გაშინჯე, რომ ჩვენს მღვდელს და მღვდელს-მთავარს თქვენ არლა აკურთხევთ, ოდეს თქვენს სარწმუნოებაზედ მოვიდეს. აგრეთვე არცა ჩვენ თქვენსას. და სხვა ამაზედ დიდი რაღა იქმნება?

ბერი: დია კარგი, მაგრამ განგებულებაზედა რაღას ბძანებთ?

ვართაპეტი: მართალია, თუმცა ერთის ბუნებით აღვიარებთ ქრისტესა, მაგრამ არც კაცობრივს ბუნებას უარვყოფთ, რომ ღვთაების ბუნებასთან არის შერევნილი.

ბერი: „უფალო ვართაპეტო, კიდეც ეგ არის წვალება“. და მერეთ ვართაპეტმან: „კარგი, მე გყითხავ თვითეულად სიმვოლის განმარტებისათვის“.

ვართაპეტი:—რად არს სიმვოლი?

[სიმვოლის განმარტება].

და ესრეთ დასრულდა რა უბნობა, ვართაპეტმან სხვადასხვა წინადაღებით და უბნობითა დაარწმუნა ბერი, რომელ, ვითარცა შენ ალიარე სიმვოლი, ეგრეთვე ჩვენ გვრწამსო, თუმცა მცირე რამ კანონები ეკლესიისანი განყოფილად გვაქვსო, და ეს ერთი დიდი შეცოდება არა არს რაო, და ბედნიერებას ნუ დაკარგავთო. ბერი დაფიქრდა და უთხრა: მაშა, სომხური ენა უნდა კარგად ვისწავო, და სხვებ ნება თქვენიაო. ვართაპეტს დიდად იამა. და იმ კვირისათვის იწყეს მზადება, რათა ბერსა ტანისამოსი სომხის-გვარად შეუკერონ, და მიიღონ თვის-სა რიცხვში.

ამჟამად გორგი მღვდელი, მეფის კარის ხუცესი, შავ-მელიქის შვილი, მოვიდა ეჩმიაძინს ტფილისიდამ. და მოყვა თან რაოდენიმე კაცი ქიზიყელი. ესე გიორგი ეძიებდა დაკარგულსა მეულლესა თვისსა, რათა დაეხსნა თათართაგან. ორქიგატერთან გამოცხადდა გიორგი, მისცეს ადგილი და ჯეროვანი ულუფად. უკანასკნელ სცნო გიორგი მღვდელმან, ვითა ხელაშვილი

ბერი აქა მოსულ არსო. მსწრაფლ მოიკითხა და მოვიდა ბერთან. ბერი დია კარგს მორთულს სენაკსა შინა დაეყენებინათ, დიაკვნები მიეჩინათ. მიჩაგდანიანი კრაოტი დაედგათ, და უცხო მოფენილსა და შემკულს სახლში იდგა. რა გიორგი მღვდელი ბერმან იხილა, დია წყნარა და ამპარტავნულის სახით აუდგა, და ესალამა, და ცივის გულით მოიკითხა. მაშინ გიორგიმ რა იხილა, ჰრევა ბერსა: მე მინახავხარ სხვაგვარ მცხოვრები ქვაფთხევის მონასტერსა შინა, ვითარცა შეენოდა ბერსა, და აქა ხანსავით დამდგარხართო. ნუ თუ მუცელ-ლვთობის ეშმაკი შენშიაც დაემკვიდრაო?

ბერი: იქაურს ნიგვზის ზეთს აქბური ქუნჯუთის ზეთი სჯობია საჭმელადაო. და კაცმან რომ კარგი სასმელ-საჭმელი იხმიოს და კარგად შთაიცოს, და თავის-თავს ასიამოვნოს, სიცოცხლეს დაიცავს თვისისა მრავალწლობით, ეს კი აღარ იციო?

გიორგი: მე საწყენად არ გეუბნები; ვითარცა იქ იყავ, ვინემ აქ იყო, ისე მოიქცეო.

ბერი: მე იქ არღა წავალ. და როგორც ესენი მოიქცევიან, ისე უნდა მოვიქცეო.

გიორგი: ნუთუ გასომხდი?

ბერი: რაც მე ვშინჯე, ჩვენში და ამათში მაგდენი განყოფილება არა არის რაო.

გიორგი მ სოქვა: ვად შენს გიორგის! ჩემია ცხონებამ, აკი გაძალებულა ეს საბრალო ბერი!

ბერს დიდად ეწყინა, და თავისებურებ გაანჩხლდა, და უთხრა: ჰოე, უგუნურო გონებაო და უკატიხიზისმო! რა იცი, რომ მლანძლავ? და ან რას მასწავლი, მე უკეთ არა ვარ ნასწავლი შენზედა, დავით რეკტორისაგან გაზღილი?

გიორგი: დია, იმისთანა ოსტატი, რასაკვირველია, სჯულს გაგიადვილებდა გასაშევებად. ღმერთმან მაშოროს მე შენი სწავლის ცოდნა, რაღან შენ მაგრე მოიხმარეო.

ბერი: მე შენი ლაპარაკი არ ვიცი, წელანვე გითხარი უკატიხიზმოსი ხარ.

გიორგი: მითხარ, მეცნიერო, რაც არს კატეხიზისი?

ბერი: კატეხიზისი ანუ კატახიზმო არს შემოკლებითი სწავლა ცნობისათვის ლვთისა და დამარხვად მოცემულისა მისისა

აღთქმისა, რომლისათვის ჩვენცა თვით გვაჩვენებს ბუნება ჩვენი განცხადებულად საქმეთა ღვთისათა. და ესრეთ კატებიშმო განიყოფების ორ ნაწილად: პირველი უკვე არს ცნობად ღვთისა ბუნებითად, ხოლო მეორე—ცნობად ღვთისა აღძრცვილობითად, რომელიცა საღრმოთოთა განგებითა ნიჭად მოეცვამის კაცსა საღვთისმეტყველოდ უბნობანი.

და ესრეთ ბერმან განუმარტა ყოველნივე სარწმუნოებისა აღსარებანი, ვითარცა ზემორე აღვწერეთ სხვადასხვა ადგილთა შინა.

გიორგი: „ესენი რომ იცი, ამიტომ გასომხდი?“ და მერე დაუძახა ქიზიყელთ კაცებს. რა შინ შემოვიდნენ, იცნეს ბერი და მიესალმნენ: აქ რასა იქ, ხელაშვილო? შენი ძმები და ბიძები ლექში გეძებენ, ვაი თუ დაიკარგა ან მოკლა ვინმეო, შენის ჯავრით არღა არიან თითქმისო.

გიორგი: ხედავთ, იმ მელას რა უქნია? მოსულა და პატივისა და საშორისათვის გასომხებულა!

ქიზიყელი: ვაი, თქვენს ბიჭი! ეს რა დამართებია. მაგ ბერს? წმიდა ნინო უარუყოფია! ჩვენმა მუხლმა, ახლავ მოვკლავთ, როგორ თუ ხიზიყელი კაცი გასომხდე?!

ბერი შეშინდა და უთხრა: „არა, ჯერ სრულებით არ გავსომხებულვარ“.

ქიზიყელი: ჩვენ წაგვიყვანე ორქივატერთან, შამაო გიორგი, და ვთხოვთ, რომ ეს ჩვენი ქვეყნის კაცი და მეზობელია, ამდენი ხანია ვეძებთ და აქ ვიპოეთ, და გვიბოძოს, თვარა სიღნაღმი რაც სომეხია, სულ გავწყვეტთ.

წარვიდა მამა გიორგი და ესე ქიზიყელი. და ორქივატერმან კარგად მიიღო, და მერე მოახსენა გიორგი მღვდელმან ხაზიყელთაგან ვედრება და ბერის დათხოვნა.

ორქივატერი: „ის ბერი თავის-თავად დგება. და თუ წამოვა, არც იმას დაუშლი. ხელშეკრულს კი ვერ მოგცემთ“. და მერე ჰქითხა ორქივატერმან გიორგის იმ ბერის ვინაობა.

გიორგიმ ყველა აცნობა და ესეც მოახსენა: თქვენ სანდურავის მეტი არა დაგრჩებათ რა. ეგ ვერც აქ დადგება, ათასის თორჩის პური შეტი უჭამიაო. ქალაქში კინაღამ გაფრანგდა და აქ სომხობას აპირებს, და ბოლოს მწუხარება არა

მოგაყენოთ რა. რომ გაუშოთ, ის უმჯობესიაო. გიორგის რადგან კარგად იცნობდა ორქივატერი, უზძანა: მაშ, წადი და გული დაუხვიე, სახარჯოსაც მივცემ და გაისტუმრეო. გიორგის დიდად იამა. მოვიდა ბერთან, გული მოუგო და უთხრა: — „მეცნიერი კაცი ხარ, ჩვენს ბატონის-შვილებს გაყევ ვის-მე რუსეთში, იმათაც მოიმაღლოიელებ, სწავლასაც კიდევ შეის-რულებ და საშოვარსაც იშოვი, და აღარც მამულის სჯულის უარისმყოფელი შეიქმნები“.

ბერი დაფიქრდა და სთქვა: „ამა უკატეხიზოსმა კარგად მამცნოო“. და დაემორჩილა გიორგი მღვდელსა. მღვდელს დიდად იამა. და ყოველივე ცხად უყო თანხმობა ბერისა ორქივატერსა. ორქივატერმანც აჩუქა ბერსა და ქიზიყელნი იგი კაცნი თანა გამოატანა მღვდელმან და გამოისტუმრა ტფილისა.

* * *

ბერი რა მოვიდა ქალაქსა შინა, დღესა მეორესა, მიმავალს გზასა ზედა, შემოხვდა ფარსადან ციციშვილი და რქვა ბერსა: „მშვიდობა შენდა, ახალო ვართაპეტო!“ ბერმან ჰრევა: „სულისაცა შენისათანა, ახალო მღივანბეგო, და ჩემს ვართაპეტობას ვითა ამტკიცებთო?“

ფარსა დანი: გასომხებითაო.

ბერი: „რომელი სიტყვით არა სცოგებოდეს, სრული კაციაო“, ასე სწერს მოციქული.

ფარსა დანი: მე არ შემცთარვარ, შენ შესცთი, და მე ჟეშმარიტს გეუბნები.

ბერი: ეგვ არს ძნელი, რომ თქვენი ტყუილი მარადის ჟეშმარიტი გგონიათ.

ფარსა დანი: მე შენგან არ მეკადრება მაგგვარი უბნობა. არ იცი, მღივანბეგის შვილი ვარ და თვითუა მდივანბეგიო?

ბერი: მღივანბეგის შვილობა მართალია, მაგრამ მდივანბეგობისა რა მოგახსენო!

ფარსა დანი: არ იცი, საქართველოს განწესებისაებრ, როცა მამა მოუკვდება ვისმე, მისი შვილი მისსა სახელოს მიიღებსო?

ბერი: მდივანბეგი დია მართლმსაჯული უნდა იყოსო, და თქვენ ჯერ არ მიგილიათ მდივანბეგობა, და არც გამოდგებით აქა.

ფარსადანი: მე ყოველ-დღე მოველი ამ სახელოს და რატომ არ გამოვდგები?

ბერი: აქ კი არა და სხვაგან კი გამოდგებით.

ფარსადანი: სად გამოვდგები?

ბერი: მაშრიყის ქვეყანის ნაწილში ერთი სამთავრო არის, მუშკი-ბარად წოდებული, და იმ ქვეყანაში ჭეშმარიტის თქმა დიდი სირცხვილია, და საიქაო კაცი ბძანდებით.

ფარსადანს ეწყინა, მაგრამ სთქვა: „ვკითხამ, ვითარ და რაგვარ არის მათში ეს დაწესება“. და უთხრა ფარსადანმან: „მითხარ, ვითარ გვარ ტყუილზედ იქცევიან იგინი?“

ბერი: „მუნებურნი ხალხი სიყრმეშივე თვით შვილებს ას წავლიან ტყვილსა და მასწავლელნიცა მათნი ყოველს სწავლას ტყუილის სახით ასწავებენ თვისთა მოწაფეთა ესეგვარ, რომელ რადცა ჭეშმარიტი იყოს ლექსი, იმას კი არ დაამტკიცებენ, და რომელიც არ არის, მას დაამტკიცებენ. ესრეთ რომელ მკვდრისა კაცისა გეტყვიან, სწორედ ცოცხალი კაციათ, მაგრამ მკვდარს კაცს არა აქვს განთვისება კაცისა. კვალად დაგარწმუნებენ, რომელ გვიხილავსო კაცი, და არა კაცი, გარნა კაცი, მფრინველი, და არა მფრინველი, არამედ გარნა ფრინველი. ძელსა ზედა და არა ძელსა ზედა, არამედ ძელსა, ქვითა და არა ქვითა, გარნა ქვითა სრეულ. მოსწყდა მლამიობი კონცხსა ზედან მჯდომარე. და ამისთვის კვალად სხვასაც იტყვიან, რომელ ჩიტი მყვანდა და მომიკვდაო, თაროზედ დავდე გაპტყვილი და გამხმარიყო, მოვიღე მოსახარშავად, დიდ ქვაბში არ ეტეოდაო, და პატარა ქვაბში აღარა ჩნდაო. და ესეგვარნი სწავლანი და ხელოვნებანი მათში დია ჩინებულ არს. და ვვონებ იქ რომ განწესდეთ, მსაჯულთ-უხუცესობასაც იშოვიო, ამისთვის, რომ ერთი ორად ასწავლით, რაც აკლიათო“. ეწყინა ესე ციციშვილს, მივარდა ბერსა, ერთი ბლუჯა წვერი გამოაგლიჯა და უთხრა: „აი, შენ მწვალებელო, სჯული უარპყავ და ჩვენც გვლანძლამო“. და განეშორა ბერს. ბერმან ვერლარა თქვა რა, და სთქვა: „უკეთუ უჩივლო, სიცრუის

გუდებს ურმებით მოიტანსო. და იქნება კიდეც დამაკარგვი-
ნოსო, უმჯობესია მოთმინებაო“, და წავიდა თვისსა გზასა ზედა.

რა ბერი წავიდა, დაფიქრებული და თავდაკიდებული მი-
ვიდოდა. იხილა იგი მილახვარმან ჭილაძემ და ჰრევა: „მამაო,
რასა ფიქრობ და სწუხ?“ ბერმანი იცნა და მოიკითხა, და ჰრევა:
„ფარსადანის გაზღილობასაო“, და ბოლოს ყოველივე ცხად
უყო. მილახვარმან გული მოუყო ბერს და ათხო სიტყვითა,
და ჰრევა: „მინდა გკითხო მცნება რამე და მასწავეთ“.

ბერი: რა გნებავთ?

მილახვარი: ახლა იმისთანა ეამებს ვხედავ, რომ ვაჭრო-
ბა ვიწყო, კარგი იქნებაო.

ბერი: რით ვაჭრობაო?

მილახვარი: ერევანს ბანბებს ვიყიდი და გავყიდი, და ესე-
გვართა სხვათა ალებმიცემათა შეუდგებიო.

ბერი: რადგან მკითხეთ, თქვენ სპილოს ვაჭრობა უფრო
ხელს მოგცემთო.

მილახვარი: ვითარ?

ბერი: სპილო კაცს როგორც ცოცხალი ულირს, ისე მკვდა-
რი. და ამაში ზარალს არა ნახამსო.

მილახვარი მიხვდა და უთხრა: „ბერო, შენ სხვა ჰაზრზედ
მითხარო!“

ბერი: მე გირჩევ ჰეშმარიტად, ნუ მოშორდები შენს ბა-
ტონს, და თან გაეყვ რუსეთს. თუ ცოცხლებით იქნება, გაგა-
კეთებს; და თუ ბუნებას ვალს მისცემს, შენ მეტი დაგრჩება
სხვათა ზედა.

მილახვარი: „მართლად მირჩევთ“. და მაღლობა უთხ-
რა. და მერეთ გაიყარნენ და წავიდნენ თვისთვისად.

რა ბერი მოვიდა შინა, შეეტყო ღამბარაშვილს და მოვი-
და ბერთან, და უთხრა: დიდად მიხარის, რომ მშვიდობით მოხ-
ველ და გნახე, ჩემი სული შენ გელოდაო.

ბერი: შენ კარგად მთლათა ხარ, და რას ანბობ?

ზურაბა: რად მინდა თავი ცოცხალი, მამული მიმილო
სულხან მდივანმან უსამართლოდ, და ვერსად ვიშოვე სამარ-
თალი. და ახლა საიქიოს მინდა წავიდე, და ლმერთმან უყოს
მაგიერი.

ბერი: რას ანბობ, თავი არ მოიკლა!
ზურაბა: „შენც მშორდები, რუსეთს მიხვალ, და ყოვლი-
თურთ უნუგეშო შევიქენ. მშვიდობით, მამაო!“

და გამოვიდა გარე, და სარკმელით გარდაიგდო თავი მტკვარ-
სა შინა და მოიშთო.

ბერიმან რა სცნა ესე, იტირა ფრიად, და სთქვა: „ჰო, მსა-
ჯულნო, ვინც მიიღეთ ქრთამი, მართალი სული განამწარეთ,
და უსამართლოდ მიეცით მამული ამისი, მოგაგოსთ თქვენ
უფალმან საქმეთაებრ თქვენთანა!“ და მერე მოიღო საწერელი
და უწყო სამძიმრისა წერა მეულლესთან და შვილებთან ლამ-
ბარაშვილისათა.

სამძიმრის ჭიგნისათვის

უსაყვარლესო, დედად საგულებელო, მეულლევ ზურაბისავ,
და საყვარელნო ძმანო ჩემნო, ძენო ზურაბისნო! სხვადასხვათა
გარემოებათა გამო ვრაც თავსა ჩემსა უბედურად, და ამით
უფრორე, ვინაიდგან დაშრტა სამთელი მთებარე მეგობრისა
ჩემისა, რომელიცა მანათობელ ჩემდა იყო. და აშ უბედურო-
ბისა თქვენისა შემთხვეულობაშან აღანთო ცეცხლი მწუხარე-
ბისა გულსა შინა ჩემსა და თანამტკივნეულმყო ხვედრსა მას
ზედა უბადრუკებისა თქვენისასა, რომლისა გამო მივიღებ მო-
ნაწილეობასა, და ცრემლსა ჩემსა ცრემლისა თქვენისა თანა
შევრთავ, და ტირილისა და ბავთებისა ხმასა თქვენდამი ალ-
ვავლენ და ვიტყვი: მიმტაცა უწყალომან სიკვდილმან უსაყვარ-
ლესი ძმა და მეგობარი ჩემი. გამიმწარდა სიცოცხლე, მოწყლულ
იქმნა გული ჩემი, და მოესპო სულსა ჩემსა ნუგეში.. ამისთვის
ვდრტვინავ მე განგებასა ზედა, ამისთვის ვიხოუ ლაწვთა ჩემთა,
ვიგლეჯ თმათა ჩემთა, ვიცემ თავთა ხელთა ჩემთა და შევ-
სტირ ზენასა. ვინა დამიჭნო ნარდიონისა ყვავილი, ვინა მოჰ-
კვეთა ხედ. ცხოვრებისა ჩემისა, ვინ განმანგლულ ჰყო ყვავილი
იგი ევვიპტის ველისა, და ვინ მისტაცა თვალთა ჩემთა ნათე-
ლი და გულსა ჩემსა სიხარული? ესე უწყი მე, თუ ვინა: მათ,
რომელთაცა ხელი თვისნი განუმზადებიეს მოსახვეჭელად, მათ,
რომელთაცა მომყმარი მუცელი თვისი ვერა განუძლვიესთ

ანგარებითა, მათ, რომელთაცა უსამართლოდ მიუღეს მამული და ყმანი და მისცეს განწირულებასა, და მართალი სული მისცეს რუდუნებასა, და მიზეზ ექმნენ შოკვლად თავისა თვისისა. ამას სჭვრეტს ზეცა, ამას განსჯის ღმერთი. ნუ შეძრწუნდებიან გულნი თქვენი, იყვენით მოთმინებით, საყუარელნო მეგობარნო და მანო ჩემნო! ვინაიღვან სიმღიდრე გონებისა მაშინ ნაყოფიერ იქმნების, ოდესცა უბედურებასა და მწუხარებასა. შინა მყოფი იქმნეს მომთმინო, და არა რაიმე მწუხარებითა, ავნოსა თავსა თვისისა, და მით არა რაიმე მიზიდოს უძვირესი პირველისა. და ესრეთ მიიღეთ ვედრება ესე ჩემი, ვითარცა გულმტკივნეულისა და კეთილ-მწაღნელისა მოყვსისა თქვენისა. და ნუ მისცემთ თავთა თქვენთა უზომოსა მწუხარებასა, რომლითაცა არა უმეტეს ტკივნეულ ჰყოთ გული მოყვსისა თქვენისა. და იყოს ღმერთი ნუგეშინის მცემელ თქვენდა და აკმაოს სახლსა თქვენსა უბედურებად ესე. ამასთან ბოდიშით წარმოგიძლვანე თეთრი ესე ქისასა შინა მდებარე და დაბეჭდილი წარსამართებელად ნაკლულევანებისა თქვენისა.

ამიერიდგან მშვიდობასა ჩემსა დაგიტევებ თქვენ, ვინაიდგან წარსვლად ვარ რუსეთს.

მარსელა რუსეთად ბრძისა

უამსა ამას შინა ღალატით ქართველთაგან შეპყრობილნი მეფისძენი იულონ და ფარნავაზზ, რომელნიცა განმცემელ ექმნენ და მოთავედ თავადნი: ავალისშვილი სოლომონ და ამირეჯიბი გოგია, ძენი ესე მეფისანი წარმოგზავნილ იქმნეს რუსთაგან როსიად. ხოლო ბერიცა იოანე ხელას-ძე თანა წარმოჭყვა მეფის ძესა ფარნაოზს, რომელიც ფრიად საამოდ მიიღო მეფის ძემან თანა წარყოლად ბერისა მის. შემდგომად მესამისა დღისა მივიღნენ ტფილისიდგან კაიშაურს, კარად წოდებულს ადგილსა, და შენ განისვენეს ერთი დღე. ხოლო ხვალისა-დღე აღიყარნენ რა და შეუდგნენ მთასა მას კაიშაურისასა, მაშინ იწყო ძლიერმან თოვლმან მოსვლად, და ქარიცა ფრიად მომბერველობდა, და თითქმის ყოველნივე მოიყვანა ძრწუნვასა შინა.

ჟამსა ამას შინა ბერი დაშთომილ იყო უკან და ჩქარისა სიარულითა მიისწრაფდა, რათა მოეწიოს მეფისა ძესა. ღროსა ამას შინა იხილა ბერმან ერთი ახალგაზდა ვინმე დედაკაცი, მჯდომარე თოვლსა ზედა მთის ძირად, და პრქვა ბერმან; „ვინ ხარ შენ, ჭაბუკავ?“ ხოლო მან პრქვა მას: „მე ვარ მგზავრი რუსეთად წამსვლელი, და თანამყოლელი ჩემი განმაშორნა აფლარმან ამან, და დავშთი მარტო, და არლა ძალმიცს მე წარსვლად.“ მაშინ ბერმან პრქვა მას: „მე გიტვირთავ ზურგზედან ჩემსა. და მიგიყვან მათთანა“.

ხოლო ქალმან მან პრქვა უკვე ბერსა: „ვითარ ეგების ეგე, რათამცა შრომა რაიმე შეგამოხვიო შენ?“—მაგრამ არა მოეშვა ბერი იგი. და უკანასკნელ იძულებული ქალი იგი აღიყიდა და წარემართა გზასა მასა. ხოლო ქალსა მას დალალულობისა და უძლურებისა გამო დაეძინა. და ძილსა მას შინა შარლი უკვე წაუვიდა, და ბერსა მას ზურგი სრულებით დაუსველა, და სითბომან შარდისამან არა მცირედი გრძნობად მიართო ბერსა მას; რომელმანცა სთქვა: „უი ჩემ თავს, ხოჯის აბანოს წყალი ვინ დამასხა მე და დამწო ზურგი ესე, ნუ უმე სოლინართაგან ამა ტვირთულისათა წარმოედინა წყალი ესე?“ და სთქვა: „დედათა ბუნება მაშინც მხურვალეა, რომლისა გამო სხვებცა განლვიძებელ მყო.“ და სთქვა: „ჩქარა წარვიდე, რათა არა საბრძესა ეშმაკისასა შთავარდე.“

და ესრეთ ჩქარისა სიარულითა მიიწია კობს სოფელსა შინა და მიგვარა პატრონთა თვისთა, რომლისა გამო მაღლობად მიიღო მათგან ბერმან. ბერი წარვიდა სადგურსა თვისსა და გამოიცვალა ტანისამოსი. მაშინ იხილა იარალიმ სველი ტანისამოსი ბერისა, და პრქვა: „ჩვენ სიცივით კინალამ დავიხოცენით და შენ რაოდენი ოფლი გდენიაო?“

ბერი: აბა, უსუნე მაგა ტანისამოსსა, ვითარი ოფლიაო! იარალიმ რა უსუნა, იყნოსა ფსუტისა სუნი, უთხრა ბერსა: „ქვეშ ჩაგიფსამს, თუ რა დაგმართებიაო?“

აშაზედ იცინეს და წარვიდნენ მეფისა ძესთან. მეფის ძე შემოვიდა მამულსა რუსეთისასა. და მოიწივნეს დანიშნულსა აღგილსა სამყოფლად თვისა, ქალაქსა ვარონიშად წოდებულსა. იწრო ცხოვრებამან მათმან აგულისიტყვა ბერსა, რათა წარ-

ვიდეს სანკ-პეტრებულსა შინა სხვათა მეფისა ძეთა თანა. და სრულჰყოცა ჰაზრი თვისი. პირველად უკვე მოვიდა ბერი მოს-კოვს. და იხილნა მუნ ქართველთ ეპისკოპოსნი და სხვანი ძვე-ლად გარდამოსრულნი ქართველნი. და სთქვა: „არღა მმარ-თებს მე მწუხარება, ვინაიდგან ესეოდენთა პატიოსანთა უკვე კაცთა აქა მცხოვრებელთ ვხედავ.“ და ყოველთა მათ შეიტ-კბეს ბერი და განუსვენეს.

დღესა ერთსა შინა სხვანიცა უკვე ქართველნი და ბერი ითანე წარვიდნენ მიტროპოლიტს მროველს იონასთან. და მან მიიღო ყოველნივე და საღილადცა თვისთანა აწვივა. უამსა ამას შინა ბაგრატონი დიმიტრიც მოვიდა, ეანბორა გედეო-ნისშვილს იონა მიტროპოლიტსა, და დასჯდა მათთანა. რა დიმიტრიმ იხილა ბერი, ჰრევა: „ჰგავს, ახლა მოსულხარ.“ და ვინაობაცა თვისი გამოჰკითხა. ბევრმან ყოველივე აცნობა. და მერე დიმიტრიმ ჰრევა: „კარგი არ არის, რომ შენს ბატონის-შვილებს გარდმოყოლხარ“.

ბერი: რა საკურველია, რომ ყმა ბატონს გარდაჲყვეს. თუ ბეღდნიერებაში უნდა თავის ბატონი და სარგებლობს წყალო-ბითა მისითა, ჭირსა შინა რადღა უნდა უარჲყოს? და უკეთუ უარჲყოფს ვინმე, არც პატიოსანი იქმნება იგი.

დიმიტრი: მე დია ბევრმან უარმყო. არა თუ გარდმოყვა ვინმე, არამედ სიკვდილიცა სწადნოდათ ჩემი.

ბერი: რახსა მიზეზით გქლამდენ, ანუ ვით გარდმოვარდით აქეთ?

დიმიტრი: ერეკლეს ისე იამებოდა.

ბერი: რომელს ერეკლეს ამბობ?

დიმიტრი: თქვენს მეფეს ირაკლის.

ბერი: მაშ, ჰგავს შენი მეფე არა ყოფილა, და არც მეფედ აღგიარებია.

დიმიტრი: ჩემი მეფე ვახტანგ მეფიანი თუ ვინმე იქმნება, ის იქნება, ამისთვის, რომ მეფის იესეს შეილიშვილი ვარ.

ბერი: გიორგის შეილი დიმიტრი თქვენ ხართა?

დიმიტრი: დიაღ, მე ვარ.

ბერი: კარგად უთქვაშს რუსთაველს: „კოკასა შინა რაცა დგა, იგივე წარმოდინდება“.

დიმიტრი: „ბერო, არ იცი, მამა ჩემი შენგან სახსენებელი არ არის, რაღაც მეფის შვილი იყო?

ბერი: ვიცი მე კარგად. პაპა შენი თათარი იყო, და მამა თქვენი ხარჭან შვა, და ქართველების მეფების ბუში რომ მეფის ძედ არა გვწამს, თათრის ბუშს ვინ იწამებდა, და აში იმის შვილს ვინ გაღმოჰყებოდა?

დიმიტრის ეწყინა, განრისხდა და უთხრა ბერსა: „შე გასაკრექო, ქიზიყელი ხარ და ვითომ ერდგულება იჩემე შენის ბატონებისა და მლანძლავ! აქ არ იყო, ახლავ ლორივით დაგკლამდი, და შენს სისხლს შევსეამდი, ამისთვის, რომ ჩემი ბიძაშვილი პაატაც მომიკალითო!

ბერი: ჯერ ქიზიყელნი არა ყოფილან პაატას სიკვდილზედ ქალაქში და ის ქართველთ თავადთა განჩინებით მოკვდა, რაღან მეფისა და მამულისა მუხანათად აღმოჩნდა. და მისნი ზიარნიც დაისაჯნენ, და ოქვენც მაშინ გამოგაბდანესთ. და მე მაშინ დაბადებულიც არ ვიყავ, და ჩემზედ რათ იღებ სისხლსა? აქ რომ მაგ სვინიდისითა ხარ, იქ რა იქნებოდიო?

დიმიტრის შერცხვა და დადუმდა. ბერიც ადგა და წამოვიდა განზრახვითა ამით, რათა ურიგო უბნობა არ შემოსულიყო და მიტროპოლიტი არ შეეწუხებინათ. მოვიდა ბერი და განისვენა შინა.

შემდგომად რაოდენისამე დღისა წარმოვიდა ბერი ქალაქსა პეტრებრუს. და მოიწიგა რაოდენისამე დღისა შემდგომად, და მოვიდა მეფის ძეს იოანესთან, და სთხოვა სადგური. მეფის ძემ კარგად შეიტაბო იგი, და მისცა სადგური, და უთხრა ბერსა, რათა უბრალოდ არა სადა ითხოვოს რაიმე; და რაიცა გექმნების საჭიროებაა, ჩემგან მიიღებო. ბერმან მაღლობა შფახსენა და განისვენა მუნ კარგად.

დღესა ერთსა განიზრახა ბერმან და სთქვა: „ანაფორა არღა მივარგა სიძველისა გამო და წარვალ მონასტერსა შინა ჩვენსა, არქიერსა ვნახამ და ანაფორასაცა ვთხოვ“. ბერი წარვიდა მონასტერსა შინა. იხილა არქიერი, კარგად მიიღო ბერი, და თვითეულად გამოჰყითხა ქართლისა ვითარება, და არღა გამოუშო საღილად, შემდგომად საღილისა აღღგა იონა ბერი და მდაბლად ეამბორა, და მოახსენა: „ვიცი კეთილის გულისა

თქვენისაგან, ამ კალნიერებითს მოხსენებისათვის არ გამიწყრებით, ვინადგან საჭიროება მაიძულებს თხოვნად თქვენისა ღირსებისადმი ერთსა ანაფორასა.“ არქიერი დაფიქრდა და უთხრა: „ბერო, დიალ მრავალნი მოდიან სამლდელონი აქა და ყოველს რომ თვითო ანაფორა მივსცე, იფიქრე, თუ რამდენი მომინდება. მეც ჩემის ულუფით და კონდაკით ვსცხოვრებ.“

ი ოანე: მე იმან გამაბედვინა, «უკეთუ ჭაქვნდეთ ორი სამოსელი, მიეცით ერთი გლახაკთა».

ა რქიერი: ეგ მართალია, მაგრამ მე ერთს ანაფორას სხვადასხვად მოვიხმარებ საცმელად, და შენი ანაფორა კიდევ გამოდგება, პირი რომ უბრუნო, უნდა იკონომია ისწავლო, რადგან რუსეთში შემოხველ.

ი ოანე: მადლობელი ვიქმნები, თუ მაგგვარს მასწავებთ რასმე, და ან სხვადასხვაგვარად ვით მოვიხმარო ეს ძველი ანაფორა?

ა რქიერი: ესრეთ მოვიხმარებთ ჩვენ—პირველად ანაფორად გხმარობთ; მერე რომ გაჩირქდება, პირს უბრუნებთ და ისე ვიხმარებთ; სიძველე რომ შეუვა, დავშლით და თაგალად გავიკეთებთ; და კიდევ რომ მოემატება სიძველე, მერე ახალუხად შევიკერავთ; და რა ახალუხადაც არლა ივარგებს, სარტყლად გავიკეთებთ; და სარტყლადცა რომ არლა ივარგებს, კალფაკათაც გავიკეთებთ; და რა კალფაკად არლა ივარგებს, მერე ფოშტლებს საპირეთ გაუკეთებთ; და ფოშტლებათაც რომ არლა ივარგებს, ქისათ შევკერავთო. და ამით ხუთ-ექვს წელიწადს ერთს ტანისამოსს ვიმყოფინებთო. ამასახედვე კაბებსაც ისე მოვიხმარებთ.

ი ოანე: როგორც თქვენი იკონომოსობის ქება გამეგონა, ამით დავამტკიცე, რომ გარდამეტებულიც ბძანებულხართ.

და მერეთ წარმოვიდა შინა. შემდგომად რაოდენისამე დღისა ბერმან განიზრახა მონასტერს სკოლასა შინა განწესება და სწავლა რუსულისა ენისა. სთხოვა მეფის ძეს. და შუამდგომლობითა მეფის ძისათა მიიღო მიტროპოლიტმან სხვათა მოწაფეთა თანა სკოლასა შინა. ხოლო ბერი რაოდენისამე დროისა შემდგომად გამოსცადეს საფილოსოფოსოთა სწავლათა კითხვა-მიგებით. და ყოველსაცე შინა სიტყვა უგო მათ, ვითარცა ზე-

მორე სხვათა თანა ვუბნობთ. უკანასკნელ მცნობმან მიტროპოლიტმან, რომელ ბერი არს სწავლულ თვისსა ენასა ზედა, მიუწოდა თვისთანა და პრქვა: „ბერო, მიკვირს მე ესე, რომელ თქვენშიაც ყოფილა მეცნიერებისა სწავლა, და გაქებენ მოძღვარნი ჩვენნი. წარვედ და გაიმართე რუსულადცა კარგად, რომ მინდა რაიმე სიტყვისგებად შენდა.“

ბერი წარმოვიდა და გულსმოდგინეთ შეუდგა რუსულისა ენისა სწავლასა. მიიღო თითქმის ერთსა წელიწადსა ზედა, რომელსაცა შეეძლო უბნობა.

მიტროპოლიტთან უბრობისათვის

შემდგომად წლისა ნახევარისა მიტროპოლიტმან ამბროსიმ ინება ბერთანა უბნობად, და ბრძანა მიყვანება ბერისა. ბერი მივიღა, ეანბორა მდაბლად მიტროპოლიტსა. მიტროპოლიტმან მოიკითხა, უბძანა დაჯდომა და პრქვა: „ზამთრის ლამეა ახლა და დია გრძელი. მსურის კითხვად შენდა, უკეთუ არა დამზარდები.

ითანე: მზა ვარ, უფალო ჩემო, მიბრძანეთ, რა გნებავსთ; მიტროპოლიტი: „ასე გამიგონია, თქვენი ქვეყნის ეპისკოპოსნი თითონ მუშაობდენ ქვეყანასა, და ბოსტნეულთა მოსავალთა თითონვე ჰყიდდენ. და ამგვარს მდგომარეობასა შინა რასა ისწავლიან მუნებურანი, და: ანუ რასა ასწავებენ ერთა? და მიკვირს, შენ სად გისწავლია ეგვი სწავლანი?

ბერსა ეწყინა ფრიად თვისისა ქვეყნისა კაცთა შეურაცხყოფად და მოახსენა: „ყოვლად სამლენდელოო მეუფეო, ნუ გამიწყრებით მოხსენებასა ამას ზედა: ჩვენც ასე გაგვიგონია. ჩვენს ქვეყანაში, რომ აქაურნი სამლენდელონი კაპალიონებში იშვებდენ და სიუხითა საგვე იქმნებოდენ; და ესე ვითარსა მდგომარეობასა შინა ვითა უსწავლიათ სწავლანი?

მიტროპოლიტმან გაიცინა და პრქვა; „პოხ, ბერო, მაღალს ღრადუსზედ ახედო, და გავს, შენი ქვეყანა გყვარებია, და მითხარ სწორედ მდგომარეობა მათი.

ბერი: ჭეშმარიტს მოგახსენებ, მერწმუნეთ, ჩვენი სამლუდელონი თითქმის საზოგადოდ დიდი ღვთისმოყვარენი არიან და

თვისსა სარწმუნოებაზედ მტკიცენი. მართალია, მონასტრებსა შინა ბერები იქმონენ ხელსაქმართა და იმუშაებენ მცირე მტი-ლებთაცა, და აგრეთვე სოფლელნი მღვდელნი, გარნა ეპისკო-პოსნი არა, და მუშაკთა კაცებთა კი განახალისებენ, და უბო-ძებენ ლვინოსა და საკლავთაცა, რათა კარგად იმუშაკონ ეკ-კლესიათა მამულები. და თუ ფონომიასა გამოსავალთასა მოარ-ჩენენ, გაასყიდვინებენ ეკკლესიისა სახმარობისათვის.

მიტროპოლიტს იამა და ჰრეკე: ბერო, დაგიმადლე, რომ მაც-ნობე ჭეშმარიტი. მე სხვა ქართველებისაგან არ გამიგონია, ვითარცა შენ მითხარ.

ბერი: თუ მამულის ერდგული არ იქნება კაცი, ის არც ჭეშმარიტს იტყვის. და რაღვან მრავალნი ორგულობისათვის მამულისა გამოდევნილ იქმნენ, რასაკვირველია, იგინი კეთილს არა იტყოდენ, არცა სამღვდელოთა, და არცა საეროთათვის.

მიტროპოლიტი: აწ ვცან ჭეშმარიტება, და ნურლა გან-ვაგრძობთ ამაზედ უბნობასა. აწ მითხარ, ძველადგანვე, ვინ იყვნენ მეცნიერნი, ანუ წერილთა მთარგმნელნი, ანუ წმინდა-ნი, და ანუ პიიტიკოსნი, ანუ მოშაირენი, ანუ მგალობელნი, და ანუ აწ ვინდა იპოებიან, ყოველივე წესიერ მაუწყე.

[მოკლედ მოთხრობილია ქართველ წმიდათა ცხოვრებანი*].

მიტროპოლიტმან უბძანა ბერსა; „საკმაო წმინდანი გყო-ლიათ ქართველთა და გმადლობ, რომელ კარგად შემამცენ ცხოვრებასა მათსა. და აწ მიიღე შრომაჲ და ცხად მიყავ ლირსნი კაცნი და მეცნიერნი თვითეულად“.

იოანე: „რაოდენ ძალმიცს, ვჰყოფ მოხსენებას უწმინდესო-ბისადმი თქვენისა.“ და იწყო თხრობად შექმდგომითა ხატითა.

* ზოგი რამ აქვდან გადატანილია ჭინა ნაწილში, რომელშიაც იოანე ანა დედოფლს აცნობს ქართველ წმიდათა ცხოვრებას. ჩედაქ.

დავით მაჟისა აღმაშენებელისათვის

წმინდა და ლირსი მეცე საქართველოშია და აფხაზთა და-
ვით აღმაშენებელი, ბაგრატოანი, ესე სიყრმიდგანვე აღიზარ-
და ლვთის სიყვარულისა სწავლასა, და საღმრთოთა და საფი-
ლოსოფოსოთა სწავლათა შინა. უმთა წინაპართა ამა მეტისათა
მოვიდნენ საქართველოსა შინა აგარიანნი სახლეულითურთ
თვისით, ვიდრე სამასი ათასი მოსახლე კაცნი. და დაიპყრეს
საქართველო, და დაეშენენ სამთა მდინარეთა სანაპიროთა
ზედა — ესე იგი მტკვარსა, ალაზანსა და იორსა ზედა, სახითა-
ამით, რომელ მათ ელისა მთავართა განიყვეს ამ სახით ად-
გილნი ესე: ერთი მთავართაგანი ასიათასისა კომლისა კაცი-
თა დაესახლა მტკვრისა კიდესა ზედა ამიერ და იმიერ, სუ-
რამიდგან ვიდრე განჯამდის; მეორე მთავარი დაესახლა ასი-
ათასისა კაცითა იორის მდინარის კიდესა ზედა თიანეთიდგან
ვიდრე ალაზანისა, შესართავადმდე, რომელიცა ერთვის მახ-
ლობელ სამუხისა. ხოლო მესამე მთავარი დაესახლა ასიათა-
სისა კომლისა კაცითა პანკისიდგან ალაზნის სანაპიროსა ზე-
და, ვიდრე ივრისა შესართავადმდე, მახლობელ სამუხისა. და
დაიპყრეს სახითა ამით ქართლი და კახეთი. და დაუწყეს
დევნა, ტყვეობა და ოხრება ქართლსა და კახეთსა შინა
მცხოვრებთა. და ესრეთ ცალიერ ჰყენეს ადგილნი ესე, რო-
მელ თუ არა მთათა და სიმაგრეთა შინა, არლა იპოებოდენ
მცხოვრებნი ერნი ქართველთანი. ხოლო განგებითა ლვთისა-
თა რა მიიღო ტახტი წინაპართა თვისთა დავითმან და იქმნა

მეფედ აფხაზთა და იმერთა, შემოკრიბნა იღუმალ მხედრობანი აფხაზთა და იმერთა და დანაშთთა ქართველთანი დროსა ზამთრისასა, და გარდახვეტეს მთაც საფიჩხისა, და დაესხნენ იღუმალ სურამსა მდგომთა თათართა, და შეწევნითა ღვთი-სათა აოტნეს და მოსწყვიდნეს მრავალნი და ტუვე ჰყვეს სულ-ნი რაოდენიმე ათასნი, და აღივსნეს ალაფითა მათითა, და უკუნიქცენ მძლეველნი. კვალად რაოდენისამე ხნისა შემ-დგომად უმეტეს განიმრავლნა მხედრობანი დავით, და დაეს-ხა კვალად თათართა, და ასწყვიტნა იგინი. და სახითა ამით სრულიად შემუსრნა მოსახლენი იგი ელნი, და დანაშთნი გა-ნივლტვენ ქვეყანასავე თვისსა. შემდგომად კახეთსა შინა მოსახ-ლენიცა თათარნი შეიყვანნა პირველისაებრ ხევდრსა შინა, და მათთაც დაატევებინა ადგილი ესე, და მერე ოწყო შენობად დაქცეულთა ქალაქთა და დაბნებთა საქართველოსთა, და [შემ-დგომად] რაოდენისამე წლისა მოიყვანნა პირველსავე მდგო-მარეობასა შინა, და აღაშენნა კეთილად. და განაწყო მხედ-რობანი და ყოველთვის მზად ჰყვა როჭირით სამოციათასი მხედარი კაცი. ამან აღაშენა გელათის ეკკლესია. აღილო ტრა-პიზონი და აღაშენა მუნ მონასტერი და ეკკლესია. დაიპყრა აზრუმი და გარემონი მისნი. აღილო ციხე დარუბანდისა და კარნი რკინისანი მოილო მის ციხისანი, და ქმნა კარებად გე-ლათის ეკკლესიისა. და მრავალნი ძლევანი შეიმოსნა თურქთა ზედა ეამსა ტფილისის აღებისასა. აღილო ყაზანი და სძლო ხაზართა. და მრავალთა განსაცდელთაგან პფარვიდა ღმერთი. და ოდეს მოიცალის საქმეფო საქმეთაგან, იყო განკრძალულ ლოცვასა და ვედრებასა შინა ღვთისასა, და იკითხვიდა სალ-მრთოთა წერილთა, და მეტადრე სამოციქულოსა და გრიგო-ლი ღვთის-მეტყველისა წიგნსა.

ხოლო უამსა ერთსა მეფობისა ამისასა იქმნა კრება ადგი-ლობითი სომეხთა და ქართველთა შორის, და იყო მუნ მე-ფეცა. და აქვნდათ სამლევდელოთა სჯულთა ზედა ბაასი ურთიერთსა შორის, გარნა ვერევინ ძალიდვა დაყოფად პი-რისა სომეხთა. და მაშინ მეფემან მიიღო ნება მღვდელთმთა-ვართაგან და უწყო ბაასი სლომეხთა, რომელმანც დაუყო პირი ყოველთა. და სირცხვილეულ უქმნენ და მრავალთა სომეხთა

მიიღეს სარწმუნოება მართლშადიდებელთა. და ესრეთ კეთილად გახვლო ცხოვრება თვისი და შეირაცხა. წმინდათა შორის, ვითარცა უცრცელეს სწერია ცხოვრება და საქმენი მეფისა ამისი საეუთოსა მეტაფრასსა შინა. ამა მეფისასა. და ამისთვის მიიღო ტიტლოვ თომაშენებელობისა ერთაგან საქართველოსთა, ვიხადდგან ამან აღაშენა თათართაგან დაქცეულნი ქვეყნები. და ამასთანავე ღერბსა ამა მეფისასა შესძინეს ცხენი რქოსანი, რომელიც მოიპოა თვით მეფემან, მიმავალმან მარტომ ტფილისიდგან ქუთაისს საშენებელად, ესრეთ, რომელ იხილა მცხეთის იწროთა ადგილთა შინა ცხენი ესე რქოსანი, დაუძახა მეფემან, და მოვიდა მეფისათანა, და შეიძყრა მეფემან. და მაშინ მოვიდნენ მონანიცა მეფისანი, და ბძანა მეფემან შეკაზმა ცხენისა ამასი, და აღუდვა ლაგამი წმინდის გიორგის ცხენისა, რომელიც აწ არს გელათსა. შინა მიზეზითა ამით, რომელ სული არა იყოს-რა ცხენი იგი. გარნა განგებითა ღვთისათა მოეცა ცხენი-იგი, რომელ დღე-ყოველ ვლი-და უშენთა ადგილთა შორის და აგულსშედგინებლა მუშაქთა, რომელ ცხენი იგი ესრეთა იყო მკვირცხლ და მალი, რომელ ერთს დღეს ადრე მივიდის ტფილისიდგან ქუთაისს და მუნიდგან ქართლს, და ქართლიდგან კახეთს, და ეს ცხენი არცა გახდის და არცა მოიღალის. და მაშინ სცნა წმინდამან, რომელ ცხენი ესე მოეცა განგებით, რათა მალიად მოვლიდეს თვისთა ქვეყანათა და განამხნობდეს მუშაქთა. და ესრეთ განვლო ცხოვრება თვისი სიწმინდით და მერე უფლისად მიიცვალა. და აწ ვდღესასწაულობთ იანვრის თვის ოცდაექვესა.

იოანე კათოლიკოზისა, ზედ- აღდებით ღმრთობისად

იოანე კათოლიკიზი, ქართველი, იყო ძველთა პრისტოტელისა და სხვათა ფილოსოფოსთა სწავლათა შინა გამოცდილი მოძღვარი, კეთილ-მასწავლებელი, და მშვენიერ მსიტყველი რომლისა გამო მიიღო მეფისა და ერთაგან ზედწოდება ოქროპირად.

არსენ კათოლიკოზისათვის

მამა არსენი კათოლიკოზი, ქართველი. ესე იყო ფილოსოფოს ღვთის-მეტყველი და მოქადაგე. ამან შეაწყო საგალობელნი რომელთამე ქართველთ წმინდათა და განმართა ხმასა ზე-და ქართულსა. და ეგრეთვე იყო მწერლობაშიც გამოცდილი, მაღალსა ფრასსა ზედა შემთხველი.

ნიკოლაოზ კათოლიკოზისათვის

ლირსი ნიკოლაოზ კათოლიკოზი, ქართველი, მეცნიერი, სწავლასა და საღმრთოთა წერილთა შინა გამოცდილი. ამან მოილოცა იერუსალიმი და დაესწრაცა კრებასა შინა და სიბრძნითა თვისითა ამხილა მწვალებელთა. და მერე კვალად მოწოდებითა მოეიდა საყდარსა ზედა თვისისა. და მრავალნი სწავლანი შესძინა, და კეთილად განვლო ცხოვრებად თვისი.

იოანე კათოლიკოზისათვის

მამა იოანე შეორე, აღზრდილი მონასტერსა შინა წმინდისა შიო მლევიმელისასა, საფილოსოფოსა და საღრმოთოთა წერილთა შინა გამოცდილი, აგრეთვე მონოზონებისა წესთა აღმასრულებელი, და მარტოებით ცხოვრებისა მოყვარე, იძულებით დადგინებულ იქმნა მწყემსმთავრად კათოლიკოზობისა ხარისხითა. ამან განამრავლნა სწავლანი და კეთილად მწყესიდა სამწყსოთა თვისთა, რომელთაც ქართველნი მეორე ვასილად ხმობდენ. და ესრეთ სიწმინდით განვლო ცხოვრებად თვისი.

გეორგ არსენ კათოლიკოზისათვის,

ჩოგალი იური გულამისევი

ესე ნეტარი არსენ კათოლიკოზი ბულამის-ე, ქართველი, იყო მონოზონებით სრული და ღვთისმეტყველ-ფილოსოფოსი. ამან შეაწყო მეტაფრასნი შაირად შვენიერსა ენასა ზედა,

და სხვანიცა სწავლანი, და პირი მღვთისა, ანუ ღვთაების ხატის საგალობელნი, მშვენიერ ენასა ზედა რიტორულებ დათხულნი, რომელიც წარევლინა გელათით ვარდანის აბუსარის მთავარსა, და მშვენიერ თხზულებითა ათნო მას. და სხვანიც მრავალნი სწავლანი მოფინა ამერ-იმერთა მიმართ.

მეორე ნიკოლაოზ კათოლიკოზისათვის

ნიკოლაოზ მამათმთავარი, კათოლიკოზი, ქართველი. ესე იყო სწავლათა შინა გამოცდილი, გალობათა შინა სრული და მშვენიერი შესტიხე, რომელმანც შეაწყო. სხვადასხვა გალობანი სტიხებისა გვართა ზედა, და კეთილად დამწყსო სამწყსოდ თვისი. და ესრეთ მშვიდობით განვილო ცხოვრებად თვისი.

მესამე ნიკოლაოზ კათოლიკოზისა, ლეონ მეფისა ძაღლათონ ანისათვის

ესე ნიკოლაოზ კათოლიკოზი, მეფის ლეონის ძმა, ბაგრატოანი. მონოზონებით სრული და წმინდა ლირსი კაცი. სწავლათა შინა გამოცდილი და ღვთისმეტყველებასა შინაცა მიწვნილი, რომელიც ძნელთა სწავლათა და კითხვათა მისდამი აღვილად და ნათლად იყო განმმარტებელი. ამან კეთილად დამწყსო ეკქლესია თვისი, და უკანასკნელ უფლისად მშვიდობით დაიძინა.

თვის ბესარიონ კათოლიკოზისა, მეფის ლეონის ძაღლათონ ანისა, ბაგრატოანისა

ლირსი მწყემსმთავარი, მეფის ლეონის ძე, კათოლიკოზი ბესარიონ ბაგრატოანი, იყო მონოზონებითა სრული და მოღვაწე ეკქლესიებთა, სიბრძნის მოყვარებასა შინა სრული, და მჭადაგებელი მსგავსად პავლე მოციქულისა. ამან შეთხენა ქართველთ წმინდათა ცხოვრება და ისტორია. ამან დაწერა ლათითა სარწმუნოებისა პირის-დასაყოფელი წიგნი, «გურდებლად» წოდებული. და კეთილისა ცხოვრებითა დაიძინა უფლისად.

მავის ნაიბის ლეონისა და დომენტი კათოლიკოზისათვის

მამა დომენტი კათოლიკოზი, მეფის ნაიბისა ლეონის ძე, ბაგრატიანი, და ქმა ვახტანგ მეფისა. ესე იყო მონოზონებით სრული, მეცნიერი და სალრმთოთა წერილთა შინა გამოცდილი, ამასთან მყუდრო, მშეიდი და მდაბალი, და ფრიად მლოცვავი, პოლეტიკასა შინაცა კარგი ესრეთ, რომელ მტერნიცა მისნი ჰყვარობდენ. და მრავალგზის დაშვრა ესე ქართველთათვის ყაენთან თუ ხონთქართან გაგზავნით. და ესრეთ კეთილად დაასრულა ცხოვრება თვისი.

არსენი ნინოზმიდელისათვის

ესე მამა არსენი, ეპისკოპოსი ნინოშვინელისა, იყო ქართველი, ფილოსოფოსი და ღვთისმეტყველი, წმინდათა წერილთა კეთილად მთარგმნელი, და ძნელთა და ლრმათა წერილებთა ადვილად აღმხსნელი, მონოზონებით სრული და მობაძავი ანგელოსთა. ამან კეთილად დამწყსო გვკლესია თვისი და ესრეთ დაიძინა.

იოანე ბოლელისათვის

ესე ღირსი მამა იოანე ბოლნელი იყო გამოცდილი საფილოსოფოსთა სწავლათა შინა, და აღძრცვილი ღვთისმეტყველი, და წერილთა მაღალთა ენათა ზედა დამთხველი. ამან მრავალი სწავლანი გამოსცა და მრავალნიცა განანათლნა მოძღვრებითა თვისითა. და კეთილისა მონოზონებითა განვლო ცხოვრება თვისი.

ანტონი ჭავლიდელისათვის გარესჯელისა

ესე ანტონი ჭუოინდელი, მიტროპოლიტი ოდიშთა და ლეჩხუმთა, იყო ფილოსოფოს-ღვთისმეტყველი, და სალრმთოთა წერილთა შინა გამოცდილი, მქადაგებელი, მსგავსი ძველთა

მეცნიერთა, პაექტობასა შინა გამოცდილი, რომელ უამსა მეფობისა ბაგრატისასა აქვნდა ბასი ლათინთა პატრთაღმი, რომელმანცა დაუყო პირი. და კეთილად დამწყსო სამწყსოე თვისი, და შესძინა მონასტერთა მრავალი, და შეეწია ბრძოლათა ზედა სპარსთასა მეფეთა ჩვენთა და ძლევა შეიმოსა მუნ. და მერე დაუტევა მართებელობა საყდრისა თვისისა და მოლვაწებით განვლო ცხოვრება თვისი.

ი ა კ რ ა ზ ე მ რ ა დ ე ლ ი ს ა გ უ რ ი ვ ლ ი ს ა თ ვ ი ს

მამა იაკობ შემოქმედელი, გურიელი. ე'ე იყო ფილოსოფოსი და კეთილი მოშაირე, ლრმად მწერალი, და ძნელთა ადვილად ამხსნელი.. და მწყსიღა სამწყსოსა თვისსა კეთილად. და მერე-წარვიდა იერუსალიმად. და მუნიდამაც წარმოსცნა წერილი, და გარდიცვალა მუნ და დაეფლა ქართველთა მონასტერსა შინა.

ი რ ს ე ბ ტ ფ ი ლ ე ლ ი ს ა ს ა კ ა ძ ი ს ა თ ვ ი ს

იოსებ, ტფილელი არხიერი, სააკას-ძე. ესე იყო საფილო-სოფოსთა და წერილთა შინა გამოცდილი, საყვარელი მეფეთა და ერთაგან. ამან შეთხხნა სხვადასხვა პიიტიკანი ანუ შაირნი, სასმენელად საამონი. და ესრეთ განვლო ცხოვრებაჲ თვისი კეთილად.

ნ ი კ რ ლ ა რ ა ზ ე რ ა დ ე ლ ი ს ა რ უ ს თ ჯ ვ ე ლ ი ს ა თ ვ ი ს

მამა ნიკოლაოზ ჩერქეზისშვილი, რუსთაველ ეპისკოპოსი, კაცი სწავლული საფილოსოფოსთა ხელოვნებასა შინა და საღმრთოთა წერილთა, მქადაგებელი ყოველს გვარზედა და მაღალ მოუბარი. ამან შეთხხნა სხვადასხვა აკოლოთიანი მშვენიერ ენასა ზედა, რომელსა აქვნდა წერათა შინა კარგი სისტემა. და მერეთ უფლისად. დაიძინა.

ნიკოლაოზ რუბელიანისა, მარტივ გიტროკოლიტისათვის

მამა და მშეყმენმთავარი ნიკოლაოზ ორბელიანი, საფილო-სოფოსთა ხელოვნებათა შინა მიწევნილი და საღმრთოთა წე-რილთა შინა გამოცდილი. ამან მრავალნი იამბიკონი შეაწყო ქართველთა წმინდათათვის და სხვანიცა კიდურწერილნი, ფრიად მშვენიერნი, რომელნიცა აწცა ფრიად საქებ არიან. და კეთილადცა დაშწყსო სამწყსონი თვისნი და მერე უფლი-სად დაიძინა.

მამისა იოანე მანგლელი მანგლელისათვის

წმინდა იოანე მანგლელი, სამღვდელოთა წერილთა შინა გამოცდილი და აღმრცვილი ღვთისმეტყველი. ესე წმინდანთა შინა არს შერაცხილ, რომელმანცა იღვაწა მსგავსად ძველთა ღირსთა მამათა, და კურნებასაც ჰყოფდა. და ესრეთ სიწმინ-დით შევედრა სული თვისი ხელთა შინა ღვთისათა. და აწ საფლავი მისი არს სიონის ეკკლესიასა შინა წინაშე ღვთის-მშობლის ხატისა, და ჰყოფს აწცა სასწაულთა.

მამისა ილარიონ კახისათვის

ესე იყო ღვთისმეტყველ-ფილოსოფოსი და საქართველოსა შინა პირველი მთარგმნელი ელინურისა ენისაგან ქართულად, რომელ პირველ ამისა ჯერეთ არვის ეთარგმნა საღმრთო წე-რილნი. და ამან მრავალი შრომა მიიღო და მრავალნი კე-თილნი თესლნი დათესა ქართველთა შორის, და მერე უამსა მოხუცებულებისასა სული თვისი შევედრა ხელთა ანგელო-თასა თესალონიკეს.

თვის მამისა იოანე ათონელისა, მამისა ევთვიმისა

ღირსი მამა ესე იყო ზედმიწევნილი საფილოსოფოსთა სწავ-ლათა შინა, გამოცდილი და დიჭყლი ღვთისმეტყველი, მუსიკათა

შინა მეცნიერი და მშვენიერი მუსიკოსი. ამან სთარგმნა მრავალნი საღმრთო წერილნი, და განამრავლნა მეცნიერება ქართველთა შორის, და კეთილად თხზვიდა პიიტიკათა, და მერე სიწმინდით ათონის მთასა შინა სული თვისი შევედრა უფალსა.

მამისა თორნიკე ათონელისათვის

ლირი მამა თორნიკიოს იყო ძირით ქართველი, და მსახურა ბერძნენთა კეისარისა, და განითქვა სიმხნე ამისი საბერძნეთსა შინა, და უკანასკნელ იქმნა თავისუფალ მსახურებისაგან. რომელმანცა მრავალნი ძლევანი შეიმოსნა თურქთა ზედა. და მერე მივიღა მთასა ათონისასა და იქმნა მონოზონ, და აღწერნა სულიერნი წერილნი, და დიდითა ლვაწლითა და შრომითა განვლო ცხოვრება თვისი.

ეპთვია ათონელისათვის

ლირი მამა ევთვიმე ათონელი იქმნა მღვდელ-მონაზონ, და მერე დაიდგინა ათანასი ათონელისაგან მონასტრისა ძმათა წინამდლვრად. და ესე ევთვიმე იყო ფრიად სიბრძნის-მოყვარე და დიდი ღვთისმეტყველი, ელინურთა ერთა მეცნიერი, რომელმანც მრავალნი საღმრთო წერილნი გარდმოილო ქართულსა ენასა ზედა და განვეიმრავლნა წერილნი, და მერე უფლისად მიცვალა.

მამისა იოანე ჩახულელისათვის

ესე ლირი მამა იოანე ხახულ[ელი] იყო იმერეთით, დიდი ღვთისმეტყველ-ფილოსოფოსი და მშვენიერ ფრასზედან მწერალი და მქადაგებელი, რომელმან განანათლნა აფხაზ-გურიელნი, ოდიშ-ლეჩებუმელნი და სვანი, იმერნი, ქართველნი და კახნი სიბრძნითა თვისითა და მრავალნი კეთილნი სწავლანი. გამოსცა, რომელსა ქართველნი უწოდდენ თაფლის გოლად მშვენიერ უბნობისათვის მისისა, და ესრეთვე მესხნიცა განანათლა. და მერე სიწმინდით და მყუდროებით განვლო ცხოვრება თვისი.

ღ Ա Ր Ս Ո Ս Տ Ա Թ Ա Ց Ո Ւ Տ Ա Շ Ա Ժ Ա Խ Ո Ւ Տ Ա Թ Ո Ւ Լ Ը Ա Ժ Ա Ց Ո Ւ Տ Ա Վ Ո Ս Ե Ա Ժ Յ Ո Ւ Տ Ա

մամա ზայտակ, եյ մործաբ հինգեցուլոս, ոյո լզուսմեթպալ-
ցոլոսուցունո დա դուռ հունորո, ծերանցուլու յնատա նեղ-
մովեցնուլո დա յարտուլուսպա, հոմելման ստարցմնա մրացալնո
վերուլնո, դա տցուտպա դատենա սեզադասեզա սիշացլանո,
հո-
մելսա յարտուլունո սաելուցեծց յարտուլունո մնեց մելոնուրո-
ծուս ցամո տցուսուս. դա յսրետ յետուած ցանցու վելնո տցուսնո.

ღ Ա Ր Ս Ո Ս Տ Ա Թ Ա Ց Ո Ւ Տ Ա Շ Ի Ռ Ո Ւ Տ Ա, Ա Ե Ա Հ Ա Ց Կ Ա Ց Ա Դ Վ Ո Ւ Լ Ե Ա Ց Յ Ո Ւ Տ Ա Վ Ո Ս Ե Ա Ժ Յ Ո Ւ Տ Ա

լուրսո մամա ցրոցորո, աեալ ածրամած վուգեծուլո, ոյո յար-
տուլո, սոծրանու-մուցարեծասա Շինա դա լզուսմեթպալ-ցուլուսա-
ցամուցուլո. աման սոյըմուցանց տցուսուտ մուցո սովոնց դա
ոյմնա մոնուն, դա Շեյշրունա մրացալնո մովիցունո, հոմել-
մամա ածրամած սաելուցը. դա ցանանտունա յրնո սիշացլուտ
տցուսուտ. դա յսրետ սովոնցուտ ցանցու վելուրեծ տցուսու.

Յ Ո Ց Ո Ս Թ Ա Ց Ո Ս Տ Ա Ց Ո Ւ Տ Ա Ց Ո Ւ Տ Ա Վ Ո Ս Ե Ա Ժ Յ Ո Ւ Տ Ա

մամա լուրսո ցուրցո ատոնցուլո ոյո եցալուտուա դա սայմուտ-
տա եցլոցներատա Շինա սրուլո, դուռ լզուսմեթպալո դա
ջուլմաթոյուսո, մմացնուրո հունորո, սայքյուսուուտ վերուլուտա
յետուլած Շեմիչունո, դա մոյածաց յարցո, դա ձուուցուսո,
մոլցաթիցուտա սրուլո, ոծուլուտա դա յերուցու ցամունիրուցուլո,
հոմելման յամսա սոյմուլուսասա մրացալնո սուլնո ցամունիարունա դա
ցազրումուլուտա Շեյշու. դա յսրետ ցանցու վելուրեծ տցուսու.

Թ Ա Ց Ո Ս Տ Ա Ո Լ Ա Կ Ո Ռ Ե Տ Վ Ա Լ Ե Ա Ց Ո Ս Ե Ա Ժ Յ Ո Ւ Տ Ա

մամա օլարուն տյալուլո, մոժլցարո ցուրցո ատոնցուլոս,
սոծրանու-մուցարեծասա Շինա սրուլո, սատնուցուսա սարյո դա
մմարեցուլուտա յանոն. աման մրացալնո մովիցունո ցանսիշացլնո,
դա ցամուլո նայուցու յետուլնո դա սովոնցուտա ցանցու-
վելուրեծ տցուսու.

მამისა პრეზიდენტის

ესე მამა ლირსი არსენი იყო ქართველი. ისწავლა ბერძული ენა და იქმნა ფილოსოფოს და თარგმნა ღვთისმეტყველება და სხვანი წერილი, რომელ თვით ბერძენთა მეცნიერნი დიდ-სა რიტორსა უწოდებდენ და აქებდენ სიწმინდითა და მონ-ზონებითაცა. და ამან, რაც აქვნდა ქართველთა ეკკლესი-ებთა ნაკლულავანება, შეამკო ყოვლითურთ და გამართნა, და მერე უფლისად დაიძინა.

ანთონი გენერალისა თვის

მამა ანტონი მნათი, ქართველი, ღვთისმეტყველ-ფილოსო-ფოსი და მთარგმნელი წერილთა. უბნობასა შინა მჭევრმეტქვი, და მშვენიერი მთხველი, და მქადაგებელი, რომელიცა იწო-დებოდა დიდ მეცნიერად. ამან კეთილად განვლო ცხოვრება თვისი და მრავალ ნი ნაყოფი სწავლისანი გამოილო, და მერე უფლისად მიიცვალა.

ბასილი ბაზრატოანისა თვის

ლირსი მამა ბასილი ბაგრატიონი იყო საფილოსოფოსთა და ღვთისმეტყველებასა შინა ზედმიწევნილი, მთარგმნელი სხვათა ენათაგან ფრიად კეთილი, და რიტორ-მომთხრობელი, და მაღალ ფრასასა ზედან დამთხველი, მონოზონებითა სრუ-ლი, და განმანათლებელი ეკკლესიებთა. რომელსა უწოდეს ქართველთა ეკკლესიათა სამკაულად.

მამისა გიორგისა თვის

მამა გიორგი ქართველი იყო პირველი ლრამატიკოს-რი-ტორი და აზნაურებითა ხელოვნებითა სრული, რომელმანც მრავალი წერილი განუმრავლა ქართველთა და სრულისა მონოზონებითა დაასრულა ცხოვრება თვისი.

თვის ღირსისა გამისა გიორგი ჟეზენებულისა გთისა საკვირველისა

ლირსი მამა გიორგი იყო ქართველი. ამან სიყრმითგან თვისით დაიცვა სიწმინდე თვისი და იქწავა აზნაურებითი ხელოვნება, და იქმნა ფილოსოფოს და საღმრთოთა წერილთა შინა გამოცდილი. უკანასკნელ იქმნა მონოზონ, და წარვიდა, და დაეყუდა სვიმონდიდისა მთისა საკვირველისა შორის, და სცხოვრებდა მუნ მყუდროებით, და მსოფლიურთა შესაწირავთა და პატივთა არა-რადს მიიღებდის, და იყო დუმილით და საღმრთოთა მოქალაქობით ცხოვრება მისი. და ესრეთ მშვიდობით უფლისად მიიძინა. და ამის წერილებთაგან განათლდენ მრავალნი.

თვის გამისა ილანი, პატრიკ უოფილისა

ესე იოანე პატრიკი იყო ქართველთა ღიდებულთაგანი, ამან იქწავა ღვთისმეტყველ-ფილოსოფია და ენა ელინთა და სხვათა. და იყო კარგი მხედარი და საქმიანი სხვათა დიდებულთა შორის. უკანასკნელ დაუტევა ღიდება თვისი და იქმნა მონოზონ. და მრავალნი წერილი გარდმოიღო ქართულთა ენათა ზედა. და შეამკო ეკვლესიანი და განაშენა. რომელსა სახელსდვეს ქართველთა გვირგვინად ეკვლესიებთა. და მერე მარტო[ო]ბით მიეცა ცხოვრებასა. და ესრეთ კეთილად დაასრულნა წელნი თვისნი.

თვის გამისა გიორგი ღლთისელისა

გიორგი მამა ოლთისელი იქმნა მონოზონ და იღვაწა მრავალი, და იყო ფრიად მეცნიერ, და კეთილისა მონოზონებითა განვლო ცხოვრება თვისი.

გამისა სტეფანესათვის

ლირსი მამა სტეფანე იყო ქართველი, საღმრთოთა წერილთა და საფილოსოფოსთა შინა ზელმიწევნილი. ამან მრავალნი წერილი სთარგმნა ქართულსა ენასა ზედა და განანათლნა

ერნი, და აღზარდნა მოწაფენი კეთილად, რომელსა ქართველთა უწოდეს ნათელ-მთოველად. და კეთილისა ცხოვრებითა განვლო დღენი თვისნი.

თვის გამისა იოანე ფილოსოფისა და ზედწოდებით პეტრი ჭავჭავაძე რიცხვისა, პირველი გვ. 1

იოანე ჭიმჭიმელი, ფილოსოფოსი და ზედწოდებით პეტრი ჭი. ესე იყო გურიით ერთობასა შინა მეფობისასა. და მეფეთა გან გაიგზავნა ათინას და მუნ მიიღო აზნაურობითი და ბუნებითი ხელოვნება, ისწავა მათემათიკა, ასტრონომია და ასტროლოგია. და ოდეს დაასრულა სწავლანი, მაშინ მიიყვანეს მოძღვართა მისთა და უჩვენეს ციხისა კედელთა ზედა დაწერილნი ძველთა ფილოსოფოსთაგან თქმულნი ჰაზრები, რომელმანცა უკეთეს განმარტნა თვისთა მოძღვართა ზედა და უკეთეს ხათლად აღმოაჩინნა. და ამის მიზეზისათვის სახელდვეს პეტრი ჭადა (რომელ არს ქვის მფხეკელი), და მერე დასვეს სკამსა ზედა, შეუსხდენ მხრითა მოძღვარნი თვისნი და ესრეთ გარე მოვლეს ადგილი იგი. ესე იოანე იყო გონება-მაღალი და დიდი ღვთისმეტყველ-ფილოსოფოსი, ზედმიწევნილი ბერძულსა და ქართულსა ენასა ზედა, რომელმანცა თარგმნა სახარებისა თარგმანი, ლუკასი და მარკოზისა თავნი, კლემაქსი, კავშირი ღვთისმეტყველებითი, და სხვანი მრავალნი საღმრთო წერილნი, დიონოსის არიოპაგელის ღვთისმეტყველება. ამან შეაწყო ბერძენთ გვარზედ იამბიკო ქართულად და იმეცადინავა შემოქლებად ქართულისა ენისა მსგავსად ელინურისა ენისა. და მრავალნი კეთილნი სწავლანი დათესა ერთა შორის. და მრავალნი წმინდათა ცხოვრება გარდმოიღო. და კეთილისა ცხოვრებითა განვლო წელნი თვისნი.

თვის გამისა ეპრეზ გცირისა

ეფრემ იყო ძირით ქართველი, ფილოსოფოსი, რიტორი შშვენიერი და ღიალიკტიკოსი, ღიდი სილოგიზმოსი და აქსიომითა დამამტკიცებელი ძნელთა ჰაზრებთა, წერილთა უცხოთა ენათაგან მთარგმნელი და ღვთისმეტყველებაში გამოცდი-

ლი, უცხო პიიტიკოსი. ამან აღწერა ცხოვრება წმინდის ნინო-
სი და ქართველთა კერძომსახურებისაგან შოქცევა. ამან აღზარ-
და სწავლასა შინა ქართულისა ენისასა იოანე ფილოსოფოსი
და ასწავაც ბერძული, რომელიცა წარიგზავნა მეფეთაგან
ათინას ცვალად სწავლისათვის იოანე. ამა ეფრემმან უქადაგა
აფხაზთა და მოქცევისა მათისა იღწერა ისტორია. და ამან
ასწავა თავისუფლებისათვის არხიეპისკოპოსთა, რომელ ქართ-
ველნი არა უტევებდნენ თავისუფლად არხიეპისკოპოსთა. ამან
გარდმოილო ქადაგება დიდის თეოდორიტესი. ამან ქმნა წე-
რილი, ავტოკეფალოს წოდებული (რომელ არს თავისუფლება)
ეპისკოპოსთა, რომელ ესეგვარნი პატრიარხისა სამართალსა
შინა არა მივიღოდნენ, არამედ თვით აქვნდათ სასამართლო.
და სთარგმნა ფილოსოფია და სხვანიცა წერილნი. ამან გარდ-
მოილო ეთიმონი, რომელ არს დიდმარხვის სამწუხრო მსახუ-
რება ეკვლესიისა. და აგრეთვე განსწავლნა მრავალნი მოწაფე-
ნი. და ესრეთ სიწმინდით და მოღვაწებით განველო მონოზო-
ნება თვისი.

მამისა თაო ფილესათვის

ესე მამა თეოფილე იყო ქართველი და თანამედროვე ძელ-
თა მამათა ქართველთა: არსენისა, ეფრემისა და იოანე ფილო-
სოფოსისა. სიბრძნის-მოყვარებასა შინა სრული და ღვთისმეტ-
ყველი, საღმრთოთა წერილთა შინა გამოცდილი და მთარგ-
მელი ბერძულისაგან ქართულთა ზედა. რომელ ესეცა დაშვრა
ზემოხსენებულთა მთარგმნელთა თანა.

ღირსისა მამისა არსენი იშალთო ფილესათვის კახისა

შემა არსენი იყალთოელი იყო ღვთისმეტყველ-ფილოსოფო-
სი, და ფიზიკოსი, და ანატომიკოსი, ალილორიულთა შეთხვა-
თა შინა ქებული, საღმრთოთა საგალობელთა კეთილად დამთხ-
ხველი, უცხო და მაღალი მესტიე და საეკლესიოთა ტიბიქონ-
თა მეცნიერი. ამან შეთხზა ერთბუნებიანთა წვალებისა პი-
რის-დასაყოფელი წერილი, რომელ ვერარადსამე ღონითა ძალ-

ედევს სომეხთა პასუხისგებად. ამან ქმნა დასდებელნი რომელ-ნიმე ქართველთ წმინდათანი, და მრავალნი მოიყვანნა სწავ-ლასა შინა. და უკანასკნელ წარვიდა მღვიმეს, მონასტერსა ში-ნა წმინდისა შიოსასა, და მუნ სიწმინდით დაასრულა ცხოვ-რება თვისი.

თ ვის მ ა მ ი ს ა ძ რ ი ს ტ ე დ უ ლ ე, ო ს ა დ წ ი დ ე ბ უ ლ ი კ ა

მამა ქრისტედულე მონოზონი, ესე იყო კეთილშობილთა ძირ-თაგან აღმოსრული, ქართველი და არაბულთა და სპარსულთა წერილთა შინა გამოცდილი, რომელმანცა ჰედმიწევნით უწყო-დ, ენად მათი, და ესწავა ყურანიცა. ესე იყო ფილოსოფოსი და საღმრთოთა წერილთა შინა გამოცდილი. დროსა ამისასა, ოდეს მოვიდა მხედრობითა იამაზან სპარსთა ხელმწიფე, უომრად შეურიგდენ ქართველნი, და შემოვიდა ტფილისა შინა, ქარ-თველთა მოექცა კეთილად და მრავალთა მიანიჭა საბოძვარ-ნი. ოდეს ამა ხელმწიფის წინაშე შეკრებილ იყვნეს ქართველ-ნი, იხილა იამამან მათ შორის ბერი ესე დაბებკულითა მოსი-ლი და მიუწოდა თვისთანა და ბრძანა ახლისა ტანისამოსისა ბოძება, რომელსა სპარსნი ხალათსა უწოდებენ. და რა მოი-ღეს ბერისა მისღამი, არა მიიღო ბერმან. ჰეონებდა იამამან, რომელ ვინახდგან მონოზონი არს, უკეთუ ძალად არა შთავა-ცვათ ხალათი ესე, იმკაცრის ბერი ესე ქართველთაგან. და მაშინ უბძნა მსახურთა მათ, რათა განხადონ ბერსა მას საბე-რო სამოსელი და შთააცონ ხალათი იგი. ოდეს წიახურთა ხელპყვეს განძარცვად მისა, მაშინ ბერმან ლალადყო სპასრუ-ლად და სთქვა: „ხელმწიფეო, ყურანსა შინა სწერია: «არა არს იძულება სჯულსა შინა». მაშინ ბძანა იამამან დატბვება ბერისა, და მიუწოდა თვისთანა და გულსმოდგინედ დაუწყო კითხვად სჯულისათვის. და ამა კითხვათა შინა აქვნდათ სხეა-დასხვა უბნობად, ვითარცა ერთისა ღმრთისა, ეგრეთვე გან-გებულებისაცა, და წერათათვის კაცთა, რომელნიცა „აჯალს“ უწოდებენ თათარნი. ხოლო ბერმან ამან ყოველივე დაარღვია და ყურანთაგან თვისთა დაუყო პირი, ვითარცა უვრცელესად სწერია ამა ბერისა საკუთარსა წიგნსა შინა. და მერე მოუწო-

და იამამან მოლასა თვისისა, „თვისთა ენათა ზედა მეცნიერსა. და აქვნდათ ბაასი ურთიერთას. და მასკა სძლივა ბერმან, რომელმანკა მოახსენა იამამანს, რომელ ბერისა ამის ეშმაკი მამალი არისო და ამის განმტყუვნება შეუძლებელი არისო. ბერმან უგო პასუხად: „მამა შენი ეშმაკი დედალი იქმნებისო“. ამაზედ მრავალი იცინა იამამან. და განგრძელდა უბნობა, ვიდრე სადილობამდის მათისა. და შემდგომ უბდანა იამამან ხელმწიფე ბერსა: „მცირედ მაკლს, რომელ ქრისტიანუ არა მყაო“, და სთხოვა რაოდენისამე ოქროსა მიღება, და უბდანა: „აწყურის ხმევისა დრო არს და დაშთეს კვალად უბნობა სხვა დროდათვისო“. და ბერი წარმოვიდას მმაღლობელი ღვთისა. და ამან სიწმინდით განვლო ცხოვრება თვისი და მერე მშვიდობით დაიძინა;

თ ვ ი ს . შ ა მ ი ს ა ი ღ ა ნ ე ტ ა ი ჭ ი ს , ძ ი ს ა

იოანე ტაიჭის ძე იყო ქართველთა აზნაურთაგანი. ამან სიყრმესავე შინა ისწავა ფილოსოფია და ღვთისმეტყველება და ენა ბერძენთა, რომელმანც მრავალნი საღმრთო წერილნი გარდმოიღო ქართულსა ენასა ზედა. იყო ფრიად რიტორი, და ეკკლესიათა შემამკობელი, უცხო პიიტიკოსი და მოშაირე, რომელმანც მრავალნი ქართველნი განსწავლნა სიბრძნის-მოყვარებასა შინა. და ესრეთ კეთილად განვლო წელნი თვისნი.

თ ვ ი ს . მ ა მ ი ს ა ს ა ბ ა * ს ვ ი ნ გ ე ლ ი ს ა

მამა საბა * სვინგელისი იყო კაცი მეცნიერი ყოველსა სწავლასა შინა. ამან ქმნა საგალობელი ანტონის მარტყოფელისა მოღებულის ხელითა-უქმნელისა ღვთაების ხატისა; მშვენიერ და მაღალსა ფრასსა ზედა შეოხტული. იყო უცხო მწერალი და სტიხოს-გამომთქმელი. ამან მრავალნი სწავლანი განფინა ქართლსა, კახეთსა, მესხეთსა, იმერთა, ოდიშართა, და აფხაზეთსა შინა, და გურიასა, რომელსა სახელსდვეს ქართველთა „ქართველთ დიდებად“. და ესრეთ კეთილისა მოძღვრებითა გარდავლო ცხოვრება თვისი.

* დედანში რაღაც გაუგებრობით მიმატებულია „გარდანის“.

თვის მაგისა ინგეპი მლისა

მამა იეზეკიელ იყო ქართველი, დიდი ღვთისმეტყველ-ფილო-სოფოსი და რიტორი კეთილი, წერილთა მაღალ ფრასზედ დამთხველი, და სტიქთა და შაირთა და იამბიკოთა მშვენიერ გამომოქმედი. რომელსა ცოძლვრებით შეუსწორებდენ იოანე ფილოსოფოსსა სწავლასა და სხვათა ხელოვნებათა შინა. ამან მრავალნი მოწაფენი განსწავლნა და კეთილისა ცხოვრებითა გარდავლნო წელნი თვისინი.

მაგისა პეტრეს თვის

მამა პეტრე იყო ქართველი, ფილოსოფიასა შინა ზედმიწევ-ნილი და ოლძრუკილი ღვთისმეტყველებასა შინა. ამან მრავალ-ნი პიიტიკანი შეთხნა საღმრთონი რიტორულისა მშვენიერ უბნობითა. ამასა შეამსგავსებდენ სწავლითა არსენის, ეფრემს და სხვათა ფილოსოფოსთა. ხოლო ქართველნი უწოდებდენ პეტრეს საკვირველად. ამან განვლო ცხოვრება თვისი კეთი-ლად. და ესრეთ დაასრულა წელიწადნი თვისი.

თვის მაგისა იოანე შავთლისა

მამა იოანე იყო ადგილით შავთელი საქართველოხსა, კა-ცი კეთილშობილი და მწერალი თამარ მეფისა. ესე იყო ფი-ლოსოფოს-ღვთისმეტყველი. ამან შეთხნა შაირნი წერილნი, „დილარიანად“ წოდებული ისტორია, და თამარ მეფისა შეს-ხმანიცა იამბიკოდ. რომელსა შოთა, მესტიე დიდი ქართველ-თა შორის, უმჯობესად რაცხდა თვის ზედა ამა შავთელის მიერ ნათქვამთა შაირთა, და აქებს თვისსა ქმნილსა ისტო-რიისა შინა „ვეფხისტყაოსნად წოდებულსა“. გარნა ქართველთა დაუკარგავთ ამ შავთელისა მიერ თქმულნი წერილნი და არ-ღასაღა სჩანან. ხოლო უკანასკნელ ეს იოანე შავთელი იქმნა მონოზონ და კეთილისა ღვაწლითა დაასრულა ცხოვრება თვისი.

თვის გამისა ვასილი ათონელისა, ბი- ძისა მარვილი კათოლიკოზისა

მამა ვასილი ათონელი იყო ქართველთა თავადთაგან. ამან სიყრმიდგანვე თვისით შეიყვარა ღმერთი და დაუტევა სოფე-
ლი და იქმნა მონოზონ. წარვიდა მთასა ათონისასა მონასტერ-
სა შინა ქართველთასა და მიიღო მუნ სწავლა სამეცნიერო
და საღმრთოო წერილთა. ისწავა ბერძული და იყო ფრიად
მეცნიერ და მოყვარე წერილთა. ხოლო უკანასკნელ სცხოვ-
რებდა განშორვებით დიდსა ლვაწლსა და მარხულობასა შინა.
მეფეთაგან აქვნდა და ერთაგან დიდი პატივი. და უკეთუ იხი-
ლის რამე ნაკლულევანობა მეფეთა შორის, იყო მამხილე-
ბელ და განმმართველ უწესოებათა მათთა. და ამანაც სთარგ-
მნა რაოდენიმე წერილი და ესრეთ დაასრულა ცხოვრება
თვისი.

გამისა პიმენ საღოცისათვის

მამა პიმენ სალოსი იყო კახი, კეთილშობილთაგანი. ესე წარ-
ვიდა მონასტერსა დავით გარესჯისასა, მიიღო სიბრძნე ხედ-
ვითი და ლვთისმეტყველებითი და იქმნა ქრისტესთვის სალოს.
ესე იყო ფრიად მამხილებელ უსამართლოებასა და უწესოებასა
ზედა მეფეთა და მთაგართასა არა თუ სიტყვით, არამედ წერი-
ლებითაცა. ამან იღვაწა რაოდენიმე წელი უდაბნოსა მას შინა,
და მერე წარვიდა ლექთა შორის და უქადაგა ქრისტე და
მრავალნი მათგანი მოიყვანა ქრისტეს სარწმუნოებად. აგრე-
თვე ფშავთა და თუშთა უქადაგა და მრავალნი მოაქცივნა.
და მერე მივიდა ბელგანს და მოაქცივნა იგინიცა. და მერე
მთასა მასვე ბელაქანისასა შევიდა ქვაბსა შინა განშორვებულ-
სა. და მარტოებით იღვაწა ფრიად. და ესრეთ გარდავლო
წელნი თვისნი.

თვის მამისა ანტონისა

მამა ანტონი ნაოხრებელის ძე, მესხეთელი. ესე იყო ფრიად
საჭმინდის მოყვარე. კაცი დიდი ბრძენი და ლვთისმეტყველებასა
შინა გამოცდილი, პიმენისამებრ მეფეთა მამხილებელი. რო-

მელსა აქვნდა დიდი პატჩისცემა მეფეთა და მთავართაგან, და ერჩდენ მოძღვრებას ამისას. ამან მრავალი სწავლანი მიუნია მესხთა და განანათლნა ერნი მუნებურნი და ქართველთანიცა. იყო დიდი მოღვაწე და შმარხველობითა სრული. ამას სახელს-დევს ქართველთა მზედ. და ესრეთ კეთილისა ცხოვრებითა სული თვისი შევეღრა ხელთა შინა ლვთისათა.

თვის მამისა ნიკოლა და გარებული მამისა და გარებული

მამა ესე ნიკოლაოზ ქართველი იყო საფილოსოფოსთა და ლვთისმეტყველებასა შინა გამოცდილი, მონოზონებით სრული და დიდი კრძალული, და მოღვაწე. ამან შემზენა მრავალნი აკოლოთიანი და ხშირისა წვიმისა დასაყენებელი სავედრებელი ლვთისადმი აკოლოთია, რომლის ლოცვითა დაუცხრომელი წვიმა დამყუდროვდებოდა. და სხვანიცა სწავლანი განამრავლნა. და ესრეთ სიწმინდით და კეთილობით განვლო წელნი თვისნი.

თვის მამისა დიმიტრი გარებულისა, მამისა საჭართველოდესა, გამორიცხანისა

მეფე დიმიტრი მეოთხე დავითიან-ბაგრატონი. ამან ისწავა სიყრმესავე შინა საფილოსოფოსო სწავლანი და ლვთისმეტყველება და სხვანი ხელოვნებანი. ესე იყო მშვენიერი რიტორი, პიიტიკოსი და შემთხვეველი უცხოდ შაირთა, რომელმანც მრავალნი სწავლანი გამოთქვა. ხოლო უკანასკნელ დაუტევა მეფობა თვისი და იქმნა მონოზონ. და წარვიდა მონასტერსა გარე-სჯისასა. და იყო მარხვასა და ლვაწლსა შინა, რომელ მუნებურნი მცხოვრებნი მოიყვანნა განკვირვებასა შინა; რომელსა უწოდდენ ქართველთა და მონოზონთა დიდებად, და ამან ესრეთ სიწმინდით განვლო წელნი თვისნი და მშვიდობით უფლისად მხცოვანებისა ჟამსა განისცენა.

თვის გამისა ჩოლაშადსა ძისა ნიკოლაოზ არემანდრიტისა

მამა ჩოლაყავს-ძე, კახი, ორხიმანდრიტი ნიკოლაოზ. ესე იყო საფილოსოფოსთა სწავლათა შინა გამოცდილი და ღვთისმეტყველებისა სწავლისა ზედმიწევნილი, მშვენიერი რიტორი და კარგი ლრამმატიკოსი. ესე წარვიდა წმინდას იერუსალიმად და მოილოცა წმინდა ადგილნი, და მუნვე ჯვარის მონასტერსა შინა განთინნა სწავლანი ქართველთა ბერებთადმი. ამან მოვლო ეფრატის გარემონი და აფრიკა. ამან აღწერა მშვენიერად მიმოსვლად თვისი; და მერე უქადაგა მეგრელთა, იმერთა, ქართველთა და კახთა, და განფინა სწავლანი თვისი, და მერე კეთილისა სათნოებითა გრძელვლნო წელნი თვისნი.

თვის გამისა პეტრე ჩხატარაშვილსა ძისა, გურიელისა

მამა პეტრე გურიელი, ჩხატარაშვილი, იქმნა სიყრმიდგანვე მონოზონ. იმან ისწავა ხედვითი ხელოვნება და იქმნა მეცნიერ და წერილთა შინა გამოცდილ. ამან შეაწყო ისტორია ალექსანდრე მაკედონელისა მშვენიერ ენასა ზედა. ამანვე აღწერნა მრავალნი კარგნი სტიხი და შილნი. ეგრეთვე განსწავლნა მრავალნი მოწაფენი და კეთილისა მონოზონებისა წესითა განვლო ცხოვრება თვისი.

თვის გამისა გრიგორი სუცეს-აონიშვილისა, დოდორის ელისა, ვახვახიშვილისა, რომელის ძისა, რომელი იყო ბაზიმირთ-ჭავჭავაძისა ძვ

მამა გრიგორი ვახვახის ძე, ბაზიმირთ-უხუცესისა, და მონოზონი დოდორქელისა მონასტრისა. ესე იყო სწავლათა შინა გამოცდილი, მონოზონებითა სრული და სიბრძნისა მოყვარე. ამან შეთხზნა რომელთამე ქართველთა წმინდანებთა აკოლოთი-ანი მშვენიერ ენასა ზედა. და ამანვე აღწერა წმინდისა ქეთეულან დედოფლისა ცხოვრება და წამება მისი ულთოსა შაჰაბაზისაგან, და ამან ილვაწა დოდოს მონასტერსა შინა მარხეითა და ლოცვითა, და ესრეთ გარდავლო წელნი თვისნი.

თვის გამისა კოსებ მუდმივი გართულ-
ცხვისა კახთა გეფისა, ხუცეს-
გონიგონისა მრავალი მოისა

მამა ქოსმა მწიგნობართუხუცესი კახთა მეფისა და ხუცეს-
მონოზონი მრავალმთემისა. ესე იყო ძირთაგან კეთილშობილი,
მეფისა უპირველესი მწერალი. ამან დაუტევა ადგილი და სა-
ხელო თვისი და იქმნა მღვდელმონოზონ მრავალმთემისა მო-
ნასტრისა და იღვაწა კეთილად. ამან გამოთქვა შესხმა ქეთე-
ვან დედოფლისა. ესე იყო საეკკლესიოთა წერილთა წაკითხვასა-
შინა თვით უპირველესი და მეფსალმუნე ქებული. და ესე
იღვწიდა მრავალმთემთათვის მცხოვრებთა, რომელიცა წარ-
მოსრული მუნით საქმეთა ზედან მათთა, გზასა ზედა მოიკლა
ულმრთოთა ბარბაროსთაგან, და ესრეთ დაიძინა.

გამისა იოგ ფიტარელი იყო საღმრთოთა წერილთა შინა
იუც წინამდებარებილი ტფილისა

მამა იობ * ფიტარელი იყო საღმრთოთა წერილთა შინა
გამოცდილი, რომელ სხვანი მწიგნობართაგანნი ძვილ ესწორე-
ბოდნენ. იყო უცხო მქადაგებელი და მესათნოე მსმენელთა;
მწერლობასა შინა პირველი, და მუსიკობითა ქებული, აგრეთ-
ვე მონოზონებითა წესიერ-მქუცეველი, და კრძალულების მოყ-
ვარე, რომელმანცა კეთილისა შრომითა დაასრულა ცხოვრე-
ბა თვისი.

გამა გერმანი ხუცისათვის

მამა გერმანე ძირით საქართველოსით, მღვდელობასა შინა
ჩინებული კეთილისა ყოფაქცევითა, ბეცნიერებით სრული და
მოქადაგე მაღალი, მეფეთა და მთავართაგან პატივცემული.
ამან განსწავლნა რაოდენიმე მოწაფენი. ესე იყო ჩინებული
მგალობელი ქართულთა ხმათა ზედა და ახალთა ხმებთა და
კილოთა დამთხველი. ამან განვლო სიყრმიდვან ვიდრე სიბე-
რედმდე კეთილად ცხოვრება თვისი და ესრეთ უფლისად განი-
სვენა.

* დედანში შეცომითაა „იოსებ“.

თ ვის გამისა იაკობ საგვარეულოსა

ესე იაკობ სამებელი იყო ქახეთით, ეპისკოპოსი სამების ეკკლესიისა, ხაშმის თავს მყოფისა. ესე იყო მეცნიერი რიტორი. ამან მრავალნი საღმრთო წერილნი შეთხხნა, საამო სტიხებად სასმენი, და სხვებცა კეთილად იღვაწა. და ესრეთ განვლო წელნი თვისნი.

თ ვის გამისა მ ვ ლ ი გ ი ხ უ ც ი ს ა თ ვის

მამა ევლოგი ხუცესი იყო ქართველი დროსა მეფობისა თამარისასა. ესე იყო ქრისტესთვის სულელქმნილი და სიწმინდისა ხარისხსა შინა მიწევნილი. ამა ევლოგიმ მწირველმან იხილა მხედრობა ქართველთა და ნორალდინ სულთანისა, ოდეს ურთიერთს შეებმენ და ჰყვეს ბრძოლად დიდი; რომელ ქართველთა სძლეს. და მაღლობა შესწირა ღვთისა ძლევა-შემოსისათვის. ხოლო ესე ჩვენება დაწერეს ქართველთა და შენიშნეს რიცხვი დღისა მის, რომელ შემდგომად რაოდენისამე დღისა მოვიდა მახარებელი გამარჯვებისა ქართველთაგან მას დღესა, რომელსა დღესა იხილა მამამან ევლოგი. ხოლო უკრცელეს იხილეთ ქართლის ისტორიასა შინა.

თ ვის გამისა ს. ა ბ ა ჩ ა რ თ ვ ე ლ ი ს ა

მამა საბა ქართველი. ესე იყო სწავლათა შინა გამოცდილი და ბერძულისა ენისა ზედმიწევნით მეცნიერი. ესე დროსა კირილე ალექსანდრიელისასა სცხოვრებდა ალექსანდრიას შინა. ამან იღვაწა იოანე ფილოსოფოსთან თარგმანებასა ზედა დიონისი არიობაგელის ღვთისმეტყველებისა წიგნსა ზედა. და კითილად განვლო მონოზონებად თვისი და ესრეთ აღსრულდა.

თ ვის გამისა ა ნ ტ ო ნ ი ჩ ა რ თ ვ ე ლ ი ს ა

მამა ანტონი და ზემოხსენებული საბა ერთად იმყოფებოდნენ ჟამსა მას კირილე ალექსანდრიელისასა, რომელიცა სწყალობდა ბერთა ამათ და პატივესა უყოფდა კეთილად ჭრევისათვის მათისა. და ესე ანტონიცა შეეწია იოანე ფილოსოფოს-

სა და განამხნო თარგმანებასა ზედა დიონოსის წიგნისასა და სხვათა წერილთა ზედაცა. დი ამან სხვებცა იღვაწა საქართველოს ეკულესიებთათვის და მერე უფლისად დაიძინა.

თ ვ ი ს გ ა მ ა თ ა ღ ი რ ს თ ა ს ა ჩ ა რ ს თ ვ პ-
ლ რ დ ს ა თ ა, რ ღ მ ა ლ თ ა ც ხ ღ რ მ გ ა
თ ვ ი ს ი ღ ა ა ს რ უ ლ მ ს ჩ ა ლ ა ჩ ს ა
შ ი ნ ა ი ე რ ჭ ს ა ლ ი მ ს ა

ღირსი მამა მიქაელ ჭუას ძე კახელი; ღირსი მამა იოანე რეხვაისძე, ქართველი; ღირსი მამა დანიელ აბაშვილი, ქართველი; ღირსი ნუნუს ეპისკოპოსი, ქართველი; ღირსი ეპისკოპოსი კინდ, ქართველი; ღირსი მამა ნიკიფორე ომან ჩოლოყაშვილი, კახელი, წინამძღვარი მეტეხის ეკულესიისა მოძღვართ-მოძღვარი, ოდიშის ხოფას კოცხურელთა გამგე, და უკანასკნელ ჯვარის მამად დადგინებული იერუსალიმს, და გოლგოთის არხიმანდრიტი. აგრეთვე მასვე დროსა იყო თეოდოსე მანგლელი, რევიშვილი, და ნეოფიტე ქართველი მმართებელი მონასტრებთა ქართველთასა იერუსალიმს შინა, რომელთა კუთილად იღვაწეს და დაშვრენ საღმრთოთა წერილთა ზედა თარგმანებად, და კეთილისა ღვაწლითა გარდავლნეს წელნი თვისწინი.

შ ი თ ა რ უ ს თ ა ჭ ე ლ ი ს ა თ ვ ი ს ღ ა
ს ხ ვ ა თ ა ე რ ი ს ძ ა ც თ ა
პ ი ი ტ ი პ ი ლ ს თ ა თ ვ ი ს

შოთა რუსთაველი, მწერალთა უხუცესი დროსა თამარ მეფისასა, იყო ფილოსოფოს-ლვთისმეტყველი, საღმრთოთა და საერთოა წერილთა შინა გამოცდილი, ენათა სპარსულისა და სომხურისა მცოდნე, უცხო ვარსკვლავთმრიცხველი და ბუნების ისტორიათა მეცნავი, პირველი მწერალი და დამთხზველი მაღალსა ენათა ზედა წერილთა, მეშაირეობასა და პიიტიკასა შინა ყოველთა ზედა პირველი და უაღმატებულესი. ამან ქმნა წიგნი, „ვეფხისტყაოსანად“ წოდებული შაირად, რომელ ჯერეთ

არავის ქართველთაგანსა უმჯობეს მისა უთქვაში ვისმე შაირნი. და ესრეთ სიბრძნის-მოყვარებასა შინა გარდავლნო წელნი თვისნი.

ს ა რ გ ი ს თ მ ღ გ ვ ა ლ ი ს ა თ ვ ი ს

ესეცა იყო მწერალი თამარ მეფისა, მსგავსი მეცნიერებით შოთასი, და პირველი რიტორი, მშვენიერი პიიტიკოსი, რომელიცა ქებულ არს თვით შოთასაგანცა მოშაირეთა შორის. ამან ქმნა წიგნი ისტორია, „ვისრამ ანად“ წოდებული, და ამან-ვე აქო დილარგეთ მეცნიერებითა და პიიტიკოსობითა სხვათა ზედა უმეტეს. და ამანაც ესრეთ გარდავლნო წელნი თვისნი.

დ ი ლ ა რ გ ვ ა თ ი ს თ ვ ი ს

დილარგეთ იყო კაცი მეცნიერი, ქართულსა ზედა მწერლობითა გამოცდილი, რომელსა სხვათა ზედა ამისგან თქმულთა შაირთა უმჯობეს სდებენ. ამან ქმნა ისტორია „დილარიანი“, საამოდ სასმენელი ყოველთაგან. და ამანაც დაასრულა ცხოვრება თვისი.

ჩ ა ხ რ უ ხ ი ს ძ ი ს ა თ ვ ი ს

ჩახრუხ ჩახრუხისძე, კაცი მეცნიერი და ცერემონიმეისტარი თამარ მეფისა, მეცნიერებით სრული და რიტორ-მჭევრ-მოუბარი. ამან სხვაგვარად დათხზნა შაირნი, სასმენად საამონი. და ესე იყო შესხმათა თამარ მეფისათა მომხსენებელი და სხვათა ესევითართა წიგნებთა გამკეთებელი, რომელსა უწოდდენ ქართველნი მესტიხეთ გვირგვინად, და ამანაც ესრეთ გარდავლნო წელნი თვისნი.

ძ ა გ ნ ა ძ ღ რ ლ ვ ა ლ ი ს ხ ე მ შ ი ა ს ძ ი ს ა თ ვ ი ს ი ა ს ა

ძაგნაკორელი ხემშიასძე იასე. ესე იყო ფრიად მეცნიერ და რიტორი. ამან შეთხზნა შაირნი სხვაგვარად, უფრო უგრძელეს სტრიქონებითა, ფრიად ტკბილნი და საამო სასმენელ-

ნი, რომელსა აწ უწოდებენ ლექსისა მისისა გვართა, ვინმცა შეთხვის ძაგნაკორულად თქმულსა; გარნა ესე ძველადვე იყო უწინარეს შოთასა.

თვის მეფის თეატრულაზე პირველისა, ბაზრატოანისა.

მეფე თეიმურაზ პირველი იყო საღმრთოთა და სამეცნიეროთა სწავლათა შინა გამოცდილი, რომელმანც უცხოდ შეაწყო საღმრთო და სეერო სწავლისა შაირნი და ანბანთ-ქებანი. ესე იყო ფრიად მხნე და შემმართებელი მტერთა ზედა, რომელმან მრავალნი ძლევანი შეიმოსნა სპარსთა და თურქთა ზედა; და თვითცა ყოველთა ბრძოლათა შინა უბირველეს მეომარად გამოჩნდის, რომელ მანცა უამსა მარაბდის ომისასა სპარსთადმი ყოველი საომარი იარალი ამოქმედა, ესე იგი; მშვილდ-ისარი, შუბი, ლახტი, ხმალი, ხანჯალი და ხანჯალისა დანა, რომელ ყოველთა ამა იარალთაგან გარდმოყარნა თვისნი მეომარნი; და იტყვიან აბჟანდითაც მოკლა თათარიო მას ომსა შინა. უკანასკნელ მრავალნი დევნანი და ჭირნი გამოიარა ქართველთათვის სტანბოლს სულთანთან მისვლითა, რუსეთს და სპარსეთს შინა მიმოსვლით დაცვისათვის ქართველთა. ხოლო უკანასკნელ იქმნა მონოზონ და სიწმინდითა გარდავლნო წელნი თვისნი, და ესრეთ უფლისად დაიძინა.

თვის არჩილ მეფისა მეორისა, ბაზ- რატოანისა.

მეფე არჩილ მეორე, ბაგრატოანი. ესე იყო კეთილად სწავლული და ფილოსოფოსი. ამან კეთილად იმეფა საქართველოსა ზედა და იმერეთსაც. ამან თარგმნა ბერძენთ მეფეთა ისტორია, „ხრონოლროფად“ წოდებული; და ბიბლია რომელსა ჩვენ დაბალებად უწოდებთ, შემოკრიბნა და სრულყო, სადაც დაბნეულ და დახეულ იყვნენ ეს წერილნი, განამოელა და შეამოწმა სხვათა ენათა ზედა ბიბლიასა, და სრულებაში მოყვანმან მოსკოვს, გააკეთებინა სტანბა საფრანგეთში ქართულად და მოატანინა საფასითა თვისითა. და მერე შემდგომად

მისა ბაქარ მეფემან დააბეჭდვინა, ვინაედგან არჩილს არღვა დასცალდა სიცოცხლე. დაბეჭდა ათასსა ზედა უმეტეს და წარმოსცა ქართველთაღმი. სხვებ არჩილ მეფე იყო უცხო მესტია ხე და მრავალნიცა სტიხი შეაწყო. ეს იყო უცხო მხედარი და ჩოგან-ისართა შინა მხმარებელად ქებული, ლხინთა და ჭირთა შინა კეთილ გამგებელი. ამან აღწერა კვალად ზნეობითი სწავლა ქართველთ ქცეულებისათვის. და ესრეთ გარდავლნო წელნი თვისნი ქალაქსა მოსკოვსა, რომელიცა იყო ესეცა მოსრული საქართველოს შესაწევნელად მტერთა ზედა. ამან მიიღო მეფეთა რუსთავან პატივი და ოცდა ოთხი ათასი სული ყმა რუსეთსა შინა, რომელიცა აწ აქვთ მეფე ბაქარის შვილებთა, ბაგრატიონთა.

თ ვ ი ს მ ე ფ ი ს ა ვ ა ხ ტ ა ნ გ მ ე ს ა შ ი ს ა თ ვ ი ს (sic) ბ ა გ რ ა ტ რ ა ნ ი ს ა

მეფე ვახტანგ იყო წერილთა შინა გამოცდილი და მესტიახოსი კეთილი. ამან გამოთქვა ანბანთ-ქებათა ზედა წერილნი, დაუდო სჯული სამართლისა ქართველთა, რომელსა ვახტანგ მეფის სამართლის წიგნს უწოდებენ. ამან უამსა სპარსეთს მყოფობისა თვისისასა სთარგმნა «ქილილა და მანანა» წოდებული წიგნი ზნეთ-სწავლულებისა. ამან მოიყვანა ვლახეთით სტანბის მცოდნე და დააბეჭდინა საღმრთო და საერო წიგნები. და იმეფა კეთილად, და მერე ოსმალთაგან ტოლვილი გაღმოვიდა რუსეთსა შინა და გარდიცვალა ქალაქსა შინა ასტრახანს.

თ ვ ი ს მ ე ფ ი ს ა ვ ა ხ ტ ა ნ გ მ ე ფ ი ს ა თ ვ ი ს, ბ ა გ რ ა ტ რ ა ნ ი ს ა

მეფე თეიმურაზ მეორე კეთილმსახური მეფე იყო წერილთა შინა გამოცდილი. ამან შეაწყო ქართველთ საყოფაქცევო წიგნი, თუ ვითარ მეფენი ანუ მთავარნი იქცეოდენ უამსა ომისა ანუ განსვენებისასა, აგრეთვე დროსა ნადირობისა და ასპარეზობისასა, აგრეთვე დროსა ქორწინებისა და უამსა ჭირის-უფლებისასა, და სხვანი ესე ვითარნი. ამან მსახურა ნა-

დირ-შას, ყევენსა სპარსთასა, რომლისა შეწევნითა განასხნა საქართველოდამ ოსმალნი. ნადირ უწოდდა თეიმურაზს დიდს ერდგულს თვისისა და სახელსდო „დოვლათ შარიქად“, რომელ არს დიდებულების ამხანაგი. ამას უბოძა არაგვის საერისთო ყმად-ოსმალთა ძლევისათვის, ოდეს სძლო არაგვის პირსა ზედა ოსმალთა, რომელთაც მიაკვნდათ ხაზინა დალისტანში, აგრეთვე მიანიჭია მეფობა საქართველოსი. ხოლო კახეთის მეფედ სახელსდო ერაკლის, ძესავე ამა მეფისასა. აშან სძლო ავარიის მთავარსა, მჭადისჯვარს მდგომარეოსა. და სხვანიცა ძლევანი შეიმოსნა და კეთილისა ცხოვრებითა გარდაიცვალა პეტრებულს მისრული ელისაბედ ხელმწიფესთან, მწუხარებითა გარდაცვალებასა ზედა იმპერატრიცას ელისაბედისასა. ხოლო გვამი ამისი წარმოასვენეს ქართველთა მცხეთას დასაფლველად, გარნა აშტრახანს იქით ვერღა უძლეს წალება, და მუნ ასაფლავია დიდსა სობოროსა შინა.

სულეან-საბა ღრაბულიანისათვის

საბა ორბელიანი, ერის კაცობასა შინა სულხანად წოდებული. ესე იყო ქართულსა ფილოსოფიასა შინა გამოცდილი და საღმრთოთა წერილთა შინა. ესე იყო უცხო პიიტიკოსი და ქებული, ძველთა მოშაირეთა შესადარი. ეს დაშვრა ფრიიდ და შეკრიბა განბნეული და დაკარგული ლექსიკონი და იღვაწა ამაზედ ოცდაათი წელი. ამან ქმნა წიგნი ზნეთსწავლულებისა, „სიბრძნე-სიცრუედ“ წოდებული. ესე წარვიდა რომსა, მიიღო პაპამ კეთილად და აწვია თვისთანა წირვად, და დაბანა ფერხიცა, მისცა ნიშნად ძელი-ცხოვლის ნაწილი და სხვანი წმინდათა ნაწილები, და პატივითა გამოისტუმრა. ესე ფრიად დაშვრა მეფეთა მსახურებისათვის ისპაანს ყევნთან წასვლით. ამანვე შეთხხა წიგნი, „სამოლხის კარად“ წოდებული, გარნა ამაში არ თანებმნენ ქართველნი შეცნიერნი, ვინავდ გან მიჰყერძა უფრო ლათინთა, და ამა იჭვისათვის გალათინებულად ალიარებდენ საბასა.

პველ თა ქართველ თა მო შაირეთა თ ვის, სახელ დობ:

იაკობ შემოქმედელი, კაცი მეცნიერი და მესტიერი პირველი; იაკობ შემოქმედელმან გალექსა „ლეილი-მეჯნუნიანი.“ მოსე ხონელი, მესტიერი და მეცნიერი, საამო მეშაირე, მოსე ხონელმან ჰქმნა უცხოსა და მშვენიერ ენასა ზედა ისტორია ამირან-დარეჯანის ძისა. თურმანის ძე ხოსრო, ამან გალექსა „როს-ტომიანი“ და გარდმოილო სპარსთა მეფეთა ანბავი. ნანუჩა, მოლექსე და შაირთ მწერალი, ამან დაუროო სხვა ლექსები „ვეფხისტყაოსანს“. ჯაგლაგა ფალგენიშვილი, მოლექსე. ქაი-ხოსრო ქართველმან გალექსა „ომანიანი“. ფარსადანისძემ-ნოდარ გალექსა სპარსთა მეფისა ბარამ-გურის ისტორია. ჩოლაყაშვილმან გარსევან გალექსა „ნარგიზიანი“ წიგნი. სულხან-თანიაშვილმან გალექსა „ამირანდარეჯანიანი.“ ბარძიმ ვაჩინა-ძემ გარდმოილო სპარსულიდგან „საამიანი“ და „ბევანიანი“ ლექსად, დია კარგად. ფერშანგის-შვილს ფაშვიბერტყისძეს გაულექსავს „ფირმელიანი“ წიგნი. ბაკაკა დვალაძესაც უთქ-ვამს მრავალნი შაირნი სხვადასხვა ჰაზრზედ.

პხალია ჩვენთა დროთა მეცნიერთა, მურალალ თა, მგალობელ თა და მო შაირეთა თ ვის.

ანტონის ერთობენ კათოლ იკოზისა,
მეფის იასეს ძისა, დავითიან-
ბაგრატოვანის ერთობენ

შამა და მწყემსმოავარი ანტონი, კათოლიკოზი და პატრიარ-ხე სამცხე-საათაბაგოსა და სრულიად საქართველოსა, იყო დროსა მეფისა თეიმურაზისა და ძისა მისისა. ირაკლი-სასა, დისტული მეფისავე თეიმურაზისა, კაცი ღვთისმეტყველ-ფილოსოფოსი, საღმრთოთა წერილთა შინა გამოცდილი და დიდი დიალიკტიკოსი და დოლმატიკოსი, რიტორი მშვენიე-რი, გითარცა წერასა შინა, ეგრეთვე უბნობასა შინა. ამან სთარგმნა ბავმეისტარის ფილოსოფია სრულიად, „საუნჯის წიგნი“, კირილე ალექსანდრიელისაგან ქმნილი, ეფესოს წიგნი,

წისტორიისადმი ბაასი, და სხვანი წერილნი. ამან თვისისთ
 შეთხზა საქართველოს წმინდათა მოწამეთა ცხოვრება, „მარტი-
 რიკად“ წოდებული, ჰქმნა კატეხიზმო და „მზა-სიტყვაობა“,
 გააკეთა და განავრცო ლრამატიკა, და ქმნა კარგი რიტორე-
 ბა, და სხვანა წერილნი, ვიდრე ოცდასამი წიგნი თვისგან
 ქმნილნი. შემოკლებით გააკეთა ქართლის ცხოვრება. ამანვე
 თარგმნა კვინტოს კურციოსისგან ქმნილი ალექსანდრე მაკე-
 ლონელისა ცხოვრება, ქართულსა ზედა ენასა მშვენიერად გარღ-
 მოილო. განმართნა სალმრთო წერილნი ბერძულისა და რუ-
 სულისა ენისაგან შემოწმებით, სრულყო საყოველდღეო სად-
 ღესასწაულო, და შეასრულა მარხვანი, პარაკლიტონი და ზა-
 ღიკი, და სხვანი სალმრთო წერილნი. იყო უცხო მოქადაგე
 და მრავალნი ქადაგებანი აღწერა. ამან შეთხზა ოთხი ტომი
 ღვთისმეტყველება დია მაღალსა ფრასსა ზედა. კეთილად
 შეამკო ეკლესია თვისი და ცერემონიითა განანათლნა ეკლე-
 სიისა წესნი. და ესრეთ კეთილად დაშვრა სიყრმიდგან
 ვიდრე სიბერედმდე და მერე უფლისად დაიძინა. ამანვე ას-
 წავა მრავალთა მოწაფეთა, რომელთაცა მოყიხსენებ ქვემორე.

თვის გორისა ანთონი კათოლიკოსა, გორისა ირაკლის ძის

შემდგომად ამისა მიიღო კათოლიკოზობა ანტონი მეორე-
 შან, მეფის ირაკლის მეორის ძემან, რომელიცა თვით ანტო-
 ნიმ აღზარდა სწავლასა შინა, და მიიღო თეორეტიკისა და
 პრაკტიკისა ხელოვნება, და ისწავა კეთილად ფილოსოფია და
 ღვთისმეტყველება და ისტორია. ესე არს ფრიად გონება-
 შახვილი, წრფელი და უმანკო, მონოზონებაში სრული, ღრმა
 ღვთისმეტყველი და მოქადაგე კარგი, რომელსა ყოველთვის
 ძალუცს მოუმზადებელად ქადაგებისა თქმა, არის ფრიად
 მშვენიერი მწერალი თხზვასა შინა. ამან მრავალი ილგაწა
 საყდრისათვის თვისისა, უყიდა სოფლები, აღუშენა ნაოხარნი
 ადგილნი, გაუკეთა ბაღები, საფუძველი დასდო ტფილისისა
 შინა უღოთოსა ალაძამალ-ხანისა ხოჯასაგან დაქცეულისა ეკლე-
 სიისა, ალავერდისა. წმინდისა გიორგის ეკკლესისა ჩინურითა

დახურა სამხროები, და კეთილად იღვაწა. უკანასკნელ ჯილ-
ფოდ ამისა თქვენ მიერ ექსორია-იქმნა და მოყვანებულ როსიად.

თვის მამისა გარე თარაშვილისა

გაიოზ იყო აღზრდილი კათოლიკოზის ანტონისაგან საფი-
ლოსოფოსოთა და საღვთისმეტყველოსა სწავლასა შინა, ზედ-
მიწევნილი რუსულისა ენისა, იცოდა ლათინური და სომხური
წერილი. ამან თარგმნა რუსთა ენისაგან სხვადასხვა წერილი
ქართულსა ენასა ზედა, რომელ იტყვიან ვიდრე სამასამდინ
წიგნსა გარდმოლებულსა საღმრთოთა წერილთა და ისტო-
რიათა და სხვათა მეცნიერთა წერილთა. ესე წარმოივლინა
რუსეთსა შინა. და მიიღო მუნ არხიერობა ნებითა იმპერატრი-
ცა ეკატირინასითა, და დაიდგინა მწყემსმთავრად პენზას
შინა, რომელმან განაახლა ეკკლესია და აღუშენა კარგი სამ-
რეკლო. ამან თვისსა ყოფასა შინა ასწავა მეფისა ძეთა ფილო-
სოფია, განმართა თელავსა შინა სკოლად და განსწავლნა მუნ-
ცა მრავალნი და სხვანიცა. და ესრეთ აწცა შრომასა შინა,
არს, ვითარც თქვენც უწყით საქმენი მისნი.

ვარ ლაპა ახტალის ვპისძოვოს, დავით ერისთვის ძისათვის

ვარლამ ახტალის ეპისკოპოსი არს აღზრდილი კათოლიკოზის
ანტონისაგანვე, საფილოსოფოსა სწავლასა და ღვთისმეტყვე-
ლებასა შინა მეცნიერი, უცხო რიტორი და მშვენიერი მოქა-
დაგე. ამან ასწავა სხვათადასხვათა მოწაფეთა საფილოსოფოს
სწავლანი. და უკანასკნელ წარმოვიდა როსიად და პავლე
იმპერატორმან განაწესა სინოდისა წევრად. ამან ისწავა რუ-
სული ენა კეთილად და ქმნა საუფლოთა და სხვათა ღღესას-
წაულთა ქადაგებისა წიგნი, საამო სასმენი და კარგა ღათხზუ-
ლი, და აწ არს აქა თქვენთანა.

იოანე ოსეაზილისათვის

იოანე ოსეაზილი, სიონის ეკკლესიის დეკანოზი. ესეცა აღ-ზარდა კათოლიკოზმან ანტონი, ისწავა ფილოსოფია და ღვთის-მეტყველება. ამანაც ქმნა რაოდენიმე წერილნი სასწავებლად ყრმათა. ესე იყო უმეტეს მშვენიერ-მწერალი თხზვასა შინა, ვიდრე უბნობასა შინა.

დავით ალექსის ჯვილისათვის

დავით ალექსის ძე, ანჩიხატისა დეკანოზესა შვილი. ესეცა აღ-ზარდა ანტონი კათოლიკოზმან და მიიღო სწავლა ფილო-სოფიისა და ღვთისმეტყველებისა, ესე არს გონიერა-მკვეთრი და კარგი მეხსიერი, მწერალი მშვენიერი, ვითარცა ხელნაწე-რობით, აგრეთვე დათხზვითაცა. ამან ქმნა წიგნი თვისგან ქმნილი და უწოდა „ჩემ მიერ ნალვაწი“, და აგრეთვე შემა-ტა ლექსიკონს. ამან ასწავა სკოლასა შინა თელავს მრავალთა მოწაფეთა საფილოსოფოს სწავლანი, რომელიცა დადგინე-ბულ იყო მეფის ირაკლის თეიმურაზის ძისაგან რეკტორად. და მეცა ვიყავ მასთანა რიცხვთა შორის მოწაფეთასა. ესე არს უცხო ისტორიკოსი ძველთა და ახალთა მოთხრობათა, რო-მელიცა ქებულ არს ერთა ჩვენთაგან. და აწ სცხოვრებს მი-ზებითა თქვენითა მკდონანებასა შინა. ამა ზემოხსენებულთა მოწაფეთა კათოლიკოზი ანტონი, მოძღვარი მათი, მიაჩემებდა თვითეულთა ნიჭითა ამათ: გაიოსს უწოდდა კარგსა მასწავლე-ბელსა და მოძღვარსა და ადვილად ძნელთა განმმარტებელსა მოწაფეთადმი თვისთა, ვარლაამს უწოდდა მშვენიერს რიტორ-სა და მოქადაგეთა შორის პირველსა, იოანე ოსეს ძეს უწოდ-და მშვენიერ მთხზველსა წერილთა შორის, ხოლო დავით ალექ-სის ძეს უწოდდა ქართველთა შორის პირველს ისტორიკოსსა.

მიხაილ ტფილელ ეპისკოპოსი

მიხაილ ტფილელ ეპისკოპოსი. ესეცა იყო თანაშეზრდილი ანტონი კათოლიკოზისა. იყო ფილოსოფოსი და სალმრთოთა წერილთა შინა გამოცდილი, დიდი ცერემონიოსი ეკკლესიისა

და შემამკობელი. ესე უფრო დაშვრა საღმრთოთა წერილთა
და ისტორიებთა გარდასაწერად, რომელმანც თვისითა ხელი-
თა გარდასწერნა წიგნი დიდნი და მცირენი ვიდრე რგა-
ასამდისინ. და უკანასკნელ მხცოვანებისა ჟამშა გარდაიც-
ვალა.

ტ რ ი ფ ი ლ ე ა რ ხ ი მ ა ნ დ რ ი ტ ი ს ა თ ვ ი ს

ტრიფილე მღვდელმონიზონი. ესეცა იყო აღზრდილი ანტო-
ნისავე კათოლიკოზისა. ესე იყო სწავლულ ფილოსოფიისა ქე-
ლოვნებასა შინა და კარგი ლრამმატიკოსი, საღმრთო წერი-
ლსა შინა, ზედმიწევნილი; მოუმნეთა და ეკლესიისა წიგნთა
წარმყითხველთა შორის უპირველესი, წვითარცა სიმარჯვითა
ენისათა, ეგრეთვე გამოღებითა ლექსთა და განრკვევითა სიტყ-
ვათათა სრული. კანანახობასა შინა უპირველესი; მწერალი უც-
ხო და ჩქარი, რომელ ოდეს მოიცალის ეკლესიის მსახურე-
ბისაგან, არა დაუტევებდის საღმრთოთა წერილთა და ისტო-
რიათა წერასა, რომელმანც გარდაწერნა წიგნი ვიდრე
ხუთასსა ზედა უმეტესნი. და უკანასკნელ მიიღო არხიმანდ-
რიტობა მეორისა კათოლიკოზისა ანტონისაგან. და მოხუცე-
ბულობითა იქმნა ბრძა, გარნა ყოველთა დღესასწაულებთა
შორის თვით ზეპირ უკანანახებდის დასდებელთა მის დღი-
სათა, ვინაღდგან აქვნდა ჩვეულება ესგვარ მსახურებისა ეკლე-
სიებთა.

გ ა მ ა ლ ი ვ ლ ო ს - შ რ ი ფ ი ლ ი ს ა თ ვ ი ს , გ ლ ვ დ ე ლ - მ ო ნ ი ზ ღ უ ნ ი ს ა დ ა მ ე რ ე ა რ ხ ი მ ა ნ დ რ ი ტ ა დ დ ა დ გ ი ნ ე ბ უ ლ ი ს ა

გამალიელ ოს-ყოფილი არქიმანდრიტი. ესეცა იყო კათო-
ლიკოზისავე ანტონისაგან აღზრდილი, წერილთა და გალობა-
კთა შინა გამოცდილი და არიხმატიკოსი, და მონოზონებითაცა
არგი, მწერალი უცხო, რომელმანც მრავალნი წერბლნი საღმრ-
თონი და საერთო გარდასწერნა ვიდრე სამასამდისინ. ამან
კეთილად იღვაწა იკორთის მონასტრისა მთავარ-ანგელოსთ
ეკლესიისათვის. და ესრეთ შრომითა ატარებს დროსა თვისსა-
13. კალმასობა.

არაგიმანდრითის ნოუზიტი ოს-უოფილისათვის

ესე ნერფიტე ოს-უოფილი აღზარდა ყრმა მთავარეპისკოპოსმან წერილთა შინა და მერე მიიღო რიცხვთა შინა ბერებთასა ანტონი კათოლიკოზმან. ესე არს შესადარი ზემოხსენებულის ტრიფილესი, ჟითარცა მოქამნობითა, ეკრეთვე ეკპლესის წერილთა წარკითხვითა, მწერლობითაცა ქებული და მონოზონებითაც სრული. ამან მიიღო მეორე ანტონი კათოლიკოზმანისაგან არქიმანდრიტობა, და აწ მსახურებს მას და სცხოვრებს მისთანა განუშორებლად.

გერასიმე ელვაზელ-მონოზონ ტაბილ- მგალიბელისათვის

გერასიმე იშერეთისა ქვეყნიდამ მოსრული ძმითურთ თვისით ოთარათი, ესე სცხოვრებდა პირველ რაჭის ერისთვებთან და მერე დაშთა ანტონი კათოლიკოზთან; რომელმანცა მიიღო რიცხვთა შინა ბერებთა თვისთათა.. ესე იყო ფრიად სწავლული გალობასა შინა, რომელმან უწყოდა ვიდრე ხუთა. სი უკვე „ჭრელი“, რომელსა თქვენ უწყოდთ კონცერტსა. იყო უკრხო მთქმელი და მსმენელთა ყურისა მშოვნელი. ამან აღზარდნი მრავალნი შეგირდნი გალობასა შინა და გაამრავლა ქართველთა შორის გალობა; რომელიცა იყვნენ უფროორე ჩინებულნი მოწაფენი მისნი მგალობლობითა, სახელდობ: კვალიაშვილი სოლომონ, დირბელი გიორგი, ლეონტი სოლადაშვილი, ქარუმიძე იოანე და ძმისწული მისი, და სხვანიცა მრავალნი მოწაფენი. და ამა მასწავლელობასა შინა დაშვრა ესე და ძმა მისი ოთარა ვიდრე ორმეოცი წელი, და უკანასკნელ დაიღვინა არქიმანდრიტად მეორე კათოლიკოზის ანტონისაგან.

დეკასი სამთავრელისათვის

ლერვასი მაჭავარიანი, სამთავრელი. ესეცა იყო აღზრდილი კათოლიკოზის ანტონისაგან, მთავარდიაკ[ვ]ნობასა შინა პირველ ქებული და უკანასკნელ მიიღო არხიერობა. ესე არს

ტიბიკონთა შინა გამოცდილი და მშვენიერი ცერემონიისი, უცხოდ რიგზედ შემწირველი, სტუმართმოყვარე და ეპკლესიათა თვისთა მოღვაწე, და თქვენ მიერცა პატივცემული.

გაბრიელ ჯვარის მამის დეკანოზისათვის

ესე გაბრიელცა იყო კათოლიკოზისა ანტონისა მოწაფეთა რიცხვთაგანი, რომელმანც ზედმიწევნით ისწავლა ფილოსოფოს-ლვთისმეტყველება. არს კარგი მწერალი და მოქადაგე ქეთილი, ზნეთსწავლულებასა შინაცა გამოცდილი და კეთილი მოღვაწე ეკლესიისა თვისისა.

ზაქარია რია მოძღვან-ზოფილისა, გაბაზილისათვის

ზაქარია გაბაზეილი მღვდელი. ესე იყო ძეელთა ფილოსოფიისა სწავლათა შინა გამოცდილი და ღვთისმეტყველებასაცა მიწევნილი, მშვენიერი რიტორი და უცხო მოქადაგე. ამან იღვაწა ხიზისა შინა ქადაგებითა, რომელთა შორის შევიდა მცირედ ლეკიანობა, და მალე მოაქციება იგინი. ესე იყო მშვენიერი მწერალი და მთხველი მაღალსა ფრასსა ზედა, უცხო პიიტიკოსი და მღვდელობითა სრული, რომელიცა იქმნა მეფეთა მოძღვარიცა. ხოლო უკანასკნელ მცირე რამ სანდურავისათვის ანტონის კათოლიკოზისა და თვისგან წარმოვიდა როსიად, და მერე მოვიდა იმერეთს და მუნ განისვენა.

გლახა ნათისშვილის შვილისათვის

გლახა ნათისშვილი იყო ღიაკვენი მეფის კარის საყდრისა, ფილოსოფიისა და ღვთისმეტყველებასა შინა სრული და უცხო მოქადაგე და ღიდი რიტორი, სომხურსა ენასა ზედმიწევნილი, რომელმანც გარდმოილო სომხურისა ენისაგან სვიმეონ ჯულელ ფილოსოფოსისაგან შემოკლებული „კავშირი“, პროკლეს მიერ ქმნილი ღვთისმეტყველება. და შეთხა ამა ნათისშვილმან მაღალსა ქართულსა ენასა ზედა სასკოლო სასწავლებად. და სხვანიცა წერილნი გადმოსთარგმნა. და ესრუეთ აღასრულნა წელნი თვისნი.

თვის გამისა ტიაოთი მპისკოპოსა, ერისთავი გვარისა

ტიმოთე ეპისკოპოსი ერისავთ გვარისა, თავადი, კაცი მეცნიერი. წარვიდა ტფილისიდამ და მივიდა სტანბოლს. სულ-თანმან კარგად მიიღო და უბოძა თხოვისაებრ მისისა ფარ-მანი მოსალოცველად წმინდათა ადგილთა. და ესე წარვიდა მუნით და მოილოცა იერუსალიმი და გარემოს მისა წმინდანი ადგილნი. და მივიდა ათონისა მთასა შინა და მუნცა მოი-ლოცნა წმინდანი მონასტერნი. და სადაცა რაც იხილა, ყოვე-ლივე აღწერა კეთილად და მშვენიერად, რომელსა უწოდა წიგნსა მას „ტიმოთიანი“. და სხვანიცა სწავლანი შესძინა წიგნსა მას შინა. და კვალად მოვიდავე ქართლსა შინა და კეთილისა ცხოვრებითა განვლო წელნი თვისნი.

თვის გერმანი ტფილე ლისა, რომელი იზო პირველ დავით-გარეჯის ჭირამძღვანი

გერმანე ტფილელი, რომელიცა სიყრმიდგან თვისით აღი-ზარდა მონასტერსა შინა ესრეთ მცირე ყრმა, რომელ ოდეს წარმოგზავნეს მონასტერს მამათა სოფელსა შინა მოსარეწვე-ლად მოწყალებისათვის ერთაგან, მხილველმან დედაქაცებთა-მან. იკითხა, თუ ვინა არიან ესენი, რომელ პირველ ხილვასა-ვე განკვირვებულ იყო, ვინახდგან არა უწყოდა სახეო დედათა. ამან კეთილად იღვაწა მონასტრისათვის. იყო ფრიად სიწმინ-დის მოყვარე და მეცნიერი, უცხო დიალიკტიკოსი, მამათ ცხოვრების წერილთა ზედმიწევნილი. უკანასკნელ მეფემან ირაკლი იძულებით დადგინებულყო. ტფილელად ტფილისსა შინა. და კეთილად იღვაწა ეკკლესიისათვის და მრავალნიცა განსწავლნა სამღვდელოდ. და ესრეთ სიწმინდით გარდავლნო წელნი თვისნი.

მფლობელი შინაგადვრცხისათვის

ეფთვიში წინამძღვარი წმინდის ნათლისმცემლის მონასტრისა, კაცი ფილოსოფოსი და ღვთისმეტყველი, სათნოებათა ზედა უცხო მოქადაგე. ამან ფრიად იღვაწა მონასტრისათვის და აღაშენა სოფელი ხაშმი, რომელიც იყო ქსნის-ერისთავთა ლექთა მოქანის მიხეზით დამწვარი; აღუშენა უცხო ვენახი, და წისქვილნი, რომელიც აწ განუყიდა თეოფილაქთემ, თქვენგან დადგინებულმან. ამან მრავალი შემატა მონასტერსა, ვითარცა ნივთნი, ეგრეთვე მამულნიცა. და ესე იყო ფრიად მემარხულე და მლოცავი და თითქმის სასწაულისა მოქმედებასა შინაცა შიწევნილი და სხვებ სტუმარობმოყვარე. და ესრეთ დაასრულა ცხოვრებად თვისი, და ამანაც ასწავა რაოდენთამე მოწაფეთა ფილოსოფია და ღვთისმეტყველებად.

თომა შინაგადვრცხისათვის

თომა დავით-გარეჯისა წინამძღვარი და გვარით გარსევანა-შვილი. ესე იყო საღმრთოსა წერილსა შინა გამოცდილი და მგალობელი სრული. ამან აღზარდნა სამღვდელოდ სწავლასა შინა ვიდრე ასორმეოცდა ათამდის სულნი, რომელნიცა მისსავე დროსა შინა დაიდგინნენ დიაკვნად და მღვდელებად. ხოლო ერისკაცნიცა მრავალნი იქმნენ მის მიერ განსწავლულ, ვითარცა წერილთა შინა, ეკრეთვე გალობათა. და უკანასკნელ დაიდგინა მეფეთაგან წინამძღვრად დავით-გარეჯის მონასტრისა. და მუნცა იღვაწა მხცოვანებასა შინა თვისსა, და მწყსიდა კეთილად. და ესრეთ გარდავლნო დღენი ცხოვრებისა თვისუსანი.

თვის იოანე შირაკველისა, ჩარუშმიძესი

იოანე წირკნელ ეპისკოპოსისა, ქარუშმიძისა. ესე აღზარდა გარესჯის მონასტერსა შინა სიყრმიდგან და ისწავა მუნ ფილოსოფია და სხვანი სწავლანი. იყო მშვენიერი მოუბარი და მამათ ცხოვრებისა მცოდნე. ამან აღზარდა რაოდენიმე მოწაფენი და მათ შორის იოანე ოსყოფილი, რომელმანც მიიღო ფილოსოფია და სთარგმნა ოსთა ენათა ზედა კონდაკი და ლოცვანი; და მრავალნიცა დაიმოწაფნა, და პატივიცა მიიღო თქვენგან.

მცირე ისაკ, რომელსა ქართველნი პატარა ისაკად სახელ-სდებენ. ესე იყო მეცნიერი კაცი და მშვენიერი მესტიხე და კარგი მწერალი, რომელმანც კეთილად განატარა ცხოვრება თვისი.

ლეონტი სოლადაზილისათვის

მღვდელ-მონოზონი ლეონტი სოლალაშვილი. ესე იყო საფილოსოფოსოსა სწავლასა შინა გამოცდილი და მგალობლობასა შინა პირველი მგალობელი, რომელმან უწყოდა ვიდრე ხუთასამდის „ჭრელი“ და სხვანი გალობანი. ამან განსწავლნა მრავალნი მგალობელნი და კეთილად განვლო წელნი თვისი.

სიონის დეკანოზის ნიკოლა ლაზარისათვის

სიონის დეკანოზი ყ[ო]ინისძე იყო საღმრთო წერილში გამოცდილი, ხუცურის ხელის მწერლობაში პირველი, რომელ ჯერეთ არვინ ყოფილა. ამისთანა მშვენიერის ხელის მწერალი, ვითარცა ესე, და აგრეთვე ხელჩამრთველი მშვენიერად. ამან გარდასწერნა მრავალნი საღმრთო წერილნი. და ამან აღწერა ერთისა კალამითა მთელი კონდაკი, სამღვდელო მსახურებაში სახმარი, რომელსა მეორე კალამი წერაში არ უხმარია, და არცა იგი კალამი ხელმეორედ გამოუჭრია. ამან დია პატოსნებით იცხოვრა, და უყვარდათ მეფეთაცა. და ესრეთ დაარულა წელნი თვისი.

ზაქარია ჭილაძე ეპისკოპოსისათვის და გირე ამბროსია ჭოდებულისა

ესე ზაქარია, ზედწოდებით ამბროსი, ძმა იყო ზემოხსენებულისა ნიკოლაზ დეკანოზისა. იყო მეცნიერი საღმრთო წერილსა შინა გამოცდილი, კვალად უცხო მწერალი, ვითარცა ხუცურისა, ეგრეთვე მხედრულის ხელისა. ამანაც მრავალნი საღმრთო წერილნი და ისტორიები გარდასწერნა. ესე იყო კარგი პიიტიკოსი, მუსიკოსი და სრული მგალობელი. ამან

აღზარდნა რაოდენიმე მოწაფენი. და უკანასკნელ მეფემან ირაკლი დაადგინა მწყემსმთავრად ნეკრესის ეკკლესისა ნეკრესელად, და მუნცა იღვაწა ქეთილად

დოსითმოს ნეპრესელ ეპისტოლის ითვისტი

ნეკრესელი დოსითეოს ჩერქეზისშვილი. კაცი მეცნიერი და ღვთისმეტყველებისაც მცოდნე. ამან უწყოდა სომეხთა ენა ქეთილად, რომელმანცა გარდოილოւ სომეხთა ენისაგან მიხითარ ბრძნისა რიტორება მშვენიერ ენაზედ. ესე ვითარცა მონობნებასა შინა, ეგრეთვე ერისკაცულთაცა შინა გამოცდილიყო, რომელ ჟამსა მტრიანობისა და ომიანობისასა ყოველთვის ამხნობდის ერთა და ქეთილისა რჩევითა თვისითა კარგად წარემართევდის საქმეთა. და ესრეთ მოხუცებულობისა ჟამსა დაასრულა ცხოვრება თვისი.

თვის იოანე იინოზაიონდელისა, ჯანდივალის უვილისა

იოანე ნინოშმინდელი, ჯანდივრის შვილი. ესე იყო სწავლული კაცი, მეცნიერი და სრული მგალობელი. ამან სწავლასა და მგალობლობასა შინა აღზარდა შეფეხ ირაკლი და სხვანიცა თავადნი. და კეთილადცა იღვაწა ეკკლესიისათვის თვისისა, და ესრეთ გარდავლნო წელნი თვისნი.

ისაკ ქანდელაძი, ხუცესი სიონისავ

ისაკ ხუცეს-ქანდელაძი. ესე იყო საღმრთო წერილსა შინა გამოცდლი, მოქამნეთა შორის ჩინებული და ხუცურისა წერასა შინაცა ქებული; მგალობლობითა სრული, რომელმანც იცოდა „ჭრელი“ ვიდრე ათასამდის. ამან მრავალთა ასწავლა გალობა, აქვნდა პატივი მეფეთაგანცა და კეთილად განატარნა დღენი თვისნი.

ნიკოლაოზ გაბაშვილისათვის

ნიკოლაოზ ხუცესი გაბაშვილი იყო სამეცნიეროსა სწავლასა შინა გამოცდილი, კარგი მოქადაგე და შესხმათა შემთხვევილი. ესე უფროორე სცხოვრებდა იმერეთს შინა და აქვნდა პატივი მეფისაგან. ამანაც აღზარდა რაოდენიმე მოწაფენი და კეთილად განატარა ცხოვრება თვისი.

ნიკოლაოზ ბიჭიაშვილისა, ძახისა, დეკანოზისათვის

ნიკოლაოზ კახი ბიჭიაშვილი. ესე იყო თანაშეზრდილი მეფისა ირაკლისა, იყო მეცნიერი და კარგი რიტორი, უცხო მოქადაგე, რომელმანც მრავალი ქადაგება გამოთქვა. ესე იყო მცხეთის დეკანოზობის ხარისხით. გარნა მარადის მსახურებდა მეფეთა კარისა ეკვლესიასა შინა, აგრეთვე საქვეყნო სარგებელთა რჩევათაცა შინა მრავალგზის დაესწრობოდის მეფესთან; რომელსაცა აქვნდა მაღლი კარგ უბნობითა თნებად მსმენელთადმი, და კარგთაცა პაზრებთჲ იყო მომპოებელ.

ალექსის ზვილნი მწერალ-მგალიბელნი, სახელდობა:

ალექსი დეკანოზი ანჩიხატისა. ესე იყო მეცნიერი კაცი, მოძღვარი სულიერი ანტონი კათოლიკოზისა, მწერალი ხუცურისა და მხედრულისა, რომელიცა ღირს ქებისა არს ნაწერებისგან. ამან მრავალნი საღმრთო წერილნი და ისტორიანი გარდასწერნა. და ამან კეთილად აღზარდნა შვილნი. თვისნი გიორგი, სოლომონ და დავით, რომელთაცა ასწავლნა სამეცნიერო წერილნი, საღმრთონი და მგალობლობაცა. ამათაც ისწავეს ხუცურისა და მხედრულისა წერა, გარნა მხედრულის წერასა შინა ჯერეთცა არც ძველად და არც ახლად არგინ თქმულან უკეთეს ამათსა, და მეტადრე სოლომონ დეკანოზისა; ეგრეთვე ძენი ამათნი: მიქელ გიორგის შვილი; დიმიტრი, იოელ და ტარასი სოლომონის შვილნი, პირველნი მწერალნი მხედრულისა ხელისა, ხოლო მგალობლობასა. შინა სრული იოელ, და კეთილადცა სწავლულნი სცხოვრობენ ჯერეთცა.

იასტოს ერასტის შვილი, ანდრონიკეს გვარი

ესე იასტოს ანდრონიკეშვილი აღიზარდა ქათოლიკოზის ან-
ტონის ქრებულთა შორის. ამას ასწავა ფილოსოფია და ღვთის-
მეტყველება ვარლამ ეპისკოპოსმან, ერისთვის შვილმან. ესე
არს მონოზონობაში კარგი და განშემარტებული საღმრთოთა
და საფილოსოფოსთა წერილთა კეთილად. ამანვე აღზარდა
სხვანიცა მოწაფენი; ხოლო მოწაფეთა მათ შორის იოანე,
მღვდელი კალოუბნისა, უწარჩინებულეს იქმნა სხვათა ზედა,
რომელიცა აწ თქვენგან დადგინებულ არს მოძღვრად სკო-
ლასა შინა ქართველთასა. და აგრეთვე ასწავა ფილოსოფია
გიორგი აღაბაშვილს და იოანე ყულარალასის-შვილს.

ნიკოლაოზ ხელაშვილის განცემის განცემის

ნიკოლაოზ ხელაშვილი კახი აღზარდა დავით ალექსის-შვილ-
მან სწავლასა შინა. ესე არს ახალთა ფილოსოფიათა სწავლა-
სა შინა გამოცდილი და სადოკლმატიკოსისაცა, მგალობლობა-
სა შინაცა კარგი, რომელ მამა ამისი გიორგი კახურსა გა-
ლობასა შინა იყო პირველი, რომელმან ასწავა შვილსა ამას
თვისსა. და აწ ესე არს მოძღვრად საქართველოსა სკოლასა
შინა ნაცვლად ზემოხსენებულისა იოანე მღვდლისა.

ერეათი ღრეის იმედის აის გართ შორიზე და გართ გვი- სა გვის

ეგნატი, მღვდელი კარის ეპკლესიისა წმინდის გიორგისა,
ონისიმესძე მარტყოფელისა, აწ იოსელიანად გვარ-მიღებულისა. ესე
მცირე მეფემან მეათცამეტემან გიორგი თვისსა ბატონის-
შვილობასა შინა აღზარდევინა სწავლასა შინა საფილოსოფო-
სოსა და საღვთისმეტყველოსა; ასწავებინა ენად სომხური ტერ-
დავითას, კაცსა მეცნიერსა, რომელმანც უცხოდ მიიღო სწავ-
ლა და ენა სომხეთა ზედმიწევნით. ვითარცა არს ესე ფილო-
სოფიასა და საღმრთოსა წერილსა შინა გამოცდილი, ეგრეთ-
ვე უცხო რიტორი, მშვენიერ მოუბარი და კარგი წარმკით-
ხველი წერილთა. ამას ასწავა ახსნით მზეჭაბუქ ორბელიანმან
დამასკელის წიგნი და პროკლე კონსტანტინეპოლის მთავარ

ეპისკოპოსისაგან ქმნილი ღვთისმეტყველება, „კავშირად“ წოდებული, და სხვანიცა ღრმანი წერილი. და აწ სცხოვრებს ესე-ცა დროსა ამას შინა უქმად.

იოანე ლარაძის დეკანოზისათვის

იოანე მღვდელი ლარაძე. ესე აღზარდა საფილოსოფოსოსა სწავლასა შინა მზეჭაბუკ ორბელიანმან. ესე იოანე იყო მშვენიერი მწერალი და კარგი დიალიკტიკოსი. ამან შემდგომად მამისა თვისისა, გიორგი ხარების ეკულესის დეკანოზისა, მიიღო ადგილი მისი და კეთილად იღვაწა საყდრისა მისთვის. და ესრულ განვლნო წელი თვისნი.

ზაქარია ლალახანაშვილის დეკანოზისათვის, ხუცისა

ზაქარია ლალახანაშვილი, ხუცესი. ესე არსარაგვის ერის-თავთაგანი მხევლისაგან. ესე აღაზრდევინა მეფემან ირაკლი სწავლასა შინა, მიიღო სწავლა კეთილად და ენაცა სომხური. მოქადაგეობასა შინაცა აქვს ნაწილი. და აწ თქვენგან განწესებულია კახეთს სკოლასა შინა მოძღვრად.

სხვანი მოწაფენი დაზით ალექსის ჯვი- ლისანი

ალექსიშვილმან დავით თელავის ქალაქის სკოლასა შინა აღზარდნა ვიღრე სული ოცდათამდის, ხოლო მათ შორის: ბერი ნიკიფორე მიქელისშვილი; ხირსელაშვილი, ალაგერდის დეკანოზის შვილი; ქობულოვის შვილები—სოლომონ, გეგენა და ოთარ; მუხრან-ბატონისშვილი სვიმონის ძე; ლალიხანიშვილი ვასილი და სხვანი, რომელთა მიიღეს სწავლა აზნაურებითი კეთილად, და ისტორია, და ხელწერილთა წერა—მხედლულ-ხუცურისა დია მშვენიერ, და სხვებ სიბრძნითაცა ქებულნი გამოვიდნენ.

ერისკაცთა ჩვენის დროსათა მეცნიერთა იოანე რობერტისათვის

იოანე მდივანბეგი, ორბელიანი, ქაცი სიბრძნესა შინა აღზრდილი, რომელმან უწყოდა ზედმიწევნით ფილოსოფია და

ლვთისმეტყველება. იყო ვარსკვლავთმრიცხველი, ფიზიკოსი და არიბმატიკოსი; უწყოდა ბუნების ისტორია და იყო უცხო რიტორი. გარნა უქმე ქმნეს სწავლანი ესე, ვინახდგან მიიღო ლათინთ სარწმუნოება. ესე იყო ფრიად გონებამახვილი ესრეთ, რომელ ოდესმხცოვანებისა გამო თვალთაგან მოკლებულ იქმნა და ვერარასა ხედვიდა, მაშინც ყოველთა წერილთა ძალედვა განმარტებად.

მ ზ ე ჭ ა ბ უ კ ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი გ ს ა ჯ უ ლ ი ს ა თ ვ ი ს

მზეჭაბუკ ორბელიანი, კაცი შესახედავით მსგავსი ესოპესი, და ძელთა ფილოსოფიათა ზედმიწევნილი, ლვთისმეტყველებასა შინა გამოცდილი, და პაექრობასა შინა მარჯვე, აგრეთვე ხუმარსიტყვაობასა შინა მარჯვე და პასუხისა უცხოდ მიმები, მესტიხეობასა შინაცა ქებული, და მსაჯულობისა საქმეთაცა შინა გამოცდილი. ამან აღზარდა რაოდენიმე მოწაფენი. ამანვე სთარგმნა ძველი საფილოსოფოსო წიგნი, „პერიარმენიად“ წოდებული, სომხურისა ენისაგან. ესე იყო მეფეთაგან მიჩნეულ, რომელიცა შეაქცევდის ხუმარსიტყვაობითა, რომლისა ანეგდოტნი მრავალნი, მისგან ნათქვამნი, უწყიან ქართველთა.

ი ა ს ე მ დ ი ვ ა ნ - გ ს ა ჯ უ ლ ი ს ა თ ვ ი ს

ესე იასე ოსესძე იყო სწავლული კაცი და ქართულსა ისტორიასა შინა გამოცდილი და ზედმიწევნით მცოდნე. ამას უცხო მადლი აქვნდა მწერლობისა, და ქმნა ქართველთ ზნეთა სწავლულებისა წიგნი. იყო კარგი პიიტიკოსი და ზრდილობასა შინა მოსაწონი.

ს ი ლ ღ მ ღ ნ ლ ი ვ ა ნ ი ძ მ მ დ ი ვ ნ ი ს ა თ ვ ი ს

სოლომონ იყო გვარით ლექთაგანი, და ამან მიიღო ჯილდოდ თავადობა და გვარი მეორისა მეფისა ირაკლისაგან, ვინახდგან ესე სოლომონ დაიჭრა ბრძოლასა შინა ერევნისასა მეფისა წინაშე. ესე იყო გონებამახვილი, წერილთა შინა გამოცდილი, სიტყვა-მარჯვე და საქმისა წერათა შინაცა კარგი.

უკანასკნელ ოდეს აღდგა (sic) საქართველოსა შინა მეფობა, წარვიდა იმერეთს მეფისა სოლომონისა თანა და მსახურა მას ძალისამებრ თვისისა, და გარდაპყვა ოსმალოს ქვეყანასა შინა და მუნ სწორებითა გარდიცვალა.

პ ე ს ა რ ი რ ნ გ ა ბ ა ჟ ვ ი ლ ი ს ა თ ვ ი ს

ბესარიონ გაბაშვილი იყო მეცნიერებასა შინა გემოცდილი და უცხო პიტიკოს-მოშაირე, მსგავსი რუსთაველისა, რომელ-მანც მრავალნი საამო შაირნი დასწერა სპარსთა ხშათა ზედა სამღერელი ქართულისა ენითა, და აგრეთვე სხვანიცა ლექსნი. მოუთხრობდენ ამისთვის, რომელ სცოდნოდეს ზეპირად მთლად ლექსიკონი ქართული. აგრეთვე ამის შემდეგნი მოსტიხენი არიან დავით ჯიმშერისძე ჩოლაყაშვილი, პეტრე ლარაძე, რომელმან აღწერა ხელახლად „დილარიანი“. და შეაწყო თვისით, ხორგვაშვილი თეოდორე, იოსებ პაპა-მუშრიბისშვილი, ბარამ ბარათაშვილი და სხვანი ახალნი ყმაწვილნი კაცნი ქართველნი და სომეხნიცა.

ტ ე ი ლ ი ს ს ა შ ი ნ ა ს ო მ მ ხ ხ ნ ი გ ვ ც ნ ი მ ი რ ნ ი . ზ ა შ ა რ ი ა გ ა რ თ ა პ ე ტ მ ა დ ი ნ ა ჟ ვ ი ლ ი ს ა - თ ვ ი ს

ესე ზაქარია შალინაშვილი ვართაპეტი იყო ზედმიწევნილი ფილოსოფოს-ლვთისმეტყველი და მცურნალობისა ხელოვნებისა მეცნავი. ამან ასწავა მრავალთა ქართველთა და სომეხთა საფილოსოფოსო წერილნი; და ამან განუმარტნა კაშშირი ლვთისმეტყველებითი, პორფირის ფილოსოფოსის ხუთი ხმა და საზღვრისა წიგნი დავით, უძლეველისა ფილოსოფოსის მიერ ქმნილი, სხვათა და სხვათა მოწაფეთა, და ამით განანათლნა მრავალნი..

ტ ე რ - ჟ ვ ი ლ ი პ ე ს ა თ ვ ი ს

ესე იყო ზედმიწევნილი ფილოსოფოსი, მსგავსი ზემოხსენებულისა ვართაპეტისა. ამანაც მრავალნი მოწაფენი განსწავლნა და შეეწია რაოდენთამეტ წიგნთა თარგმანებათა შინა კათოლიკოზს ანტონის პირველსა.

ტერ-პეტროზაციასათვის

ტერ-პეტროზაცია იყო მსგავსი ამა ზემომოხსენებულთა და მთარგმნელობასა შინაცა კარგი, რომელმან მსახურა ამანაც კათოლიკოზს ანტონის თარგმანებასა შინა წიგნთასა. აგრეთვე არიან კარგნი მთარგმნელ[ნ]ი სომხურისა ენისაგან ქართულად და კარგნი ღრამატიკოს-დიალიკტიკოსნი: ტერ-დავითა და ტერ-სამოქალ.

როგორთამ თავადთა ღროსა მეცისა
თმიმურაზისა და ირაკლიუსასა.

იმსე ჩსნის-ერის თავი გიგილ ური-
სათვის

ესე იესე იყო კარგი შაირთა შემთხველი. ამან ქმნა აკო-
ლოთია წმინდათა მოწამეთა შალვა და ელიზბარისა. ესე იყო
სწავლის-მოყვარე, გარნა ამასთანაც აქვნდა დიდების მოყვა-
რება.

დიმიტრი ღრბელიანი იყო ღროსა ვახტანგ მეფისასა წინათ,

მეცნიერი კაცი და შაირთა კარგად შემთხველი, გარნა უფ-
რორე მრავალნი ამაო შაირნი გამოსთქვნა, ვიდრე სასარგებ-
ლონი.

ვახტანგ ღრბელიანისათვის

ვახტანგ ორბელიანი. ესე იყო საფილოსოფოსოთა და საღ-
მრთოთა წერილთა შინა ზეღმიწევნილი; უცხო მესტიხე და
შვენიერი, მსგავსად ძველთა, და კარგი ანბანთ-ქებისა შემაწ-
ყობელი. ამან ასწავა რაოდენიმე სწავლისა წერილნი ანტო-
ნის კათოლიკოზსა სიყრმესა შინა მისსა.

ვახუშტი ბუში ბაგრატიონთა, აღზარდა ვახტანგ მეფემან მოსკოვსა შინა, და იყო კარგი მეცნიერ. ამან განავრცელა.

ქართლის ისტორია და აღწერა კარგად, აგრეთვე მეფეთა შთამამავლობანიცა; გარნა ვინაიდგან გამოძებულ იქმნა კახთა შეფეხობან, ამისათვის ისტორიასა შინა, თვისა მიერ ქმნილსა, შურითა მოუთხრობს საქმეთა შათთა შეწევნითა ცხვირ-მოჭრილისა, ორგულობასა ზედა. მეფისასა, ამილახვრის შეილისა. და ამასთვის ზრახვენ ქართველნი და არა-ჭეშმარიტს ისტორიად რაცხვენ, ვინაედგან შურითა მეფეთა და მრავალთა თავადთა აუგნი დაწერა.

დიმიტრი ციცისშვილისათვის

დიმიტრი ციცისშვილი აღიზარდა მოსკოვს სასწავლებელსა შინა. ამან მიიღო უცხოდ სხვადასხვა ენათა სწავლანი და საფილოსოფლოსო ხელოვნება, ისწავა მათემათიკა და სთარგმნა ქართულად ღეომეტრია. და სხვებთაცა შეეწია თარგმანებასა ზედა წიგნთასა ქართველთა.

დიმიტრი ბაგრატიონისათვის

დიმიტრი ბაგრატიონი, შვილიშვილი იესე მეფისა მხევლი-საგან, ორგულებისათვის გამოძებული. ესე მოვიდა მოსკოვს, ისწავა რუსული. წრის კარგი მთარგმნელი, რომელმანც სთარგმნა რაოდენიმე წიგნი, და არს კარგი მესტიე, რომელმანც აღწერა შაირად წმინდის დედოფლის ქრევანის ცხოვრება.

ანდრინი ჯავალის პატასათვის

ანდრონიკეშვილი პატა. ეს მცირე ყრმა აღაზრდევინა ბიძამან მისმან ყოვლადსამლელო ალავერდელმან მოსკოვსა შინა. მიიღო სწავლა რუსულისა ენისა და ქართულისა, ისწავა მათემათიკა, მხატველობა, არტელარია და ფორთეფიკაცია. მერე მოვიდა ქართლსა, მიიღო მეფემან ირაკლი პატივითა და უბოძა თოფჩიბაშობა. ამან განაწყო კეთილად თოფხანა და ჩამოასხა სხვადასხვაგარი ზარბაზნები. განსწავლნა თოფჩინი ვიდრე ორასამდის და სხვათაცა ასწავა ხელოვნება თვისი. და ესრეთ მსახურებითა მამულისათა განვლნო წელნი თვისნი.

[გ ა ბ რ ი ე ლ ს ო მ ე ბ ს ა თ ვ ი ს].

შემდგომად ამისა დაიდგინა გაბრიელ სომეხი, ამანაც კარგად იცოდა არტელარია. და ესე ძმითურთ თვისით შეფისა ირაკლისა წინაშე დაიხოცნენ აღამამათ ხანისა ბრძოლასა შინა. და მერე განწესდა მოსამსახურედ არტელარიისა გეურქ-აღა, ნასწავლი მოსკოვს. და ამანაც კარგა უწყოდა ვითარცა არტელარია, ეგრეთვე ექიმობაცა.

ა თ ა ნ ა ს მ თ ა რ ს ნ ი ს უ ვ ი ლ ი ს ა ს , კ ა ვ თ ი ს
[ხ ე ვ ი ს] მ ღ ნ ა ს ტ რ ი ს ჭ ი ნ ა მ ა დ ვ რ ი ს ა თ ვ ი ს

ესე ათანასე თარხნისშვილი თუმცა არა იყო დია სწავლულ, გარნა სიმხნითა იყო სრული. ამანდიდად იღვაწა ქვაბთახევის მონასტრისათვის, ლანგ-თემურის მიერ შემუსვრილისა. აღა-შენა ნაოხარი სოფელი კავთისხევი, ბრძოლა ძლიერად ლეკისა ჯართა, რომელმანც მრავალჯერ გაიმარჯვა მათ ზეპა, და სხვანიცა ერნი ტეხოვრებნი გაღმა მხარსა შინა განამხნო და განამტკიცნა; აქვნდა პატივი მეფის ირაკლისა და მეფის გორგისაგან, და დღე და ღამე იყო მზრუნველ ერთათვის ოვისთა. და ესრეთ კეთილად განვლო ცხოვრება თვისი.

დ ღ ს ი თ ა ღ მ ს ჭ ი ც ხ ე ლ ა უ რ ი ს ა თ ვ ი ს ,
კ ა ვ თ ი ს ხ ე ვ ი ს ა რ ძ ი მ ა ნ დ რ ი ტ ა დ გ ა ნ ა ს ა თ ვ ი ს

შემდგომად ათანასისა დაიდგინა ღოსიოეოს ფიცხელაური არქიმანდრიტად ქვაბთახევის მონასტრისა. ესე არს წერილთა შინა გამოცდილი და უბნობათა. შინა რიტორი. ამანაც იღვაწა მსგავსად, პირველისა და განაახლა ხელახლად მონასტერი და დაადგინა ბერები. ამანვე აღუშენა კარგი წისქვილი გორსა შინა და განუმრავლა შემოსავალი მონასტერსა; და მერე თანამოყვა აქა ანტონი კათოლიკოზსა და თქვენ მიერ შიიღო არხევრობად კავკასის მთისა. და წარსრულმან ქართლად მონათლნა რაოდენნიმე ათასნი სულნი სოთაგან და განუწენა მღვდელნი და კეთილად მწყსიდა ეკკლესიასათა ლვთისათა.

გარნა შურითა ქსნის-ერისთავთაგან და მუნებურისა მთავარ-
მართებელისა ტიშევისაგან, კაცისა მოქრთამისა და განუძლო-
მელისაგან, სიცრუით შესმენილ იქმნა და ბრძანებითა თქვე-
ნითა მოწოდებული სცხოვრებს აწ მოსკოვსა შინა.

რომელთამა ჩართველთა და იმპრეზისა ღირსობა კაცთველთა

თვის გამისა ანთონი ჭავილელისა,
დაღიანის გისა

ანტონი ჭუკინდელი, დადიანის ქ. ესე იყო სწავლასა შინა
საფილოსოფოსოსა და სამღვთისმეტყველოსა შინა გამოცდი-
ლი, პირველი მოქადაგე, რომელმან აღწერა მთლად ყოველთა
დღისა წლის ქადაგება, მსგავსად მინიატისა, მშვენიერი. ამან
დროსა პირველისა მეფის სოლომონისასა დაუყო პირი ბაასსა
ზედა ლათინთა პატრისა, კაცსა მეცნიერსა და არწმუნა სული-
სა წმინდისა მხოლოდ მამისაგან გამოსვლა. და ამან კეთილად
დამწყსო ეკკლესია თვისი, და მერე დაუტევა თანამდებობა
თვისი და მისცა ადგილი იგი ძმისწულსა თვისსა ბესარიონ
ჭუკინდელსა.

თვის ღირსოსა გამისა სერაპიონ.
ნათლისმისა მონასტრის მონასტრი
ჭინამდებარებისა

ესე ღირსი მამა სერაპიონ იყო იმერეთით. და ესე დადგი-
ნებულ იქმნა მეფისა ირაკლისაგან წინამძღვრად ნათლისმცე-
მელის მონასტრისა, რომელმანცა იღვაწა კეთილად. ხოლო
სიმშევიდოთა და მარხვა-მოთმინებითა მსგავსებდა ძველთა წმინ-
დათა მამათა. ამან მიაწია საზომსა სასწაულთ-მოქმედებისასა,
რომელ ჟამსა ამისსა იყო დიდი ლეკიანობა, და უდაბნოსა სა-
ჭიროებისათვის წარვიდა სოფელსა შინა მოსარეწველად ორი-
სა თვისისა და მიმავალსა გზასა ზედა დახვდენ
ლეკნი ვიდრე ასოთხმოცამდინ კაცი, და შეიძყრეს ერთი დია-
კვანი მისი. მაშინ სერაპიონ გამოისახა ჯვარი და შეუტია, ყა-
ვარჯენისა ხელში მპყრობელმან..და ოდეს ვის გარდაუქნევ-

დის, ივლტოდენ პირისაგან მისისა. და ესრეთ განარინა დიპ-კვანი იგი, და თვითცა მშეიღობით განვიდა, ვერლა მიმხლოებელნი ლეკნი მისდამი. ხოლო შემდგომად ლეკთა მათგან მოიწია ანბავი, რომელ ბერი იგი ოდეს ყავარჯენსა მას გარ, დმოგვიქნევდის, მუნიდგან გამოხდებოდის ცეცხლი შემწელი, რომლისა გამო ყოველნივე ვიქმნენით განტოლვილ. უკანასკნელი იღვაწა ფრიად და ჟამსა მხცოვანებისასა უფლისად განისვენა. და თხოვისამებრ მისისა დაფლეს ეკკლესიისა კარისა შესავალსა გარეთ ადგილსა, რათა შემავალნი დასთრგუნვიდენ ფერხით. და ესრეთ დაასრულა დღენი თვისნი. და სხვანიცა სასწაულნი ქმნა, რომელიცა არს აღწერილ ცხოვრებასა მისსა.

თვის გამისა გერმანი დაზუდებული

ესე გერმანე დაყუდებული იყო იმერეთით. ამან დაუტევა მშობელნი თვისნი და იქმნა მონაზონ და მარტოებით სცხოვრებდა წელ რაოდენმე მარხვითა და ლოცვითა, რომელ ყოველთვის შეინახამდის შეიდეულსა. ამას მრავალგზის ბრძეს სულთა არაწმინდათა სხვადასხვა სახედ, გარნა ვერ უძლეს შერყევა მისი. ესეცა მიიწია სასწაულთ-მოქმედებისა მადლსა შინა, და ჰყო რაოდენნიმე სასწაულნი. და უკანასკნელ ჟამს მხცოვანებისასა იმარხულა რომეოცი დღე და ეზიარა წმინდასა საიდუმლოსა. და ესრეთ სული თვისი შევედრა ხელთა შინა ლვთისათა.

თვის გამისა სვიმორნ გარმაჯის ჭინამძღვანისა

სვიმეონ წინამძღვარი დავით-გარეჯის მონასტერისა. ესე იყო სომხითელი რნაურიძე. ამან მრავალი ლვაწლი აჩვენა მონასტრისათვის თვისისა. იყო ფრიად ლირი და წმინდათა წორის შესარაცხი. ამან სცნა სულითა, რომელ მხედრობა მეფის თეიმურაზისა და ირაკლისა იძლეოდენ ჭარელთაგან და აუწყა მეფეთა, რათა არა წარვიდენ მათზედა. გარნა არა უსმინეს და იძლივნენ მათგან. უკანასკნელ სცხოვრებდა მონასტრისა და კალმასობა.

ტერსა შინა, რომელსა ღვთისმშობელისა ხატიცა გამოელაპა-
ჩაკა. ხოლო ერთისა დღესა, ხარებობისასა, არა აქენდათ თევ-
ზი მონასტერსა მას შინა მცხოვრებთა და სწუხდენ ამისათ-
ვის. ხოლო მამა ესე ნუგეშინის-სცემდა. შემდგომად წირვისა
ენებათ, რათა ესერათ საღილსა ზედა. ხოლო მამამან ამან
ჰრევა: „მცირედ მაცალეთ, შვილნო, რათა შევიდე სენაკსა
ჩემსა“. მაშინ ევედრა ღმერთისა მამა ესე და გამოვიდა გარე,
რომელსა ელოდნენ კრებულნი. უამსა ამას მოფრინდა პირის-
პირ ამათსა ორბი ერთი, რომელსა ეპყრა ფერხითა ორაგული
დიდი და შთამოაგდო საშვალ მონასტერისა, რომელ ჯერეთცა
ცოცხალი იყო ორაგული იგი. მაშინ ჰრევა მამამან: „აჰა, შვილ-
ნო, მოგივლინა თქვენ ღმერთმან ნუგეში, აღიღეთ და შეაგ-
ბეთ ეგე და მერე ვისეროთ“. რომელ ყოველნი მაღლობელნი
ღვთისა კრებულნი აღივსნეს სიხარულითა და ისერეს მად-
ლობისა შემწირველთა ღვთისადმი.

ჩ ა რ უ მ ი ძ ე ღ მ ნ ღ რ ე ს ა თ ვ ი ს

ქარუმიძე ონოფრე იყო ერისკაცობასა შინა სამხედრო საქ-
მისა მოყვარულ. და ამან მონასტერსა შინა ინება წარსვლად
მოსალოცველად. ოდეს იხილა წმინდანი ესე ადგილნი, მაშინ
წარმოსრულმან მისცა განგება სახლეულებათა თვისთა და
თვით იდუმალ მოვიდა გარესჯის მონასტერსა შინა და იქმნა
მონოზონ. და მერე ტაოდენისამე ხანისა შემდგომად შთავიდა
მღვიმესა შინა დავით-გარეჯელისასა, საღაცა ასაფლავია წმინ-
და იგი, და მუნ დაყუდებით სცხოვრებდა შვიდეულისა და ორ-
მეოცისა დღისა მარხულობითა. და ესეცა მიიწია მაღლსა
სასწაულთ-მოქმედებისასა, და ესრეთ სიწმინდით დაასრულა
ცხოვრება თვისი.

ი ღ ს ე ბ მ ღ ხ ე ვ ი ს ა თ ვ ი ს

იოსებ მოხევე, მღვდელი. ესე იყო ფრიად სიწმინდის მოყ-
ვარე და მემარხულე, რომელ ყოველგან განათქვა სათნოება
ამისი. ესე ნებითა ღვთისათა აღვიდა მყინვარის მთასა შინა,
კაცთაგან შეუვალსა; და იხილა მუნ კარავი და აკვანი აბრა-
ამისა მამათმთავრისა, რომელ ჯერეთცა არვინ აღსრულარს.

მთასა მას, და მოართო მეფესა ირაკლის ნაჭერი კარავისა მის. და ესეცა მიიწია საზომხა სასწაულთ-მოქმედებისასა და ესრეთ უფლისად დაიძინა.

თ ვ ი ს ი ღ ს ე ბ კ ა თ ღ ლ ი პ ღ ზ ი ს ა ხ ე რ- ხ ე უ ლ ი ძ ი ს ა, ღ ი რ ს ი ს ა გ ა შ ე მ ა ს ა თ ა ვ რ ი ს ა

იოსებ კათოლიკოზი ჯანდიერის შვილი, ხერხეულიძე. ესე იყო პირველად ანტონი კათოლიკოზისა, საღმრთოთა წერილთა შინა გამოცდილი, ხოლო მონოზონებით სრული და დიდი სიწმინდის მოყვარე. ამან კეთილად დამწყსო ეკკლესია თვისი და შერე დაუტევა საყდარი თვისი. და ამის ადგილს დაჯდა ანტონი პირველი კათოლიკოზად. ესე იოსებ წარვიდა კახეთს ახმეტას შინა და სცხოვრებდა მუნ ხარჯაშნელისა სამყოფსა ადგილსა შინა. და იყო დიდსა ღვაწლსა და ლოცვასა შინა, რომელიცა მიიწია სასწაულისა მაღლსა შინა და მრავალნი სნეულნი განკურნა, და ბრმასაც აღუხილნა თვალნი. და ესრეთ სიწმინდით მოხუცებულმან სული თვისი შევეღრა ღმერთსა.

თ ვ ი ს ღ ი რ ს თ ა გ ა მ ა თ ა ჯ ა ვ ა რ ი ძ ი ს ა დ ა ფ ა ლ ვ ა ნ ი ს უ ვ ი ს ა

ღირსნი მამანი და განშორვებულნი მარტო მცხოვრებნი არიან იმერეთს რაჭისა მთას- შინა ჯაფარიძე და ქართლსა შინა თავადი ფალვენისშვილი, მთასა ყინვარისასა თიულეთს. და ესენიც არიან მიწევნილ მაღლსა სასწაულისასა და სცხოვრებენ ვითარცა პირველ განშორვებულნი მამანი მარხულობითა და ლოცვითა.

ს ხ ვ ა ნ ი ე კ ა ლ ე ს ი ი ს მ ს ა ხ უ რ ი ნ ი გ გ ა ლ ტ- ბ ე ჭ მ ა ფ ი გ ა რ ა რ ი ნ ი ჭ ა რ ი ს ა დ ა ი გ ა რ ე თ ს ჭ ი ნ ა

პირველი მგალობელი ჭალაქანიძე გიორგი, რომელიც იყო გურიელი და რომელმანც იცოდა „ჭრელი“ ათასერთი. ამან აღზარდა მრავალნი მგალობელნი, კვალად შვილნი თვისნი. ამანვე აღზარდა მეთოდი, რაჭის ერისთავის შვილი, მდივანბეგი ქართლისა, მსგავსად მეგალობლობასა შინა თვისსაებრ

სრული, იყო ჩინებული მგალობელი. იესელა კანდელაკის შვილი, ეგნატე და ლიაბუა, ოქროპირი და სხვანი პირველნი მგალობელი და კეთილად შემწყობნი ხმათანი. ხოლო ქართლსა შინა—კირილე მთავარეპისკოპოსი ციციშვილი, იოათამ მგალობელი, დიმიტრი გარსევანიშვილი, კოკია და სოლომონ, მელევინეთხუცისშვილი პაატა. ესენი საკუთრად მეფისა ირაკლისა იყვნენ მგალობელ-მწიგნობარნი. და ისწავლესცა მრავალთა; და სხვანიცა მრავალნი, რომელნიცა ყმაშვილნი კაცნიანიან.

ა ხ ლ ა ნ დ ე ლ ნ ი მ ი ტ რ ი კ ო ლ ი ტ - ე პ ი ს ე რ - კ ო ს ნ ი შ ა რ თ ვ ე ლ თ ა დ ა ი მ მ რ ე თ ა ნ ი

ბოდბელი მაყაშვილი იოანე აღიზარდა ნათლისცემლის მონასტერსა შინა, და მერე მეფისა ირაკლისაგან დაიღგინა ბოდბელად. ესე გამოცდილია სალმრთოთა წერილთა შინა. ამან იღვაწა კეთილად ეკკლესიასა თვისსა ზედა და ალუშენნა კარგნი შენობანი, უმუშავნა ვეზახი, და კეთილად ჰმწყსის სამწყსოსა თვისსა.

მსგავსად ამისავე გელათელი ევთვიმე, გურიის ერისთავის ძე, სიყრმითგან ვიდრე სიბერელმდე სიწმინდის მოყვარე, სამთა შეფეთა მსახურებელი, ესე იგი, მეფისა სოლომონისა, დავითისა და მეორე მეფის სოლომონისა, ეკკლესიათა თვისთა კეთილად შემამკობელი, და მარხულობასა შინაცა ქებული. ამას რომელსამე მიზეზით მიეცა სანდურავი მეფესა თვისთა თანა და მერეთ იწყო მსახურება უმაღლესისა კარისადმი თქვენისა. გარნა შურითა ესეცა მოკლებულ იქმნა საყვრისაგან თქვენისა და მოყვანებულ აქა.

ჭუთათელიცა დოსითეოს წერეთელი, კაცი პატიოსანი და სტუმართ გამსვენებელი. ესეცა დასჯილ იქმნა და განტვირნულ უკრძალულებითა წამოყვანის დროს მხედართა მართებელთაგან.

მთავარეპისკოპოსი ჟიზუაძე. კაცი ლმერთ-შემოსილი და სიწმინდითა სრული, რომელიც ყოველთვის ჰზრდის გლახაკთა ხონისა ქალაქსა შინა სხვადასხვა სენთაგან შეპყრობილთა, ვიდრე ასისა სულისა უმეტეს.

ხოლო სხვანიცა არიან მრავალ ღირსი ქებისა და ეგრეთვე

ზაქარია იმერელი, არქიმანდრიტი გელათისა, რომელიც აღზარდა სწავლასა შინა ეფთვიმე წინამძღვარმან ნათლის-მცემლის მონასტრისამან. ამან იღვაწა კეთილად, ვააკეთა სტანბა. ხუცური შეწევნითა ზურაბ წერეთელისა, სალთჩუცესისათა; და მრავალნი წიგნი დაუბეჭდა იმერთა, რომელი ჯერეთ არა ქონოდათ სტანბად იმერთა. და ესეცა წარმოყვანებულ იქმნა მცირისა მიზეზისათვის.

ახალი გთარგმენი ჩართველი

მეფის ძე დავით, მირიან, ავალისშვილი, ალექსანდრე ჭავჭავაძე, გოდერძი ფირალოვი, იოანე ბაზლიძე, ჩუგუნისშვილი გიორგი, ნიკოლაოზ ჩუგუნისშვილი და იესე მღვდელი, ძმა ამისი, და მიხაილ ფალავანდოვი. ხოლო ასტრახანს სემინარიასა შინა აღზრდილნი: ალექსანდრე მღვდელი და დეკანზი ყიზლარისა პეტრიაშვილი, კახელი; ამისივე ბიძაშვილი მღვდელი ალექსი, და სტეფანე ტიმოთეშვილი, გრიგოლ მღვდელისა, იოანე მღვდელი ჭილაშვილი, სტეფანე ამისი ძმა, და ვასილ ამისივე ძმა: ესენი უცხოდ ზედმიწევნილი სამეცნიეროთა და რუსულისა და ქართულისა ენასა ზედა მშვენიერ შემთხვევლნი, რომელთა მრავალი წიგნი გაღმოილეს ამა ყოველთა მთარგმნელთა, ზემოხსენებულთა თავად აზნაურთა.

და ესრეთ დაასრულა უბნობა ბერმან, და მოახსენა მიტროპოლიტსა: „ესენი უწყოდი სახელდობ ძველნი და ახალნი; და ახლა ვინცავინ თქვენ დროში განისწავლებიან და ანუ ღირსნი და წმინდანი შეიქმნებიან, თუ სიკვდილმან არ მისწრო, იქნება ვიხილო იგინიცა, და სხვათა იზრუნონ აღწერისათვის მათისა“.

მერე უბძანა მიტროპოლიტმან: „ბერო, შენი რატომ არღარა ჰთქვი რა? მე ვიქნები შენთვის აღმწერი“. უბძანა მადლობა, და ჰრქვა: „დია მიამა, რომელ ყოველივე მაცნობე, და ამაზედაც გიმადლი, რომელ მამულისშვილნი არ დაგვიწყებიან, და აწ არღა გვმართებს უმეცრად წოდებად ქართველთა, ვინაფდგან ესეოდენნი სწავლულნი და ღვთისა კაცნი ყოფილან“. და აღდგა ბერი, ეამბორა, და ენება წამოსვლა. მა-

შინ მიტროპოლიტმან უბძანა მოცადება და პრქვა: „ლირს არს მუშაკი სასყიდლისა“, და ერთი საანაფორავე საბერო ფარჩა უბძანა. და მხიარულებით მადლობელი ბერი წარმოვიდა სახლად თვისა.

ს ე ნ ა ტ ო რ თ ა ნ უ ბ ძ ნ ღ ი ს ა თ ვ ი ს

ხოლო ხვალისა-დღე განიზრახა ბერმან, წარვალ და მივართმევ სენატორს * და ვსოდოვ, რათა შემიკერვინოს ფარჩა ესე ანაფორად. მისრულმან ბერმან მიართო ფარჩა ესე სენატორს და მოახსენა: „ესე საანაფორავე მიბოძა ყოვლად-სამღვდელომ მიტროპოლიტმან და გთხოვთ, რათა ინებოთ და მოიღოთ მოწყალება და შემიკერვინოთ ანაფორად, ვინაფდგან ნაკლულევანებასა შინა ვარ“.

ს ე ნ ა ტ ო რ მ ა ნ: ნუ უკვე სოხოე შენ მიტროპოლიტს, ვინაფდგან ქართველები სამღვდელონი შეეჩიიენით გლახაკობას?

ბ ე რ მ ა ნ: მე არა მითხოვნია, შრომისათვის ჩემისა მიბოძა.

ს ე ნ ა ტ ო რ მ ა ნ: და რად იმუშაკე?

ბ ე რ მ ა ნ: რაოდენიმე დღე არს, რომელ დავშვერ მე მოთხოვბითა ქართველთ წმინდათა და მეცნიერთა კაცთა ცხოვრებისა და ლვაწლთა მათთა.

ს ე ნ ა ტ ო რ მ ა ნ: რომლისა ენითა მიუთხარ?

ბ ე რ მ ა ნ: რუსულად.

ს ე ნ ა ტ ო რ მ ა ნ: ჰოდ, დიდად მიკვირს და განკვირვებულვარ, თუ სადა ისწავლე ქართველთ ცხოვრება და ანუ რუსული ენა ქიზიყურმან მუტრუქმან!

ბ ე რ მ ა ნ: უი ჩემ თაგს, მე გვეგონებდი ჯილდოს მიღებას თქვენგან, ვინაფდგან ვაქე ქართველნი და წინაპარნი თქვენნი, და აწ ნაცვლად ჯილდოსა გავილანძლე.

ს ე ნ ა ტ ო რ მ ა ნ: არა თუ გალანძლვისა ღირსი ხარ მხოლოდ, არამედ გალახეისაცა, ვინაფდგან აქაურნი ერნი არა აქებენ ქართველთა, და მეცა თანახმა ვარ მათი,

ბ ე რ მ ა ნ: ჰეგას იგინიცა, რომელნი არა აქებენ ქართველთა, მსგავსნი თქვენნი ყოფილან; ხოლო რომელთან ვაქე მე, ჯილდო მადლობითურთ მივიღე.

ს ე ნ ა ტ ო რ მ ა ნ: თუ ბერი არ იყო, აწვე კიბეზედ თრევით

* თავდაპირველად ამის ნაცვლად ყოფილა მეფის ძეს.

ჩაგატანინებდი, ვინაფლგან მე სხვებ მილაპარაკნია, და აშ ცრულ შევირაცხები.

ბერმან: და რადესათვის ჭეშმარიტი არა სთქვით, ვითარცა ძმანი თქვენი და ძმისწული თქვენი მტყუანთაცა აშართლებენ და მეცადინეობენ დიდებასა ქართველთათვის.

სენატორმან: შენც უგუნური ხარ და უცნობი, და იგი-ნიცა უმეცარ; და ვინ დაგიჯერებთ?

ბერმან: თქვენ სად ისწავლეთ მეცნიერება, მიბძანეთ, და ან რა ნაყოფი გამოილეთ?

სენატორმან: მე აქ აღვიზარდე, და ეს ნაყოფი გამოვი-ლე, რომელ დედაწულითურთ სულ აქ გადმოვაყვანინე.

ბერმან: ჰოდ, ომერთო, კურთხეული შეფე თეიმურაშ და მეფე ირაკლიც მაგისტვის არ მსახურებდენ ნადირშახს, და ინ-დოეთსაც ამისტვის არ ჩაყვნენ, რომ თავისი ოჯახი დაექციათ, ვაშა თქვენს სიქადულსა!

სენატორმან: არ იცი, ამ ხასიათისა ვარ, კეთილი არ-ვის უყო და მინდა ყოველნი გასვრილნი იყვნენ!

ბერმან: რალა გითხრა აშის შეტი: ამერიკაში ერთი გვარი მაიმუნია, რომელსა მეტალახეს ეძახიან. იგი მაიმუნი აღიღებს ტალახსა და აღვალს ხესა ზედა და მუნიდგან მოგზაურთა კაც-თა დაუწყებს სროლასა; ჰონებს იგი, ვითამც გასვაროს ვინმე, გარნა იგი თვით უფრო ისვრება. და ესე იკმაეთ, რომელ ამათ უკეთ უწყიან, თუ ვინ არს ხენეშ და ანუ ვინ არს კეთილ!

მაშინ განრისხნა სენატორი, აღილო ფარჩა იგი და მიარტყა ბერსა მას, და ჰრქვა: „წარვედ, შენ ქიზიყურო ჩოჩინავ!“ რა ბერი მსწრაფლ გამოვიდა გზარე და წარვიდა გზასა თვისსა მწუხარე.

ბერმან იფიქრა გზასა ზედა და წარვიდა მეფის ძეს ვანტან-გთან. რა ბერი შევიდა სახლსა მას შინა, სადაცა იყო მეფის ძე. ბატონისშვილსა დიდად იამა და მოიკითხა ბერი, და ჰრქვა: „საიდამ გიძლვის უფალი, ანუ ეგე რა გიპყრიეს ბოხჩითა?“

ბერმან მოახსენა: „სენატორიდამ გიახელ აქა და ბოხჩასა ამას შინა მაქვს საანაფორე.“

ბატონისშვილმან: „შაჩვენეთ, ვითარი ფარჩა ცრის“. ბერმან მიართო. და მოიწონა მეფის ძემ, და ჰრქვა: „სენატორ-მან გაჩუქა ფარჩა ესე?“

ბერმან განიცინა, და მოახსენა: „არა, ხელმწიფეო ჩემო, არა თუ მაჩუქა, მცირე აკლდა, რომელ არ დამიხია.“

მეფისძე: რადესათვის?

ბერმან: ამისთვის, რომელ მიტროპოლიტს უქე ქართველთა მეცნიერნი და ღირსნი კაცნი, და იმან ჯილდოდ მიბოძა ესე; და მივართვი სენატორს და ვსთხოვე შეეკერვინებინა ჩემთვის ანაფორა, და ნაცვლად წყალობისა და მადლობისა გავილანძლე და განვიპალურე, და აწ გიახელ თქვენ.

მეფისძე: ჭეშმარიტად იმისგან კარგი საქმე არა იქნება რა, და ის საბრალო, რა არის, ესრეთ შურით დანთქმულ არს. იყავ გულდებულ, მე შეგიყერვინებ ჩემს მკერვალს და კიდეც ისა-დილე აქ. და აწ მითხარ, თუ ვითარ იუბენი მიტროპოლიტ-თან.

ბერმან ყოველივე დასაწყისიდგან მოახსენა მიზეზი კითხვა-მიგებისა და მისგან მადლობისა თქმა და ამება მათისა ის-ტორიათა ცნობისათვის

მეფისძე: წარმოდგა და ბერს შუბლზედ აკოცა: „მე ათასი მადლობაც შემომიწირავს, რომ ქართველნი გიდიდებია. და მე ნაცვლად შენისა ისე მოვეპყრობი სენატორს, ვითარცა შვენის იმის პატიოსნებას.

და ბერე მცირისა ხანისა შემდგომად მოიღეს საღილი და ისერეს. უბძანა მკერვალსა და ანაფორაცა გამოუჭრეს. და სთხოვა მეფისძემა: „მრავალის ფიქრით ვარ მოცულ და დი-დიხანია «ქართლის ცხოვრებაც» არლა წარმიკითხავს, გთხოვ შემოკლებით მომითხრა ქართლის ისტორია, რომ მცირედ მა-ინც განვიქარვო ესე კაეშანი“.

ბერმან: მოახსენა: როდის ინებებთ?

მეფისძე: თუ ამაღამ არსად წახვალ, დიდი ღამეებია, და ამით გავატაროთ დროები.

ბერმან: იყავნ ნება თქვენი!

და საღამოსათვის დაუტევეს უბნობა. ბერი აღდგა და წარვი-და საქმესა რადესამე ზედა. ხოლო მწუხრისა დროს მოვიდა კვა-ლად მეფისძესთან. და ბერე იწყო უბნობად საქართველოხსა ისტორიისა ღეოლრატიულისა უკვე გვარითა.

სიგრძე აღგილისა:

ჟიგრძით — 1680 კერსი.
სიგანით — 1470

შდებარეობა. ტრადუსსაჭედა:

შორის 58° ვიდრე 65° -მდე სიგრძით, ხოლო 38° ვიდრე 46° -მდე სიგანით.

კვადრატით კერსი: 352800.

ხოლო მცხოვრებნი ძველად სულნი კაცთანი ვიდრე ოთხი მილიონი. ძველად საქართველოსა სამზღვარი არს აღმოსავლეთით გურგანიის ზღვა (რომელ არს კასპიის ზღვა), დასავლეთით ზღვა პონტიისა (რომელ არს შავი ზღვა), სამხრეთით ქურთისტანის მდინარე (რომელ არს არეზის მდინარე), ხოლო ჩრდილოეთით კერძო, რუსეთით, მცირე თათარია და მთა კავკასიისა.

სახელი ქართლად წოდებული არს ძველადვე ქართლოსის მიერ, მთავრისა საქართველოსა. ხოლო რომელნიმე მეისტორიენი მოუთხრობენ — ქართლი ეწოდა ქართველობისა გამო, ვინაფდგან მინდორსა ქართლისასა ყოველთვის იცის ქარისა ქროლი. ძველად პირველსავე დროსა შინა მთლად აღგილსა ყოველსავე საქართველოსასა ერთი სახელი ეწოდა, რომელ არს ქართლი, ხოლო შემდგომად განყოფისა მიიღეს სხვადასხვა სახელნი, რომელსაც ქვემოთ მოვიხსენებ.

ჰაერი აღგილს ამას შინა მრთელი და ზომიერი, გარნა რაოდენიმე ცივი, ვითარცა კავკასიის მთასა შინა აღგილნი ცივნი, რომელ არს მუნ მთები, რომელსა ზედა ძევს ყოველთვისი

თოვლი, ვითარცა ბრუდსაბძელსა და მყინვარის მთას ზედა
და სხვაგანაც. აგრეთვე არს ადგილნიცა ცხელნი, ვითარცა
შაქ-შირვანსა შინა, განჯას, ალაზნის პირასა, და იორსა, და
ყარაიის გარშემო, რომელ მრავალჯერ სიცხე აღემატების ზაფ-
ხულით ვიდრე ოცდა ათიდამ ორმოც ლრადუსამდის. ესე
ჲახელვე არს ციცნი ადგილნი სამხრეთს-კერძო, ვითარცა გოქ-
ჩის მთები, ყარალაჯის მთა და თრიალეთის ნაწილებიცა, რო-
მელ ზამთრით მოვალს დია ზეგრი თოვლი, თითქმის სამი-ოთ-
ხი ადლი სიმაღლით. და გასტანობს გრძლად ზამთარი.

ქვეყანა ესე თითქმის ყოველგან მოსავლიანი, რომელსა შინა
მოდის პური, ბრინჯი, ქერი, ფეტვი, სიმინდი; სამარხოები
სხვადასხვა გვარნი: მუხუდო, ლობიო. ცერცვი, ბარდა, ცუ-
ლისპირა, ოსპი, შაშა, ზაფრანა. და თამბაქო, და სხვა თეს-
ლეულნი: სელი, რომლისაგან ხდიან ზეთსა კეთილსა, ბანბა და
აბრეშუმი აგრეთვე მოსცემს მრავალსა თაფლსა და წმინდა-
თა სამთელთ. ა ბალები და ვენახნი, რომლისაგან აყენებენ უცხო
ლეინოთა მრავლობით. და ბოსტნეულნი ფრიად ნაყოფიერნი
ხეხილებითა და ბოსტნეულების ნაყოფებითა, რომელ მრავ-
ლობით მოდის. ყურძნენი, ლელვი, ბროჭეული კომშნი სხვადა-
სხვა გვარნი, ვაშლნი სხვადასხვა გვარნი, აგრეთვე მსხალნი,
ნუში, კაკალი, თხილი, ზეთის ხილი, საკმლის ხე, ატამნი საუ-
კეთესონი, ბლები, თუთა, და უნაბი, ქლიავნი, ალუჩა, ჭერამნი
და ყაისნი, და ტყემალნი, და დამასხნი, ხურმა, წაბლი, ზღმარტ-
ლნი, შინდნი, კუნელი, კვრინჩხნი და კოჭახურნი და მოცხარნი,
კუნკრუშა და მოცვი, და მსგავსნი ამათნი, მაჟალო და პანტა,
რომელნიცა მრავლობით მოვლენ ტყეთა და მთებთა შორის.
ბოსტნეულთა შინა მოვლენ: ნესვი, საზამთრო, კიტრი, გოგრა,
ბადრიჯანი, კომბოსტო, ხახნი, სტაფილო და სხვადასხვა
მხალნი და მწვანილნი; ხოლო მინდორთა შორის: მარწყვნი,
ჟოლო და ესე ვითარნი, რომელნიცა გარდამეტებით არიან, და
აგრეთვე სატაცურო, ენდროცა არს მრავლობით. ხოლო რომელ-
თამე კერძოთა საქართველოსათა, შავისა ზღვის მხარეს, მო-
ვალს ლიმონი და პორთუგალი, და რომელთამე ადგილთა შინა
იპოვება პილპილის ხე და ზირიშვის ხე; და არს მრავლობით ფშა-
ტიცა. აგრეთვე მცენარეობენ მრავალნი სხვადასხვა სამკურნა-

ლო ბალახნი, ვითარცა ლიშპანიასა და იტალიასა შინა. კვალად არს მრავალგვარნი ვარდნი, ზამპახნი, იასამანნი, აგრეთვე ზირა და კვლიავიცა და მსგავსნი სუნოვანნი ბალახნი, და ბუჩქნი, და ფერადის საღებავნი ბალახნი. ტყითა არს ქებული აღგილნი საქართველოსანი გარდა თრიალეთისა, რომელსა შინა არს ფრიად დიდნი და გრძელნი ფიჭვის ხეები, ნაძვი, სოჭი საშენებელად სახლებისათვის, აგრეთვე არს ურთხელი, მურყანი, ქრცხილა, დაფნი, აკაკი, ბზა, ნაკერჩხალი, მუხა, ჭანდარნი, ცაცხვი და ჩინარნი, ლექის ხე, კიპაროზი ანუ საროს ხე, არაყი, თელა, თამელი, წაბლია, მწიფელი და ხე წითელი, რომელ ესე ყოველნი სახმარ არიან სადურგლოსა და სახუროსა სახმარობასა შინა. და ამა ხეთა შორის არიან მრავალნი ჯავარიანი ხეები, აგრეთვე სხვანი მრავალნი ხენი, აგრეთვე არს თრიმელი ტყაყთათვის მოსახმარებლად, და კალაქვის ბალახი, და სხვანი მსგავსნი ამასნი და მრავალი.

საძოვარნი მინდორნი და მთები და სათიბნი დია უხებერ ქვეყანასა ამას შინა, ჩინებულნი მინდორნი არიან დიდნი საქართველოსანი: შირაქი, ყარაიის მინდორი, სამგორი, ჩაღივარა ვიდრე „გაიპარა“ მინდვრამდის, ჯილდი და ტირიფონა, აგრეთვე სურამიდამ ფცამდის მინდორი, ხოლო შედეგი ამისნი მრავალ.

მთები: უპირველესი მაღალი მთა არს არარატისა, რომელსა ზედა არს კიდობანი ნოესი და ყოველთვის თოვლიანი. აგრეთვე აღლაღანიდამ დაწყებული მთა ვიდრე ყარაბაღამდის და ახალციხიდამ დაწყებული მთა ვიდრე სოლალულამდის. აგრეთვე კლარჯეთის მთა და ლიხისა ვიდრე კავკასიის მთიდან დაწყებული შავ ზღვამდის. და კავკასიის მთა, დაწყებული შავის ზღვიდამ ვიდრე კასპიის ზღვადმდე; რომელიცა დასრულდება კასპიის ზღვასა სანაპიროსა ზედა. და იმერ კასპიის ზღვისა კვალად მოებმის მთა და შთავა სინდეთის სახელმწიფოსამდის. ესსახედვე წვრილნი მთებნიცა მრავალ არიან, ვითარცა ცივი, გომბორი, იალნო, დემურდალი და ყაჯისდალი, იალუჯა, ლილო, და კოჯორი, კვერნაკი, და სხვანი, რომელნიცა დია ნოჟიერობენ ბალახითა და ჭალიად გაასუქებენ მჭლე საქონელთა მუნ მძოვნელთა.

მდინარენი საქართველოსა შინა არს უდიდესი სხვათა
მდინარებთა ზედა მტკვარი, ლიახვი, და პატარა ლიახვი, ქსა-
ნისა და არაგვის წყალი, რომელიცა ერთვიან მტკვარსა, ქცია,
და დებედე, და ესენიცა ერთვიან მტკვარსა; იორი და ალაზა-
ნი, და ესენიცა ერთვიან მტკვარსა; არფაჩაი, რომელიც ერ-
თვის არეზის მდინარეს, და სხვანი წვრილნი მდინარეები, რო-
მელიც ერთვიან მტკვარსა; და მერე შეერთვიან ესე ყოველნი
არეზის მდინარესა, და მერე შეერთვიან კასპიის ზღვასა. ხო-
ლო თერგი შეეყრება კასპიის ზღვასა. იმერეთისა მდინარენი:
ძირულა და ყვირილა, წყალწითელი, ხანის-წყალი და რიო-
ნი, რომელიცა შეიყრებიან ერთად, და მერე შეერთვის ცხენის
წყალსა, და სხვანიცა წვრილნი წყლები; და ესენი შეერთვიან
ყოველნივე შავსა ზღვასა, აგრეთვე ენგურისა მდინარე და
მარსილისა წყალი ერთვიან შავსა ზღვასა, და გურიის წყალი,
ამა მდინარეთა შინა არიან სხვადასხვა უკვე გვარნი თევზნი
მრავლობით და გემრიელნი საჭმელად, რომელნიცა არიან სა-
ხელდობ: ორაგული, ზუთხი, ანდაკია, რომელ არს აღბალუხი
ანუ თეთრი თევზი; ფორაჯი, რომელ არს თართი, კალმახი,
ორაგულის შვილი, რომელსა გოჭს უწოდებენ, კაბოეტი, ფიჩ-
ხული, სვია ანუ ფარგა, ბოლოწითელი. ფიჩხული, გოჭა, ჭანა-
რი, მურწა, მწვერა, ლოქო ანუ ლლავი, ლორჯო, ქაშაბი, შა-
მაია, ქორჭილო, ნაფოტა; ტაბაკა თევზი, გველ-თევზა, ქარსა-
ლა, და სხვანი წვრილნი თევზნი, კიბო, კიბორჩხალა და
ნიუარა

ხოლო ამა წყლებთაგან, რომელთაგანც ირწყვიან მიწანი და
სარგებლობენ ერნი მოსავალითა, არიან ესენი: დებედა, ქცია,
იორი, ქსანი და ლიახვები. ხოლო სხვანი ესეგვარითა შინა-
სახმარობათა პრა იხმარებიან, მხოლოდ მტკვარის წყლით
მოიტანენ ტივის ხეებსა საშენებელსა სახლებისათვის.

ტბები ჩინებულნი: გელაქუნის ტბა, რომელ არ გოქ-
ჩის ტბა. ამა ტბასა შინა ყოველსა თვესა სხვადასხვა თევზნი
იჭირებიან, ესე იგი გელაქური, ბახტა, თეთრი თევზი და
სხვანი. ამა ტბისა სიდიდე არს სიგძით ორმოცი გერსი, ხოლო
სიგანით თუთხმეტი; რომლისაგან გამოდის ზანგის მდინარე
და შისლის ერუვანს.

გარდა ამისა არს ჩინებული ტბა თავთარავანისა, კალმახით სავსე, ხოლო სიდიდითა —შვიდი ვერსი სიგრძე და სამიიღენ სიგანე. აგრეთვე ტბისყურიცა თევზითა სავსე. პალიასტომის ტბა, მსგავსი ამათი სიდიდით, რომლისა ტოტი ერთვის შავს ზღვასა, და არს ამასა შინა მრავალნი თევზნი სხვადასხვა გვარნი მრავლობით. აგრეთვე ტბა მაღრანდოლეთისა და უამურისა, რომელიც სათავე არის ლიახვისა, ქსნისა და არაგვისა, სიგრძით ხუთი ვერსი, სიგანით ნახევარ ვერსი. ამას შინა არს წვრილი საღაფი, რომლისაგან ჭიოტა მარგალიტი მოიპოვების ხოლო სხვანი წვრილნი ტბანი, ვითარცა ბაზალეთისა, ლილოსი და კუმისისა, რომელშიაც მხოლოდ სხენან წურბელანი, და არიან უთევვზო.

თხევდები ცხოველნი: შინაურნი არიან მრავლობით ცხენი კარგნი, მშვენიერნი და კარგნი გამქცევნი, ხარნი, ზროხანი, კამბეჩნი მრავლობით, ჯორნი და სახედარნი ანუ ვირები; ჰყავთ აქლემებიცა — და მოშენდებიან ესენიცა; ამასთან მრავლობით ცხოვარნი, თხანი და ლორები მრავლობითი. ხოლო გარეულნი ცხოველნი არიან: ვეფხვი, ოდესმე ტიგრიცა, და აფთარი, მგელი, დათვი, მელა, ტურა, კვერნა და კატუნი, ფოცხვერი, გარეული ლორნი დიდროანნი, ირემნი, ქურციკი გინა ჯერანი, მშველი, გარეული თხა, ნიამორი ანუ ფსიტი, ჯიხვი, არჩვი, კურდღლელი, მაჩვნი. სხვადასხვაგვარნი ძალლები და კატები არიან მრავლობით. ხოლო ქვეწარმავალნი არიან: გველი, კუდ, ბაყაყი, ხვლიკი, ჯოჯო ანუ იგრი, მორიელი, თხუნელა და თაგვნი სხვადასხვა გვარნი, და აგრეთვე მრავალგვარნი ჭინჭველნი, და ბუზები ანუ ბზიკნი, და მეალნი.

ფრინველნი შინაურნი: ქათამი, იხდაური ქათამი, ბატი და ტრედი. ხოლო გარეულნი: ხოხობი, დურაჯი, კაკაბი, გნოლი, მწყერი, ქედანი, გვრიტი, იხვი, ბატი, სავათი, ყანჩი ანუ ოყარი, იროდია ანუ ლაკლაკი თეთრი და შავი, როჭო, შურთხი, ვარხვი ანუ პილაკონი, ყარაულა ანუ ყარაბათლალი, ზღვის იხვი და გერგეტი ანუ ყუი. ხოლო მტაცებელნი ფრინველნი: ქორი სხვადასხვაგვარი, მიმინო, შავარდენი, არწივი ჭლდისა და წყლისა, სვავი, ყაჯარი, ძერთა მეფე, ძერძერუკი, ზარნაშ, და ბუდ, ბუქ[ი]ოტი, ჭოტი, ძერა, კირკიტი, თვალშავი, და მარჯანი, ბაბაყული ანუ თეთრი ძერა, ყორანი, ყვავი,

შლამიობი, ღამურა, ოლოლი, სირკაჭკაჭი, ყვავი, ჭილყვავი. და კაჭკაჭი, ჩხიკვი და ხაურ, და ყაბყაბი; აგრეთვე ჟღრი ანუ ჭივ-ჭივი, შაშვი, შროშანი, ბულბული, ყაზალალი, საყა, ტორო-ლა, ჭვინტავა, კვირიონი, მოლაღური, და სხვანი მრავალნი წვრილნი ფრინველნი და მგალობელნი; ეგრეთვე ჩხართვი, და ბოლოშავი, წყალწყალა, და წყლის შაშვი, ზარდიონი ანუ ცხრამუცელა, და კიალა, მერცხალი, წერო, სარსარაკი, და ფარშავანგნი.

შეტალნი, მინერალნი და მაღანნი. ამა ადგილებთა შორის არს მრავალნი მაღანნი ვერცხლისა, ოქროსა, ტყვიისა ანუ პრპენისა, სპილენძისა, რკინისა და ანთიმონისა. ხოლო მეტალნი იპოებიან: სხვადასხვაგვარნი ქვანი, მსგავსნი ალმასისა და იაგუნდისა, აგრეთვე იამანნი თეთრი და წითელი, სულეიგვანი ანუ ოქრო-ქვა, გინა აყიყი. ესრეთვე არს ლაქვარდი სპილენძისა, დანეი-ფრანგი, დალისტნის მიწა, ხუთონი და ფაზარნი, და შუშია, შავი სემახი, და მარმარილოს ქვა, და სხვანი ქეები კლდისა, და ჯავარიანი ქეები, რომელსა ევროპიელნი უწოდებენ რანიკსა. ხოლო მინერალნი არიან: წყალნი რკინის მაღნისა, მუვე წყალი, და სხვა სამკურნალო წყაროები, აბანოს წყალი, და გოგირდი, და გვარჯილა, ბორა, და შაბი, და სუნოვანნი მიწები, და სხვანი. ესრეთვე არს ნავთი, და კუპრი, და ვეძას წყლები, და მლაშე წყარო, რომელი მარილის ნაცვლად იხმარების.

ფიზიკური ვითარება მცხოვრებთა ამა ქვეყანისათა, რომელთაცა აქვთ ზნეჩვეულება და ტანისამოსო და შეხედულება და მორფ-ნაკვეთობა.

ქართველნი ტანით წარმოსალგენნი, სახით მშვენიერნი, თეთრ-ყირმიზნი, შავ-თმანი და უფროსიერთნი თვალშავნი. ხოლო ქალნი უზომოდ მშვენიერნი, ტანადნი, თმა-გრძელნი, თეთრ-ყირმიზნი, მხიარულნი და ერდგულნი მეუღლეთა თვისთა, და მყვარებელნი შვილთა და მონათესავეთა თვისთა.

ქართველნი ჭირთა და ლხინთა შინა ერთი მეორისა შემწენი, მამაცობითა კარგნი და მტერთა შემმართებელნი, ცხენოსნობა-შიაც ქებულნი, და ქვევითათაც შორს მსვლელნი, საჭურველთა და ცხენებთა მოყვარულნი; ზღილობასა შინა კარ-

გნი, სტუმართ-მოყვარენი და უცხოთ შემწყნარებელნი, გარნა მცირედ ამაყნი, მალ-განრისხებაღნი, და ლალნი, მეჯლიშთა შინა მოზმე-მოზუმარნი, და ერთი მეორესთან მიწვეულნი—ლცხოდ გამცხრომნი, მგალობელ და მომლერალნი; ამასთან უშურველნი, უკეთუ ვინმე ვისამე სოხოვდეს რასმე. გარნა იკონომოსობასა შინა ცუდნი, საქმეთა შინა სუსტნი, ადვილ დამჯერებელნი სიტყვათა და მალე გამდრეკნი უამსა შემთხვეულებისა რავსამე ზედა; მიმბაძავნი სხვათა ქვეყანისა კაცთა ყოფაქცევისა და ტანისამოსისა; მეცადინენი და მჩერებელნი სწავლათა, და დიდად მახვილ-გონებიანნი, საქმეთა ფრიად მიმხდომნი, გარნა სუსტნი საქმეთა შინა, საქვეყნო სარგებელთა არა მძიებელნი, ოლონდ თვით ირგონ რავმე; თვისთა უფროსთა მალე უარმყოფელნი გამორჩომისა მიზეზისა გამო, და ამასთან მეშურნენი და მძეზღებელნი ერთი მეორისა მეუფროსისადმი თვისისა, ჭორისა და ცუდ-მიმოთქმისა მოყვარენი, და ცუდის საქმისა ამყოლნი და თავხედნიცა; გარნა კეთილის-მყოფელთაცა ეცდებიან ნაცვალ-გებასა. ხოლო მათ ჭორის მცხოვრებნი მთისკაცნი კარგნი წარმოსადეგნი, მშვენიერნი ქალჭაცნი, და მუშაკნი მამულისა, კარგნი მამაცნი, გარნა ავაზაკნი და ქურდნი, საუბარსა შინა და თვისისა სასარგებლოსა საქმესა ზედა ჭკვიან-მოუბარნი, სტუმართ შემწყნარებელნი და კარგნი მიმღებნი და დამხვედრნი, იკონომოსობასა შინაცა კარგნი.

ტანისამოსი: მცელად ქართლოსიანთა დროსა სცმიათ ქართველთა გრძელი ფეხებამდის პერანგი და პერანგის ამხანაგი, და ჩახჩურივით პაჭიჭი, და წვივსაკრავი, ახალუხი გრძელი დაბამბული და გულგარდაფარებული, კაბაც გრძელი, და სარტყელი საშუალ წელისა; ზეიდამ ბეწვეული საცმელი მუხლებამდის გრძელი, მსგავსად ჯუბისა სახელ-ვიწრო, და გამოყრილი მკლავნი მას შინა, და პტყლად დადებული ორისავე მხარეს გულისა ბეწვი, და კისერზედაც მოვლებული. გარნა ყელი ჰქონიათ შიშველი. ქუდიც ბეწვითა შეკერლი, ყალამა მოკლე და დაბალი, და სარქველო ქუდისა გარდაშვებული ვიდრე ბეჭებაღმდე, და ფოშტლის სახე ფეხსაცმელნი. ესგვარვე ქალებთა სცმიათ, ვითარცა ურიათა ქალებთა საცმელი.

ხოლო უკანასკნელთა დროთა შინა პერანგი მოკლე და სა-

ყელოც დაბალი, ახალუხიც მოკლე მუხლამდის და ჩოხაცა, ქუ-
დი უფრო მაღალი და სარქველიცა ყალმის თანასწორე. სარ-
ტყელი და ფეხთსაცმელი, პაჭიჭი, წინდა, ჯუარაბი, წვიგსაჭ-
რავი, წუღა, და ქოში, აგრეთვე წალა. ხოლო გლეხეაცთათვის
ქალამანი. ტანისამოსი ვის ვითარ ძალედვათ: მაუდი, ხავედი,
ფარჩა, დარია, და ესე ვითარნი. ჩაიცვამდენ დიდებული და
მოხელე და ვაჭარნი კაცნი: გლეხნი შალთაგან ჩოხასა ჩაქ-
გაჭრილსა, მოკლესა, მუხლებამდინ, და ჩითლეინსა, და ხამა-
სა. და გლეხთა დედაკაცნიცა იცმენ ვითარცა სხვანი მანდი-
ლოსანნი, გარნა ჩითსა და ლეინსა კაბად და სხვად საცმელად,
და თავს იხურევენ თეთრს ნარმას, და თასაკრავსა შემოიკვრენ;
პერანგის გული გაჭრილი აქვთ. და გრძელი პერანგი, და უვ-
ლიათ გარემო გრძელი შავი აბრეშუმისა ანუ მატყლისა, ჩა-
ირჭმენ ქინძისთავს, და დაამაგრებენ საშუალ მკერდისა გრძ-
ხილისა მას, და უჩანთ ნახევარ-მკერდი ყელამდისინ ტიტველი.
ხოლო პერანგისა ამხანაგს ტოტთა იქმონენ ვიწროსა და შეკერ-
ვენ ორი თითის დადებას ფერადითა და არა იხმარებენ პაჭიშას;
და იცმენ ქოშთა-წუღათა, და სიცივეში წინდათა, რომელ-
ნიმე გლეხთა დედაკაცნი ჩაიცმენ ქალამანთაცა; და ზაფხულ
ეწყობიან ფეხშიშველად სიარულს. დიდებულთა და შემძლეთა
ქალებიც ჩაიცმენ აბრეშუმთაგან ნაქსოვსა ფარჩათა, გრძელთა
ტანისამოსთა, ახალუხსა და ქათიბის გარდა, და პერანგიცა
ისე აცვიათ, ვითარცა ზეით აღვწერეთ; და თავსაც ისე ხუ-
რავთ, წმინდა მარმაშის თეთრნი ლეჩაქნი, და მუმის ხელსახოც-
ნი აკრავან; ხოლო სარტყელსა წვერებ-შთამოტაებულსა ირ-
ტყმენ. და ოდეს მოირთვიან, ვისაც ძალუცსა, ჩამოსულებს
იხმარებენ გულზედ მარგალიტითა და თვლით შეკერილს სამზ-
თითის სიბრტყეს, და შეიბმენ მნიაქს თუ ყელსაბამს, და პი-
რის მარგალიტსა ჩამოიკიდებენ კისერზედ, ოქროს ჯაჭვსა და
ოქროს ჯვარსა ყელზედ, და საყურეთა ძეირფასთა. და რო-
მელნიმე იხმარებენ ყანჩასა-ჯილასა და თითასა-აშბარჩას და-
რომელნიმე მარტოდ თითასა, და იალქანსა და სხვათა იარაღ-
თა, და გულზედ ღილსა, ბუღეშურად ქმნილსა მარგალიტითა
ანუ თვლებითა მოოჭვილს; იხმარებენ ქალნი ზეიდამ წამოსას-
ხამს ფარჩისას, ქერექალს ანუ მოკლე ქათიბსა, ბეჭდებსა

თითხედ წამოსმით, და მოკლეს კავს დაიდებენ ლაშვებზედ, და გარდმოუტევებენ შეგრეხილს თმასა კოწოლთა ყელ-სა ზედა და უკან ზურგზედ მრავალ დაწნულსა თმასა გარ-დაუტევებენ. მოხუცებულნი დედანი ხმარობენ ჭილ-სარალუჯს და საყბეურს მოოჭილსა, ხოლო გლეხთა ქალნი ხმარობენ საყურეთა, ძივთა შეიბმენ ყელთა, და მეტადრე მთის ხალხი; და ბეჭედსაცა იხმარებენ ქორწილის დროს.

ხოლო უამსა ამხედრებისასა კაცნი ჩაიცმენ ჩექმასა წითელ-სა და შალვარსა, რომელნიმე საცვეთსა და წალასა. ხოლო ქალნი ჩაიცმენ ჩექმასა მწვანესა და იურვენ სამზეურსა თავ-სა ზედა, და წითელსა საწვიმარსა წამოისხმენ. ხოლო მდა-ბალთა ხალხთა დედაკაცები წამოისხმენ ჩადროთა და ქოშებ-ჩაცმულნი შესხდებიან ცხენთა.

საჭმელნი: აქვნდათ ძეველადვე პური სხვადასხვასახედ ნაკ-ვეთით გამომცხვარნი, ესე იგი, მგრგვალი პური, შოთი, სა-გარეჯო, და კაკალა პური, აგრეთვე ქაღა და ნაზუქი, და კუპატიცა. გლეხნი ხმარობენ ოდესმე ქერქრელ პურსა, ესე იგი, ხორბალსა და ქერსა ერთად დაფქვიან და გამოაცხობენ. მთის კაცნი უფრო ხმარობენ ხმიაღსა, ესე იგი, უცომოს და უმარილოს, ნაცარში გამომცხვარს, ხოლო რომელნიმე კეცებ-ში გამომცხვარს, რომელსა ფუნთუშს უწოდებენ. საცხობლად პურისა აქვთ თორნეები ძველადვე, ხოლო უკანასკნელ ქალა-ქებთა შინა შემოიღეს ფურნე, რომელსა შინა აცხობენ ლავაშ-სა ყიზილბაშის გვარზედ, და თორნეშიაც აცხობენ ლავაშს, გარნა თავადნი უფრო.

ხოლო ხორცისა საზოგადოდ ძველად მოხარშევდენ ყალბათ, ესე იგი, შინდის ჩურჩითა, ანუ ტყემალითა წვნიანსა ხორცისა ცხვრისასა. ხოლო ძროხათა ცივად და წვნითა მოხარშავდენ ასრაახუშითა და მწვანილითა. ნადირთა ხორცია უფრო ხმა-რობდენ ლორებად და მწვადად, ქათამთა — ცივად და შემწვა-რად, და ვარიათა ხარშოდ მოხარშვიდნენ. და ესე იყო პირ-ველ, ვიდრე სპარსთაგან და ბერძენთაგან ისწავლიდენ სხვადა-სხვა საჭმელთა, და შაქარლამათა. გლეხნი ხმარობდენ ხშირად ყალიას და წვნიანს ხორცის მწვანილით მოხარშულს და მწვად-სა, რადცა ხორცი. შეხვდებოდათ. აგრეთვე ხმარობენ კორკოტ-

თა, ქაშთა-ფეტვისაგან და რძისაგან მოხარშულს, ხალიფათასა, და ფევილის ფაფასა; ხოლო სხვანი ხალხნი იმერ-ამერნიცა ხმარობენ მჭადას და ღომისა პურის ადგილს. აგრეთვე ხმარობდენ ყველსა, ერბოსა, ნაღებსა, მაწონსა და ღოსა საჭმელთა შინა; და სამარხოთაცა შეაგბობდენ ერბოთი და კვერცხითა. და სმენ ღვინოთა.

მთის კაცნი უფრო ხმარობენ ცივად მოხარშულს ხორცსა, ჩიორით შემგბარსა, და მწვადსა, და მერე დალევენ წვენსა, აცხობენ ხაჭაპურსა, ყველით გამომცხვარსა, და კუპატის სახედ ცომისა, ხორც-დაკეპილით გამომცხვარსა. სმენ ლუდსა ქერისა და სვივისაგან მოღულებულსა, ქერის ყრაყსა და ბურახსა ქატოსაგან დაყენებულსა, ღვინის მაგიერ. და პალბოხასაცა, რომელ არს თაფლუჭი.

საჭურველნი აქვნდათ: ჯავშანი, ხუფთნი, პოლეტიკნი რკინანი, საბარკლულნი, მუზარალნი, ჩაბალახნი, სამკლავენი, ფარნი, ხრმალნი, ხანჯალნი, ჩუგლუგნი, მაზრაკნი, გურჩნი, მშვილდისარნი, შუბნი, ოროლნი, ხიშტნი, წათნი, ქეიბურნი, სარჩა, ქიბორჯი. ხოლო ბრძოლასა შინა ხმარობდენ ჯაჭვთა ტანსაცმელად და ჯავშანთა საბარკლულთა, ხელნავებთა ანუ სამკლავეთა, კაპარჭთა ანუ მშვილდისრებთა, რომელ არს საყალნო, წვრილთა მაზრაკთა ცხენზედ გაკეთებულთა, რომელ არს ზუფინი, რომელსა ხმარობდენ ჯირითსავით სასროლად, შუბთა და ხელშუბათა, გურჩთა, ოროლთა, ხმალთა, ხანჯალთა და ფართა. ხოლო ნადირთათვის სანადიროდ ხმარობდენ: მშვილდისარსა, ბოძალსა, ქეიბერსა, დიდროანთა ნადირთა-თვის-სახოცად, ესე იგი დათვთა, ღორთა, ირემთა, ვეტევთა, მგელთა, ქურციკთა და მშველთა, და სხვათა ოთხფეხთათვის. ხოლო ფრინველთა სანადიროდ ხმარობდენ სეფქასა, წვრილთა ისართა, ყოდალთა, ყოშმალთა და სხარტთა. ხოლო მელათა, კურდლისა, კატუნისა, და ტურისა და კვერნისათვის ხმარობდენ წვრილთა ისართა, სარჩასა და ქიბორჯსა. და ეს-რეთ აქვნდათ გაწყობილობა ძველთა მხედართა ვინემდის თოფს შემოიღებდენ.

სამუშაო იარაღი აქვნდათ, ვითარცა მჭედელთა და დურგალ-ხუროთა: კვერნი, ლინდარი, მარწუხი, გაზი, ქლიბი,

მანგანი, ადიდა; ჩამჩა ანუ გრდემლი, ჩარხნი და გასაჩარხნი რკინანი, და ჩამოსასხმელნი ყალიბი. ესე საზოგადოდ ოქრო-მჭედელთ, რკინის მჭედელთ და მექვაბეთა იარაღნი იყო. ხოლო ხელოსანთა დურგალთა; ეჩო, ცული, შალაშინი, პატარა ხერხი ქლიბი, ფარგალი, ხელეჩო, ციბრუტი, და დანა სა-დურგლო, და სხვა წვრილი იარაღი. ხოლო ხუროთა: ეჩო, და ხერხი. დიდი და ცული. გლეხთა: ცული და წალდი, ბარი, თოხი. და მერე შესძინეს სხვადასხვა იარაღი.

მკერვალთა აქვნდათ ადლისა მაგიერი მწყრთა ერთი, გან-ყოფილი ოთხ ნაწილად, მაკრატელნი, ტყავის სათითე და ნევსნი. და უკანასკნელ აზიელთაგან მიიღეს ადლე ჩარექებად და გრეებად დაყოფილი, და უთო.

ხოლო⁹ სხვათა მოხელეთა—ხარაზთა, სირაჯთა და მეფალ-ნეთა აქვნდათ: სადგისნი, ნევსნი, მახათნი, და მაკრატელნი, და სამოგვის საჭრელი დანები.

საწონი: ძველად იყო სამი კვერცხი, ერთ სტილად ჩაგ-დებული, და სამოცი კვერცხის წონა; ერთ ლიტრად ჩაგდე-ბული, ვითარცა აწცა არს ესე წონა გლეხთა შორის, თუ ვინ რასა გაჰყიდდენ. ხოლო ფქვილთა ასაწონად აქვნდათ ჩანახი, რომელიც იყო სიგრძით და სიგანით ერთი კაცის ფეხის ნების ოდენი, ხოლო სიმაღლით კუნთამდის სიმაღლე.

ღვინისა და სხვათა საწყაო იყო ერთის კაცის ცერზედ სა-მი შემოვლება ძაფისა სიგრძე და სიგანე, და სიმაღლე—რასაც ღვინოს დაიტევდის. ხოლო უკანასკნელ სპარსთაგან მიიღეს თუნგი, ჩარექი, და ნახევარ ლიტრა, და ჩაფი. და მერე სხვა-დასხვა წონა შემოვიდა, ვითარცა: ერთი კოკა, ერთი საპალნე, და ერთი ურემი.

მოხელენი: ძველად იყვნენ მამასახლისად წოდებულნი მეპატრონენი, ხოლო ამათ ხელკვეშეთნი ნაცვალნი, და გზი-რები. საჩივრისა დროსა აღირჩევდენ ბჭეებთა, და საზოგადო საქმისათვის ჰკითხვიდენ. მოხუცებულთა რაოდენთამე ჰკვიანთა კაცთა, და სასულიეროთაცა დაღგინებულთა.

სარწმუნოება. აქვნდათ ძველად ერთისა ღვთისა. თა-უვანისცემა და მსხვერპლთა შეწირვა, ვითარცა დროსა ნოე-სასა. ხოლო უკანასკნელ მიიღეს კერპთთაყვანისცემა, შვილ-

თა შეწირვა, ვარსკვლავთა, მზისა და მთოვარისა პატივისცემა, და მკვდართაცა ჭიმა. და მერე მიიღეს მართლმადიდებლობა ქრისტიანეთი. და ორიან მუნიდგან აქამომდე კეთილმსახურნი, რომელსაც თვითეულად მოუთხრობ თვის-თვისსა ადგილსა. ერნი ძველად იყენეს: ნოეს ძის იათთაესის შთამამავლობისაგან თარგმნისა, და ამის შთამამავლობისაგან ქართლოსისა, რომელ განმრავლდენ ნათესაობანი ამისნი. და ამათა დროთა შინა სპარსთაგან დევნილნი თურქისტნელნი მოვიდნენ მრავალ-სახლეულნი და შემოეხიზნენ ქართველთ, და დასახლდენ ესენი. ეგრეთვე ბაამან სპარსთა ხელმწიფისაგან ტოლვილნი ბერძენნი და ურიანი მოვიდნენ სახლეულობითა თვისითა, და შეიწყნარეს ქართველთა, და დაასახლნეს უშენთა ადგილებთა შინა, მთათა და ბართა, და აღავსნეს ცარიელნი ადგილნი. აგრეთვე ისწავეს ამათგან სხვიდასხვა ხელსაქმარნი.

ხოლო ჟამსა მას შინა უბნობდენ ექვსისა გვარისა ენითა მუნ მცხოვრებნი, ესე იგი, სომხურად, ქართულად, ხაზარულად ანუ ჯილათაისა ენად, ასურულად, ბერძნულად და ებრაულად. ხოლო პირველ ორი ოდენ ენა იყო ხმარებულ, ესე იგი, სომხური და ქართული. და ამათ ერთაგანაც მიიღეს კერპთა მსახურებისა, მსახვრელობისა. და ჯადოქარობისა, და კუდიანობისა ხელოვნებანი. და ამასთან აღრევა მონათესავეთა თვისითა თანა, და მალე უარყოფა და დატევება ცოლთა თვისთა და მიყვანება სხვისა, მრავალცოლობა და ხარაჭთა დასმა.

ბრძოლისა ჟამსა ყოველნი კაცნი ალიჭურებოდნენ, და ჰყვანდათ მაშინ თვისთვისად ადგილებთა ჯარის უფროსნი, ვითარცა ბელადები და ესე ვითარნი. და ერჩდენ ესე ყოველნი მამასახლისისა სიტყვათა.

საკრაფთა ხმარობდენ ჟამსა მას: საყირთა, ჩანგთა, ხუთალთა და დაფთა. ხოლო ჟამსა ომისასა საყირთა და დაფთა სანიშნებელად ჯარისა იხმარებდიან.

ქორწინება არა აქვნდათ; ხოლო მოწმებით და დასწრებით სულიერისა მათისა ითხოვდენ ქალსა. და მის ქალისა დედ-მამათა შეიჯერებდენ თეთრითა და წარიყვანდის მერე კაცი იგი ცოლად თვისა. ვითარცა არს აწ ჩვეულება ოსთა და ჩერქეზთა შინა, რომელსა უწოდებდენ ურათსა; და უმასპინძლევდის მუნ მცხოვრებთა ერთა, ძალისაებრ თვისთა, რომელ-

სა ადგილს იქმნებოდა ქორწილი; და სიმღერითა და მხიარულებითა განატარებდენ დღესა მას.

გაჭრობა ძველად ვერ იყო რიგიან, გარნა ოდეს მოვიდნენ ბერძენი და ურიანი, მათ უმეტეს შესძინეს ვაჭრობა ერთა შორის.

ჟაქსოვარნი ქარხანაზ არა აქვნდათ, გარნა თურქისტ-ნელთა მოსრულთა ერთა იწყეს საფეხჭროსა ხელოვნებისა სწავება. და ქსოვდენ ხამთა, ჩითთა და აბრეშუმთავანცა, და შალთა საჩოხეთა, და აგრეთვე ნოხთა, რომელ არს ხალიჩა, და სხვათა ქვეშსაგებელთა, და სახმარობათა. ძველად აქვნდათ ჭილობნი და ნაბაღნი მოთელილნი ქვეშ საგებად. გარნა ყოველნი კაცნი სხდებოდნენ სკამებთა ზედა, და აქვნდათ გრძელნი სტოლები, ფიცრისაგან ქმნილნი, წინდასადგმელნი პურის საჭმელად.

ზრდილობა ვითარება ურიათ, ესსახედ აქვნდათ, გარნა თავ-შიშველნი მივიდოდნენ თვისთა მეუფროსეებთა თანა.

სწავლა. მხოლოდ სულიერნი მათნი ასწავებდენ დიდებულთა გვართა და ვაჭართა ჯოხებზედ დაჭდევით, მოსაგონებლად საქმისა, თუ პირველის ჭიდით, ანუ ორით, ანუ სამით, და ესრეთ უშორეს დაჭდევით მოსაგონებლად საქმისა; და ლოცვასა, რადესაცა ილოცვებდენ კერპთადმი. და ოდეს შემოიღეს წერა უკანასკნელ, ქალალდის მაგიერ ხმარობდენ თხის ტყავსა გაყვლეფილსა და მოქნილსა, მსგავსად ეტრატისა, და ფიცრთა გათხელებულთა, ხის ქერქთა გათლილთა, და ძროხისა ბეჭთა გამოხარშულთა და ხორც გაძრობილთა, რომელ აწცა ასწავებენ ყრმათა ბეჭთა ზედა წერასა.

ფულად ხმარობდნენ ნაჭერ-ნაჭრად დაჭრილთა რა გაპტყელებულთა ოქროსა, ვერცხლსა და სპილენძსა. და იყო საცვალიცა ერთი მეორესა შინა; ვის რა უხმდა, განუცვლიდიან ნივთსა

მკვდართ დამარხვიდნენ: დიდებულთა უფრო მაღალთა ადგილებთა ზედა, და ტირილით გაყვებოდნენ ხალხნი, ხოლო მღაბალთა — მინდვრებთა ზედა, სადაც აქვნდათ სასაფლაოდ. და ამათაც თავის მონათესავენი და მეზობელნი გაყვებოდნენ ტირილით. ხოლო რომელნიმე ამათ შორის წარ-

მართნი მკვდარსა და მარილებდენ და მაღალს ხეზედ დასდებდენ, და მუნ სიცხისაგან განხმებოდნენ მკვდარნი იგი, ვითარცა აწცა არს ეს ჩვეულება აფხაზეთსა შინა.

სისხლი იყო მათ შორის, ვინ ვის მოჰკლავდის ჩხუბით, ან ისე საქონლისათვის, მასცა მოაკვდინებდნენ. ცოლისა გაწბილებაზედ უკეთუ მიესწრის ქმარი, თუ მოჰკლავდის, სისხლს არ მისცემდის; და უკეთუ დედაკაცს შეამცნევდენ ბოზობას, ჩააჭვავებდენ სახალხოდ. ხოლო შემდგომად გაჩნდა სისხლი თეთრად მისაცემი, ანუ ნივთი, ანუ მამული, ვითა შეიჯერი-ებდა მოსისხლესა თვისისა.

ხოლო შეწამებისა და ქურდისათვის იყო ფიცი. და თუ მძიმე და საიჭო საქმე იყო რაოდენსა მოწამესაც შეაგ-დებდენ კაცსა მას, რათა მათთაც მისთანა დაეფიცნათ. თვის-თა მეუფროსეთა მოღალატესაც მოაკვდინებდენ, ანუ თვა-ლებს დასთხრიდნენ. აგრეთვე ბომონებისა მათისა გამკრეხთა და გამჭურდველთა; აგრეთვე გაცხელებულთა რკინათა აალები-ნებდიან ხელით და სამ ბიჯ გადამდგარი განაგდებდის რკინა-სა მასა, და თუ ხელი არა დაეწოდის, განმართლდის შეწამე-ბული უკვე კაცი. ესრეთვე მდუღარესა წყალსა შინა შთააყო-ფებდიან ხელსა იდაყვამდის და უკეთუ არა დაეწვის, განმარ-თლდებოდის. ესთავე ცხენთა ზედა შესხმიდენ ერთმანერთს მოდავესა, ანუ შეწამებელსა; თანა ჰყვებოდენ ორნი სხვა კაც-ნი, მემათრახედ წოდებულნი, და აბრძოლებდიან ლახტითა, და რომელმანც ჩამოაგდის ერთი-მეორე, ჩამოვარდნილს კაცს გაამტყუნებდენ.

ხარჯთა ძველად მამასახლისთა ყოველნი მცხოვრებნი მე-კომურნი მისცემდენ, რაოდენსამე საწყაოსა პურსა და ქერსა; აგრეთვე, ვისაც ჰქონდა ვენახნი, ლვინოსა. უმუშავებდენ წე-ლიწალში სამგზის და შეაწევდენ საკლავსაცა, და თეთრსაცა, ოდეს დასჭირდებოდა საქმისა რახესათვისმე. აგრეთვე მიუტან-დეს ძლვენთა და უმასპინძლებდენ სადაც მივიდოდის. ხოლო ჟამსა ბრძოლისასა ყოველნი გამოიღებდენ ხარჯსა და ყვანდათ მიჩენილნი კაცნი აზუღათა წასალებელად და სხვათა საჭირო-ებისათვის, ვრნემ გარდასწყდებოდა საქმე მათი. და მერე თვი-სად წარვიდოდნენ. უკეთუ დაშთებოდა რაზე სამზადისისა

მისგან, იმას მიაბარებდენ მამასახლისს სხვისა დროსათვის მო-
სახმარებლად.

ნაშოვართა უკეთუ ითარეშნიან ანუ-ციხე ქალაქთა აღილებ-
დიან, მუნებურს ნაშოვართ ყოვლის ნივთისაგან ათისთავს მა-
მასახლისს მისცემდიან. აგრეთვე თვისთა კერპისა მლევდელთა
შესწირვიდიან კერპებთათვის. ხოლო მამასახლისი იმა მიცემუ-
ლის ათისთავისგან ნახევარს თვით მიიღებდის და ნახევარს
განუყოფდის ბელადებს, ანუ მათ ჯარის უფროსთა. ხოლო
სხვათა ნაშოვართა ჯარისკაცნი ადგილ-ადგილობითნი თვისად
განიყოფდენ შეფარდებით ნივთსა, თანასწორედ განყოფით
თვითეულნი კაცნი.

მოსამსახურენი. მამასახლისთა ჰყავთ რაოდენიმე კაცი
და დედაკაცნი მიჩენილნი სოფლებთაგან მოსახარშავად საჭ-
მელთა და საცხობელად ვურისა, და სხვათა საქმისათვის. ხო-
ლო ამის ხელქვეშეთა ჰყვათ თვისნი ხელქვეშეთნი კაცნი. ხო-
ლო სხვათა ემსახურებოდნენ შვილები თვისი. და უკეთუ ტყვე
ჰყვა ვისმე, მას იმსახურებდენ. და უცეოთგან მოსყიდულთა
ქალთა, და კაცთაცა ესეგვარვე იმსახურებდენ და განიყმაებ-
დენ თვისად.

მოსრულთა მწირთა კაცთა. ვისიც მამულზედ დადგე-
ბოდის, მორიგდებოდენ მიწის ქირაზედ ან პურათ, ანუ ნივ-
თზედ, და დასახლდებოდენ მუნ, რაოდენ წელცა ენებათ. ხოლო
ჟამსა მუნიდგნ აყრისასა, უკეთუ სხვაგან წარგიდის კაცი იგი,
მაშინ დაუთვლიდის თვისთანა მოყოლილსა საქონელსა. ესე
იგი, ცხენსა, ხრდალსა, ძროხასა, დედალთა ცხვართა, და
სხვათა პირუტყვთა თავნს სწორედვე დაუყენებდის, ხოლო
მათგან მოგებულთა საქონელთა შუა გაუყოფდის, და ესრეთ
განუტევებდის. ხოლო მის მოსრულის კაცისაგან აღშენე-
ბული სახლი, ბალი, თუ ვენახი ყოველივე გაწყობილი,
დაშთებოდის თვისსა მამულის პატრონსა. და უკეთუ მამუ-
ლის პატრონი იყო კაცი პატიოსანი, იგიცა ჟამსა წასვლი-
სა მის კაცისასა აჩუქებდის ნივთსა. რადმე, ანუ შეაწევდის
საკიდართა ცხოელთა. ხოლო მამულის პატრონნი, ვინემდის
ცხოვრებდა მოსრული კაცი იგი მამულსა მათსა, ესრეთ
ზრუნევდის, ვითარცა სახლისათვის თვისისა, რათა არავის შეე-

წუხებინა, და ანუ არა გაექურდათ. ყოველსა ესეგვარსა შეხ-
ღომასა შინა შეეწეოდა მამულის მეპატრონე კაცსა მას.

სახლები. შეძლებულთა აქვნდათ ქვიტკირისა, გარნა ცუ-
დად ნაშენი, სიპისა ქვითა; მდაბალთა — მიწის სახლები;
და ფაცხები ჩალით დახურვილი, ხოლო საქონელისათვის გო-
მურები.

მკურნალნი უფრორე იყვნენ მდედრთა ნათესავნი, და
აქიმობდენ ბალახებითა და ხის ნაყოფებითა. ხშირად ავალ-
მყოფს ჩააწვენდენ ზროხათა ტყავში და ტლეებთა შინა, ხო-
ლო დაჭრილთა ახმარებდენ ქონით ქმნილსა ბალახთა მოხარ-
შულსა მაღამოდ, აგრეთვე სისხლის დასაწყვეტიდ აბლაბუდა-
სა, გოგირდსა, და ესევითართა. აგრეთვე იცოდნენ თავის
პარსვა და სისხლის გამოშვება, უფრორე შუბლში.

[ამას მიჰყვება ვრცელი «ისტორია ქართლისა»].

* * *

რა ბერმან დაასრულა ისტორიის უბნობა, გამოქთხოვა მე-
ფის ძეს და წარმოვიდა შინ. განისვენა რაოდენიმე დღე და
მერე წარვიდა სასტუმროდ. მიმავლობასა შინა გზასა ზედა
იხილა ნიკითორე ბერი, თელაველი, და ეანბორნენ ურთი-
ერთარს; და ჰრქვა:

ნიკითორემ: „სად მიხვალ, ბერო?“ მან ჰრქვა: სტუმრა-
დო. და წარვიდნენ ორნივე ერთად გოდერძისთანა. მისრულნი
ეს მიიღო გოდერძიმ და ჰრქვა: „დღეს ჩემთან ისადილეთ, მე
მკირე საქმეზედ წარვალ, სადილიც დამზადდება, და თქვენ
აქა იმუსაიბეთ და მეც მალე მოვალ“.

მაშინ ნიკითორეშ ჰეკითხა იოანეს: მე შენგან გამიგონია სან-
დურავი ჩემზედ და რა არის საგანი, მითხარი მე.

იოანე: მაგისთანა არა იყო რა, ჰეკითხამს რამე.

ნიკითორე: მართალია, ანდრია ჩემი მოწაფეა და იმან
მითხრა, და აწ გხედავ და გეტყვი, რომ მე ყოველშივე მარ-
თალი ვარ; და შენ რომ ჩემი მოწაფე იყო, აღსარებაში კარგს
დარიგებას მოგცემდი და სწორედ მონაზონების კანონზედ
დაგადგენდი.

იოანე: მეცა მსურდა თქვენთვის აღსარებისა თქმა, მაგ-

რამ სხვანი მოწაფენი გენერალებიან აღსარების გაცემაზედ და ამისთვის ჩემსავე მოძღვარს დავსჯერდი.

ნიკიფორე: როგორ ამტკიცებ ჩემსას, რომ მე აღსარებას გავამხელდე ჩემის მოწაფისას?

იოანე: ესრეთ, რომ ამაზედ ლექსიც არის გამოთქმული.

ნიკიფორე: ვითარ?

იოანე: ესრეთ—

გაუფრთხილდი ნიკიფორეს, აღსარება- დაუმალე;

რუკი ეტყვი, ის იცოდე, გაფამხილოს დია მალე.

ნიკიფორეს ეწყინა ესე და უთხრა: „ბერო, არა ბერ ხარ შენ, არამედ ცოფ-ბერ ხარ შენ“. — მაშინ

იოანემ რქვა: „უკეთუ გაქვნდეს თქვენ მრთელი იდია ჭეშმარიტებასა ზედა, არა განსწყრებოლით“.

ნიკიფორე: მე ჭეშმარიტების თქმაზედ არ განვსწყრები, და აწე გეტყვი: ჩემს მოწაფეებს და მიზეზით გავმხელ, რომე ეგების თვისი ცოდვა მოიშალონ და შეირცხვინონ ხალხისაგან. აი, შენცა რომ დახვალ თიატრსა და მაჟარეთშია, და ბებერი ხანუმაცა თანა დაგყავთ და სეირნობ მუნ, ის ჩემი მოწაფეა. და რომ ვამხილო ხალხში, რა ცოდვა არს? მაგრამ ის თავსა მართლულებს, ბერს ძალათ დავყავარო.

იოანეს ეწყინა და უთხრა: მართლა არა გქონიათ მრთელი იდია, რომ დედაბერთ ზღაპრობას შესდგომიხართ.

ნიკიფორე: ბერო, მართლა შენ არა გაქვს იდია, რომ ავი და კარგი გაარჩიო, და ანუ რა იცი, თუ იდია რა არის და ანუ რა მნიშვნელობა აქვს?

იოანე: დია ვიცი და მისწავლია!

ნიკიფორე: ქართლში ხომ არა იცოდი რა, თუ აქ ის-წავლე, რუსულს რას გაიგებდი?

იოანე: მე იქაც ნასწავლი ვიყავ და აქაც მონასტერში ვისწავე და ძალმიცს, რომ განგიმარტო და გაცნობო უცნობსა იდიათათვის.

ნიკიფორემ იწყინა და რქვა: აწე გკითხავ იდიათათვის, თუ რაოდენ გვარობენ და ანუ რად არს იდია?

[საუბარი იუგათათვის].

და ესრუეთ რა დაასრულა იოანემ უბნობა ესე, ალსდგა ნიკიფორე და ითხოვა შენდობა, და აქო ფრიიად ესეგვარ კარგად განმარტებისათვის იდეათა. და მერე მოვიდა გოდერძი, და ისადელეს, და შემდგომად წარვიდნენ სახლად თვისსა.

ხოლო ხვალისა დღე მივიდა იოანე ბერს პორფირიისთან, და მიიღო ბერმან. და პრქვა პორფირიმ: „გუშინ ნიკიფორე შეგრიგებია, და კიდეც დაგმოწაფებია, რომ იდეანი განგიმარტებია. მეც მინდა ვისწავლო შენგან რამე და გკითხო, თუ რაც არის გულისხმისყოფა და ნება კაცობრივი, შემოკლებით გკითხავ ამას და სხვათაცა.

[გულისხმისყოფისა და ნებისათვის].

პორფირი: ამგვართა მომაცთუნებელთა წერილებთა და მსგავსთა ამათთა ჯერარს ჩვენგან წარკითხვად, უკეთუ არა? ესეცა მიბძანე მე.

იოანე: ესგვარნი წერილნი და მომაცყუებლობითნი უფრორე იპოვებიან წერილთა შინა ულმრთოთა და მომაცთუნებელთა კაცთა შორის. ხოლო ჩვენდა არა ჯერარს, და არცა ჭეშმარიტისა და სწავლის-მოყვარისათვის წარკითხვად, არამედ თანამდებ არს ყოვლითა ზომიერებითა განშორებად კითხვისაგან მათისა, რათა არა განირყნონ ზნეობანი. მეორე—არა მიზეზოვან ჰყონ განტარებად დროჭსა უსარგებლოდ. მესამე—არა შთაცვიდნენმცა შეცდომილებასა ქვეშე. ხოლო სხვებ დიალიკტიკური სწავლანი ესეგვარად არიან გონებისა გასამახვილებელად, რათა არა შესცონენ სხვათაგან კითხულთა ზედა. ესეცა უწყოდე, რომელ არა კმა არს მხოლოდ გამოძიება ჭეშმარიტებათათვის ცნობად ერთისა ოდენ კანონისა მოგონებათა განმსჯელობათა და მიღმოგონებულთათვის, არამედ სახმარ არს მათთვის უწყებად მეტოდისაცა, თუ ვითარითა უკვე უმჯობესითა ხატითა ჯერარს ქმნად გამოძიებისა ჭეშმარიტებათასა. და ამისთვის მოვიხსენებთ აქა მეტოდისა ანუ სინტეტიკასა, ესე იგი, არა გარდამომავალსა მარტივისა საგნიდგან რთულთა ზედა. ესსახედვე ყოვლადისაგან კერძოებათა ზედა მიზეზისაგან მოქმედებასა და წარმოებასა ზედა, ვითარცა არს მაგალითებრ საღმრთოთა წერილთაგან ესე.

აქებდე, სულო ჩემო, შემოქმედსა და უგალობდე საკვირველებასა. მისსაც
რომელმან დააფუძნე ქვეყანა სიმტკიცესა ზედა თვისსა,
რომელმან გარდაართხენ ცანი, ვითარცა კარავნი,
რომელმან დაპუარე წყლითა სამყარო და დააფუძნე მას ზედა სოფელი,
რომელმან აღმოუცენე მწვანე პირუტყვთა,
ხოლო ჩვენ გვეც პური, ღვინო და ზეთი და სხვანი.

(ფსალ., 103 რიცხვი).

ესრეთვე ითქმის მეტოდი ანალიტიკებრი, ესე იგი, გარდამა-
ვალი რთულთა საგანთაგან მარტივთა ზედა, კერძოთაგან ყოვ-
ლადსა ზედა, წარმოებისა და მოქმედებისაგან მიზეზსა ზედა,
მაგალითებრ: განკვირვებულ ვარ მე ესოდენ ბრწყინვალეთა
შარავანდეთთაგან და წარმოიდგინე თვის შორის, თუ ვითარ
არს თვით აღმშენებელი სოფლისა. და ესეცა უწყოდე, თუ ეს-
გვარნი რაცცა განწვალებანი და გარდაქმნანი იხილვებიან არის-
მატიკასა შინა, იგი ლოლიკასა შინა არს სინტეზისად და ანა-
ლიზისად წოდებულნი. ესეცა უწყოდე, რომელ ჭეშმარიტებად
გამოცხადდების საკუთრითა თვისითა განცხადებითა, გარნა ესე
საჭირო არს, რათა პირველად არა გვაქმდეს შეშფოთებული
გრძნობად და ერთსა გრძნობასა შინა სხვასა არა რახსამე აღ-
ვრევდეთ. მეორე—უნდა გვაქმნდეს გრძნობად დაწყნარებით და-
წესიერ ხმარებული, რახსაცა ვსჭირეტთ, ანუ გვესმის მას ზე-
და. მესამე—წარკითხვითა უჟველისა წერილებითა და ანუ
სარწმუნოთა კაცთაგან ზეპირ მოთხრობითა შესაძლებელ არს-
ჭეშმარიტებით მიწოდომა მის საგანისა, რახსაცა ვეძიებდით და-
ვგრძნობდით ჩვენ. კვალად გასწავებ ამას, თუმცა ისტორიებრი
მცნობელობად, რომელიცა დამოკიდებულ არს გრძნობათა ზე-
და, მრავალთა შემთხვევათა შინა კეთილ სახმარ არს. გარნა
სწავლად ფილოსოფოსებრი უმეტეს მოგვიპოებს ჩვენ გამოსა-
ძიებელთა მიზეზთა და შეგვამცნებს ჩვენ საგანთა მათ, რომ-
ლისათვისცა განმსჯელ ვიქმნებით. ხოლო სწავლად მათემათი-
კური, რომელიცა მდგომარეობს სწავლათა შინა რაოდენობათ-
სა, იგი მოგვიპოებს ჩვენ უკვე ზომიერებისა შემეცნებასა, ვი-
თარცა, ვსთქვათ, ზარბაზნითგან განტყორცნილი ტყვია, თუ
რაოდენ ზომასა განსტყორცნის რაოდენობა წამლისა მის.

და ესრეთ დასრულდა უბნობა. პორფირმა არ გაუშვა იოანე-

და ჰრქვა: „მამაო იოანე, აქ ისაღილე, და გთხოვ ამას, რომე
მასწავლო ფილოსოფია და ისტორიანი“.

იოანე: მამაო პორფირი, ოთხმეოცის წლის კაცი თოკზედ
თამაშობას როგორლა ისწავლის?

პორფირი: მე არა ვარ მაგვარ მოხუცი:

იოანე: თუმცა ოთხმეოცისა წლისა არა ხართ, მაგრამ
დრო გარდასული გაქვთ და ვერლა შემძლებელ ხარ.

პორფირი: თუ ვერ შემძლებელ ვარ, შენ ძალუაზედ გა-
მომცადე.

იოანე: უი ჩემ თავს, მართლა სომხითელი ყოფილხარ! მაშინ

პორფირიმ: ნუ ვამიწყრები ამ ხუმრობისათვის და სწო-
რე მიბანე, თუ სხვანი ისწავლიან ამ სწავლას; მე როგორ ვერ
ვისწავლი?

იოანე: რადგან გსურს, მე სწორედ გეტყვი: ფილოსოფიის
სწავლას დიდი თავის დადება უნდა, და ვერცა ყოველნი კაცნი
ისწავლიან ფილოსოფიისა და მათემათიკისა სისტემათა და მე-
ტალრე ხნიანთა კაცთაგან, გარნა ესე შეიძლება, რომელ იქო-
ნიოთ ფილოსოფისურნი და მათემათიკურნი წიგნები და გუ-
ლისხმებით იყითხოთ, მაშინ იქმნება მცირედ შეემცნეთ ჰაზრთა
მათთა.

პორფირი: მართალს ბქანებთ, მაგრამ რაგვარ მოვიქ-
ცე კითხვათა შინა წერილთასა?

იოანე: მე მოვცემ ამა უმოკლესთა კანონთა წიგნთა კით-
ხვისა და შემეცნებისაუკვის, რომელიცა არიან ესენი:

1. წარიკითხე პირველად ცხოვრება შემთხვეულისა წინასტრ-
უმობა და ზანდუკი მის წერილისა, რომელიცა გსურდეს, რა-
თამცა სცნო შენ წესი და განზრახვად დამთხვეულისა მის ავ-
ტონისა.

2. წარიკითხე მრთლად წიგნი იგი წესისა და კანონისამებრ,
და ნუ გასწყვეტ კითხვასა პარალრაფამდის ანუ მუხლამდის,
მის წერილისა, რათა არა გასწყვიტო ჰაზრნი შემთხვევათანი
და დაშთე უცნობელ.

3. წარიკითხე ყოველნივე თავნი სრულებით სრულისა გან-
მსჯელობითა, რათამცა მით ადვილად შეიძლო განრჩევად სიც-
რუისა ჭეშმარიტებისაგან.

4. წინააღმდეგთა შემთხვეულთა წერილთა ნურაოდეს წარიკითხავ, რათა არა შთაინერგოს გონებათა შინა შენთა წინააღმდეგობა.

5. წარიკითხე უმეტეს წერილი იგი, რომელნიცა ეკუთვნიან სარგებლობასა შენსა, ანუ წინადაღებულსა შენ მიერ საგანსა, ანუ განზრახულებასა. გარნა ესეცა სახმარ არს, რათა სხვათაცა შეთხულთა წერილთაცა წარკითხვიდე სასარგებლოდ შენდა, რათა არა იქმნე მისიცა უცნობელ.

6. წარიკითხე ძილისაგან აღდგომილმან, დილით უფროორე, საჭირო წერილი; შემდგომად სადილისა — სასიამოვნო წერილი, ხოლო მწუხარსავე კვალად მოიქეც საჭიროესადმი წერილისა.

7. წარკითხვათა შინა ლირსსახსოვარნი სიტყვანი შენიშნენ და კვალად განიმეორენ.

წარკითხვათა შინა უმჯობესნი ჰაზრი და უსარგებლოებენი სიტყვანი გამოსწერენ, და გამონაწერი იგი იქონიენ. შენთანა და მალ-მალ წარიკითხენ იგინი, რათა აღვილად დაინახსოვნო; და ამა ლონით სრულყოთ ჰაზრი თქვენი. ხოლო მე ამისთვის ესრეთ მოკლე მცნებად მოგეცით, რათა წიგნთა წარკითხვისა ეამთა უმეტეს შეემცნეთ ჰაზრთა გამოჩებითა, ვანახდგან ესგვარი სწავლულებაცა მიეწერების ლოლიკისა, და ამგვარი სწავლა შემოკლებული ყრმათათვის და ახალთა მოსწავლეთათვისცა გულისხმისაყოფელად ადვილ იქმნების და უმჯობესადცა ძალედებათ დახსოვნებად, რომლისათვისცა გორაციოზ სწერს ესრეთ:

სწავლათა უკვე კანონი იფიქრე მიმოგონებით,
ყოვლისთვის იქმნე მოკლ-წერად, რათამც იქმნე შეგონებით.

და ესრეთ დასრულდა უბნობა. და იოანე წარმოვიდა სახლად თვისსა, დღესა ერთსა მივიღა ბერი სახლსა მეფის ძისასა და იხილა მუნ მუხრან-ბატონის ძე გრიგოლ, და ეანბორა იოანეს და ჰრევა: დიდი ხანია ველარსად გნახეთ.

იოანე: მეც მსურდა ხილვა თქვენი, გარნა თქვენ მყოფობთ პაჟების კორპუსში.

გრიგოლ: მე ახლა შევასრულე სწავლა და კიდეც გამოველ და ყოველთვის შინ ვარ.

ი ოანე: რასაც ანბობენ თქვენთვის, თუ ის სწავლა მიგილიათ, სულ რომ არა გესწავლა რა, ის უმჯობესი იქმნებოდა და უსარგებლესი.

გრიგოლ: რად?

ი ოანე: სარწმუნოებისა არარად რაცხვა.

გრიგოლ: თქვენსავით ცუდმორწმუნოება არ ვისწავლე, ვოლტერის სწავლას შეუდევგ.

ი ოანე: მეც მაგისთვის მოგახსენე, რომ ცუდად დამაშვრალხართ თქვენ მაგ სწავლაზედ, ამისთვის, რომ ვოლტერის შემდეგნი ღვთისაცა წინააღმდეგ არიან და ხელმწიფეთაცა და სჯულისაცა.

გრიგოლ: ვოლტერ ყოველთა ასწავლის თავისუფლებასა და საზოგადოების ერთობასა და უბრძეველელობასა ურთიერთისადმი.

ი ოანე: მარტო მაგას არ ასწავლის, არცა ღვთისყოფასა ასწავლის და არც სულისა უკუდავებასა. და ამისთანა სწავლა რა საჭირო არს, რომელიც ასწავლის უწმინდურებასაცა?

გრიგოლ: ის ორ კერძოდ უბნობს, ერთ კერძოდ უბნობს მყოფობასა ღვთისასა, ხოლო მეორით უარყოფს. ესსახედვე სულისათვისცა და სიწმინდისა და უწმინდურობისათვის გკითხავ და მომიგე.

ი ოანე: მიბძანეთ!

ქსაუბარი სიწმინდისა და უწმინდურობისათვის].

და დასრულდა უბნობა. გრიგოლმან აქმ ბერი და უთხრა: თუ აქ დავშთებოდე, დიდხანს მოძღვრად გიყოლიებდიო.

ი ოანე: მე თქვენისთანა მოწაფე არას მარგებს.

გრიგოლ: მართალს ანბობთ, ვერ მომატყუებთ, რომ ცოდვას შეგინდობო და ფული მომეცო.

ი ოანე: უი ჩემ თავს, რომის პაპა ხომ არა ვარო, ფულის-თვის ცოდვის დასტური და შენდობა მოგცე?

გრიგოლ: ასე მესმის, გაფრანგებულხართ.

ი ოანე: ბევრს რასმე გაიგონებთ და არა ყოველი უნდა იჩწმუნოთ.

გრიგოლ: დაგიჯერებთ ამ სწავლას, შემინდევით. აწ
მინდა წავიდე ჩემ საქმეზედ.

იოანე: უფალი გიძლოდეს კეთილ საქმეზედ.

მიწოდებისათვის ბერისა სამწერლოსა შინა

აღდგა და წამოვიდა შინა. რა მოვიდა იონა ბერი, ნახა
სტოლზედ მდებარე ბარათი, აღილო, წარიკითხა, და ეწერა:
„ხვალე მეთორმეტესა საათზედ უნდა გამოცხადდეთ თქვენ და
პავლე მღვდლის ცოლი ანნა განათლების მინისტრის სამწერ-
ლოშია“. რა აღმოიკითხა ბერმან წიგნი ესე, ხელნი განიპყრნა
და მაღლობა შესწირა ზენასა, რომ უთუოდ ათას რუბლს
მომცემენ ჯამაგირსაო; და სიხარულით მოილო სანოვაგე და
ღვინო, დაჯდა და დაიწყო სადღეგრძელოს სმა მინისტრისა.
ამ უამაღ შემოვიდა მღვდლის ცოლიცა და ჰრქვა იოანეს:
„კარგს დროს მოველო, საღილად ზიხართ“. ბერმან მიიპატი-
ჟა და დაუგო სანოვაგე, და მერე მისცა ტაქნითა სავსე ღვი-
ნოდ და ჰრქვა: უნდა შესვათ ღვინო ესე განათლების მინისტ-
რის სადღეგრძელოდო.

ანა: რახსათვის?

იოანე: ხვალისა-დღე დაუნიშნავთ ჩვენი მისვლა სამწერ-
ლოშია ჩვენის ჯამაგირებისა გამოსაცხადებელად.

ანა: ღმერთმან ადღეგრძელოს, თუ კარგა ბარაქიან მოგვ-
ცემენ როჭიყსა

იოანე: უთუოდ, წუხელის კარგი სიზმარი ენახე.

ანა: სიზმრისა კი რა მოგახსენო, თუ ჩვენება გენახათ,
უფრორე იმედი შექმნებოდა.

იოანე: ნუ ხარ ურწმუნო, ბერისათვის სიზმარიცა და ჩვე-
ნებაცა ორივე ერთია.

ანა: სიზმარი უფრო მშვენიერს სულს მიეწერება და ჩვე-
ნება კი არა.

იოანე: შე უსწავლელის ცოლო, მე მასწავლი სიზმართ ახს-
ნასა და განმარტებასა?

ანა: როგორ არა, მე სიზმარში მინახაგხართ ჩემთან შექ-

ცეული და ჩვენებაში კი არა, და ვგონებ შენცა გენახო ამგვა-
რად სიზმარში.

ი ო ო ა ნ ე: შენს ლაპარაკს ასე ვატყობ, უსიზმროთაც არა
სთქვათ უარი!

ა ნ ნ ა: თუ ინებებთ, მზა ვარ თქვენთან განსვენებისა.

ი ო ო ა ნ ე: უი შე უკეთურო, მაცთურო კაცისაო, ლამის ალ-
მატყინო!

ა ნ ნ ა: აი შე გასაკრეჭო, ყოველთვის მეუბნებით ჰლტყინე-
ბასა და სრულებას კი არ აძლევთ.

ი ო ო ა ნ ე: დაუტევე ეგ უშვერი უბნობა და ილოცე, რომ
საქმე წარგვემართოს ხვალე!

ამა უბნობაში იარალი შანშიაშვილიც შემოვიდა და სთქვა:
„სიდედრს ვყვარებივარ, კაი დროს მოველ.“ ბერს დია იამა
და მიიპატიქა, უთხრა: „პრეოჩიკს ვეძებდით სახვალიოდ და;
აპა, გვიყეთ, და ნუ იქმნებით მცონარე, ხვალე ინებეთ და გა-
მოგვყევით სამწერლოშია.

ი ო რ ა ლ ი: რა საქმისათვის?

ი ო ო ა ნ ე: აი, ბარათი წარიკითხე, ხვალისა-დღე განათ-
ლების მინისტრის სამწერლოში უნდა განგვიცხადონ ჩვენთვის
ნაბოძები როჭიკუ.

ი ო რ ა ლ ი: რასა ნიშნავს როჭიკი?

ი ო ო ა ნ ე: ხაზინადრის შვილი ხარ და ჯამაგირის სახელი არ
იცი?

ი ო რ ა ლ ი: მე სხდა რამ. მიზონა, თქვენმან მზემ, და კიდეც
გიახლები.

ი ო ა ნ ე მ მადლო უთხრა და ლვინო მიართო, მინისტრის სად-
ლეგრძელო შესვითო.

ი ო რ ა ლ ი: მე რად შევსვა, მე ხომ არას მაძლევენო.

ი ო ო ა ნ ე: ლოცვა და მოთმინება იხმარე, შენც მოგცემენ
ღროშედა.

ი ო რ ა ლ ი: შე დალოცვილო, სულ მაგას გვიქადაგებ და
ჩვენ კი უფრო დავგლახაკდით, თქვენ მაინც გამიჩინეთ ათის-
თავი, რაც მოგცენ.

ი ო ა ნ ე: ერთგზობით გემსახურები რასმე.

ი ო რ ა ლ ი: ეგეც კარგია შენგან.

და აღილეს სუფრა და ხვალისათვის გარდადვეს წასვლა. ზოლო ხვალისა-დღეს მოვიდნენ ბერთან. ანა პოპოლია და იარალი, და დანიშნულს ჟამს მივიდნენ კანცელარიაში. ჟამსა ამას შინა რა სცნო მისვლად ბერისა სეკრატარმან, ანუ მწერალმან, უთხრა ბერისა მცირედ დაცადება. და მერე ნახევარ ჟამისა გამოვიდა და მოიტანა წერილი, და მოვიდა იარალს-თან და ჰრეკვა: „შენ ხარა ამათი დილმანჯი?“ იარალიმ: „გახლავარ“. და წარუკითხა წერილი იგი, რომელიც აცხადებდა ბერისათვის ბოძებასა ჯამაგირისასა ასორმოცლა ათსა რუბლსა და ანნა პოპოლისათვის სამასსა რუბლსა. და იარალიშ ცხად უყო ესე ამათ. მაშინ იოანეშ ჰრეკვა

იარალის: „არქვ მწერალსა მაგას, თუ მე რადესათვის ეს-რეთ მცირე მომეცა როჭივი“. და იარალიმ აცნობა ბერისა ნათქვამი.

მწერალი: მე რა ვქნა, მინისტრმან ასე ინება.

იოანე: მინისტრსაც უნდა სცოდნოდა და თქვენცა, რომე მე უმაღლესის დედოფლების მოძღვარი ვარ და ბლაოლიჩინი, და აგრეთვე მეფის ძეთა და თავადთა და აქ მცხოვრებთა მოძღვარი და მლოცველი, და მე რასათვის შეურაცხ მყავით?

მწერალი: რადგან შაგისთანა დიდებულნი გვამნი გუმლიან მოწაფედ და საკუთრად ქართველების მლოცავ-მწირველი ხართ, შენ ჯამაგირი არც კი გეჭირებოდა, რომ შემოსავალი ბევრი გექნება, და ამ საწყილის ქვრივის დედაკაცისათვის ეს ჯამაგირი რად გშურს და ან რად გეწყინაო?

იოანე: მე არა მშურს, მაგრამ მეწყინა, რომ გვამთა გარჩევა არა გცოდნია; ვისაც ჰქონია რამე, არას აძლევთ, და ვისაც არა ჰქონია-რა, იმათ გარდამეტებით აქვსთ.

მწერალი: ხომ წაგიკითხავს «წინანი უკანა და უკანანი წინაო»?

იოანე: მაგის განმარტება სხვებრ არის, მაგრამ მე ასე ვსჯი, რომ ამ ქვეყანაში ტუტუას უფრორე პატივი სდებია, ვიდრე ჭუჭუასა.

შაშინ იარალი დაყოყმდა და არ იცოდა, თუ ამ სახელით რუსულად როგორ ეთქვა, და სთქვა ესრეთ: „ზდეს ტუტუა ლუჩე, ნეზელი ჭუჭუა“.

მწერალი: შტო ტაკოი იესტ ტუტუა ი ჭუჭუა?

ი. ი. ა. ლ. ი: შუახედ უდგა ბერსა და ანნას და, უღონო ქმნილ-მან, ერთი ხელი ბერს ამოუსო ლაჯებში და მეორე ანნა მღვდლის ცოლსა და რქვა: „ვოტ ტუტუა, ი ვოტ ჭუჭუა“.

მწერალმან განიცინა და თავი დაუკრა და შევიდა შინაგან სახლში, და ესენიცა წამოვიდნენ. გარნა ბერი მწუხარებით სავსე ვერლარას უბნობდა და მაშინ ანნამ უთხრა: „ბერო, აკი გითხარ, სიზმარს ნუ მიენდობიო?“

ი. ი. ა. ნ. ე: განრისხდა და უთხრა: „წარვედ ჩემგან სულმყრა-ლო დედაკაცო!

და გაიყარნენ. იონა მოვიდა შინ მწუხარე. ხოლო ანნა მხია-რულად მივიდა შინ და უანბო მეფის სძალთა და ასულთა, თუ ვითარ გამოუცხადეს ჯამაგირნი, და ბერმან ვით იწყინა, და ან იარალიმ ვითა უტოლმაჩათ. ამაზედ მრავალი იცინეს და მიულოცეს ანნას თავის საქმის წარმართება. *

* აქვე მოგვყავს ამ ეპიზოდის ვარიანტი, რომელიც მოთავსებულია ავტოგრაფიულ ხელნაწერში H2153.

იონასი პეტრებუს წარდგენა კანცელარიასა შინა და ანნას მარკოზი-შვილს, მღვდლის ცოლსა, და გუნებურთა წევრთაგან განცხადება, რომელ ჯამაგირი მისცეს ანნას ოცდაათი თუმანი, ხოლო იონას ზუთმეტი.

ი. ი. ნ. ა ერვენის მათ იარალისა პირითა: «მე მონოზონი ვარ, ვიღოცავ, ვმსახურობ ყოველდღე აქა და ვშრომობ წერილების გამრავლებისათვის და მაგის ამხანაგად მაინც უნდა მოგვეცათ ჯამაგირი, ეგ დედაკაცი რას აკეთებს, რომ ჩემზედ მეტს აძლევთ?»

ს. ე. კ. რ. ე. ტ. ა. რ. მ. ა. ნ.: „არა, აქ დედაკაცს უფრო პატივი აქვს და ამისთვის ამას მეტი ერგება, ნუღარას იტყვი ამაზედ“.

ი. ი. ნ. ა ს ეწყინა და თქვა: „უი ჩემ თავს, ამ ჭვეყანას ტუტუას უფრორე პატივი ჰსდებია, ვინემ ჭუჭუასა,“

იარალიმ უთარგმნა სეკრეტარს: „ზოგი ტუტუა ლუჩე, ნეკელი ჭუჭუა“.

ს. ე. კ. რ. ე. ტ. ა. რ. მ. ა. ნ.: „ჩტო ნაწიაჩიტ ეტო“.

ი. ა. რ. ა. ლ. ი. მ: ჭუჭუა ი ტუტუა. კვალად

ს. ე. კ. რ. ე. ტ. ა. რ. მ. ა. ნ.: ჩტო ნაზნაჩიტ ეტო სლოვი?

ი. ა. რ. ა. ლ. ი. მ: ერთი ხელი ანას ამოუსო ლაჯებში და მეორე იონას და უთხრა ანასი: „ვოტ ტუტუა“, ხოლო იონასი: „ვოტ ჭუჭუა“.

სეკრეტარი გაბრუნდა სიცილით და ესენიცა წამოვგადნენ შინა.

გიორგი ავალიშვილის თან უბნობისათვის

იოანე ბერმან სცნო გიორგი ავალიშვილისა მისირიდგან მოსვლა და თანამოტანა მუმიისა და სხვათა. და თქვა ბერმან: წარვალ და ვნახამ მუმიათა, თუ ვითარ სახედ არიან. წარვიდა ბერი და იკითხა გიორგის სახლი. ასწავლეს ვასილის ოსტროვ-ში დგომა მისი. და მივიდა, სადაცა იდგა გიორგი ავალიშვილი, და რა შევიდა ბერი, ჰრქვა ესე: მიჩვენეთ მე ეგვიპტის მუმიანი.

გიორგი მ უთხრა: ბერო, მართლა ქიზიყელი ხარო; თუ ჩემ-თან მოხველ, უნდა მოგეყითხე და მშვიდობით მოსვლა გეთქვა, მაშა, გავს, არა ჩემის პატივისათვის, არამედ მუმიების სანა-ხაფად მოხველ.

იოანე: შემინდეთ, თქვენ მრავალჯერ მინახავხართ და მუ-მიები არა.

გიორგი: ვიცი, ამგვარების გამოძიების მოყვარე ხართ და გინდა შეემცნათ ამა მუმიათა ხასიათთა და თქვენს ლექსი-კონში განმარტება ამათი დაწეროთ.

იოანე: მართლა დია გმაღლობ, რომა მომაგონეთ, უთუ-ოდ საჭირო. არს, რომ დავსწერო მაგათი თვისება.

და მერე გიორგიმ უთავაზა ყავა და უთხრა: „მიირთვით, მისირის ყავა არის, რომელიც მოაქვთ იამანეთიდგან, უწარ-ჩინებულესია სხვათა ყავათა ზედა“ რა შესო ბერმან, თქვა: „მართლა ეს არის ყავა და ეს უნდა სვას კაცმან“. და იუბ-ნეს ამგვარებითა. და უკანასკნელ ბერმან ჰკითხა მიზეზი წას-ვლისა ეგვიპტეს შინა გიორგის.

გიორგი მ უთხრა: მე მყვანდა მუნ ბეგი, რომელი ჩემი ყმა-

იყო, ის მომკვდარი იყო და არავინ დარჩა მემკვიდრე, და იმის ქონების ასაღებად წაველ.

ი ო ო ო რ გ ი : მიიღე რამე?

გ ი ო ო რ გ ი : არა მომცა რა მუნებურმან ფაშამან.

ი ო ო ნ ე : მიზეზი რა გითხრა?

გ ი ო ო რ გ ი : მიზეზი მითხრა ესე, რომ ოდესაც ის კაცი მუ-
სურმანი შეიქმნა, აქ დასახლდა, ბეგობის ხარისხი იშოვა და
ხონთქრის ქვეშეგრდომი იყო, მაშინ დაუტევა შენი ყმობაო.

ი ო ო ნ ე : ეგე დია სწორედ უთქვაშს ფაშას და რატომ შენც
არ იცოდი, რომ არას მოგცემდენ და ამდენი ხარჯიც მოგივი-
და. მაგრამ ესე გვჭირს ქართველთა, რაც თავში მოგვივა, არ
განვსჯით და შეუდგებით ჩვენსა წადილსა, და ამისთვის ჩვენს
საქმეს ბოლო არა აქვს.

გ ი ო ო რ გ ი : ბოლო ხოხობსა აქვს.

ი ო ო ნ ე მ იწყინა და უთხრა: მაგ ჭკუის პატრონს ელჩად
გზავნიდენ რუსეთში ჩვენნი მეფენი?

გ ი ო ო რ გ ი : სხვამ ჩემს გარდა მას ეაშში რომ რუსული არ-
ვინ იცოდა, მაშა ვის გამოგზავნიდენო?

ი ო ო ნ ე : თუ რუსული ენა არ გცოდნოდა, ვერც ასე მო-
იყვანდი საქმესა.

გ ი ო ო რ გ ი : რა გინდ განიხერხო გულითა, რაცა ვქმენ, ვქმენი.

ი ო ო ნ ე : პილატესავით, რაცა დასწერე, დასწერე.

გ ი ო ო რ გ ი მ ალარა უთხრა რა, და მერე პრეზა ბერსა: მი-
სირში ვიყავ და იქაური კი არა მკითხე რა და სხვა ლაპარაკს
გაერთე.

ი ო ო ნ ე : აწ გკითხავ, აფრიკელთა ვითარი სარწმუნოება
უპყრიათ?

გ ი ო ო რ გ ი : მმულებელნი სარწმუნოებანი არიან არნი, ესე
რგი, მამალიანთა და წარმართთა.

ი ო ო ნ ე : რაოდენად უკვე ნაწილად განიყოფების ქვეყანა
აფრიკისა?

გ ი ო ო რ გ ი : მყარი უკვე ადგილი აფრიკისა განიყოფების ათ
უმთავრეს მხარედ, რომელთაგანიცა სამნი არიან მდებარენი
ჩრდილოეთის კერძოდ, ოთხნი საშუალ მისსა და სამნიცა სამ-
ხრეთსა ზედა.

იოანე: ვითარ იწოდებიან სამნი იგი კერძონი ჩრდილოეთ-სა ზედა მდებარენი?

გიორგი: ეგვიპტელ, ომელშიაც არის უმთავრესი ქალა-ქი კაირი; ვარვარია, ომელსაცა შინა არიან სამფლობელონი ალექსინისანი. ტუნისკიისა, ტრიაპოლიისა, ფუასკიისა და მა-როკსკიისა. ლარიტა, ანუ მინდორი, დაშენებული ავაზაკთა ხალხთაგან არაბთასა.

იოანე: ვითარნი უკვე არიან ოთხნი იგი ადგილი მდება-რენი საშუალსა შინა?

გიორგი: ღვინია, ნიღრია, ნუბია და აბისინია.

იოანე: ომელნი არიან სამნი იგი ადგილი სამხრეთზედ მდებარენი?

გიორგი: კოილო, კაფროჟი და ზანლიბერი; ომელიცა თვით სამხრეთის კერძო არს აფრიკისა ქვეყანა ოტონტო-ტოჟი. ხოლო თვით სამხრეთსა მისა ზედა კეთილ-იმედისასა ღოლანდიელთა ალაშენეს ჩინებული ქალაქი გოლონია კარგის ციხითურთ.

იოანე: დია კარგად აღმომიჩინეთ, და მიბძანეთ, ეგ მუმი-ები ომელს ადგილსა შინა იპოვთ?

გიორგი: სადაცა არიან პირამიდნი, ანუ ძეგლი ეგვიპ-ტისანი, მისა გარეშემო ვიპოვე.

იოანე: კაირის ქალაქზედ რაოდენ უშორეს არს?

გიორგი: ერთსა მილსა ზედა ანუ შვიდსა ვერსა ზედა არს განშორებით.

იოანე: რაოდენნი არიან პირამიდნი იგი?

გიორგი: სამნი.

იოანე: ერთი მეორისაგან ვითარ არიან განშორებით?

გიორგი: ორას-ორას ბიჯზედან, და კიდევ შევლენ მას პირამიდებსა მას შინა კაცნი.

იოანე: რაოდენი აქვთ სიმაღლე?

გიორგი: ექვსას-ექვსას ფუტი აქვთ სიმაღლე, და ესსახედ-ვე სიზრქე ოთხსავე კუთხედ.

იოანე: ოდეს აღუშენებიათ იგი და ანუ ვისა?

გიორგი: იგი აღშენებულ არს უჭინარეს სამი-ათასისა წლისა ფარაონთაგან, ეგვიპტის მეფეთა-მეფისა მიერ კოფომი-

სათა; და რომელნიმე გონებენ, აღუშენებია ვითამც ხუმინსა ანუ ხეობსოსა, და სჩანან ესე პირამიდნი ვიდრე სამი დღის სა-ვალიდგან, ასე მაღალნი არიან, და თქვენც იცით.

იოანემ გაშინჯა მუმიები და მოეწონა, და უთხრა: ვგო-ნებ, დიდის ხნისა უნდა იყოს.

გიორგი: ვიდრე ოთხი-ათასის წლისა არის.

იოანე: რა დაგეხარჯათ ამაების პოვნაში?

გიორგი: ათას-ორასი ოქრო.

იოანე: მაგ ფასით სხვა რომ რამე მოგევაჭრათ, ის უფრო სარგებელი იქნებოდა თქვენთვის.

გიორგი: მე ამას დია ძვირფასად გავყიდი, თქვენ არ იცით ამისი ფასი.

იოანე: ეს ვიცი, რომ ცოცხლები რომ დაყიდეთ, არა მოგ-ცეს რა, მკვდრის კაცის აპოხტებში ვინ რას მოგცემთ? და, ამას გარდა, მკვდრის საფლავებიც დათხარეთ და მკვდარი წა-მოიღევით, ამაში კანონი გაქვთ?

გიორგი: როდესაც კათოლიკოზობა იშოო, მაშინ გამაქა-ნენთ.

იოანე: და ოდეს თქვენ ყაზახ-შამშადილი საყმოთ იშოოთ, მაშინ ყველს და ერთოს ნურლა მიწყალობებთ.

გიორგი: ვიცი, ჩემ სიძეს მაგ სიტყვით აყვედრით და შეუ-რაცხვყოფ.

იოანე: ის საბრალო ხომ სიტყვით მოაცთუნე, ხალხს შეა-ძულე და გამცემად აღმოაჩინე, ბოლოს კიდეც ჯავრით მოჰ-კალ და ახლა ისიც რომ ამოილო, უფრო კარგად გაგიგა.

გიორგი: ასე სულელი ხარ, რომ მე ჩემს თავს ის მირ-ჩევნია, და ანუ ნევსკიდამ ვინ მომაპარვინებს, თორემ ამოვი-ღებდი და თავის სასაფლავში წავიღებდი.

იოანე: ნუთუ ეს მუმიები მოპარვით წამოგილია?

გიორგი: დიაღ, მოვიპარე, და ერთს სხვა ქალაქში შე-მამცნიეს და მართმევდენ, მე ბებია ჩემის სახელით გამოვი-ტანე, რომ თავის სასაფლავოში მიმაქვსო.

იოანე: ვაშა, ვაშა! ეგეც კარგა გიქმნია, კერპისთვის ბე-ბია დაგირქმევია!

გიორგი: ამითი რა შეეხება ჩემ ბებიას, და მე ამ მოპარ-

ვით მოვიტანე ეს მუმიები და კაი ფასსაც ავილებ, შენ რაც
გინდა სთქვი.

ი ოანე: მე ამას ვიტყვი, რომ არა უგონებ, როგორც გგო-
ნია, ისე გაყიდოთ, და გაყიდვის მაგიერ სხვა გვარიცა მი[ი]წე-
როთ.

გიორგი: რა გვარს მივიწერ, მე ავალისშვილი ვარ და
ეს ჩემი გვარი ცნობილია და ძველი, მე სხვა არა მეჭირება რა.

ი ოანე: შენი კი არ ვიცი, გამოგიცვლიან ქართველები ამ
გვარსა თუ არა, და შენს შვილებს კი უთუოდ გამოუცვლიან
შენს ავალისშვილობას.

გიორგი: მაინც რას დაარქმევენ?

ი ოანე: მკვდარი-პარია-შვილებს დაარქმევენ, და ესე გაუ-
გვარდებათ თქვენის წყალობით თქვენს შთამამავლობას, ამის
შეტს არღარას გეტყვი.

გიორგის ეწყინა: „აი შე ქიზიყელო ჩოჩორო“, და ამოჰკრა
ორი პალური. კარში გამოვიდა ბერი და წყევლით წამოვიდა
შინ. და ესრეთ დასრულდა უბნობა მათი.

ს ა რ ჩ ე ვ ი

83.

3—5

რედაქციისაგან
თბილისში პატრი ანდრიასთან
საღილზე. საუბარი მხატვართან მხაზველო-
ბის ხელოვნებისათვის. საუბარი აქაქთან ღერალ-
ლიკისათვის. საუბარი ახუნდის მოადგილე მირზა
თარივერდისთან ბუნებითის ისტორიისათვის. სა-
უბარი მოლასთან ასტრონომიისათვის, ისაია ოქ-
რომჭელელთან ძვირფას ქვათათვის, ტერტერას-
თან გამოქანდაკებისა ხელოვნებისათვის . . .

6—20

შგზავრობა იმერეთაშდიის. საუბარი
ტრიფილესთან ისტორიისათვის და შეკამათება
მოსე ბერთან. მცხეთამდი წირქნელთან საუბარი
დიალექტიკისათვის. ძეგვს შეხვედრა ეგნატე
ონისიმეს ძესთან და საუბარი პორტირის ხუთთა
ხმათათვის. შეტეხში სახლთუხუცესთან. კავთის-
ხევში ესტატე ჯავახიშვილთან, ზურაბა სააკაძე-
თან. საუბარი ვახუშტისთან დიკასტერიისათვის .

20—29

გორში საუბარი გოდერძი ფირა-
ლოვთან ცუდ-დიდება-ამპარტავნობისა და არ-
მენიის გეოგრაფიის შესახებ. ბრეთში ავალ ავა-
ლიშვილთან

29—33

იმერეთს მისვლა. ქუთაისში მეფესთან
და ქუთათელთან, საუბარი დურბინდისა, მიკროს-
კობისა და შერლისათვის. წერილი გოგი გამყრე-
ლიძესთან, რომელსაც შეუცოენია ვიღაც ელენე.
საუბარი მეფესთან „სიმსწრაფლისათვის“ . . .

33—39

გამგზავრება ოდიშისაკენ. საუბარი სეხნია ჩხეიძესა და იესელიანთან ქუხილისა, ელგისა და შეხისათვის. მისვლა სალხინოს დაღიანთან. „უბნობა სამხრელებელი“, „მხილება განმხრწნელისა ქალწულისა“. საუბარი ფალავასთან. საუბარი დაღიანთან წვიმისათვის. საუბარი ხუცესთან ლრუბლისა და ნისლისათვის. ჭყონდიდელთან. „კავშირი“ პროკლე დიადოხოსისა .

40—51

ლეჩესუმისაკენ. ცაგერელთან. საუბარი „ფერთათვის“. საუბარი ხუცესთან და ფალავასთან მგზავრობა გურიელთან. „მაღნიტისათვის“, მეხანიუისა და ნავიგაციისათვის, კომერციისა და ვაჭრობისათვის. საუბარი ნაკაშიძესთან

54—53

ზეინდარს რაჭის ერისთავთან. საუბარი ბრძა შეთოდისთან ოპტიკისა და ქართული გალობის შესახებ

54—60

ვარციხეს. საუბარი სახლხუცეს წერეთელთან სიმთვრალისა და ვეცხლისმოყვარებისათვის .

60—66

გელათში. დათვალიერება სიძველეებისა. საუბარი გენათელთან ქველისა კარავისათვის და სამღედელოთა სამკაულთათვის. მისვლა მოწამეთში

71—73

სოფელ წირქვალში იმერეთის დედოფლი ანასთან

73—75

ქართველ წმიდათა ცხოვრებანი

76—138

დავით და კონსტანტინესი 76. არჩილ მეფის 82. ლუარსაბ მეფის 89. ბიძინა, ელისბარ და შალვასი 108. შალვა ახალცხელის 119. ქვაბთახევის მოწამეთა 124. ნიკოლოზ დგალის 132. სალომე ქართველის 134. ლუკა ჯვარისმებელის მუხიშვილის-აბაშიძეს 135. პეტრე ქართველის 136. ორთა ბევრთა კალოუბნელთა 137.

შეხვედრა ბოჭოულთხუცესთან ჯრუჭულას წყალზე და საუბარი მასთან

138—140

- ქართლში დაბრუნება. ახალქალაქში
თარხნიანთან. საუბარი სოლომონთან. საუბარი
კალენდრისათვის. საუბარი ბერებთან 140—143
- თბილისში. ფიქრები მეფის გარდაცვალე-
ბის გაში. საუბარი მელიქთან 143—145
- გამგზავრება. ეჩმიაძიანს. საუბარი
ორქივატერთან. საუბარი ვართაპეტთან „პერი
არმენიაზე“. „საზღვართა წიგნის“ განმარტება.
საფილოსოფოსო განზრახვანი. გასომხებისათვის
შზადება. გიორგი მღვდელის საუბარი იოანე-
თან. ეჩმიაძინიდან უკან გამობრუნება 145—151
- ქალაქში მის ვლა. ფარსკადან ციცი-
შვილთან საუბარი. საუბარი მილახვარ ჭილაძეს-
თან. ზურაბა ლამბარაშვილის სიკვდილი და სამ-
ძიმრის წიგნის მიწერა მისი ოჯახისადმი. 151—155
- რუსეთს გამგზავრობა
კარშაურამდე და ვორონეჟამდე. მოსკოვს გადასვ-
ლა. შესვედრა მიტროპოლიტ იონა გელევანი-
შვილთან. საუბარი დიმიტრი ბაგრატიონთან. ანა-
თორის გამოხხვა ქართველი არქიელისაგან 155—159
- ამბროსი მიტროპოლიტთან. რუ-
სული ენის შესასწავლად შეოლაში შესვლა. საუ-
ბარი ამბროსისთან 159—161
- ღირსნი კაცნი და მეცნიერნი
ქართველთა შორის მცირე უწყება ქართ-
ველთა მწერალთათვის) 162—214
- დავით აღმაშენებელი 162. ქათოლიკოზნი:
იოანე-ოქროპირი 164, არსენი 165, ნიკოლაოზი 165,
იოანე 165, არსენ ბულაშისმე 165, ნიკოლაოზ მეო-
რე 166, ნიკოლაოზ მესამე ლეონისძე 166, ბესარიო-
ნი, ლეონის ძმა 166, ლომენტი ლეონისძე 167.
მღვდელმთავარნი: არსენ ნინოწმინდელი 167,
იოანე ბოლნელი 167, ანტონ ჭყონდიდელ-გარესჯე-
ლი 167, იაკობ შემოქმედელი 168, იოსებ ტფილე-
ლი 168, ნიკოლაოზ ჩერქეზიშვილი რუსთველი 168,
ნიკოლაოზ ორბელიანი მროველი 169. ღირსნი

შაშანი: იოანე მანგლელი 169, ილარიონ კახი 169,
იოანე ათონელი 169, თორნიკე ათონელი 170, ევთ-
ვიმე ათონელი 170, იოანე ხახულელი 170, ზაქარია
მირდატისძე 171, გრიგორი, აბრამად წოდებული 171,
გიორგი ათონელი 171, ილარიონ თუალელი 171, არ-
სენი 172, ანტონი მნათი 172, ბასილ ბაგრატოანი 172;
გიორგი მამა 172, გიორგი შეყენებული 173, იოანე
პატრიკ ყოფილი 173, გიორგი ოლთისელი 173, მამა
სტეფანე 173, იოანე პეტრიშვი 174, ეფრემ მცირე 174,
მამა თეოფილე 175, აჩენ იყალთოელი 175, ქრის-
ტედულე ოს-ყოფილი 176, იოანე ტაიჭისძე 177,
საბა სვინგელოსი 177, მამა იეზეკიელი 178, მამა
პეტრე 178, იოანე შავთელი 178, ვასილი ათონე-
ლი 179, პიმერ სალოსი 179, მამა ანტონი 179, ნიკო-
ლაოს ქართველთა შანათობელი 180, მამისა დიმიტ-
რისა (მეფე დიმიტრი მეროთხე) 180, ნიკოლაზ ჩო-
ლოყასძე არხიმანდრიტი 181, პეტრე ჩხატარახე-
ძე 181, გრიგორი დოდორქელი 181, კოსმა მწიგნო-
ბართუხუცესი მრავალმთქმელი 182, იობ ფიტარე-
ლი 182, გერმანე ხუცესი 182, იაკობ სამებელი 183,
ევლოგი ხუცესი 183, საბა ქართველი 183, ანტონი
ქართველი 183, მამანი, აომელთა ცხოვრება დასრუ-
ლეს ჭ. იერუსალიმს 184. პოეტები: შოთა რუს-
თაველი 184, სარგის თმოგველი 185, დილარგეთი 185,
ჩახრუხესძე 185, იასე ძაგნაკორელი ხიმშიასძე 185,
თეიმურაზ I 186, არჩილ მეორე 186, გატანგ VI 187,
თეიმურაზ II 187, სულხან-საბა არბელიანი 188,
ძველნი ქართველთა მოშაირენი 189. ანტონ კათოლი-
კოზი 189. მეორე ანტონ კათოლიკოზი 190. გაიოზ
თაყაშვილი 191. გარლამ ეპისკოპოსი ახტალისა 191.
იოანე ოსეშვილი 192. დავით ალექსიშვილი 192. მი-
ხაილ ტფილელი 192. ტრიფილე არხიმანდრიტი 193.
გამალიელ ოს-ყოფილი 193. ნეოფიტე ოს-ყოფი-
ლი 194. გერასიმე ტკბილმგალობელი 194. ღერვასი
სამთავრელი 194. გაბრიელ ჯვარისმამელი 195. ზაქა-
რია მოძღვარი გაბშვილი 195. გლახა ნათისშვი-
ლი 195. ტიმოთე ეპისკოპოსი ერისთავი 196. გერ-
მანე ტფილელი 196. ევთვიმე წინამძღვარი 197. თომა
წინამძღვარი 197. იოანე წირკველი ქარუმიძე 197.
მცირე ისაკი 198. ლეონტი სოლოდაშვილი 198. ნი-
კოლაზ სიონის დეკანზი 198. ზაქარია წირკველი;

მერე ამბროსიად წოდებული 198. დოსითეოს ნეკრე-
 სელი 199. ოთანე ნინოშინდელი ჯანდიერი 199.
 ისაკ კანდელაჟი 199. ნიკოლაოზ გაბაშვილი 200. ნი-
 კოლაოზ ბიჭიაშვილი 200. ალექსიშვილი მწერალ-
 მგალობელი 200. იასტოს ერასტისშვილი 201. ნიკო-
 ლაოზ ხელაშვილი 201. ეგნატე ონისიმესძე შარტყო-
 ფელი 201. ოთანე ლარაძე 202. ზაქარია ლალახანა-
 შვილი 202. მოწაფენი დავით ალექსიშვილისანი 202.
 ოთანე ორბელიანი 202. მზეჭაბუქ ორბელიანი 203.
 იასე შვივანშიშვილი 203. სოლომონ ლივანიძე 203.
 ბესარიონ გაბაშვილი 204. ზაქარია ვართაპეტ მადი-
 ნაშვილი 204. ტერ-ფილიძე 204. ტერ-პეტროზა -205.
 იესე ქსნის ერისთავი ბიბილური 205. დიმიტრი ორ-
 ბელიანი 205. ვახტანგ ორბელიანი 205. ვაზუშტი
 ბუში ბაგრატიონი 205. დიმიტრი ციციშვილი 206.
 დიმიტრი ბაგრატიონი 206. პაატა ანდრონიკშვი-
 ლი 206. გაბრიელ სომეხი 207. ათანასე თარხნიშვი-
 ლი 207. დოსითეოს ფიცხელაური 207. ანტონი ჭურ-
 ინდელი დადიანი 208. სერაპიონ ნათლიშვილე-
 ლი 208. გერმანე დაყულებული 209. სეიმეონ გარებ-
 აელი 209. ონისიფორე ქარუშიძე 210. ოსებ შოხე-
 ვი 210. ოსებ კათოლიკოზი 211. მამანი ჯაფარიძე
 და ფალვენიშვილი 211. სხვანი ეკლესიის მსახურნი,
 მგალობელმწიგნობარნი ქართლსა და იმერეთს 211.
 ახლანდელი. მიტროპოლიტეპისკოპოზი ქართველ-
 თა ჯა იმერთანი 212. ახალნი მთარგმნელი ქართ-
 ველი 213.

ს ე ნ ა ტ ო რ თ ა ნ უ ბ ნ ო ბ ი ს ა თ ვ რ ს . ვ ა ხ-
 ტანგ ბატონიშვილთან

214—216

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს ა თ ვ ი ს . გეოგრაფია. მცე-
 ნარენი. საძოვარნი. მთები. მდინარენი. ტბები.
 ოთხფერხნი. ფრინველნი. მეტალნი. მინერალნი.
 მაღანენი. მცხოვრებთა ფიზიკური ვითარება. ტა-
 ნისამოსი. საჭმელნი. საჭურველნი. სამუშაო იარა-
 ლი. საწონი. საწყაო. მოხელენი. საჩწმუნოება.
 საკრავნი. ქორწინება. ვაჭრობა. საქსოვარნი ქარ-
 ხანანი. სწავლა. ფული. მკვდართა დამარხვა. სის-
 ხლის აღება. ხარჯის გაღება. მოსამსახურენი.

შოსრულთა მწირთა კაცთა დასახლება. სახლები.	
მკურნალნი	214—232
შეხვედრა ნიკიფორე ბერთან. საუბარი იდეათათვის. საუბარი პორფირისთან. საუბარი გრიგოლ მუხრანბატონთან	232—239
მიწოდება ითანესი. სამწერლოსა შინა. საუბარი მწერალთან და იარალთან	239—243
უბნობა გიორგი ავალიშვილთან	243—247

შემჩერული ჟაცლომების გასფრინება

გვ	სტრიქონი		დაბეჭდილია	უნდა იყოს
	ზემოდ.	ქვემოდ.		
5	5	ათასიანის		ასათიანის
213	17—18	მღვდელისა		მღვდელი
242	4	ნაზნაჩით		ნაზნაჩიტ
242	3	ლაჟებში		ლაჟებში

კორექტორი თ. შახარაძე

კონტროლიორ-კორექტორი ნ. აგრაშვილი

ხელმოწერილია დასაბეჭდად 12/V-48 წ. შე 01935. ნაბეჭდ ფორმათა
რაოდ. 15,12. ანაწყობის ზომა $5\frac{1}{2} \times 9\frac{1}{4}$. შეკვეთის № 703. ტირაჟი 5.000.

საქ. სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული პოლიგრაფიისა და გამომცემ-
ლობის საქმეთა მამმართველოს ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი. თბილისი,
მარჯანიშვილის ქ. № 5.

894.63

• 70